კვირის პალიტრა

№ 11 (472) ◆ 15 – 21 მარტი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.



ABAШИДЗЕ ДАЛАУФЛЕБА МОСКОВШИ „ИЧИДА“ (?!)

„აბაშიძე არ არის ის კაცი, საკუთარ ძალაუფლებას ქვეყნის მოლიანობა ამჯობინოს...“

სისხლის ღვრით წააგებს ყველა! – მოგებული დარჩება რუსეთი

გვ.3,4,5,8

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები სამხედრო ჩარევის შემთხვევაში?!

ექსპერტების მრავალისმომცველი ანალიზი... გვ.4

კაცი, რომელიც აბაშიძის მდგომარეობაშია და რიხით ლაპარაკობს, ან ბლეფობს, ანდა მართლაც უმცირეს ზურგს ძლიერი მფარველი. ***რომელი ვარიანტია სწორი...***

რა, გვინდა, ჟირინოვსკი რომ გამოდიოდა ტელევიზიით და ქართველებს გურიად, იმერეთად, კახეთად და ასე შემდეგ დაშლას გვიქადდა, მხოლოდ თავის აზრს ახმაურებდა? ამიტომაა საჭირო, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ***მაქსიმალურად პრაგმატული გათვლები გააკეთოს...***

„გადავწყვიტეთ, ტელევიზიით აღარ ვაჩვენოთ დაპაზიმრების სცენები“

არ შეიძლება აჭარაშიც ისეთივე პრობლემები შეიქმნას, როგორიც აფხაზეთში იყო თავის დროზე. დაუშვებელია, რომ იქ პოლიცია ვერ შედის, ეკვმატანილი ვერ გამოგყავს... ხომ გახსოვთ, აკაკი ჩხაიძის ბათუმიდან ჩამოსაყვანად წამებში გათვლილი სპეცოპერაცია დაგვჭირდა შეიულმფრენებისა და კომანდოსების მონაწილეობით.

თავდაპირველად, ტელევიზიით ამ კადრების ჩვენება იმიტომ განვიზრახეთ, რათა საზოგადოებას ენახა, რომ ხელისუფლება მოქმედებს და გულხელდაკრეფილი არ არის. თუმცა, მოგეხსენებათ, მედალს ორი მხარე აქვს... გვ.7,13

„ТОРГЕБГЛИАН СГАВЛЕБАЗЕ УНДА ГАДАВИДЕТ“

უმაღლესში მისაღები გამოცდები აღარ იქნება

საქართველოში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მართლმადიდებლური რელიგიის ისტორიის სწავლებას, ამასთან ერთად უნდა ისწავლებოდეს ყველა იმ რელიგიის ისტორია, რომლის მიმდევრებიც საქართველოში ცხოვრობენ. გვ.12,27

„ХЕЛИСУФЛЕБАШИ САКУТРЕБИС ХЕЛАХАЛИ ГАДАНАГИЛЕБИС СУРВИЛИ ГАЧНДА“ გვ.2,6,13

„მოსახლეობის 80%-ს აუცილებლობად მიაჩნია პარლამენტში ოპოზიციის მისვლა“



„СЕКЦИАЦ РОМ ВИКОТ, АДАМИАНЕБИ КОМ ВАРТ?!“

ფაქტი, რომელსაც წინასაარჩევნოდ ბევრჯერ წამოაძახებენ ხელისუფლებას გვ.5,12

„ФИДЕЛ КАСТРОС РЕКОРДИ МОВЕБСЕНИ“

„მოგვეცით საშუალება, ეს ხელისუფლება პარლამენტიდან ვაკონტროლოთ“

გვ.6

გვ.5

გააკეთეთ არჩევნიზი და... მოიგეთ დიდი ფერადი ტელევიზორი

არჩევნები-2004

სასაგვარეულო ფოტოები

17-20 გვერდი

„ФЕРОС“ АХАЛИ МИЦЕВЕБИ МСОФЛИО БАЗАРЗЕ გვ.16

მუშვიდობიან კვირას გისურვებთ!

რა მოხდება აჭარაში?

საქართველოს პრეზიდენტი აჭარაში იარაღით შესვლას არ გეგმავს, თუმცა აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, კონსტიტუციით მინიჭებულ ყველა უფლებას გამოიყენებს. იგი აჭარაში მშვიდობიან შესვლას 15 მარტს გეგმავს. მოვლენების განვითარება მოსალოდნელი შედეგების შესახებ თითქმის არ იძლევა კონკრეტული პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას. აბაშინის მხარდამჭერნი ჩვენი მოქალაქეები არიან და მათაც მაქსიმალურად გავუფრთხილდები, არ დავუშვებ, რომ საქართველოში ვინმემ წინ დაიყენოს ხალხი, მათ უკან სამხედრო ტექნიკის მობილიზაცია მოაწყოს და საქართველო დაანგრიოს. ჩემი ფუნქციაა, აღვადგინო საქართველოს მთლიანობა. აბაშიძეს ძალიან უნდა შეიარაღებულ კონფლიქტში გამოგვიწვიოს. არ ვურჩევ ამას, — განაცხადა სააკაშვილმა ჩოლოქზე გამაგრებულ აჭარლებთან შეხვედრის შემდეგ. მოგვიანებით მას ტელეფონით ესაუბრა ქვეყნის გარეთ მყოფი ასლან აბაშიძე, სააკაშვილმა მას მკაცრი ტონით შეახსენა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება უფლებამოსილებას არ უნდა ამეტებდეს და ქობულეთის გამგებელი ტარიელ ხალვაში არ უნდა „წყვეტდეს“ საქართველოს პრეზიდენტის აჭარაში შეშვების საკითხს.

14 მარტს, დილის 7 საათზე თანმხლებ კორტეჟთან ერთად ჩოლოქთან მისულ მიხეილ სააკაშვილს სამხედრო ტექნიკა და შეიარაღებული პირები დაახვედრეს. ვითარების ესკალაციის თავიდან ასაცილებლად პრეზიდენტმა ფოთში გამგზავრების გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაძლიერებული მზადყოფნა გამოცხადდა. ბათუმში სპეცრაზმების მობილიზაცია დაიწყო და ქუჩებში გამოიყვანეს ჯავშანტექნიკა. აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე ამ დროს მოსკოვში იმყოფებოდა. მოგვიანებით რუსული საინფორმაციო წყაროებიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ მან ბათუმში ორმოცდაათკაციანი ამალის თანხლებით გამიმგზავრების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, რომელთა შორის რუსეთის სათათბიროს დეპუტატები და უცხოელი ჟურნალისტები იქნებიან.

„ეს არის ვედეგი აპეზორიზარული მმართველობისა“

აჭარაში განვითარებული მოვლენების გამო, თავიანთი პოზიცია დაადგინერეს გაერთიანებულმა ახლებმა და მრეწველებმა. — რაც ხდება, ეს არის შედეგი იმ ანომალიური, ავტორიტარული და დიქტატორული მმართველობისა, რომელიც ბოლო წლებში აჭარაში ჩამოყალიბდა ასლან აბაშინისა და მისი გარემოცვის წყალობით. ჩვენთვის გაუმართლებელია საქართველოს რომელიმე კუთხეში არა მარტო პრეზიდენტისა და ხელისუფლების წარმომადგენლების, არამედ ნებისმიერი მოქალაქის გადაადგილების შეზღუდვა. ეს არის კონსტიტუციის პირდაპირი დარღვევა. აბსოლუტურად მიუღებლად მიგვაჩნია ბათუმში შეიარაღებული ფორმირებების არსებობა და რუსეთის ბაზების აჭარის ხელისუფლების დასაყრდენად გამოყენება. ჩვენი აზრით, ეს ყველაფერი იმართება ქვეყნის გარედან, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ და მისი მონაწილე არის ასლან აბაშიძე. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ იგი უკიდურესი დაძაბულობის პერიოდში იმყოფებოდა მოსკოვში, — განაცხადა გამყრელიძემ. ახლები და მრეწველები იმედოვნებენ, რომ ხელისუფლება ყველა რესურსს გამოიყენებს იმისათვის, რომ ეს პრობლემა უმტკივნეულო მეთოდებით მოაგვაროს. საქართველოს პრეზიდენტს თანადგომა გამოუცხადა კობა დავითაშვილმა. ის თვლის, რომ აბაშიძემ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებზე დაყრდნობით სამხედრო ამბოხი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ, რაც სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დანაშაული ანუ სახელმწიფო ღალატი, ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევის მცდელობაა. 14 მარტს, საღამოს ოპოზიციური პარტიები პარლამენტის წინ შეიკრიბნენ და ფოთში მყოფ პრეზიდენტს მოსთხოვეს თბილისში სასწრაფოდ დაბრუნება, სადაც მათი თქმით, გამოსავალი ქვეყნის გადასარჩენად მრგვალ მაგიდასთან უნდა მოიძებნოს.

„უბრალო მარტივი კითხვა“

ჩოლოქთან შექმნილ სიტუაციას ბათუმის მერი გიორგი აბაშიძე „უბრალო, მარტივი მიზეზით“ ხსნის. თურმე საქართველოს პრეზიდენტმა აჭარაში სისხლის ღვრის შესახებ გააკეთა განცხადება, ამიტომაც რეგიონის ხელმძღვანელობამ ძმათა შორის ომის თავიდან აცილება გადაწყვიტა(?!). ეს არავის ამბიციების გამო არ უნდა მოხდეს, — აცხადებს გიორგი აბაშიძე და ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ეუბნება თუ არა იგი იმავეს საკუთარ მამას, ასლან აბაშიძეს, რომელიც პრაქტიკულად არაფერს აკეთებს მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად. გარვეთარებულ მოვლენებს თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია კამეუხმაურა. ედპტრადიციონალისტების განცხადებით, „წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც ხელისუფლებას უზომო გულუხვობით დარიგებული დაპირებების რეალიზაციის უნარი არ გააჩნია, ამგვარი საშიში ნაბიჯები მხოლოდ ერთზე მიუთითებს: ხელისუფლებას საკუთარი რეიტინგის გადასარჩენად ომი სჭირდება, ედპ-ტრადიციონალისტები მოუწოდებენ ეროვნულ ინტერესებზე მდგარ ყველა პოლიტიკურ ძალას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადო მოღვაწეებს, „გამოაფიზლონ ხელისუფლება და არ დაუშვან საქართველოს ნგრევის მოწყობა, დემოკრატიულ ზონებად დაყოფა და პერმანენტული კონფლიქტის ზონების გაჩენა“. ისინი ასევე მოუწოდებენ ყველა სამხედრო მოსამსახურეს და ყველა ოფიცერს, არ დაღვარონ ქართველების სისხლი. საქართველოში მიმდინარე მოვლენებს გამოუხმაურნენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც, რომლებმაც სააკაშვილსა და აბაშიძეს სიმშვიდისა და აგრესიის განეიტრალებისკენ მოუწოდეს და შეახსენეს, რომ აუცილებელია დისკუსიების გზით კონსენსუსის მიღწევა. სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები კი არ გამორიცხავენ დაპირისპირებულ მხარეებს შორის შემრიგებლად ჩადგომას. ანალოგიური პოზიცია დაადგინერა პოლიტიკისგან შორს გამდგარმა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

პაპაზარიარი მხარეებს მეშვიდობისაკენ მოუწოდებს

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ილია II იმედოვნებს, რომ ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირება შეიარაღებულ კონფლიქტში არ გადაიზრდება. იგი აცხადებს, რომ საპატრიარქო მზად არის, თავისი როლი ითამაშოს კონფლიქტის მოგვარებაში. ილია II თავის მრევლს, სრულიად საქართველოს, ღოცვის გაძლიერებისკენ მოუწოდებს: — ვიმედოვნებ, ეს დაპირისპირება არ გადაიზრდება კონფლიქტში. ეკლესია მზად არის მონაწილეობა მიიღოს სამხედრო შეტაკების თავიდან აცილებაში. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ცენტრი უნდა აკონტროლებდეს რეგიონს, ეს აუცილებელია და არავის გაუკვირდეს ის, რომ ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს, ყველა რეგიონი კონტროლის ქვეშ ჰყავდეს. ეს ცივილიზებული ქვეყნის წესია. სიონის საპატრიარქო ტაძარში მოვუწოდე ჩემს მრევლს, რომ გააძლიერონ ღოცვა საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის. ამასვე მოვუწოდებ მთელს საქართველოს და ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება, — განაცხადა პატრიარქმა.

რუსეთი პოზიციას აფიქსირებს

ოფიციალურმა მოსკოვმა, რომელიც 14 მარტს საპრეზიდენტო არჩევნების ბატალიებით იყო დაკავებული, აჭარაში შექმნილი ვითარების გამო თავისი პოზიცია დაადგინერა. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადება გააკეთა — თბილისსა და ბათუმს შორის კრიზისის შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას დაეკისრება — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ რადიო „ეხო მოსკვისთვის“ პირდაპირ ეთერში გააკეთა. იაკოვენკოს თქმით, სმოლენსკაიაზე ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თბილისი ძალის გამოყენებას გეგმავს და იარაღს აყენებს, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. საქართველოს ხელისუფლებამ ბოლომდე უნდა გაიაზროს, რომ ასეთი პროვოკაციაული ქმედება რთულ და არაპროგნოზირებად შედეგებს გამოიღებს პირველ რიგში საქართველოსთვის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ხელისუფლების სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ ემთხვევა, — განაცხადა იაკოვენკომ.

მემარჯვენე ოპოზიცია აღშფოთებულია

მემარჯვენე ოპოზიცია („მრეწველები“, „ახლები“) აღაშფოთა განათლების ახალი მინისტრის განზრახვამ, საგანმანათლებლო სკოლებში რელიგიისა (და მისი ისტორიის) და ქართველი მწერლების (შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას) შემოქმედების სწავლების საათების შეზღუდვის შესახებ. ამის თაობაზე საგანგებო განცხადება გააკეთა ფიქრია ჩიხრაძემ: „საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების, მისი სულიერი და ფიზიკური გადარჩენის საფუძველი ქრისტიანობა და ქართული მწერლობა იყო. არ ვიცით, რა არგუმენტი უდევს საფუძვლად სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას. შესაძლოა, მისი ახალი ხელმძღვანელობისთვის პრიორიტეტი ახალგაზრდობისთვის უცხო ენების სწავლება და მსოფლიო სივრცეში ინტეგრაციაა (რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა), მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მშობლიური ენის, ლიტერატურის, საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და რელიგიის იგნორირების ან თუნდაც სასწავლო პროგრამებში მათი მცირედი შევიწროების ხარჯზე“.

„იმედი გვაქვს, ქვეყნის პრეზიდენტი, რომელმაც ფიცი დავით აღმაშენებლის საფლავზე დადო, არ დაუშვებს ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში დამღუპველი პროცესების დაწყებას“, — წერია პრეზიდენტ სააკაშვილისადმი მიმართვაში, რომელიც მემარჯვენე ოპოზიციამ მხარდამჭერთა ხელმოწერებითაც გაამყარა...

სისხლის ღვრით წააგებს ყველა!

14 მარტს, დილაუთენია, ჩოლოქის ხიდთან, პრეზიდენტ სააკაშვილის კორტეჟი იძულებული გახდა, შეჩერებულიყო. ამის მოჰყვა სიტუაციის დაძაბვა, რომელიც ყოველ წამს იზრდებოდა.

პრეზიდენტის გადაადგილების შეფერხება, თანაც, შეიარაღებული ჯგუფებისა და ჯავშანტექნიკის გამოყენებით, ისე, როგორც ეს ჩოლოქთან მოხდა, შეიძლება იურიდიულად შეფასდეს, როგორც უმაღლეს ხელისუფლებაზე სამხედრო ძალის გამოყენებით უფლების შეზღუდვა; მას სამხედრო ამბოხის სუნი ასდის.

ამასთანავე, ფოთში თავს იყრიან შინაგანი ჯარების დანაყოფები, რომელთა საერთო რაოდენობა 1000 კაცს აღწევს; თუმცა შეიარაღებულ ძალებს — იმავე თავდაცვის სამინისტროს — 14 მარტის საღამოსთვის არ ჰქონდა დანყენული თავისი ნაწილების გადაჯგუფება დასავლეთ საქართველოში. თავდაცვის სამინისტრო გაძლიერებულ რეჟიმზეა გადაყვანილი.

თავად აჭარაში კი, ინტენსიურად მიმდინარეობს ძალების კონცენტრაცია. გამაგრებულია ავტონომიურ რესპუბლიკაში შემავალი ყველა გზა(!). ჩოლოქზე, ჯავშანტექნიკასთან ერთად, მობილიზებულია კარგად აღჭურვილი სპეცდანიშნულების რაზმები, რომლებიც მხოლოდ ასლან აბაშიძეს ემორჩილებიან. მათ დანაღმეს ხიდი და გზა, ხოლო ტანკსაშიშ მიმართულებებს აკონტროლებენ ყუმბარმტყორცნელები.

14 მარტის საღამოსთვის გურიაა-აჭარის გზაზე, ქაქუთის პოსტზე, ამწეებით ბლოკები დაანყვეს, ხოლო ავტომატებით შეიარაღებული ხალხი სანგრებს თხრიდა(!).

(გაგრძელება იხ.გვ.4)

საპატრიარქოს განცხადება

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას ა.წ. 12 მარტს მომხდარი ფაქტის გამო.

როგორც საქართველოს მოსახლეობისთვის, ისე საერთაშორისო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება ვასილ მკალავიშვილისა და მისი ქმედებებისადმი, რომელიც 1995 წლიდან განკვეთილია სამღვდელო ხარისხიდან. საქართველოს ეკლესია ყოველთვის უარყოფითად აფასებდა როგორც მკალავიშვილის, ისე იეღოველების მიერ გამოვლენილი ძალადობის ფაქტებს და მიიჩნდა, რომ ორივე მათგანის უკან ქვეყნის გარეთ არსებული ძალები დგანან, რომელნიც მათ საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ.

თუ ძალადობის აღკვეთისკენ მიმართული ქმედებანი მხოლოდ მკალავიშვილის იზოლაციით შემოიფარგლა და არ გაგრძელდა ამ დაპირისპირების გამომწვევის — იეღოველთა სექტის აგრესიული პროზელიტიზმის აღკვეთა, მაშინ ნათელი იქნება, რომ ამით გზა ეხსნება იეღოველთა დანაშაულებრივ საქმიანობას და საზოგადოებაც სწორედ ასე აფასებს ამ მოვლენებს. შეენიშნავთ იმასაც, რომ სექტანტთა აგრესიული პროზელიტიზმით გაღიზიანებული მოსახლეობა ძალადობთ პასუხობდა მათ ქმედებებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ამდენად, ეს არ იყო მხოლოდ მკალავიშვილის დაჯგუფების მოქმედება.

უნდა ითქვას ისიც, რომ თუ ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა მკალავიშვილის დაკავება, ეს შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო სხვა ვითარებაში, რასაც არ მოჰყვებოდა ამდენი ხალხის დარბევა და საზოგადოების შეშფოთება.

მაკალავიშვილს 4-იდან 8 წლამდე პატიმრობა ელის

არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი, ნანა კაკაბაძე მიუღებლად მიიჩნევს პოლიციელთა ქმედების იმ მეთოდებს, რომელთა გამოყენებითაც განხორციელდა ბასილ მკალავიშვილის დაკავება. „დღევანდელი პოლიცია იმდენად აჭარებს უფლებამოსილებას, რომ საზოგადოებას პროტესტის გრძნობა უჩნდება და თავისდა უნებურად, დამნაშავის მხარეს იკავებს, რაც ძალზე ცუდი ტენდენციაა. არ ვამბობ, რომ მკალავიშვილი არ უნდა დაეკავებინათ, მაგრამ ფორმა, რომელსაც დაკავებისას პოლიცია იყენებს, არა მარტო საზოგადოებისთვისაა მიუღებელი, არამედ ალბათ, თავად კანონმდებლებისთვის“, — განაცხადა კაკაბაძემ. მისი აზრით, მკალავიშვილის დაკავება სხვა ფორმითაც ადვილად შეიძლებოდა და „ძალოვან სტრუქტურებში რომ პროფესიონალები მუშაობდნენ, ისინი ოპერაციასაც სწორად დაგეგმავდნენ, რაც საზოგადოების ასეთ აღშფოთებას აღარ გამოიწვევდა“. 12 მარტს, გამთენიისას, სპეცდანიშნულების რაზმის გამოყენებით დააპატიმრეს გელდანის ეპარქიის წინამძღვარი ბასილ მკალავიშვილი. მკალავიშვილის მომხრეებმა სპეცრაზმელებს წინააღმდეგობა გაუწიეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სპეცოპერაციის დროს გამოიყენეს ცრემლსადენი შაშხანები, არის რამდენიმე დაშავებული. ბასილ მკალავიშვილი, რომელსაც წინასწარი სამთვიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული, ერთერთ საპორობილეში გადაიყვანეს, მასთან ერთად აყვანილი პეტრე ივანიძე, მერაბ კოროშინაძე, აკაკი მოსაშვილი და სხვა პირები კი წინასწარი დაკავების საკნებში მოათავსეს. სპეცოპერაციის დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა გლდანის ეკლესია, რომლიდანაც მოძღვარი ძალის გამოყენებით გამოიყვანეს. ბასილ მკალავიშვილს 2002 წლის 3 თებერვალს ბაპტისტთა და იეღოველთა სექტების კუთვნილი ლიტერატურის განადგურება ედება ბრალად. მას ბრალი სხვისი ქონების განზრახ განადგურების მუხლით წაუყენეს, რაც 4-იდან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ეინისტრთა კაბინეტში ძალების მაგვგაპა

საფრანგეთში ვიზიტის დასრულებისთანავე, სააკაშვილმა სენსაციური, მსოფლიოში უპრეცედენტო გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა და მოულოდნელი საკადრო ცვლილებების შედეგად, საქართველოს საგარეო ხაქმეთა მინისტრად საქართველოში საფრანგეთის ელჩი, უცხო ქვეყნის მოქალაქე, ქართველი ემიგრანტების შთამომავალი სალომე ზურაბიშვილი დანიშნა. მას საფრანგეთის ხელისუფლების დიპლომატიურ სამსახურში 30 წლის მოღვაწეობის სტაჟი აქვს. ნიკო ნიკოლაძის თანამებრძოლის შვილიშვილი, გამოცდილი და დახვწნილი ფრანგი დიპლომატი საქართველოს პრეზიდენტისთვის სწორედ ის პიროვნებაა, რომელიც საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ამოცანებს თავს კარგად გაარმევეს და ყველაზე პრობლემურ მეზობელთანაც კი ურთიერთობის გამოსწორებასაც მოახერხებს. პარიზიდან დაბრუნების შემდეგ ქვეყნის საგარეო კურსის უმთავრესი მიმართულება კი ევროკავშირში ინტეგრირება და რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება იქნება. სალომე ზურაბიშვილი პირველი უცხოელი ქართველია, ვისაც საქართველოს პრეზიდენტი ორმაგ მოქალაქეობას მიანიჭებს. კონსტიტუცია მკაცრ შეზღუდვებს მხოლოდ პარლამენტის წევრებისა და პრეზიდენტის მოქალაქეობაზე აწესებს. სხვა შემთხვევაში კი გარკვეული ლავირების შესაძლებლობა არსებობს. პრეზიდენტის განცხადებით, ის გარემოება, რომ ახალი მინისტრი საფრანგეთის ქვეშევრდომია, არც ერთ ეროვნულ უსაფრთხოების თვალსაზრისით შექმნის უხერხულობას... მას ეცოდინება ყველა ის სახელმწიფო საიდუმლო, რაც საქართველოს პრეზიდენტს, — აღნიშნავს სააკაშვილი. ჯერჯერობით, უცნობია, რა ბედი ელის თედო ჯაფარიძეს, სად გააგრძელებს იგი დიპლომატიურ კარიერას.

ჯოხთაბერიძეს უცხოელები დაუცავენ

კომპანია „მაგთიკომის“ დამფუძნებლის, ექსპრეზიდენტის სიძის, გია ჯოხთაბერიძის საქმეში საერთაშორისო ადვოკატები ერთვებიან. ჯოხთაბერიძის დაცვას საერთაშორისო სამართლის კომპანია „ჰოვინგთონ ენდ ბერლინგის“ ლონდონის ოფისის ხელმძღვანელი ჯონ რაფი და ამავე ფირმის იურისტი ჯონ სმიტი შეუდგებიან. სასტუმრო „მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატებმა პრესის წარმომადგენლებს საკუთარი თავი და კომპანია გააცნეს და ჯოხთაბერიძის საქმესთან დაკავშირებით პოზიციები დააფიქსირეს. ჯონ რაფი დარწმუნებულია გია ჯოხთაბერიძის წინააღმდეგ წაყენებული საგადასახადო ბრალდებების უსაფუძვლობაში და აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ელემენტარულ გაუგებრობასა და ინფორმაციის ნაკლებობას. რაფს ჯოხთაბერიძის უდანაშაულობის დამტკიცება საკმაოდ მარტივი ეჩვენება. იგი აცხადებს, რომ ამისათვის ყველა საჭირო მტკიცებულება გააჩნია და საქართველოს მთავრობას ჯოხთაბერიძის საქმის გამოთხოვას ურჩევს. „ჩვენი საქართველოში ჩამოსვლის მიზანია, ვაჩვენოთ საქართველოს მთავრობას, რომ ჯოხთაბერიძის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების გაუქმება პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ წარმართულ ანტიკორუფციულ კამპანიის შეუწყობს ხელს“, — განაცხადა უცხოელმა ადვოკატმა და ჯოხთაბერიძის საქმესთან დაკავშირებით ოფიციალურ პირებთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა.

გამემარჯვება განაღდებული აქვს



რუსეთში 14 მარტს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებამდეც კი უკვე ცნობილი იყო მომავალი პრეზიდენტის ვინაობა. პუტინის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. დანარჩენი კანდიდატების მონაწილეობას კი სიმბოლურად აღიქვამდნენ. არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებელმა 51%-ს ჯერ კიდევ პროცესის დასრულებამდე გადააჭარბა. საბოლოო შედეგები 15 მარტს გახდება ცნობილი. ვლადიმირ პუტინმა და მისმა მეუღლემ არჩევნებში მონაწილეობა მოსკოვის 2039-ე საარჩევნო უბანზე მიიღეს, კლასიკური მუსიკის ფონზე. რუსული მედიის აზრით, პუტინს არჩევნებში გამარჯვება განაღდებული აქვს, მისი რეიტინგი 70%-ს აჭარბებს. საერთაშორისო დამკვირვებელთა 800-კაციანი რაზმის აზრით, არჩევნებზე სერიოზული დარღვევა არ დფიქსირებულა. მოსკოვში, საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა უსაფრთხოებას 300.000 პოლიციელი იცავდა.

„ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲙᲔᲗᲝᲡ“

— დიახ, მას აქვს თავისუფლად გადაადგილების უფლება, ისევე როგორც საქართველოს ყველა მოქალაქეს. მაგრამ რაგომ დილის 7 საათზე(?!) და რაგომ მხოლოდ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებისა და კბილებამდე შეიარაღებული სპეცრაზმელების თანხლებით? სწორედ ამის გამო, აჭარის ხელმძღვანელობამაც, როგორც ჩანს, სათანადო დასკვნები გამოიტანა. ***ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲥᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ***

გასული კვირა უაღრესად დატვირთული იყო, როგორც პოლიტიკური თუ კრიმინალური, ისე რელიგიური თვალსაზრისითაც კი, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველაფერი შეიცვალა. ბასილ მკალავიშვილისა და მის მომხრეთა ბრძოლა წესების გარეშე იეღოველებთან, გლდანის ეკლესიის იერიშით აღებითა და უთანასწორო ცემა-ტყეპით დასრულდა. თუმცა რელიგიასთან დაკავშირებული მოვლენები მოგვიანებით პოლიტიკურმა გადასნონა.

დადგა დრო, როდესაც საქართველოს ბეწვის ხიდზე მოუწევს გავლა და ამ შემთხვევაში ისე, როგორც არასდროს, სიტყვა „საქართველოში“ ერთნაირად იგულისხმება თბილისიც, ბათუმიც, თელავიც და გორიც, ნაციონალური მოძრაობაც და „დემოკრატიული აღორძინების კავშირიც“. ნოემბრის რევოლუციის შემდეგ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ქართულ სახელმწიფოებრიობას თავისი არსებობის მანძილზე აღმშენებლობის საუკეთესო და, შესაძლოა, უკანასკნელი შანსიც გამოუჩნდა. საქართველო არც გრენლანდია გახლავთ და არც იაპონია — სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა ერთნაირად გულისხმობს საფრთხეს და წარმატებას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნოემბერში გამოწენილი კეთილგონიერებისა და სიმშვიდის მიუხედავად, ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ შორს დგას იმ ცნებისგან, რასაც საერთო სამოქალაქო პასუხისმგებლობით გაჯერებული საზოგადოება ეწოდება, პოლიტიკური დაპირისპირების ეროვნულ დაპირისპირებაში გადაზრდის საფრთხე კვლავაც რეალურად რჩება — სწორედ ამიტომ, ქართველ პოლიტიკოსებს ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმისას უნდა ახსოვდეთ, რომ მათ უკან არა უბრალოდ მათი ამომრჩეველი, ან ზოგადად, მოსახლეობა, არამედ ქვეყნის აწყო და მომავალი დგას. მომავალი, რომელსაც ერთი გაუაზრებელი ქმედებითაც კი, ათწლეულობით გამოუსწორებელი ზიანი შეიძლება მიადგეს — ასეთი მაგალითები საქართველოს ისტორიიდან მრავლად გვახსოვს...

დღეს უკვე ეჭვიც აღარავის ეპარება, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტრაგედიის დატრიალებაში ლომის წილი ჩრდილოელმა მეზობელმა სახელმწიფომაც შეიტანა. ისტორია მხოლოდ სკოლაში სასწავლებლად არ ინერება — მისი თავაური დანიშნულება მომავლის სახელმძღვანელოდ გამოყენება გახლავთ. არ გვსურს დავიჯეროთ, რომ არათუ გასული საუკუნეების გამოცდილების — ამ ან იმ მხარის (თუ რომლის, დღეს ამას ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა აქვს) წარმომადგენელ პოლიტიკოსებს გამჭრიახობა საქართველოში სულ რამდენიმე წლის წინ დატრიალებული მოვლენების შესაფასებლადაც კი არ ეყოთ. ათწლეულების მანძილზე საქართველო კანონისა და კანონიერების ტოტალური დარღვევით ცხოვრებას მიეჩვია. კონსტიტუციას არას დაგიდევდნენ როგორც უმაღლესი რანგის ჩინოსნები, ისე უბრალო ხალხი. ნოემბრის რევოლუციის შემდეგ საქართველომ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის შექმნაზე გააკეთა განაცხადი და მის განსახორციელებლად, უპირველესად, კანონის განუხრელად დაცვა საჭირო. უეჭველად კონსტიტუციის უხეშ დარღვევად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრს საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში უბოდიშოდ აკავებენ(!). რბილად რომ ვთქვათ, არაკონსტიტუციურია, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრს საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში შესვლას ავტომატებით შეიარაღებული რიგითი მოქალაქეები უკრძალავენ. კონსტიტუციაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, როდესაც თავისუფალი გადაადგილების საშუალება ეზღუდება ქვეყნის პრეზიდენტს. ასეთ ვითარებაში ცენტრალურ ხელისუფლებას საბაბიც კი აქვს, გადადგას ყველაზე სარისკო ნაბიჯი, გააკეთოს აპელირება კანონის დაცვაზე. მაგრამ როდესაც წესრიგის დამცველ უწყებებში ყველაფერი არცთუ რიგზეა და ახალ ხელისუფლებას ჯერ თბილისშიც არ მოუკიდია ოსა და მომავალზე სასაუბროდ ვცადეთ, რესპონდენტთა ფართო სპექტრი შეგვერჩია.

ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲙᲝᲢᲝᲔᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ: — უბრალოდ, მრცხვენია იმის გამო, რაც აჭარაში და მასთან მიმართებაში ხდება. თავიდათავი ამ უბედურებისა, ეს ძალად მოგონილი ავტონომიური სტატუსი გახლავთ — მთელი აჭარა, მთისა თუ ბარისა, ფეხით მაქვს შემოვლილი. არაჩვეულებრივი, ალალი, კეთილი და მშრომელი ხალხია — ნებეგ, ყველა მაგათნაირი ქართველი იყოს მთელ საქართველოში. სირცხვილი არ არის, რა ავტონომიასთან დაპირისპირებაზე ან რა აჭარის დაჯარობაზეა ლაპარაკი!.. სიტყვებიც არა მყოფნის აღშფოთების გამოსახატავად — რა, შუა საუკუნეებში ვბრუნდებით? სამთავროების და ფეოდალების ხანა ბრუნდება? აბა, რაზეა მაშინ ლაპარაკი, რატომ დაიყო საქართველო ცენტრად და ავტონომიად — აჭარა არ არის საქართველო თუ თბილისი? მოვლენების განვითარებას რომ ვადევნებ თვალყურს, სიზმარში მგონია თავი. თანაც, სულელურ სიზმარში — რომ გაიღვიძებ და გაიფიქრებ, ნეტა ეს რამ დამასიზმრაო. მაგრამ ეს ხომ სიზმარი არ არის, ხალხო! XXI საუკუნეში ქართველი ქართველს ისევ იარაღით უპირისპირდება? მაშ, გამოდის, რომ ჩვენთვის, როგორც ერისთვის, ფუჭად ჩაუვლია საუკუნეები.

ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲙᲝᲢᲝᲔᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲥᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲙᲝᲢᲝᲔᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ

მოვლენების განვითარებას რომ ვადევნებ თვალყურს, სიზმარში მგონია თავი. თანაც, სულელურ სიზმარში — რომ გაიღვიძებ და გაიფიქრებ, ნეტა ეს რამ დამასიზმრაო. მაგრამ ეს ხომ სიზმარი არ არის, ხალხო! XXI საუკუნეში ქართველი ქართველს ისევ იარაღით უპირისპირდება? მაშ, გამოდის, რომ ჩვენთვის, როგორც ერისთვის, ფუჭად ჩაუვლია საუკუნეები.

ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲙᲝᲢᲝᲔᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲥᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲙᲝᲢᲝᲔᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲘᲝᲠᲗᲐ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ

რომელ კონსტრუქციულ დიალოგზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როდესაც თვით ჩოლოქის ხიდიც კი, დანაღმული იყო, ხოლო პრეზიდენტს და მის თანმხლებთ ნაღმმტყორცნებს უმიზნებდნენ. ცენტრალური ხელისუფლება ასეთი დესტრუქციული ქმედების მიმართ შეურიგებელ პოზიციას დაიკავებს და ყველანაირ საშუალებას მიმართავს, რათა კანონიერება და იურისდიქცია განუხრელად გავრცელდეს საქართველოს ყველა კუთხეზე.

ᲒᲘᲝᲠᲗᲐ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ

ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ შორს დგას იმ ცნებისგან, რასაც საერთო სამოქალაქო პასუხისმგებლობით გაჯერებული საზოგადოება ეწოდება, პოლიტიკური დაპირისპირების ეროვნულ დაპირისპირებაში გადაზრდის საფრთხე კვლავაც რეალურად რჩება — სწორედ ამიტომ, ქართველ პოლიტიკოსებს ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმისას უნდა ახსოვდეთ, რომ მათ უკან არა უბრალოდ მათი ამომრჩეველი, ან ზოგადად, მოსახლეობა, არამედ ქვეყნის აწყო და მომავალი დგას. მომავალი, რომელსაც ერთი გაუაზრებელი ქმედებითაც კი, ათწლეულობით გამოუსწორებელი ზიანი შეიძლება მიადგეს — ასეთი მაგალითები საქართველოს ისტორიიდან მრავლად გვახსოვს...

ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲙᲝᲢᲝᲔᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ: — *უბრალოდ, მრცხვენია იმის გამო, რაც აჭარაში და მასთან მიმართებაში ხდება. თავიდათავი ამ უბედურებისა, ეს ძალად მოგონილი ავტონომიური სტატუსი გახლავთ — მთელი აჭარა, მთისა თუ ბარისა, ფეხით მაქვს შემოვლილი. არაჩვეულებრივი, ალალი, კეთილი და მშრომელი ხალხია — ნებეგ, ყველა მაგათნაირი ქართველი იყოს მთელ საქართველოში. სირცხვილი არ არის, რა ავტონომიასთან დაპირისპირებაზე ან რა აჭარის დაჯარობაზეა ლაპარაკი!.. სიტყვებიც არა მყოფნის აღშფოთების გამოსახატავად — რა, შუა საუკუნეებში ვბრუნდებით? სამთავროების და ფეოდალების ხანა ბრუნდება? აბა, რაზეა მაშინ ლაპარაკი, რატომ დაიყო საქართველო ცენტრად და ავტონომიად — აჭარა არ არის საქართველო თუ თბილისი? მოვლენების განვითარებას რომ ვადევნებ თვალყურს, სიზმარში მგონია თავი. თანაც, სულელურ სიზმარში — რომ გაიღვიძებ და გაიფიქრებ, ნეტა ეს რამ დამასიზმრაო. მაგრამ ეს ხომ სიზმარი არ არის, ხალხო! XXI საუკუნეში ქართველი ქართველს ისევ იარაღით უპირისპირდება? მაშ, გამოდის, რომ ჩვენთვის, როგორც ერისთვის, ფუჭად ჩაუვლია საუკუნეები? ალალი, კეთილი და მშრომელი ხალხია — ნებეგ, ყველა მაგათნაირი ქართველი იყოს მთელ საქართველოში. სირცხვილი არ არის, რა ავტონომიასთან დაპირისპირებაზე ან რა აჭარის დაჯარობაზეა ლაპარაკი!.. სიტყვებიც არა მყოფნის აღშფოთების გამოსახატავად — რა, შუა საუკუნეებში ვბრუნდებით? სამთავროების და ფეოდალების ხანა ბრუნდება? აბა, რაზეა მაშინ ლაპარაკი, რატომ დაიყო საქართველო ცენტრად და ავტონომიად — აჭარა არ არის საქართველო თუ თბილისი? მოვლენების განვითარებას რომ ვადევნებ თვალყურს, სიზმარში მგონია თავი. თანაც, სულელურ სიზმარში — რომ გაიღვიძებ და გაიფიქრებ, ნეტა ეს რამ დამასიზმრაო. მაგრამ ეს ხომ სიზმარი არ არის, ხალხო! XXI საუკუნეში ქართველი ქართველს ისევ იარაღით უპირისპირდება? მაშ, გამოდის, რომ ჩვენთვის, როგორც ერისთვის, ფუჭად ჩაუვლია საუკუნეები? ვერაფერი გვისწავლია და ვერაფერი გაგვითავისებია — ვერც წინაპართა თავდადება, ვერც წმინდანების შეგონება!*

არ ვიცი, გნებავთ, მუქარით, გნებავთ, მუდარით — მინდა დავუწოქო ჩემს ერს და ვთხოვო, გაცილებით უფრო სიღრმისეულად უნდა შევაფასოთ საფრთხე, რომელიც ქართველობას გვემუქრება. ხალხი არ უნდა გაერიოს ამ უკეთურობასა და უზნეობაში (განსაკუთრებით შეიარაღებული, რად უნდათ ამ ხალხს იარაღი, მოქალაქეებს რომ იარაღს დაურიგებენ, ეს ხალხის ღალატია). არ უნდა გაერიოს არც ერთი მხრიდან, რა ვნებები და მიზნებიც არ უნდა ჰქონდეთ პოლიტიკოსებს. აჰკამად არ არის იმის დრო, ამა თუ იმ მხარის სიმარილეს ვამტკიცოთ, მაგრამ ეს კიცი ხომ არის საქართველოს პრეზიდენტი! მაშინ რას ნიშნავს, საქართველოს რომელიმე კუთხეში არ შეუშვან — ფეოდალიზმია? ურჩი სამთავროების ეპოქაში ვბრუნდებით? რა გაუხდა აბაშიძეს ერთი ხისა თუ ტყავის სკამი, როცა შედეგად მთელ საქართველოს შეიძლება ყველაფერი ორრად დარჩეს? მაგრამ ეს საფრთხე საკაშვილმა და მისმა გუნდმაც უნდა გააცნობიერონ — ნუთუ არ შეიძლება ქართველებმა ერთმანეთთან საქმე მოლაპარაკებით, იარაღის ტრიალის გარეშე გაარკვინონ? და თუ ვერ შეძლებენ და ვიღაცების პროვოკაციებზე წამოეგებიან, პირდაპირ გეტყვით — ეს იქნება უკიდურესი გოიმობა — სხვა სიტყვისა თუ ეიდა ვაკადრეო... სანამ ასლან აბაშიძე მოსკოვში(?!) „თავდასაცავ“ პრესკონფერენციას მართავდა, ჩოლოქის ორივე მხარეს ქართველები (პოლიტიკოსები და მათი მხარდამჭერები) იდგნენ და ერთმანეთს ქართული სიამაყითა თუ ამპარტავნობით ემუქრებოდნენ(!).

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲥᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ, აჭარის ავტონომიის ოფიციალური წარმომადგენელი თბილისში, ვითარებას უაღრესად კრიტიკულს უწოდებს და მხარეთა მიერ დაკავებული პოზიციების მიხედვით, მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ხედავს:

— რამდენად გვაძლევს შექმნილი ვითარება იმის საშუალებას, რომ ურთიერთობის მოლაპარაკებით გარკვევაზე ვილაპარაკოთ?

— როგორც ყველაფრიდან ჩანს, ახალი ხელისუფლება მოლაპარაკებაზე არც ფიქრობს და რეგიონთან ურთიერთობის გარკვევას სამხედრო გზით ცდილობს. აქედან გამომდინარე, რა მოლაპარაკებაზე შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც პრეზიდენტი საკუთარი ქვეყნის ერთ-ერთ კუთხეში შეიარაღებული ხალხით ცდილობს შესვლას?!

— მაგრამ კონსტიტუციის, ან ელემენტარული ლოგიკის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტს ნებისმიერ სიტუაციაში და ნებისმიერ კუთხეში თავისუფლად მიმოსვლის უფლება აქვს — მიხეილ საკაშვილი აცხადებს, რომ ეს უფლება მას ჩოლოქის საზღვართან საკმაოდ დამამცირებელ ვითარებაში, იარაღის დემონსტრირებით შეუზღუდეს...

— დიახ, მას აქვს თავისუფლად გადაადგილების უფლება, ისევე როგორც საქართველოს ყველა მოქალაქეს. მაგრამ რატომ დილის 7 საათზე და რატომ მხოლოდ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებისა და კბილებამდე შეიარაღებული სპეცრაზმელების თანხლებით? სწორედ ამის გამო, აჭარის ხელმძღვანელობამაც, როგორც ჩანს, სათანადო დასკვნები გამოიტანა. ყოველ შემთხვევაში, ვერც მე დამაჯერებს ვერავინ, რომ გამთენიისას, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და მათი შეიარაღებული ამალის თანხლებით სააკაშვილი ბათუმში ვინმესთან მოლაპარაკების გამართვას აპირებდა. რეაქციაც შესაბამისი იყო. რამდენადაც ვიცი, თავად მიხეილ სააკაშვილი თავისი ავტომობილიდან არც გადმოსულა, ხოლო ბარამიძე და ოქრუაშვილი ჩოლოქზე არ გადაუშვეს. თუმცა, უარი არც მათთვის უთქვამთ — შესთავაზეს, შეიარაღებული ხალხი დაგიოვეთ და ბათუმისკენ ისე გაემგზავრეთო, რაზეც უარი მიიღეს. სააკაშვილის ხელისუფლებამ ამჯობინა, ფოთში წასულიყო და იქ რაღაც სამხედრო შტაბის მსგავსი მოეწყო, სადაც არავინ იცის, რას გეგმავენ...

— პრეზიდენტი ასლან აბაშიძეს ერთ-ერთ სერიოზულ პრეტენზიად იმასაც უყენებს, რომ იგი თბილისთან მოლაპარაკებას რუსეთის ჩარევითა და დახმარებით ცდილობდა — მის მიერ მოსკოვში გაკეთებული განცხადებები თბილისს აღიზიანებდა...

— არ ვიცი, ვის რა აღიზიანებდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აბაშიძემ ყველანაირად სცადა სააკაშვილთან და მის გარემოცვასთან მოლაპარაკება — მისი წარმომადგენელი სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი გაემგზავრა და სახელმწიფო მდივნის მოადგილეს შეხვდა. მაგრამ როგორც ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან ჩანს, სააკაშვილს, აჭარასთან დაკავშირებით, ყველაფერი სურს, მოლაპარაკების გარდა.

ფოთში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებთან, უშიშროების საბჭოსთან და პრემიერ-მინისტრთან თათბირის შემდეგ კვლავ ჩოლოქზე გასვლა და იქ მყოფ აჭარის მოსახლეობასთან გასაუბრება გადაწყვიტა. აჭარლები პრეზიდენტს მშვიდობიანად შეხვდნენ. მას შემდეგ, რაც სააკაშვილი დარწმუნდა, რომ ჩოლოქთან მყოფ ხალხს მის პრეზიდენტობაში ეჭვი არ ეპარებოდა, მცირედი რეპლიკების გაცვლის შემდეგ კვლავ ფოთში დაბრუნება გადაწყვიტა.

პრეზიდენტის პრესსამსახურის

ᲒᲘᲝᲠᲗᲐ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ:

— პრეზიდენტსა და მის თანმხლებ პირებს არაგითარი ბოროტი განზრახვა არ ჰქონიათ, როცა აჭარის მონახულება გადაწყვიტეს. მიხეილ სააკაშვილს წინასაარჩევნოდ მოსახლეობასთან შეხვედრა სურდა. რატომღაც, აჭარის ადგილობრივი ხელმძღვანელობა პრეზიდენტის სრულიად კანონიერ სურვილს მძაფრი აგრესიით შეხვდა. ჩოლოქის ხიდთან მისულებს მობილიზებული დაგეხვდა მძიმე ჯავშანტექნიკა, ეგრეთ წოდებულ საზღვარს კი გაურკვეველი უნყების წარმომადგენელი, ავტომატური ცეცხლსასროული იარაღით შეიარაღებული პირები იცავდნენ. რომელ კონსტრუქციულ დიალოგზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როდესაც თვით ჩოლოქის ხიდიც კი, დანაღმული იყო, ხოლო პრეზიდენტს და მის თანმხლებთ ნაღმმტყორცნებს უმიზნებდნენ. ცენტრალური ხელისუფლება ასეთი დესტრუქციული ქმედების მიმართ შეურიგებელ პოზიციას დაიკავებს და ყველანაირ საშუალებას მიმართავს, რათა კანონიერება და იურისდიქცია განუხრელად გავრცელდეს საქართველოს ყველა კუთხეზე.

— აჭარის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მოსახლეობასთან შესახვედრად იარაღით და დილის 7 საათზე არ დადიან. მათი თქმით, თბილისს რეგიონთან პროვოკაციის მოწყობა ჰქონდა დაგეგმილი. რაც შეეხება შეიარაღებას და ჯავშანტექნიკას — „აღორძინება“ ყოველივეს აჭარაში გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობით ამართლებს...

— არ ვიცი, რამდენად ნორმალური შეიძლება იყოს საქართველოს რომელიმე კუთხეში შესასვლელად გრაფიკის დანესება — დილის 7 საათზე არ შეიძლება და შუადღისით ან საღამოს შეიძლება? რაც შეეხება შეიარაღებას: არანაირი საგანგებო შეიარაღება პრეზიდენტის მხრიდან არ ყოფილა. მას მხოლოდ პირადი დაცვა ახლდა, რომელიც ტრადიციულად დაჰყვება ხოლმე. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება კი, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა. არ შეიძლება დაუსრულებლად ყველამ ყველაფერი თავის ნებაზე აკეთოს — როცა მოუნდება და როდესაც მოუნდება. კანონის უზენაესობა საქართველოს ყველა რეგიონში უნდა დამკვიდრდეს...

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„ერისიონი“ – კრეჟლის ყრილობათა სასახლის დარბაზი

რაც მეტი გასაჭირი გვადგას, მით უფრო გვიათკეცდება სიხარული, როცა მოგვწვდება ცნობა ქართული სიტყვის, ცეკვისა თუ სიმღერის მსოფლიოში პოპულარობისა. ანსამბლ „ერისიონს“ მალე მოსკოვი უმასპინძლებს.

— კრეჟლის ყრილობათა სასახლეში რომ კონცერტებს გავმართავთ, თავისთავად დიდი აღიარებაა, — გვითხრა ჯემალ ჭკუასელმა, — ეს დარბაზი ძალზე პრესტიჟულია მთელ ევროპაში. ყოველ კონცერტზე 6 000 მაყურებელი გვყოლია. 15 დღით ადრე გაყიდული იყო ყველა ბილეთი (რომლის ფასი 1 000-დან 8 000 რუბლამდეა), მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ აქედან მიზეზულ თანხას ვიღებთ. ჩვენს შენობას ჭერი ულესავს და იმასაც ვერ ვცვლით... ორ კონცერტს გავმართავთ მოსკოვში, შემოდგომისთვის კი კიდევ რვა კონცერტი გვექნება რუსეთის სხვა ქალაქებშიც, სადაც შესაბამისი დარბაზი იქნება. ასეთი დარბაზი საქართველოში მხოლოდ ფილარმონიაშია, მაგრამ 1 960 მაყურებელი საკმარისი არ არის. ვინმემ ამ კონცერტებში ფული რომ ჩადოს და წაგებული მაინც არ დარჩეს (ზოგებაზე აღარაფერს ვამბობ), 3 000 ბილეთი მაინც უნდა გაიყიდოს და თითო 80 ევროდ... ამ ფასად თბილისში ვის შეუძლია ბილეთის შეძენა?..

— *კონცერტში მომღერლებიც მიიღებენ მონაწილეობას და მოცეკვეებიც?*

— რა თქმა უნდა. ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა ორგანულად ერთია... თუ არ გავეფრთხილდით, ფოლკლორი შეიძლება დაკვარგოთ. თქვენ წარმოიდგინეთ, „ხასანბეგურას“, „ჩაკრულოს“ ან „ლილეოს“ არა მარტო ჩვენ, მსოფლიოც დაკარგავს! უცხოელთნი ხშირად გვეკითხებიან, — ხომ უვლით ამ განძსო. იუწესკომ ქართული ხალხური მუსიკა მსოფლიო მუსიკალური აზროვნების შედევრად გამოაცხადა. იცით, როგორი იყო ქართული ხალხური სიმღერა XIX საუკუნეში? დღევანდელზე გაცილებით ძლიერი. მას შემდეგ მოვდივართ და ვაფუჭებთ ამ სიმღერებს... შოუებში რომ გამოვდივართ, რაღაცას ვკარგავთ. ხალხურ სიმღერებს რომ მივანჯღრ-მოვანჯღრევთ, ამით ფერს ვუცვლით. სოფელს უნდა დავუბრუნდეთ და იქიდან მივიღოთ საზრდო...

— *პრძანდეთ, საგანძურზე ზრუნვაა საჭიროო. თქვენ გაყავთ ბავშვთა ცეკვის ანსამბლი, ახლა უკვე სიმღერის ანსამბლიც...*

— წინააღმდეგი ვარ ბავშვების დატვირთვისა. 1986 წელს დავაწყვინე ბავშვებს სიმღერა, მაგრამ გარდატეხის ასაკში დავშალე გუნდი. ბევრმა ძალზე ნიჭიერმა ბავშვმა ამ ასაკში სიმღერის გამო სრულიად დაკარგა ხმა. ადრე, ასე თუ ისე, იცოდნენ ხალხური სიმღერა, ახლა ლამის დაივიწყონ. ამიტომ გადავწყვიტეთ, გავაცნოთ, შევაყვაროთ სიმღერა ბავშვებს, ოღონდ არ დავტვირთოთ. გარდატეხის ასაკში ხალხურ საკრავებზე დაკვრას ვასწავლით. არ შეიძლება ბავშვებს ისე მოვთხოვოთ ცეკვა, რომ მომავალი გავუფუჭოთ...

— *ახლა რას აპირებთ?*

— საცეკვაო მუსიკაში ვიყენებთ ბასგიტარას, პერკუსიას, დასარტყამ ინსტრუმენტებს... ბასგიტარა ხომ ჩვენი ეროვნული საკრავი არ არის?! მაგრამ უნდა ვაღიაროო, ის არის ყველაფერი ჩვენს ანსამბლში. ამ ხმოვანებამდე გვინდა მივიყვანოთ ქართული ხალხური საკრავები...

— *ეს იქნება კიდევ ერთი ექსპერიმენტი...*

— შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება ექსპერიმენტია, მაგრამ ექსპერიმენტსაც გაიჩნია. თავიდანვე განწირული ექსპერიმენტი ან ანტიეროვნული ექსპერიმენტი ვის სჭირდება? ჩვენ კი გვინდა საკუთარ ნიადაგზე განვითარდეთ... ათასწლეულებით ჩამოქნილ ხელოვნებას უნდა ეთაყვანო, მაგრამ უნდა განავითარო კიდეც...

— *დაბოლოს, რითი ხართ უკმაყოფილო?*

— ძალიან მტკენს გულს დაუდგენრობა. ანსამბლს „ერისიონი“ რომ დავარქვი, ბევრი ვიფიქრე. ლევან ღინჟოლიასაც შევუთანხმდი... ერისიონი ნიშნავს მთის წვერზე კიდევ უფრო მაღალს... ექვთიმე ათონელი ბრძანებდა, — ერისიონით ამაღლდნენ წმინდანებიო... სულხან-საბა ბრძანებს, — ღრუბელი იდგა ერისიონსა ზედაო... ადგა ვიღაც და კარაქს დაარქვა „ერისიონი“... ეს არ შეიძლება... არ შეიძლება „ნიკალა“ მეორად ტანსაცმლის მაღაზიას ერქვასო... შინაგანმა ხმამ უნდა უკარნახოს ყველას, არ გაუფუსურონ ღირებულებები...

წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო... რა თქმა უნდა, მთავარ სათქმელს დრო იტყვის, შემოქმედების მწვერვალსაც ყველაზე მეტად დრო გამოარჩენს ხოლმე, მაგრამ ერთი რამ უდავოა — ამ მწვერვალის დასანახი თვალები წინასწარ არ უნდა დავითხოვოთ და ყველაფერი ვიღონოთ ჩვენი სულიერი სამყაროს გადასარჩენად.

ლელა ჯიყიშვილი

თბილისში „სამოთხის ჩიტები“ ჰყვავიან

დარწმუნებული ვარ, ბევრს არ ეცოდინება თბილისში ისეთი ადგილი, სადაც „სამოთხის ჩიტების“ ნახვა შეიძლება. ისინი ბოტანიკურ ბაღში ჰყვავიან, დიახ, ჰყვავიან. „სტრელიცია“ ანუ „სამოთხის ჩიტი“ — ასე ჰქვია ტროპიკული ქვეყნების ბინადარ ყვავილს, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ჩვენს დედაქალაქშიც დაიდო ბინა. იგი ბოტანიკური ბაღის წალკოტივით მშვენიერ ორანჟერეაში ასობით უიშვიათეს ყვავილს შორის სახლობს და სილამაზით თითქმის ყველა მათგანს ჩრდილავს. სტრელიციასთან მეზობლობენ ამაზონის ჯუნგლებიდან „გადმოსახლებული“ მონსტერა, ყავის, ქაფურის, კაკაოს ხეები. ბედნიერების ხე პილია კადეესი და დინოზავრების საყვარელი საკვები არაუკრაიაც, რომელიც ისე პატარაა, ჩვილ დინოზავრსაც ვერ დაანაყრებს, მაგრამ „თავი მოაქვს“ ასაკით და სხვა მცენარეებს ზედაც არ უყურებს. ეს რომ გავიგე, აღტაცება ვერ დავფარე. „შეიფერა“ — ეს რაა, უნდა ნახოთ, მიხეილ სააკაშვილს და ზურაბ ჟვანიას როგორ ვუყვარვარო. როგორც გავიგე, ბატონი მიხეილი და ბატონი ზურაბი სახელმწიფო სათავეში მოსვლამდე თურმე ხშირად სტუმრობდნენ ბაღს..

თითქმის ოთხასწლოვანი ბოტანიკური ბაღი რამდენიმე წლის წინ განადგურების პირზე იყო მისული.. როცა ბაღის დირექტორს ხელისუფალთათვის შველა უთხოვია, ერთ-ერთი მათგანისგან ორიგინალური რჩევა მიუღია — ბაღში კოტეჯები ჩავდგათ და მაგარ ფულს ვიშოვითო. ამ „იდეამ“ კინაღამ დირექტორის სიცოცხლე შეიწირა — ინფარქტი მიიღო და შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, სათაყვანებელი ადგილის დარაჯად დამდგარა. ჯიმშერ კერესელიძე თურმე ღამესაც კი ბაღში ათევდა. მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ბოტანიკიური ბაღის შესახებ უსიამოვნო ამბები ვრცელდებოდა, იგი არ გაყიდულა, არც იჯარით აუღია ვინმეს და ვინც ჩემსავით ბოლო სამი წლის განმავლობაში სტუმრობს აქ, დამეთანხმება, რომ უამრავი რამ შეიცვალა სასიკეთოდ — ბაღი გადარჩა. თუმცა ისევ დადის ხმები მისი თითქოსდა მოსალოდნელი გასხვისების და ბაღის ადგილას მშენებლობების გაჩაღების შესახებ, რის გამოც „კვირის პალიტრას“ რამდენიმე მკითხველმაც კი მიმართა. თბილისელების დასამშვიდებლად და საქმეში გასარკვევად ბატონ ჯიმშერს მივმართე. თუმცა, სანამ მას შევხვდებოდი, ბაღის მეზობლად მცხოვრებ ნაცნობ მეიდნელ თათრებს ვკითხე, — რამე ხომ არ გაგიგიათ ბაღის გაყიდვის თაობაზე-მეთქი. ლამის გადაირივნენ — ამაზე რომ ვინმემ კრინტი დაძრას, ჯიმშერა თავს დადებს და არ გაკკეთებენებსო...

— *ბატონო ჯიმშერ, თბილისელები წუხან ბაღის ირგვლივ დაწყებული მშენებლობების გამო.*

— ერთი ჩემს გულში ჩაიხედონ. ეს ტერიტორიები, სადაც ახლა მშენებლობები მიმდინარეობს, 1937 წლამდე ბაღს ეკუთვნოდა. მერე ჩამოაჭრეს. გაშენდა კომკავშირის ხეივანი. რაღაც ნაგებობები მაშინაც აშენდა, რომლებიც ბოლო ხანს პატრონებმა გაყიდეს და... ახალი მშენებლობებიც გაჩაღდა. გული მტკივა, ასე მგონია, ერთ დღესაც მოვალ და ქართლის დედის გვერდითაც ხარაჩოებს დავინახავ.

— *ამბობენ, არ ხმაურდება, მაგრამ ბაღი ბიძინა ივანისშვილს ეკუთვნის, რომელიც ქედზე სასახლეს აშენებსო.*

— ბაღი სახელმწიფოს კუთვნილებაა და თუ იგი დღეს არსებობს, მხოლოდ და მხოლოდ საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ წყალობით. ქალაქის ხელისუფლებამ რომ ხელი აიღო ჩვენზე, ნერვიულობისაგან ცუდად გავხდი. მაშინ გამოჩნდა „ქართუ“ მხსნელად. ჯერ 1 000 ლარს მაძლევდნენ ყოველთვიურად (სახელმწიფო კი 600 ლარს გვიხდის მუშების ხელფასებისთვის). მერე სანახავად მოვიდნენ, ორანჟერეებში ყვავილების გასათბობად დადგმული შეშის ღუმელები რომ ნახეს, გაგიჟდნენ. კიდევ გამოგვიყვეს თანხა და ხელშეკრულებაც გაფორმდა, რომლის თანახმად ისინი ვალდებულნი არიან იზრუნონ ბაღის მოვლა-პატრონობაზე. სასტიკად იკრძალება აქ რაიმე შენობის ჩადგმა და თუ სახელმწიფო ბაღის გასხვისებას მოინდომებს, აუცილებლად უნდა შეატყობინოს „ქართუს“. სულ გულის ხეთქაში ვიყავი, — ხელისუფლებას ამის სურვილი რომ გასჩენოდა, ვინ დაეკითხებოდა ან „ქართუს“, ან ჩვენ... ახლა იმედი მაქვს, ბატონი მიხეილი და ბატონი ზურაბი ამას არ დაუშვებენ. ისინი ხშირად დადიოდნენ აქ. ამ ორანჟერეებს, ბაღის დაცვას — უზარმაზარი თანხა სჭირდება. ვანო ზოდელავას გარდა, ხელისუფლებიდან არავის უცდია დახმარება. ერთხელ 50, მეორედ 30 ათასი ლარი გამოგვიყო, მაგრამ მაინც არ არის საკმარისი, რომ აქაურობა წალკოტს დაემსგავსოს. არადა, უცხოელები აღტაცებას ვერ ფარავენ რელიეფის და გარემოს გამო — აქ სამოთხის ბაღის გაშენება შეიძლებაო.

— *ბატონო ჯიმშერ, დაკუტილ გვირაბზე რას იტყვით? მე კი ვიცი, დილა-საღამოს თითო საათით რომ იღება, მაგრამ ხალხს აინტერესებს, სულ დაკეტილი რატომ არისო.*

— მეც მინდა, რომ არ იყოს დაკეტილი, მაგრამ რა ვქნა. გვირაბი ბაღის საკუთრება არ არის, ქალაქის თავდაცვის შტაბის ბალანსზე იყო ყოველთვის. თუმცა იმის გამო, რომ ჩვენი დამსვენებლები და თანამშრომლები სარგებლობდნენ მისით, ჩვენ ვიხდიდით განათების და დასუფთავების ხარჯებს. ახლა კი იმისიც მადლობელი ვარო, ორიოდე საათით რომ გვიღებენ. ისე, ცუდი ამბები ხდებოდა მაგ გვირაბში — ძარცვა, ათასი მამაძაღლობა. მცენარეებს გვპარავდნენ...

— *მეც შემინიშნავს ზოგჯერ უდიერი ხალხი ამ ბაღში.*

— მაგათ დამმართეს ინფარქტი. ვერ გადავაჩვიეთ ხალხი ქურდობას. უნდა შეგნონ, რომ აქ ყველაფერს გაფრთხილება უნდა, რომ გზის იქით, გაზონებსა და ნარგავებში არ უნდა გადავიდნენ. დროდადრო უკეთესობისკენ სვლას ვგრძნობ. იქნებ ხალხიც მიხვდეს, რომ ეს ბაღი ყველას სიმდიდრეა...

ეკა ლომიძე

სისხლის ღვრით წააგებს ყველა!

– მოგებული დარჩება რუსეთი

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები სამხედრო ჩარევის შემთხვევაში?!

(დასაწყისი იხ. გვ.2)

სავარაუდოდ, ბლოკ-პოსტის მოწყობა იმ გზაზეც ხდება, რომელიც მესხეთს, გოდერძის უღელტეხილით, აჭარასთან აკავშირებს. ბათუმში ჯავშანტექნიკითაა გაძლიერებული უზენაესი საბჭოს მისადგომები და სხვა სტრატეგიული ობიექტები.

თვალნათლივ ჩანს, რომ მიმდინარეობს ის მოსამზადებელი თავდაცვითი სამუშაოები, რომლებიც წინ უძღვის საბრძოლო მოქმედებების დაწყებას.

რა სახით შეიძლება განვითარდეს მოვლენები, თუკი პრეზიდენტმა სააკაშვილმა მაინც გადაწყვიტა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დე ფაქტო იურისდიქციის აღდგენა აჭარაში?

რა თქმა უნდა, ოფიციალურმა თბილისმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს მდგომარეობის მშვიდობიანად განსამუხტად, მაგრამ თუკი ცენტრალურმა ხელისუფლებამ მაინც გამოიყენა ძალა, უნდა ველოდოთ, რომ პირველ რიგში ოპერაცია განხორციელდება იმ ხალხის დასაპატიმრებლად, რომლებიც აშკარად არ ემორჩილებიან ოფიციალურ თბილისს, მათ შორის არიან თავად ასლან აბაშიძე, ჯემალ გოგატიძე და აბაშიძის გუნდის სხვა ცნობილი პირები, სწორედ ისინი, რომლებსაც აქვთ დასაკარგი, ანუ საქართველოს ხელისუფლებისგან დაპატიმრებას ვერ გადაურჩებიან, ამიტომაც ყველანაირი ბრძანების, მათ შორის კანონსაწინააღმდეგოსი, შესრულებაზეც წავლენ სათავისო რეჟიმის შესანარჩუნებლად. ამ სიტუაციაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რა პოზიციას დაიკავებს ოსეთია. ცხინვალში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ურგებს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, წესით, მათ იარაღი არ უნდა უჭირდეთ. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება განხორციელდეს მე-12 რუსული ბაზის საწყობებზე თავდასხმის ინსცენირება და ქუჩაში გამოიყვანონ ამ ბაზის მძიმე შეიარაღება. ბაზაში ინახება 41 ცალი T-72 ტიპის ტანკი და 60-მდე ჰაუბიცა, რაც მეტად სერიოზულ ძალას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, ცენტრალურ ხელისუფლებას არ გამოუვა ელვისებური ბლიცკრიგი და შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება გაჭიანურდეს. ნელ-ნელა მოხდება შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაცია და საბრძოლო მოქმედებებში უკვე თავდაცვის სამინისტროს ნაწილებიც ჩაერთვებიან, რადგან მარტო შინაგან ჯარებს არ ეყოფათ ძალა გადამწყვეტი უპირატესობის მოსაპოვებლად.

ამის შემდეგ განვითარდება იგივე სქემა, რაც ორჯერ — ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში განხორციელდა — მე-12 რუსული სამხედრო ბაზის საფუძველზე შეიქმნება ე.წ. სამშვიდობო კონტინგენტი, რომელიც თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრს განახორციელებს და ჩადგება ცენტრალური ხელისუფლების ჯარებსა და აბაშიძის რეჟიმის დამცველებს შორის. ამ ქმედებით ეს რუსული ბაზა, რომლის საქართველოდან გაყვანაზე დღემდე ყველა ლაპარაკობდა (ოცენებობდა), დარჩება ამ რეგიონში განუსაზღვრელი ვადით, ოღონდ „სამშვიდობო ძალების“ ეგიდით!

შეიარაღებული დაპირისპირების დაწყების შემდეგ შეიქმნება დიდი საშიშროება წმინდა პოლიტიკური დაპირისპირების სამოქალაქო ომში გადაზრდისა, რაც, რა თქმა უნდა, დამღუპველად იმოქმედებს სრულიად საქართველოს მომავალზე (ოგებული დარჩება მხოლოდ რუსეთი, რომელიც თავის იმპერიულ ზრახვებს აისრულებს).

ამიტომაც საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ უსათუოდ უნდა გამონახოს ხერხი, აჭარაში წარმოქმნილი პოლიტიკური დაპირისპირების მშვიდობიანად მოგვარებისა.

ირაკლი ალადაშვილი

მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ლელა ჯიყიშვილი** — „გოდერძი ჩოხელის სულით ჩამოტანილ გუდამაყრელ იებს მოგართმევთ საგზაფხულოდ...“ — 117 ხმა
2. **ეკა ბაგაშელი** — „ვერ მოვისვენებ, ვიდრე ცოცხალი დადის...“ — 101
3. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 44
4. **დაჩი გრძელიშვილი** — „თუ მესამედაც ხელი მოგვეცარა — ეს იქნება უმართავი ქაოსი“ — 26
5. **დავითი დვინაძე** — „ფულის აღების ახალი მექანიზმი საგზაო პოლიციაში“ — 24

როგორც ვხედავთ, მკითხველთა ყველაზე დიდი მოწონება წილად ხვდა სტატიას — „გოდერძი ჩოხელის სულით ჩამოტანილ გუდამაყრელ იებს მოგართმევთ საგზაფხულოდ...“ რადგანაც მასალა გოდერძი ჩოხელის ნაბრძენებია ადგილები, ლელა ჯიყიშვილისა და თქვენი სახელით პრემია — 50 ლარი გადაეცემა ბატონ გოდერძის.

„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 423-მა რესპონდენტმა გამოავლინა

„თუ ბათუმში ფყვია გავარდა, ეს საქართველოს დაშლის დასაწყისი იქნება“



აბაშიძემ ძალაუფლება მოსკოვში იყიდა?!

რას ფიქრობს ასლან აბაშიძე? ამ კითხვაზე პასუხს მისგან დღემდე ვერ ეღირსა ქართული მასმედიის დიდი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ლიდერი უცხოელ ჟურნალისტებს წყალობს, აბაშიძის ამირანივით გულში ნამღერის ამოცნობა მათაც ვერ შეძლეს. 13 მარტს მოსკოვში აბაშიძის მიერ ავისმომასწავებელი ინფორმაციებით გაჯერებული პრესკონფერენციის შემდეგ კი აშკარაა, რომ მისი გულისნადები საქართველოს სიკეთეს არ უქადის. აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელი ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებს — იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება აჭარაშიც ე.წ. ვარდების რევოლუციის განმეორებას შეეცდება, რუსეთსა და თურქეთს ავტონომიური რესპუბლიკის დაცვისკენ მოუწოდებს. ამასთან, განმარტავს, რომ ჩვენს მეზობლებს თურმე ყარსის ხელშეკრულების თანახმად, ევალებათ ჩვენი ტერიტორიის ჩვენგანვე დაცვა (ალბათ საფლავში გადატრიალდებოდა მემედ აბაშიძე შთამომავლის ამ „ნოვაციების“ გამო). ასლან აბაშიძეს ბათუმში მის ჩამოსაგდებად შეჭრილი „კომანდოს“ ბატალიონები რომ დღედაღამ ელანდება, ამას თვითონაც არ მალავს. ამავე დროს, მისივე მოთხოვნით, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო აჭარაში განლაგებულ რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზას ცოცხალი ძალითა და ტექნიკით აძლიერებს (თუმცა, რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი ამას სამხედრო ძალების ჩვეულებრივი როტაციით ხსნის), რეგიონში მიმდინარე გამალებული შეიარაღებისა და საომარი მზადების შესახებ კი ყოველდღე შემაშფოთებელი ინფორმაციები ვრცელდება. ვისთან საომრად ემზადება აბაშიძე? ოპოზიციასთან, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებას 15 მარტიდან აპირებს აჭარაში? რას ფიქრობს ოპოზიცია, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები 15 მარტის შემდეგ, რამდენად რეალურად მიაჩნიათ პროგნოზები აჭარაში დესტაბილიზაციის შესახებ, შეცვლის ვარდეს ტყვიები ბათუმში? გვესაუბრება „ჩვენი აჭარის“ ერთ-ერთი ლიდერი **თამაზ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ**:

— ბათუმიდან თბილისში პრეზიდენტთან შესახვედრად დაახლოებით 500 კაცი ჩამოვალთ, შემდეგ კი ბათუმში დავბრუნდებით და წინასაარჩევნო კამპანიას დავიწყებთ. ჩვენ მიტინგების ჩატარება არ გვაქვს განზრახული, ამომრჩევლებთან შენობებში ვაპირებთ შეხვედრას. თუ მიტინგის გამართვას გადაეწყვეტთ, აჭარის ხელისუფლებას წინასწარ გავაფრთხილებთ. თუმცა დარწმუნებული ვართ, ისევე შეგვიშლიან ხელს, როგორც ახლა გვეუბნებიან უარს შენობაში შეკრებაზე. მაგრამ მოვძებნით გამოსავალს...

— **რამდენად აუცილებლად მიგაჩნიათ თბილისში ჩამოსვლა და მერე უკან წასვლა. ამით უფრო ხომ არ აღიზიანებთ აბაშიძეს? იგი აცხადებს, თბილისიდან შეიარაღებული მებრძოლების კოლონა ჩამოვა, რომელსაც წინ ქალები და ბავშვები ეყოლება აფარებულიო.**

— თბილისში ჩავალთ ხელისუფლებასთან, და მისგან რჩევებს მივიღებთ. თუ ვინმეს ბათუმში ეს აღიზიანებს, ეს მისი პრობლემაა. აბაშიძე ასეთ განცხადებებს იმიტომ აკეთებს, რომ ამომრჩეველები დააშინოს, არჩევნებზე არ მიუშვას და თავი გადაირჩინოს. იცის, მარცხი გარანტირებული აქვს და ცდილობს, სიტუაცია დაძაბოს. ჩვენ გვინდა საარჩევნო კამპანია მშვიდ ვითარებაში წარიმართოს და დასრულდეს, რადგან ვიცით, რომ არჩევნებს მოვიგებთ. არეულობა კი იმას აძლევს ხელს, ვინც აგებს. ჩვენი მხრიდან პროვოკაციები გამორიცხულია და ვფიქრობთ, 28 მარტამდე ყველაფერი მშვიდად ჩაივლის...

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ აჭარაში ხელისუფლება ისე ხავერდოვნად ვერ შეიცვლება, როგორც ამას თბილისში გეგმავენ. სპეციალური პროგნოზებს ობიექტური მიზეზები აქვს. ბოლო დროს აჭარაში ჟურნალისტთა ცემა-ტყეპის ფაქტებსა და განსხვავებული აზრის მქონე პირების დაპატიმრებებს თუ გავიხსენებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარის ლიდერი სავარძელში მყარად ზის და თბილისში აფეთქებული ვარდების რევოლუციის „ეპიდემია“ დიდად არ ანადგურებს.

რა შეიძლება დაახვედროს მან ორშაბათს ბათუმში ჩასული „ჩვენი აჭარის“ წარმომადგენლებს? ფიქრობენ, რომ გამორიცხული არ არის, ამ დღეს აჭარაში პირველი ტყვია გავარდეს. მით უმეტეს, ამაზე ქარაგმულად თვითონ აბაშიძეც მიანიშნებს.

იმედია, ომის შესახებ მოსაზრება ყველაზე გაბედული ფანტაზიის ნაყოფად დარჩება, მაგრამ საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, აბაშიძის ბოლოდროინდელ გამოსცლებს თუ გავითვალისწინებთ, ჯერჯერობით, „აფხაზური სცენარი“ ისევ ძალაში რჩება.

(გაგრძელება იხ. გვ.8)

სექტაც რომ ვიყოთ, ადამიანები ხომ ვართ?!

ბოლო ათწლეულის ყველაზე სკანდალური მღვდელი ბასილ მკალავიშვილი ციხის მე-5 იზოლატორში იმყოფება. ამ ფაქტით სრულდება იეღოველთა მასობრივი დარბევებისა და აუტოდაფეების ერთი ეპოქა. ის, რასაც უთმენდა ეკლესიიდან განკვეთილ მკალავიშვილს შევარდნაძის დროინდელი ხელისუფლება, შეუწყნარებელი აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსული ახალი ძალებისთვის. ამას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საჯაროდ აცხადებს. მისი თქმით, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო ქუჩურ დარბევებს და მკალავიშვილისთანა ხალხი ციხეში უნდა იჯდეს.

თუმცა, საინტერესოა, რომ ციხის საგზური განდგომილ მღვდელს ჯერ კიდევ წინა პრეზიდენტის დროს მაუწერია. იეღოვური ლიტერატურის დანვისთვის გლდანის ღვთისმშობლის ტაძრის მოძღვარს სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ მაშინ მკალავიშვილი არ დუკავებიათ. მიზეზად მისი ადგილსამყოფლის არცოდნა დასახელდა.

ძებნილი მღვდელი საზოგადოების წინაშე 11 მარტს გამოჩნდა. სახალხო დამცველის ოფისთან საკუთარ მრევლთან ერთად მისულმა მკალავიშვილმა ამჯერად ახალ ხელისუფლებას ესროლა ხელთათმანი — განაცხადა, რომ არ მოითმენედა მასონური ხელისუფლების მიერ იეღოველების თავის ნებაზე მიშვებას ქვეყანაში. ხელისუფლებამ გამოწვევა მიიღო. გლდანის ეკლესიასთან გამართული ბატალიების შემდეგ, როგორც ვთქვით, მკალავიშვილი მე-5 იზოლატორში აღმოჩნდა.

რატომ გამოჩნდა ძებნილი მღვდელი ასე უშიშრად საზოგადოების წინაშე? არსებობს ვერსია, რომ იგი მოატყუეს და ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს. დაიმედებული მკალავიშვილი ამ ანკეტს წამოეგო, თუმცა, მისი ახლობლები ამბობენ, რომ იგი დამალულიც არასოდეს ყოფილა.

ერთი სიტყვით, მკალავიშვილის დაპატიმრებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია, მაგრამ საინტერესოა, რომ ამ ოპერაციის ოპონენტი ძალები არა დაკავების ფაქტზე, არამედ მის მეთოდებზე უფრო ლაპარაკობენ. „ბასილ მკალავიშვილი ყაჩაღი არ არის და მის დასაკავებლად სულაც არ იყო საჭირო ეკლესიაზე იერიშის მიტანა. მისი დაპატიმრება უფრო მშვიდ გარემოშიც შეიძლებოდა“, — მიაჩნიათ ეკლესიის შტურმის თვითმხილველებს.

ᲗᲐᲠᲘᲔᲚ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲝᲕᲘᲚᲘ, მკალავიშვილის მრევლის წევრი: — დილის 7 საათზე შემოვარდა შინაგანი ჯარებისა და უშიშროების სპეცრაზმის ხალხი. არ ეგონათ, რომ წინააღმდეგობას გავუწევდით. 150 კაცი ვიყავით, წინა სალამის 400-მა კაცმა მოიყარა თავი, მაგრამ არ ველოდით თავდასხმას და დაიშალნენ. ისინი რომ ყოფილიყვნენ, კუდით ქვის სროლა მაშინ გენახათ. ხალხი დაიხოცებოდა აქედანაც და იქიდანაც. ჩვენ ვერიდებოდით, ისინი კი — არა, გამეტებით გვცემდნენ.

— **რატომ დასჭირდათ მკალავიშვილის ასაყვანად ასეთი ოპერაციის ჩატარება?**

— ძალა გვაჩვენეს... ყველამ გაგაწირა. სექტაც რომ ვიყოთ, ადამიანები ხომ ვართ? იეღოველთა უფლებები თუ ილახება, ჩვენი უფლებები არ შეილახა, ხელკეტებით რომ შემოგვიცვივდნენ და დაგვასისხლიანეს?..

ფაქტი, რომელსაც წინასაარჩევნოდ ბევრჯერ წამოაძახებს ოპოზიცია ხელისუფლებას

როგორც თვითმხილველები ამბობენ, ოპერაციის დროს ეკლესიის ეზოში მისულმა ადგილობრივმა პოლიციელებმა იმარჯვეს და მრევლის წევრები ეზოდან გაიყვანეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მრევლში მსხვერპლი იქნებოდა.

საპირისპიროს ფიქრობენ ოპერაციის სულისჩამდგმელები. მათი ინფორმაციით, ოპერაციის დილის 7 საათზე ჩატარება იმ მოტივით იყო ნაკარნახევი, რომ ამ დროს მრევლი შეთხელებული იქნებაო და მისი აყვანა შედარებით უხმაუროდ უნდა მომხდარიყო. თუმცა, უშიშროების სპეცრაზმსა და შინაგანი ჯარის ნაწილებს ძალის გამოყენება მაინც დასჭირდათ.

რატომ არ თქვეს უარი სპეცოპერაციის მონაწილეებმა გლდანის ეპარქიის ღვთისმშობლის ეკლესიის აღებაზე და რატომ დასჭირდათ კარის შენგრევა, ამ კითხვით შს მინისტრის მოადგილეს, **ᲘᲠᲐᲚᲘ ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მიემართეთ, რომელმაც კითხვაზე კითხვითვე გვიპასუხა: — თქვენ როგორ მოიქცეოდით, თქვენთვის რომ დაეშინათ ქვები და ბენზინით სავსე ბოთლები? ისღა დარჩენოდათ, ძალაზე ძალითვე ეპასუხათ.

— **მაგრამ ბასილ მკალავიშვილი არ არის ისეთი პირი, რომ მისი უხმაუროდ აყვანა არ მოხერხებულიყო.**

— ოპერაციის მონაწილეები სიტუაციის ადეკვატურად მოქმედებდნენ და თავიანთი საქმე შესასრულეს. არც ის იქნებოდა სწორი, მკალავიშვილის მრევლის მიერ ქვების სროლის შეშინებოდათ და იქაურობა თავქუდმოგლეჯილს დატოვებინათ...

(გაგრძელება იხ. გვ 12)

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ–2004

ᲛᲝᲘᲒᲔᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲭᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲘ

გახსოვთ, ალბათ, 2 ნოემბრის არჩევნების შედეგების პროგნოზირებისათვის „კვირის პალიტრა“ მკითხველებს ფერადი ტელევიზორის გათამაშებას დაპირდა, მაშინ ამ პროექტში 5.000-მდე მკითხველმა მიიღო მონაწილეობა. სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, გათამაშება ვერ შედგა. მოგეხსენებათ ნოემბრის არჩევნების შემდგომი მოვლენები და ოფიციალური შედეგების გაუქმება.

იმედია, ამჯერად, აღარაფერი შეგვიშლის ხელს და გთავაზობთ დაპირებულ გათამაშებას.

თქვენი პროგნოზი — როგორი იქნება 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები? მოცემული ათი გრაფა უნდა შეავსოთ პოლიტიკური პარტიების/ბლოკების დასახელებებით იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ისინი განლაგდებიან 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგებში.

ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ/ᲑᲚᲝᲙᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲑᲡ I-X ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ?

ტელევიზორს იგებს ბარათი-პროგნოზი, რომელიც ზუსტად დაემთხვევა არჩევნების შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ზუსტი პროგნოზი ვერავინ გააკეთა, პრიზს მიიღებს ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი; ხოლო თუ რამდენიმე ზუსტი პროგნოზი აღმოჩნდება, ან იქნება რამდენიმე ერთნაირად მიახლოებული ვარიანტი, პრიზს მიიღებს ის მკითხველი, რომლის პასუხიც ბარათის ბოლოს დასმულ შეკითხვაზე — ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში? — ყველაზე მიახლოებული იქნება რეალურთან. **ᲬᲐᲠᲑᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲘᲡᲬᲐᲕᲘᲗᲔᲑᲘ!**

„კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებში ბარათების მოთავსების ბოლო ვადაა თბილისში 24, ხოლო რაიონებში 23 მარტი. ამის შემდეგ ისინი რედაქციაში დაილუქება და გაიხსნება მხოლოდ არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

ᲐᲓᲒᲘᲚᲘ	ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ/ᲑᲚᲝᲙᲘ
I	
II	
III	
IV	
V	
VI	
VII	
VIII	
IX	
X	

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ 28 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ?

_____

_____ თქვენი სახელი, გვარი

_____ ასაკი _____ ტელეფონი

_____ ქალაქი, რაიონი

„ფიდელ კასტროს რეკორდი მოვხსენი“

მშრომელთა პარტიის ლიდერი საქართველოს რაიონებში მშრომელებს ხვდება. **ზალვა ნათელაშვილი** *კლასვაც იმედიანად არის, მიუხედავად იმისა, რომ ამ უამინდობაში სოფელსოფელ სიარულში წონაშიც დაიკლო და ხმაც დაკარგა.*

— ბატონო ზალვა, ხმა წაგვალიათ და გამზადარხარო კიდევ.

— სიმსუქნით არასოდეს გამოვირჩეოდი, ხმა კი ლაპარაკით მაქვს ჩახლეჩილი. ორაგზორობაში ჩემპიონად ფიდელ კასტრო ითვლება, რადგან დღეში 7 საათს ლაპარაკობს (გამოსვლების სახით). მისი რეკორდი უკვე მოვხსენი, დღეში 10 საათს ვლაპარაკობ, ათ სოფელში ჩავდივარ დღეში. კიდევ კარგად შემრჩა ხმა, ვატყობ, მეტსაც გავეძარცვ — დღეში 12 საათამდე ვაპირებ ლაპარაკს.

უამინდობა მიშლის ხელს, თორემ ყველა რეგიონში ჩავიდოდი. კახეთში სოფლის ბირეგზე ვდგები და ვესაუბრები გლეხობას. შევატყვე, იქაურებს მიკროფონით ლაპარაკი არ უყვართო, უშუალო დიალოგი ურჩევნიათ. 1 საათით მანიც მიწევს თითო სოფელში დარჩენა. ვატყობ, სიამოვნებთ და სახე უნათდებათ, როდესაც იმედიანად ველაპარაკები. ჩვენს მოსახლეობას, რომელსაც არც ტელევიზორი აქვს და გაზეთზეც ნაკლებად მიუწვდება ხელი, პოლიტიკოსებმა ასეთი ყურადღება არ უნდა მოვაკლოთ. 28 მარტამდე ვერ ვასწრებ დასავლეთ საქართველოში ჩასვლას, მაგრამ არჩევნების შემდეგ, მიუხედავად იმისა, შემიშვებს თუ არა სააკაშვილი პარლამენტში, იმერეთის, რაჭის, გურიისა და სამეგრელოს სოფლებში ჩავალ, მივეფერები ხალხს, ავუხსნი ვითარებას და დავრაზმავ საიმისოდ, რომ ხელისუფლებას მისი წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება აიძულონ და თუ არ შეასრულებს, შეცვალონ.

დღეს მთთვის მთავარი პრობლემა ის არის, რომ 1 ტომარა ფქვილი 25 ლარიდან 50 ლარამდე გაძვირდა — ეს უკვე სოციალური კატასტროფა და ისეთი შიმშილია, რომლის მსგავსი საუკუნეების მანძილზე არ ყოფილა საქართველოში. როგორც ჩანს, ვარდების რევოლუციის შემდეგ ეს უკვე აღარ აწუხებს სააკაშვილს და ახლა საფრანგეთის დედოფლის, მარია-ანტუანეტას სტადიაზეა. როდესაც აჯანყებული პარიზელები ვერსალის სასახლეს მიადგნენ პურის მოთხოვნით, დედოფალმა განაცხადა, — თუ პური არ გაქვთ, ნამცხვარი ჭამეთო. ეტყობა, სააკაშვილსაც ჰგონია — გლეხი, რომელსაც პურის ყიდვის საშუალება არ აქვს, ნამცხვარს გამოაცხობს. ალბათ ამ შიმშილობის დროს ამიტომაც ესტუმრა მარია-ანტუანეტას ქალაქს. სააკაშვილმა საფრანგეთში ქართველების საფლავები მოინახულა და აქ ცოცხალი ქართველები კი მშიერი დატოვა. ხომ ვამბობდი, — ეს თუ პრეზიდენტი გახდა, თვითმფრინავიდან აღარ ჩამოვა, ჩვენ ველარც ვნახავთ-მეთქი. ხალხს უკვე უწნდება კითხვა, — მფრინავი ავირჩიეთ თუ პრეზიდენტი.

გლეხობასთან შეხვედრამ დამარწმუნა, რომ ისევ გვიჭერენ მხარს, უფრო მეტი ადამიანი გვიცხადებს თანადგომას, ვიდრე ნოემბრის არჩევნების წინა პერიოდში. ასეთია რეალობა.

მე, როგორც ქვეყნის გულშემატკივარს, მერჩივნა, ჩემი ვარაუდი ვარაუდადვე დარჩენილიყო. ცხოვრება გამოსწორებულიყო და ხალხს ეთქვა — სააკაშვილმა ფქვილი გაგვიიაფა, ხელფასები გაგვიზარდა და დაგვირიგა, ანაბრები მოგვცა და რატომ აკრიტიკებო. მერწმუნეთ, ეს მერჩივნა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი პარტიის პროგნოზები ახდა და ისეთი რამეებიც მოხდა, რისი პროგნოზირებაც ვერ წარმოგვედგინა.

— რას გულისხმობთ?

— მხედველობაში მაქვს ხალხის ქუჩაში ჩახოცვა, ფეხმძიძე ქალის დაღუპვა, ქუჩაში გავლის გამო ახალგაზრდისთვის სიცოცხლის მოსპობა. აღმაშფოთებელი იყო სამართალდამცველების თავის მართლებაც ქუთაისში მომხდარ კვლევლობაზე, — უდანაშაულო მსხვერპლი მანქანის გამტაცებლის ტყვიით იყო მოკლულიო. ან რას ჰგავს აჭარაში შექმნილი მართვადი დაძაბულობა? სააკაშვილმა იცის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს რომ ვერ დაიბრუნებს. ამიტომ უნდა, სადმე ცეცხლი დაანთოს და მერე თავი იმართოლოს, რეგიონი ამიფეთქდა და ტერიტორიები ამიტომ ვერ დავიბრუნეთ. ეს შევარდნაძის გზის გაგრძელებაა, ისიც ასე ჩიოდა, — „მხედრიონი“ მებრძვის, გვარდია ამიმხედრდა, ზვიადისტები მერჩრიან და აფხაზეთს ამიტომ ვერ ვიბრუნებო. სააკაშვილიც ცდილობს, ასეთი „მტერი“ გამონახოს, რათა მერე თავი იმართოლოს.

— ხშირად კამათობენ იმაზე, თუ რამდენად კანონიერად მოქმედებენ სამართალდამცველები, როდესაც ამა თუ იმ (შესაძლოა მართლაც დამნაშავე) პირს ატაცებენ ისესაკა გიგინერები, კანონს სახელით ხელისუფლება უკანონობას სჩადისო. როგორც ოპოზიტა, რას იტყოდით ამ საკითხზე?

— ბონდო შალიკიანის მაგალითზე ვიმსჯელოთ. თუ ვინმე დაიჯერებს იმასა, რომ ბონდო შალიკიანს სახლში ყველას დასახახად (სადაც ბავშვები ტრიალებენ), გარდერობის გვერდით ედო ბომბი და ავტომატი, ასეთ ადამიანს, ვფიქრობ, სამედიცინო დახმარება სჭირდება. ეჭვიც არ მეპარება, რომ ის ავტომატი „მიუგდეს“. როცა ბონდო შალიკიანის საკაშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა, მაშინ კი ბიჭი იყო და მერე გახდა დასაჭერი, როდესაც თავისი ფუნქცია შეასრულა?! კომუნისტებიც კი, როდესაც ადამიანს იჭერდნენ (რეპრესიების დროს), ღამე მოქმედებდნენ, მეზობლებიც ვერ იგებდნენ, რა მოხდა. ეტყობა, ცდილობდნენ ოჯახის წევრებისა და ბავშვების ფსიქიკა არ დაეზიანებინათ. დღეს ამასაც არ აქცევენ ყურადღებას. ვიღას ახსოვს ის, რომ ქართველმა კაცმა დამარცხებული მტერიც უნდა დაინდოს და მის ცოლ-შვილზე შური არ უნდა იძიოს, არ უნდა გამოაჭნოს ტელევიზიით საცვლების ამარა.

ან კიდევ, რა არის ეს ვითომ ფინანსური ამნისტია? ეს ამნისტია კი არ არის, ხელისუფლებას ის აინტერესებს, ვის რამდენი ფული აქვს, რომ მერე დაიჭიროს და ფული ბიუჯეტში კი არა, საკუთარ ჯიბეში შეიტანოს. ახლა ზოგიერთს ციხეში ევაჭრებიან, ამდენი მოგვეცი და გაგიშვებთო. ვიცი, რომ ერთ-ერთი 40 მილიონ დოლარამდე აიყვანეს უკვე.

— ლეიბორისტებს მეანაბრეების საკითხის წამოჭრა ოპონენტებმა წინასაარჩევნო პარადად ჩაგეთვალეს — ეს ისეთი პრობლემა, რომელიც ვერასოდეს მოგვარდება და ფუჭი დაპირებებით ხალხს ატყუებენო.

— საქართველოში ვერც ერთი მთავრობა ვერ იბოგინებს, თუ მეანაბრეების პრობლემა არ გადაიჭრა. შევარდნაძის წინააღმდეგ ხალხის გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი დაუბრუნებელი ანაბრებიც იყო. თუ ხალხს ანაბრებს დავუბრუნებთ, 14-ლარიან პენსიიაზე აღარ იქნება დამოკიდებული. ჩვენ ვითხოვთ სამართლიანი კურსით ანაბრების გაცემის დაწყებას. უპირველესად ანაბრები ყველაზე ასაკოვან ადამიანებს უნდა დაუბრუნდეთ, ისეთებს, აკანკალებული ხელით რომ უჭირავთ წიგნაკი და დასამარხ ფულს ითხოვენ. თუ საკანონმდებლო წესით დაინდება ანაბრების გაცემა და ბიუჯეტში განისაზღვრება ეს პარამეტრი, დიდი საქმე გაკეთდება. შეიძლება ეს პროცესი 20 წელსაც გაგრძელდეს, მაგრამ მთავარია დაინყოს.

„მოგვეცით საშუალება, ეს ხელისუფლება პარლამენტიდან ვაკონტროლოთ“

დღეს სასამართლო პროცესზე სააკაშვილის წარმომადგენელმა ამ სარჩელის განხილვის აკრძალვა მოითხოვა. გამიკვირდა, სააკაშვილი ისე გადაეფარა შევარდნაძის ბრძანებულებას მეანაბრეების დაყაჩაღების თაობაზე, როგორც შვილი საკუთარი მამის ქონებას. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სისტემა არ შეცვლილა, უბრალოდ, სკამი შეიცვალა სკამით.

— მომავალ პარლამენტში როგორი ძალებით აპირებთ მოსვლას?

— ჩვენი მხარდაჭერის პროცენტი 40-45-ს აღწევს. პარლამენტში უმრავლესობით ჩვენი მოსვლა ნიშნავს იმასა, რომ სააკაშვილი და ჟვანია იძულებული იქნებიან, თავიანთი დაპირებები შეასრულონ. პარლამენტში ჩვენი მცირე ძალით შესვლა კი ნიშნავს, რომ ეს პირები მთელ დროს „ბოინგებში“, ტყუილებსა და დაპირებებში გაატარებენ, რაც ქვეყანას გააპარტახებს.

ლეიბორისტები კვლავაც ვიბრძოლებთ ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ისე, რომ სოროსი არ გვინყვეტდეს, ვინ იქნება საქართველოში პრეზიდენტი, ვინ პრემიერ-მინისტრი და ვინ — მინისტრები. უნდა დადგეს ის დრო, როდესაც ქართველი ხალხი საკუთარი ნებით აირჩევს ხელისუფლებას. ჩვენ ვიბრძოლებთ, რომ განვითარდეს ეროვნული ეკონომიკა, ჩვენი პროდუქცია გამოვუშვათ და არ ვიყოთ სხვა ქვეყნის პროდუქციის გამსაღებელი ქვეყანა, ვიბრძოლებთ, რომ ხალხს ჰქონდეს უფასო განათება და ჯანდაცვა. შემოსავალი იმდენი იყოს, რომ 5-სულიანმა ოჯახმა 2 ტომარა ფქვილი მაინც იყიდოს. ძველი ვალები და სოციალური გადასახადები (ელექტროენერგიის, გაზის) ჩამოეწეროს მოსახლეობას. ვიბრძოლებთ, რომ როდესაც ეს ხელისუფლება დაპირებს აპირებს არ შეასრულებს, პარლამენტში იყოს ისეთი ძალა, რომელიც მისი შეცვლის საკითხს მშვიდობიანად გადაწყვეტს — აი, ეს არის ჩვენი დღევანდელი ამოცანა. სამწუხაროდ, სოროსის მილიონების დახმარებით სააკაშვილმა საპრეზიდენტო პერსპექტივა ფუჭასავით აგვაცალა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ყველაფრისგან დაზღვეულია. ხელისუფლებაში მოსვლა გაცილებით იოლია, ვიდრე მისი შენარჩუნება.

მინდა მთელ საქართველოს ვთხოვო, — ხომ არ გთხოვთ პრეზიდენტობას და პრემიერ-მინისტრობას, მოგვეცით საშუალება, ეს ხელისუფლება პარლამენტიდან ვაკონტროლოთ, რათა სულ არ დაგვაქციონ. ეს ერთი სტრუქტურა მაინც გვანდონ. წინასწარ მხოლოდ ერთ რამეს გპირდებთ, რა მანდატსაც მოგვცემთ, იმ მანდატით უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებთ ხალხის ინტერესების დასაცავად.

იზო რკაძე

„ხელისუფლებაში საკუთრების ხელახალი გადანაწილების სურვილი გაჩნდა“

„მოსახლეობის 80%-ს აუცილებლობად მიაჩნია პარლამენტში ოპოზიციის მისვლა“

„მემარჯვენე ოპოზიცია — მრეწველები და ახლები“, როგორც თავად ამბობენ, დროის შესაბამისად მოქმედებენ. ვეღარ ვხედავთ მათ მელოდიურ და სანახაობრივ მუსიკალურ კლიპებს. ალბათ იმიტომ, რომ ფიქრობენ, ემოციის ნაცვლად დღეს პრაგმატიზმს მეტი გასაკეთი ექნებათ.

„მემარჯვენე ოპოზიცია“ წინასაარჩევნოდ არც თავის ამბიციურ ჩანაფიქრს უმალავს საზოგადოებას — 40-მდე თანაგუნდელის გადეუტატება, მომავალ პარლამენტში განსხვავებული აზრის დაცვა და უმრავლესობის გაკონტროლება... „მრეწველებისა“ და „ახლების“ კოალიციის ერთ-ერთ ლიდერს, **დავით გამყრელიძეს** პირველი კითხვა საარჩევნო პროგრამის შესახებ დავუსვით... ალბათ მკითხველს ახსოვს, ბოლო ინტერვიუში ტრავმაგადატანილმა პოლიტიკოსმა რომ ინატრა — მომავალი შეხვედრისას მარცხენის ნაცვლად, მარჯვენა ხელი ჩამომერთმიოსო. ეს სურვილი დავით გამყრელიძეს უკვე აუსრულდა (ვნახოთ, რა იქნება მომავალში).

— ამჟამინდელი ჩვენი საარჩევნო კამპანია ბევრად უფრო მოკრძალებული იქნება, ვიდრე გასული საარჩევნო კამპანიები. ამის მიზეზი ის არის, რომ ამდენი ფინანსური საშუალებებიც აღარ არის. რამდენიმე თვის წინ „მრეწველებმა“ და „ახალმა მემარჯვენეებმაც“ სერიოზული საარჩევნო კამპანია გავწიეთ. შეუძლებელია პოლიტიკურმა ძალამ ასეთ მოკლე ვადაში დიდ სახსრებს მოუყაროს თავი. ამასთან, კლიმატური პირობების გამო ვერ შევძელით ყველა რეგიონში ჩასვლა. დროც არ იყო იმდენი, სრულყოფილი საარჩევნო კამპანია გვეწარმოებინა. ისიც გავითვალისწინეთ, რომ პოსტრევოლუციური ეიფორიაც არ არის დასრულებული და ვარჩიეთ მოკრძალებული ბლიცსაარჩევნო კამპანიის ჩატარება.

ამჟამად „მრეწველები“ და „ახლები“ ბლოკში ვართ გაერთიანებული და ერთგული ვრჩებით ჩვენ-ჩვენი პროგრამებისა.

— ანუ „ახლების“ 900-დღიანი პროგრამა ისევ ძალაშია?

— ჩვენ არ გადავუხვევთ პრობლემის გადაჭრის იმ გზებიდან, რომელიც ჩვენს პროგრამაში იყო. თუმცა უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ რეალობა — მაშინ, როდესაც პრეზიდენტი არჩეულია და მთავრობა დაკომპლექტებული, ბუნებრივია, პრეზიდენტის პარტია უმრავლესობით მოვა მომავალ პარლამენტში. ასეთ პირობებში ჩვენ ოპოზიციის ნიშის დასაკავებლად ვიბრძოლები (და ეს ჩანაფიქრი ბლოკის სახელწოდებაშიც გამოვიტანეთ). ამის გამო ვერ ვიკისრებთ ბევრ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას, რომლესაც უთუოდ შევასრულებდით, უმრავლესობით რომ მოვსულიყავით. თუმცა კვლევამ დაგვანახვა, რომ მოსახლეობის 80%-ს აუცილებლობად მიაჩნია პარლამენტში ოპოზიციური ძალების მოსვლა და ისიც გვახარებს, რომ ხალხს უნდა ჩვენ გვიჩილოს პარლამენტში.

მომავალ პარლამენტში ჩვენი ფრაქციის მოქმედების გეგმა, ფაქტობრივად, ერთ დევიზად გავაერთიანეთ — „თქვენი უფლებების, თქვენი საკუთრების, დემოკრატიის დასაცავად“. ყველა ის საკითხი და პრობლემა, რომლებიც წამოიჭრა ადამიანის უფლებების დაცვის, პიროვნული უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის, კანონის უზენაესობის დაცვის მხრივ, „მემარჯვენე ოპოზიციის“ ყურადღების საგანი იქნება. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ სასამართლო ხელისუფლებამ დაიბრუნოს დამოუკიდებლობა. დღეს ხომ ნებისმიერი მოქალაქეც ხვდება, რომ სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილებები ალმასრულებელი ხელისუფლების მიერ არის ნაკარნახევი.

დღეს კერძო საკუთრებასაც დაემუქრა საფრთხე. გამოითქვა აზრი პრივატიზაციის გადახედვის თაობაზე. ადგილობრივ ხელისუფლებასა და უმალლეს სახელისუფლებო ეშელონებში საკუთრების ხელახალი გადანაწილების სურვილი გაჩნდა. თითოეული მოქალაქე რაღაც საკუთრების მფლობელია, თუნდაც ბინის, რომელიც თავის დროზე უფასო პრივატიზაციას დაექვემდებარა. აღარაფერს ვამბობ მიწისა და სხვა ქონების მფლობელებზე. ამიტომ კერძო საკუთრების გადახედვა საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგ გალაშქრება და დემოკრატიული პრინციპების დარღვევაა. ჩვენთვის პრორიტეტი მეწარმეობის განვითარება, საკუთრების დაცვა და საბაზრო ეკონომიკის განვითარება იქნება.

რევოლუციის შემდგომ პირველ ეტაპზე თუკი შეშინებული ბიზნესმენის ფენიმენი ჩამოყალიბდა, ჩვენ ვიზრუნებთ იმაზე, რომ ქვეყანაში თამამი მეწარმეები გაჩნდნენ. ისინი კანონით იქნებიან დაცული და არ იქნებიან დამოკიდებული ამა თუ იმ ხელისუფლების ნება-სურვილსა და განწყობაზე.

ერი-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა დასაძლევია. მოსახლეობას უნდა შეეძლოს საკუთარი შრომით იმდენი შემოსავლის მიღება, რამდენიც მის კეთილდღეობას უზრუნველყოფს. ჩვენს პოლიტიკურ ძალაში არის ხალხი, რომელთაც იციან, როგორ შექმნან სამუშაო ადგილები, რა სჭირდება მეწარმეობის განვითარებას. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილს შრომის უფლებაც წართმეული აქვს. ვეცდებით ეს მტკივნეული პრობლემაც მოვაგვაროთ. იმედი გვაქვს, მოსახლეობა მოგვცემს იმდენ მანდატს, რომ პარლამენტში მათი უფლებები დავიცვათ, რომ მოვთხოვოთ ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირებების შესრულება, გავაკონტროლოთ ხელისუფლების ქმედებები და გავხდეთ საგადასახადო და სამეწარმეო სისტემის გაუმჯობესების ინიციატორები.

ფაქტობრივად, უფუნქციოდ დარჩა საკრებულოები. აღარავინ ლაპარაკობს მერების არჩევითობაზე. არადა, პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი უპირველესად ადგილობრივი ხელისუფლებისა და ქალაქების მერების (მათ შორის, თბილისის მერის) არჩევითობაზე დიდი ენთუზიაზმით ლაპარაკობდა — ასეთი ვითარება დემოკრატიის საფუძვლების უგულებელყოფაა.

ხელისუფლების არაერთი ნაბიჯი იწვევს საზოგადოების შეშფოთებას. ავიღოთ თუნდაც დაპატიმრებების ფორმა და სამსახურებიდან ხალხის მასობრივი დათხოვა. სახელმწიფო სტრუქტურებში იღებენ ისეთ ხალხს, რომელნიც პირადულად არიან მისაღები ხელმძღვანელებისათვის (ნათესაობის ან პარტიული კუთვნილების გათვალისწინებით) მაშინ, როდესაც შესაძლოა პროფესიონალები აღმოჩნდნენ ქუჩაში. ხელისუფლების ცვლის დროს იცვლებიან მხოლოდ უმაღლესი რანგის თანამდებობის პირები, მინისტრები და მათი მოადგილეები. ასეა მთელ მსოფლიოში. ჩვენთან კი რა ხდება? დამსაგებლებსაც ათავისუფლებენ სამსახურიდან.

მოუხედავად ამისა, ჩასაფრებულის პოზიცია არ გვიჭირავს და სულაც არ გაგვიხარდება ამ ხელისუფლების წარუმატებლობა, რადგან ეს თითოეული მოქალაქისა და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზე აისახება. ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ შეცდომა არ დავაშვებინოთ ხელისუფლებას და სწორი გადაწყვეტილება მივაღებინოთ.

— თქვენი ამყამინდელი პოზიცია მიუღებელია სხვა ოპოზიციონერებისთვის. რადგან თქვენ და „მრეწველებმა“ საარჩევნო კამპანიის დაწყება ოფიციალურად გამოაცხადეთ, „ედპ-ტრადიციონალისტებმა“ გვამცნეს — „მემარჯვენე ოპოზიცია“ ხელისუფლებამ ჩაიდგა.

— ჩანს, მათ მეტი სათქმელი არ დარჩენიათ ამომრჩეველთან, გარდა კონკურენტი ოპოზიციური ძალის გაკრიტიკების, ლანძღვისა და შეურაცხყოფისა. მათ განცხადებას არ ვუპასუხებენ. „ედა-ტრადიციონალისტების“ სერიოზული პრობლემა აქვთ — ძალზე სუსტები არიან და გული მწყდება, რომ გაძლიერება ვერ მოახერხეს. მათ რეიტინგი და პარტიული სტრუქტურების მდგომარეობა არ აძლევთ საშუალებას, რომ პარლამენტში მოხვდნენ, რაც ნამდვილად არ მიხარია.

ჩვენ კონსტრუქციული ოპოზიცია ვართ და ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას გაკურიგდებით ან თვალს დავხუჭავთ რამეზე. არ მინდა ვინმეს ცილი დავწამო, მაგრამ ერთს ვიტყვი — თვითონ იციან, ვის რა ურთიერთობა და ვალდებულებები აქვს ხელისუფლების წინაშე.

— ორი კვირის წინ პრეზიდენტმა მეწარმეებს წარუდგინა კანონშეოეტი დეკლარაციის შესახებ. რა მოგეწონათ და რა არა ამ დოკუმენტში?

— პრეზიდენტის ეს ნაბიჯი გამოძახილი იყო ჩემი და გოგი თოფაძის მიმართვისა. მან განაცხადა, არ მინდა ქვეყანაში შეშინებული ბიზნესმენები იყვნენო. ის მოისმენდ შეგვპირდა თანაბარკონკურენტუნარიან გარემოსა და გადასახადების ლიბერალიზაციის. მან ისიც თქვა, არც პრეზიდენტს, არც პრემიერ-მინისტრს და არც გენერალურ პროკურორს არ აქვთ უფლება, თავი კანონზე მაღლა დააყენონო.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

„რაკი ამ ყულფში გავყავი თავი, სხვა არჩევანი არ მაქვს“

„თუ თქვენ ფლობთ ინფორმაციას პოლიციელის მიერ ადამიანის უფლების დარღვევის თუნდაც ერთი ფაქტის შესახებ“(?!)

„შუბლის ძარღვი რომ გამეწყვიტა, იმდენ ქონებას დავაგროვებდი, ჩემს შთამომავლობას რომ ეყოფოდა...“

თავდაპირველად, ტელევიზიით ამ კადრების ჩვენება იმიგომ განვიზრახეთ, რათა საზოგადოებას ენახა, რომ ხელისუფლება მოქმედებს და გულხელდაკრეფილი არ არის. თუმცა, მოგეხსენებათ, მედალს ორი მხარე აქვს და გასაგებია საზოგადოების შეშფოთებაც. იმ ადამიანებმა, რომელთა გულწრფელობაში ეჭვი არ გვეპარებოდა, გვითხრეს, – არ ღირს ამის ტელეეკრანით დემონსტრირებაო და ამიგომაც გადავწყვიტეთ, აღარ ვაჩვენოთ საზოგადოებას დაპატიმრების სცენები.

შს მინისტრის ამერიკულმა განათლებამ ნაყოფი გამოიღო — გიორგი ბარამიძე ქართული პოლიციის ამერიკულ ყაიდაზე გადაკეთებას აპირებს და ჩვენს ჯერ კიდევ უხელფასო და გაუწვრთნელ პოლიციელებს ლამის უცხოური ბოევიკების გმირებივით სთხოვს ეაკეაცობის, მოხერხებულობისა და სიმარჯვის გამოჩენას. ჰოდა, ამის გამო ჩვენმა პოლიციელებმა და დამნაშავეებმა ქუჩაში „პერსტრელ ეკუბს“ მოუხშირეს. დამნაშავე და ბოროტმოქმედი როდის იყო, უდანაშაულოთა უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. ჩვენს სამართალდამცველებს კი დამნაშავეების დევნაში ჯერ ხელი და თვალი არ აქვთ განაფული. ამიტომ შეცდომებიც მოსდით, შედეგად კი მოსახლეობა ზარალდება. იმასაც ამბობენ, ამ ე. წ. შეცდომებმა ადვოკატებს საქმეები მოუმრავლაო. ამის მაგალითად ტყიბულის მაყორიტარი დეპუტატის, ბონდო შალიკიანის დაპატიმრებაც იკმარებდა. ამ ფაქტს თავად ბრალდებული მე-5 იზოლატორში აპორტეტებს, მისი ოჯახის წევრები კანცელარიასთან, ადვოკატები კი ერთი სასამართლოდან მეორეში. ის, რომ მაყორიტარად არჩეული, მაგრამ პარლამენტის მიერ დეპუტატად ჯერ კიდევ აუღიარებელი, არცთუ უბინჯო წარსულის შალიკიანი მხოლოდ იარაღის შენახვის გამო და მხოლოდ ცესკოს გადაწყვეტილებით (იმუნიტეტის მოხსნის შესახებ) დაპატიმრეს, აზრთა სხვადასხვაობას თვით იურისტებს შორისაც იწვევს.

პოლიციელთა „ხელოვნების“ ყველაზე მკაფიო გამოსატყვანა კი ბასილ მკალავიშვილის აყვანის ოპერაცია გახლდათ, სპეცრაზმელების, ხელეტებისა და ცრემლსადენი გაზის თანხლებით. შს სამინისტროს ქუთაისში მომხდარი „პერესტრელკის“ გამოც მოხდა მწარე-მწარე სიტყვები. დღეს უკვე ხშირად გაიგონებთ, პოლიციელების შემხედვარეებმა ლამის ყველაზე საშიშ დამნაშავეებსაც კი თანაგუგრძნოთო. ცხადია, ასეთი რეზონანსული მოვლენების ეპიცენტრში მყოფი შს მინისტრის კომენტარი ზემოჩამოთვლილ ყველა საკითხზე საინტერესო იქნებოდა. სწორედ ამ მიზნით ვესტფოლი ბატონ გიორგი ბარამიძეს და, ფაქტობრივად, მასთან ერთად გავეცანით გასულ კვირას ჩუღურეთში მომხდარი კიდევ ერთი ტრაგიკული ფაქტის ირგვლივ ოპერატიულ ინფორმაციას. ამ და სხვა საკითხებზე გთავაზობთ ინტერვიუს შს მინისტრთან, ბატონ **ბიორგი ბარამიძესთან:**

— მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, ქვეყანაში რთული კრიმინოგენული ვითარებაა. ხშირია პოლიციელებზე თავდასხმისა და ძალადობის ფაქტები. კრიმინალური ფონის გამწვავების სათავე კრიმინალური ავტორიტეტები და ქურდები არიან. ამიტომაც გამოვუცხადეთ ქურდულ სამყაროს, მის წარმომადგენლებს და, საზოგადოდ, ქურდულ მენტალიტეტს დაუნდობელი ბრძოლა. ამან გააღიზიანა ეს ხალხი. ქურდებს აქამდე მოგვარებული ჰქონდათ საქმე როგორც დაბალ და საშუალო, ისე მაღალი რანგის პოლიციელებთან, მათ ხელს არავინ აკარებდა და ისინიც პრობლემებს არ უქმნიდნენ თავიანთ მფარველებს. ერთი სიტყვით, ხელი ხელს ჰბანდა. რა თქმა უნდა, საბალალო მდგომარეობა ერთ-ორ თვეში და არც 2 წელიწადში არ გამოსწორდება, პოზიტიურ შედეგს უფრო გვიან ველოდებით. ჩვენ მივალწევთ იმას, რომ თავისუფალ მოქალაქეს პოლიციელის, მებაღის, საგადასახადოს ინსპექტორის, უშიშროებისა და პროკურატურის კი არა, მხოლოდ და მხოლოდ კანონის დარღვევის ეშინოდეს.

— იმ ფაქტზე რას იტყვით, რომელსაც 25 წლის ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა

— ყველაფერი დადგინდება. მე ვიცი, რომ ამ ახალგაზრდამ პოლიციელების მიმართულებით ცეცხლი გახსნა, დაზიანდა მათი მანქანა და ამის შემდეგ მოხდა საპასუხო გასროლა, რაც სამწუხაროდ, მსხვერპლით დასრულდა. მიმდინარეობს გამოძიება და თუ დადგინდა, რომ პოლიციელებმა თავიანთ უფლებებს გადაამეტეს, საკადრისად დაისჯებიან, მეტს ვერაფერს მოგახსენებთ...

— ახალ მინისტრებზე ხშირად გაისმის საყვედური, საქმის ნაცვლად საკადრო ცვლილებებით არიან დაკავებულნი.

— გასულ კვირას შს სამინისტროში საკადრო ცვლილებები მართლაც მოხდა. ვედილობთ, სამინისტროში მხოლოდ სანდო და პატიოსანი კი არა, პროფესიონალი კადრი მოვიდეს.

სამინისტროში სერიოზული რეფორმა მიმდინარეობს. ადრე 10 მკვლელობიდან 5-ს, 100 ქურდობიდან კი მხოლოდ 10%-ს აფიქსირებდნენ. ნარკომანიის შემთხვევები კი სრულიად არ აღირიცხებოდა. მახსოვს, შს სამინისტროს თავი მოჰქონდა, დანაშაულების 80% გაფხსენიათო. ასეთი მაჩვენებელი ამერიკისა და საფრანგეთის პოლიციასაც არ აქვს, ეს არარეალური და აბსურდული ციფრია. დღეს ჩვენ არავისთან არ გვჭირდება პატაკუბის ჩაბარება.

— ანუ პოლიციას ეწ. გეგმა აღარ აქვს?

— გეგმები აღარ არსებობს. რაკი გარდამავალ ეტაპზე ვართ (თითქოს სასწორის პინაზე ვდგავართ), ამის გამო დაძაბულობა ჰაერშიც იგრძნობა. თუმცა ვქლიერდებით და იმის საშიშროებაც მცირდება, რომ ვითარების გაკონტროლების სადაკები ხელიდან გაგვეცქვს.

— ადრე შს სამინისტროში განსაზღვრული იყო, რომელ თანამდებობებზე დანიშვნისთვის რამდენი უნდა გადაგეხადა კაცს. რამდენადაც ვიცი, ახლა ფულის აღება აკრძალულია და საინტერესოა, რით საშრდოობენ შს სამინისტროს მაღალჩინოსნები, განყოფილებებისა და პოლიციის ხელმძღვანელნი?

— ადრე მართლაც არსებობდა ნიხრები, სამწუხაროდ, ვერც ახლა დავდებ თავს — ფულს არც ერთი პოლიციისა და განყოფილების უფროსი არ იღებს-მეთქი. ჩემი კოლეგები აღბათ არ გამინაწყენდებიან თუ ვიტყვი, რომ ეს ყველაზე კორუმპირებული სისტემა იყო და, ჯერჯერობით, კვლავაც ასეთად რჩება. ვითარების გამოდა ფეი აზრამა, რომ თუ უშიშროებასთან, პროკურატურასთან ან შს სამინისტროსთან თანამშრომლობ, ე. ი. ცუდი ადამიანი ხარ. ამის შედეგია პარადოქსული ვითარება — საზოგადოება ებრძვის მათ, რომლებიც მოწოდებულნი არიან მის დასაცავად და რომლებიც მოსახლეობის გადასახადების ხარჯზე არსებობენ. თუ სამართალდამცველებთან თანამშრომლობა ცუდკაცობად ითვლება, მაშინ გავაუქმოთ ისინი.

სასწორებლად საკმარისი არ არის იმით დაწყება, რომ მინისტრი და მისი მოადგილეები არ იღებენ ქრთამს. ჩვენს სტრუქტურაში 45 ათასი კაცი მუშაობს და ძნელია ყველას გაკონტროლება. ჩვენ ზედა ეშელონებიდან დავიწყეთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, თანდათან ქვედა რგოლებამდეც ჩავალთ და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ანტისეპტიკს გეომეტრიული პროგრესიით გავავრცელებთ. როდესაც კორუფციის სანინააღმდეგო ვაქცინა სამინისტროს მთელ ორგანიზმს მისწვდება, მაშინ დავძლევთ ამ სენს.

გაინტერესებთ, თუ რით უნდა იარსებონ ჩვენმა მუშაკებმა — რით და ხელფასით. უკვე გამოიძახა თანხები მათთვის დიდი ხელფასების დასანიშნად. მინისტრის მოადგილეს არსებული ხელფასზე 700 დოლარი დაემატებათ. ასეთი ხელფასით პატიოსანმა ადამიანმა, თუნდაც თანამდებობის პირმა, უნდა შეძლოს ცხოვრება. რა თქმა უნდა, ცოტაა სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ ხელფასის ზრდის პროცენტია მაღალი. ისე, ხელფასი უნამუსო ადამიანს არასოდეს „ეყოფა“. მით უმეტეს მაშინ, თუ მას არავინ აკონტროლებს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მას სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურები და ინსპექციები ადევნებენ თვალს. მეც ბევრი ვინმე მაკონტროლებს — პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პროკურატურა, პრესა, პარლამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები. მომავალში კი გენერალური ინსპექცია გამაკონტროლებს, ეწ. „ასობი“, რომელიც დღეს ჩვენს დაქვემდებარებაშია. გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელს მინისტრი აღარ დანიშნავს. მისი უფლებები გაიზრდება და ფინანსურადაც დამოუკიდებლად იარსებებს. მასზე ზეგადაენინს ბერკეტი მინისტრს აღარ ექნება. ჩვენ თვითონვე ვართ დაინტერესებულნი, რომ პოლიციელები უკონტროლოდ არ გრძნობდნენ თავს. ამიტომაც გავხსენით ე. წ. ცხელი ხაზი, რომელითაც ყოველდღიურად სარგებლობენ მოქალაქეები. დარწმუნებული ვარ, რაც მეტ ნდობას მოვიპოვებთ, მით მეტ ინფორმაციას მივიღებთ მოქალაქეებისგან. პოლიციელის მიმართ დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. ის ხომ მოქალაქეების უსაფრთხოებასა და ინტერესს იცავს, ამიტომაც მას პატივს უნდა სცემდნენ.

— როდის მოვა ეგ დრო ჩვენთან?

— ზოგიერთ ქვეყანაში პოლიციელი უყვართ კიდეც იმიტომ, რომ იგი ქრთამს არ იღებს, არ აწიოკებს მოსახლეობას — პირიქით, ხალხს უფლებების დამცველია, მას ემსახურება. აი, ასეთი პოლიცია გვინდა რომ იყოს საქართველოშიც და ამას მივალწევთ.

ამას წინათ, დაკავებულებისგან ინფორმაციის მიღების გაადვილების მიზნით, პარლამენტმი შეიტანეს კანონპროექტი. მისი მიხედვით, თუ ეჭვმეტანილი უფრო დიდი დანაშაულის შესახებ მიაწვდიდა ინფორმაციას სამართალდამცველებს, ის მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდებოდა სასჯელისგან. თვით პარლამენტშიც და საზოგადოებაშიც გავრცელდა აზრი, რომ ეს იყო კანონპროექტი „ჩაშვების“ შესახებ. რას ნიშნავს ჩაშვება? ეს ხომ დანაშაულის ფაქტზე სამართალდამცველებისთვის ინფორმაციის მიწოდებაა, მაგრამ ამას სახელად შეურაცხმყოფელი სიტყვა „ჩაშვება“ უწოდეს. ანუ გეუბნებიან, თუ სამართალდამცველებს ინფორმაცია მიაწოდე, არაკაცურად, არაკეთილსინდისიერად მოიქეცი. რატომღაც ჩვენს საზოგადოებაში მყარად მოიკიდა ფესვი ამრმა, რომ თუ უშიშროებასთან, პროკურატურასთან ან შს სამინისტროსთან თანამშრომლობ, ე. ი. ცუდი ადამიანი ხარ. ამის შედეგია პარადოქსული ვითარება — საზოგადოება ებრძვის მათ, რომლებიც მოწოდებულნი არიან მის დასაცავად და რომლებიც მოსახლეობის გადასახადების ხარჯზე არსებობენ. თუ სამართალდამცველებთან თანამშრომლობა ცუდკაცობად ითვლება, მაშინ გავაუქმოთ ისინი.

— მაგრამ თანამშრომლობაც არის და თანამშრომლობაც, ზოგიერთმა შეიძლება მისთვის არასასურველი პირზე მიაწოდოს ყალბი ინფორმაცია სამართალდამცველებს.

— ასეთ შემთხვევაში „ჩაშვებასთან“ კი არა, ცილისწამებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ, თუ კაცმა იცის, რომ ვინმემ ვიღაც მოკალა, ზიანი მიაყენა ან სახელმწიფო დაზარალა, არ უნდა თქვას? თუ მავანი სახელმწიფოს რაღაცას წაგლეჯს, ღმერთმა შეარგოსო, ასეთია საზოგადოებრივი აზრი. არ ვიცი, პენსიის ქურდი, ჯანდაცვის პროგრამისთვის გამოყოფილი ფულის მიმთვისებელი როგორ არ არის დანიშნული?

— ქუთაისში პოლიციელებსა და ავტომანქანის გამტაცებლებს შორის მოხდა ინციდენტზე საზოგადოებაში სხვადასხვაგვარი განწყობაა. თქვენ როგორ აფასებთ ამ ფაქტს?

— რატომღაც ყოველივე ეს სპეციოპერაციად მოინათლა. სამწუხაროდ, ამ ტრაგედიას ერთი უდანაშაულო მსხვერპლიც დაემატა. ქუჩაში სროლების გამო ფეხმძიმე ქალმა სტრესი მიიღო, ნაადრევი მშობიარობა დაეწყო და გარდაიცვალა. ერთმა ეჭვმენა კოლეგამ მკითხა — მომხდარზე პასუხისმგებლობა ვის აკისრიაო? როგორ შეიძლება ასეთი კითხვის დასმა, ეს ხომ წინასწარდაგეგმილი ოპერაცია არ ყოფილა? თერჯოლის რაიონის პოლიციელებმა შენიშნეს საეჭვო მანქანები, დაედევნენ და ბოლოდროს მიჰყვნენ გამტაცებლებს, რომლებიც ქუთაისის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ უბანში შეეიდნენ. როდესაც დამნაშავეებს ეგონათ, სამშვიდობოს ვართო, მაშინ მიადგნენ პოლიციელები. მანქანიდან გადმოსვლისას მთა ყუმბარებითია და ავტომატებით შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა გაუხსნეს ცეცხლი. საპასუხოდ ჩვენებმაც ესროლეს, აბა, რა ექნათ, კუდამოძუებულნი გამოქცეულიყვნენ?

— ანუ თქვენ ამ ინციდენტში არანაირად არ ადანაშაულებთ პოლიციელებს?

— არა, ისინი სწორად მოქმედებდნენ. ამას წინათ, ტელევიზიით ფილმი აჩვენეს ალ პაჩინოსა და რობერტ დე ნიროს მონაწილეობით. ერთი დამნაშავეა, მეორე — პოლიციელი. ფილმში შუა ქალაქში, სან-ფრანცისკოში გამართული ომია ნაჩვენები და იქ მინიშნებაც არ არის, — რაკი ქუჩაში ქალები და ბავშვები დადიან, პოლიციელმა კი ისროლა, ის დამნაშავეაო. როდესაც პოლიციელმა დამნაშავეებს ცეცხლი გაუხსნეს, მაშინაც კი იმას ფიქრობდნენ, დამნაშავეს არ ავაცილოთო, ბოროტმქმედებმა კი ავტომატს ჯერი მიუშვეს და ვის მოხვდებოდა, არ დაეეგდნენ. ამ უთანასწორო ბრძოლაში პოლიციელები დაიღუპნენ იმიტომ, რომ არც ჯავშანჟილეტები ეცვათ და არც ავტომატური იარაღი ჰქონდათ, მაკაროვის სისტემის პისტოლეტებით ისროდნენ. ვინც ამ ინციდენტში პოლიციელების სიმპრთლეს ეჭქვეშე აყენებს, აღბათ მიაჩნია, რომ დამნაშავის პირველსავე გასროლაზე პოლიციელი უნდა გაიქცეს.

— ღმერთმა დაგვიფაროს, უცხოური კინოფილმების სიუჟეტები ჩვენს ქუჩებში განვითარდეს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ზემოხსენებული ინციდენტის დროს სამართალდამცველებს სულ მარტივი რამ გაეკეთებინათ, გზაზე ეწ. „ზღარბი“ დადგოთ, ამ გზით ხომ გაქცევის საშუალებას მოუსპობდნენ დამნაშავეებს?

— გეთანხმებით, მაგრამ ამის გაკეთების საშუალება არ იყო, პოლიციელებს გადამცემები არ ჰქონდათ.

— როგორ, პოლიციელებს რაცია არ ჰქონდათ?

— დიახ, არ ჰქონდათ, იცით, ჩვენთან არის რაიონული პოლიციის განყოფილებები, სადაც მანქანაც კი არ აქვთ. როგორ უნდა იმუშაოს პოლიციამ ასეთ ვითარებაში?

პოლიციელებს რომ არ ეშინოდათ, ყველას ჩახოცავდნენ. მათ უთუოდ უნდა ეპასუხათ სროლაზე, მომავალშიც უპასუხებენ და ისიც ცხადია, ვის კისერზეა არის გარდაცვლილთა ცოდვა. უდანაშაულო მოქალაქე, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ავტომატის ტყვეთი არის მოკლული და არა პოლიციელების პისტოლეტით. პასუხისმგებლობა მთლიანად დამნაშავეებს ეკისრება. პოლიციელებზე, რომელთაც თავი გასნირეს, უზნეობაა იმის თქმა, უდანაშაულო ადამიანთა სისხლი დაღვარეს. ასეთი მსჯელობა ჩვენი საზოგადოების კრიმინალური მენტალიტეტის გამოხატულებაა, მეტი არაფერი. ასეთი მენტალიტეტი ქუჩაშიც არის და, სამწუხაროდ, პარლამენტშიც. გახსოვთ, აღბათ შეხლა-შემოხლა რომ მომივიდა ფრიდონ ინჯიიასთვის იმუნიტეტის მოხსნაზე პარლამენტში მსჯელობისას. მაშინ პროკურატურა ანტიკორუფციული კომისიის მასალებზე დაყრდნობით ითხოვდა, უფლება მოგვეცით კორუფციაში ეჭვმიტანილი ფრიდონ ინჯია დაკავითხოთო; ანუ ითხოვდნენ მისთვის იმუნიტეტის ნაწილობრივ მოხსნას (დაპატიმრების უფლებას არა). პარლამენტმა კი ინჯიას იმუნიტეტი არ მოუხსნა. მაშინ ვუთხარი კოლეგებს, — თქვენ კრიმინალური მენტალიტეტის პარლამენტარები ხართ-მეთქი. ერთი რამ გადაჭრით შემიძლია გითხრათ, დამნაშავეებს არ შევეუბუბით — თუ პისტოლეტს გვესვრინან, ავტომატს ვესვრით, ავტომატით გვესვრინან, ჩვენ ზარბაზანს დავუშვებთ, — გვაქვს ამის უფლება. თუმცა, ჩვენ რიგების გაწმენდაზეც ვფიქრობთ. პოლიციელს, რომელმაც არაკეთილსინდისიერი ქმედება ჩაიდინა და თავის უფლებებს გადაადგარბა, ხელს არ დავაფარებთ. ჩვენი უპირველესი საზრუნავი ისაა, რომ ჩვენი სტრუქტურა კრიმინალური მენტალიტეტის მქონე, ნარკომანი და დანაშაულში ჩართული პოლიციელებისგან განიწმიდოს. ასეთები ჩვეულებრივ ბოროტმოქმედებზე ათმაგად საშიში არიან. ფარული გარიგებები არავისთან მაქვს. მე და ჩემი მოადგილეები არც ქრთამს ვიღებთ. როდესაც ვუბჯავი დანაშაულში მხილებულ თანამშრომელს — უნდა წახვიდე-მეთქი, ის ვერ შემომიბრუნებს სიტყვას, — როგორ მიშვებ, ორი თვის წინ 50 ათასი არ გადაგიხადეო?! რატომ უნდა დავაფარო დამნაშავეს ხელი, ვინმეს ვალი მაქვს თუ რა? ჩემთვის მთავარია, სამინისტროში პატიოსანი და პროფესიონალი ხალხი მყავდეს და ვინც კეთილსინდისიერად იმუშავებს, ის ნორმალურ ხელფასსაც მიიღებს. მთა დღესვე ვერ ვპირდები 1000-1000 დოლარს, მაგრამ პირველ ეტაპზე უთუოდ გაიზრდება საგზაო პოლიციელების, გამომძიებლებისა და ოპერმუშაკების ხელფასები იმდენად, რომ პატიოსნად იცხოვრონ, შემდეგ კი — განეული რისკის, პროფესიონალიზმის, გაკეთებული სამუშაოს შესაბამისად.

ვიცი, რომ პოლიციის სტრუქტურა ყველაზე კორუმპირებულია, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ჩვენი თანამშრომლების 80% პატრიოტია, სამშობლო გულწრფელად უყვართ და მზადაა, რომ თავიანთი ქვეყნისთვის თავს დადებენ. ჩემს თანამშრომლებს ვუუბნები, წარმოიდგინეთ, რომ ომში ხართ და ეს 1 წელი სანგარში სხედხართ. სანგარში ვერ აიღებთ ქრთამს და თუ პატრიოტები ხართ, სანგრიდანაც არ უნდა გამოექცეთ მტერს-მეთქი. არც კრიმინალის ტყვიას არ უნდა შეუშინდე და არც ოჯახურ უსიამოვნებას იმის გამო, რომ 8 საათის ნაცვლად 16-საათიანი სამუშაო დღე გაქვს. ბევრმა ჩემი ნათქვამი კარგად გაიგო. მაგალითად, საგზაო პოლიციელები (ალბათ იმის გამოც, რომ კონტროლი გამკაცრდა) სხვანაირად მოქმედებენ. მანქანების ნაკლებად აჩერებენ, იკლო ქრთამის გამოძალვამაც.

— სამაგიეროდ, თუ მოითხოვეს ქრთამი, მეტს ითხოვენ.

— გაიძვერუნ?.. ეტყობა, ფიქრობენ, რისკი მოგვემატაო.

— საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ ამა თუ იმ პირს დაპატიმრების პროცესს ტელევიზიით დაშნების მიზნით გეაჩვენებენ. ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რა საჭიროა სპეციოპერაციაზე ან ვილაცის დაპატიმრებისას, ტელევიზიის წაყვანა, და შემდეგ, შიშველი, შეშინებული ხალხის ეკრანზე ჩვენება... ხომ შეიძლება ეს ყველაფერი კანონიერად გაკეთდეს და საზოგადოებამ მხოლოდ ინფორმაცია მიიღოს ამა თუ იმ დანშაულის დაპატიმრების შესახებ?

— სავსებით გეთანხმებით და ვიზიარებ თქვენს შეშფოთებას. თავდაპირველად, ტელევიზიით ამ კადრების ჩვენება იმიტომ განვიზრახეთ, რათა საზოგადოებას ენახა, რომ ხელისუფლება მოქმედებს და გულხელდაკრეფილი არ არის. თუმცა, მოგეხსენებათ, მედალს ორი მხარე აქვს და გასაგებია საზოგადოების შეშფოთებაც. იმ ადამიანებმა, რომელთა გულწრფელობაში ეჭვი არ გვეპარებოდა, გვითხრეს, — არ ღირს ამის ტელეეკრანით დემონსტრირებაო და ამიტომაც გადავწყვიტეთ, აღარ ვაჩვენოთ საზოგადოებას დაპატიმრების სცენები.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

„სჯობს გაკამართლოთ ათი დამნაშაკე, კიდრე დაკსაჯოთ ერთი უდანაშაულო“ პონტანუსი

„თუ ბათუმში ტყვია გავარდა, ეს საქართველოს დაშლის დასაწყისი იქნება“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ეს მოსაზრება სპეცსამსახურების ექსპერტ-ანალიტიკოსს დავით გედენიძეს (გვარი შეცვლილია) სავსებით სერიოზულად მიაჩნია: — თუკი ბოლოდროინდელ მოვლენებს გადავხედავთ, აჭარაში დენთის სუნი მართლაც ტრიალებს. რევოლუციის დღეებში, მას შემდეგ, რაც „აღორძინების“ წევრები თბილისიდან გაყარეს, აჭარა თითქოს ჩრდილში მოექცა. იქ ერთიმეორის მიყოლებით ჩადიან ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია, ჩადის პრეზიდენტიც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აჭარისა და ცენტრის ურთიერთობა ასე თუ ისე გამოსწორდა, ჟურნალისტები ბათუმში შეუზღუდავად მუშაობენ. მეტიც, ვრცელდება ინფორმაცია, რომ აბაშიძე უკანასკნელი 12 წლის მანძილზე პირველად ჩამოდის თბილისში... მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი იცვლება. ბათუმში ისევ იწყება ჟურნალისტთა ცემა-ტყეპა, ისევ უკმეხად იწყებს აბაშიძე ლაპარაკს.

— რატომ შეიცვალა ასე მკვეთრად სიტუაცია?

— მხოლოდ აბაშიძეს რომ არ დავაბრალოთ ყველაფერი, უნდა ვაღიაროთ, რომ შეცდომები თბილისმაც დაუშვა. ალბათ იყო პერიოდი, როცა აბაშიძემ გულწრფელად დაიჯერა, რომ ცენტრთან მორიგებასა და თანამშრომლობას შეძლებდა, მაგრამ იმავდროულად იწყება დავა, თუ ვინ უნდა დაიკავოს მისი პოსტი. აბაშიძე ჭკვიანი კაცია. მიხვდა, განწირული იყო. ამიტომ სავარძლის შესანარჩუნებლად ახალი გარანტიების მიღება მოინდომა.

— სად მიიღო გარანტიები?

— მოსკოვში. ამას მისი გაუთავებელი ვოიაჟებიც მეტყველებს რუსეთის დედაქალაქში. მართალია, საკაშვილი პუტინმა კარგად მიიღო, მაგრამ აბაშიძეს მოსკოვში, სხვადასხვა პოლიტიკურ წრეში დიდი გავლენა აქვს. დიდი ხანია მეგობრობს მოსკოვის მერთან ლუჟკოვთან. ამ მეგობრობითა და ფულის ხარჯვით მიიღო მან ეტყობა იმის გარანტია, რომ აჭარას არავინ „წაართმევდა“.

— გინდათ თქვათ, რომ მოსკოვში აბაშიძემ ძალაუფლება იყიდა?

— ზუსტად ასეა, ჩვენი ინფორმაციით, აბაშიძემ სერიოზულად გადაიხადა(?!).

— მაგრამ საქართველოში პოლიტიკურ ამინდს მხოლოდ მოსკოვი არ ქმნის.

— ეშაშობ, რომ მოსკოვი დანარჩენი მსოფლიოს ნებას გამოხატავს. კაცი, რომელიც აბაშიძის მდგომარეობაშია და რიხით ლაპარაკობს, ან ბლეფობს, ანდა მართლაც უმაგრებს ზურგს ძლიერი მფარველი. რომელი ვარაუდია სწორი, ამ დღეებში გამოჩნდება. სამწუხაროდ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ბლეფი არ არის. ამას ქობულეთში ფინანსთა მინისტრის — ზურაბ ნოღაიდელის ერთსაათიანი დაკავებაც ცხადყოფს. ნოღაიდელი მთავრობის წევრია, იგი არც ჟურნალისტია და არც „კმრელი“. ამდენად, მისი დაკავების ფაქტი თავხედობის ზღვარს სცილდება. ამას დაუმატეთ სომხეთის ქალაქ გიუმრიდან საჯარისო ნანილების შემოყვანის ფაქტი. როგორც ჩანს, აჭარა საფუძვლიანად ემზადება რაღაცისთვის. ამიტომ მიმაჩნია, რომ „ჩვენი აჭარის“ ასეთ სიტუაციაში იქ ჩასვლა არ იქნება გამართლებული. ყველაფერს ვერა, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ არსებობს საქართველოს დაშლის გეგმა (ეს ეხება არა მარტო აჭარას), თუ ბათუმში ტყვია გავარდა, ეს დაშლის დასაწყისი იქნება. აბაშიძე არ არის ის კაცი, საკუთარ ძალაუფლებას ქვეყნის მთლიანობა ამჯობინოს.

— რას ითვლისწინებს საქართველოს დაშლის გეგმა?

— გეგმა 1991 წლის ბოლოს შეიქმნა კრემლში. მსოფლიო პოლიტიკურ წრეებში ამის თაობაზე ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა. შეიძლება თქვენთვის მოულოდნელი იყოს, რასაც ახლა გეტყვით, მაგრამ ჩვენი „მეგობარი“ ქვეყნები სერიოზულად მოეკიდნენ ამ გეგმას და მას რუსეთთან ურთიერთობის საპირწონედ განიხილავდნენ. ამ გეგმის პრაქტიკული განხორციელება-არგანხორციელება დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებდა მეზობლებთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლება, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ მოახერხა ბოლო ათი წლის მანძილზე ქვეყანაში სიტუაციის გაკონტროლება. ამიტომ გახდა დღეს ეს გეგმა აქტუალური და აბაშიძეც მას ებღაუჭება. რა, გგონიათ, ჟირინოვსკი რომ გამოდიოდა ტელევიზიით და ქართველებს გურიად, იმერეთად, კახეთად და ასე შემდეგ დაშლას რომ გვიქადდა, მხოლოდ თავის აზრს ახმაურებდა? ამიტომაა საჭირო, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ მაქსიმალურად პრაგმატული გათვლები გააკეთოს, თორემ მარტო აჭარის დაკარგვაზე კი არ იქნება ლაპარაკი.

— აჭარას აფხაზეთის ვარიანტს ადარებენ, მაგრამ არსებობს ძირეული განსხვავება — აჭარლები ქართველები არიან. დათანხმდება მოსახლეობა აბაშიძეს ამგვარ ავანტურაზე?

— მოსახლეობაზე ამ შემთხვევაში ბევრი არაფერი იქნება დამოკიდებული. საკუთარი მმართველობის პერიოდში აჭარაში აბაშიძემ მთელი ინფრასტრუქტურა შექმნა. ვგულისხმობ იმ ხალხს, რომლებიც აბაშიძემ დასაქმა და ცხოვრების ნორმალური პირობები შეუქმნა. ამ ხალხს აჭარაში გაბატონებული მდგომარეობა უკავია. მათ კარგად იციან, — თუ წავა აბაშიძე, არც მათ დაადგებათ კარი დღე. ამიტომ კიბილებით ეცდებიან აბაშიძის რეჟიმის შენარჩუნებას.

P.S. „ჩვენი აჭარის“ წარმომადგენლები ბათუმში 15 მარტს ჩავლენ. იმედია, სკეპტიკური პროგნოზი არ გამართლდება და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ცენტრი და რეგიონი ომისა და შეხლა-შემოხლის გარეშე მოახერხებს ურთიერთობის გარკვევას.

ჩვენი მრავალგზის ამაო მცდელობის შემდეგ ერთხელ კიდევ ვცადეთ ასლან აბაშიძესა და ჯემალ გოგატიძესთან დაკავშირება, მაგრამ კვლავაც ხელმოცარული დავრჩით. ვიმედოვნებთ, ისინი იმ საქმით იყვნენ დაკავებული, რომლის შედეგებთაც მთელი საქართველო არ დარჩება ხელმოცარული.

ეკა ლომაძე
დავით დეკანოიძე

ძალის დემონსტრირება — თბილისსა და ბათუმში

ეს კვირა გადამწყვეტი იქნება არა მარტო ოფიციალური ბათუმის, არამედ ოფიციალური თბილისის მომავლისთვის

ოფიციალური თბილისისთვის თავისი დე ფაქტო იურისდიქციის აჭარაში აღდგენის ერთადერთი რეალური მშვიდობიანი გზა — ამ სპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებაა.

მეორე ალტერნატიული გზა — ძალისმიერი დაპირისპირება გახლავთ, რადგან აჭარაში გაჭირდება ვარდების რევოლუციის განხორციელება, ანუ რაც მოხდა თბილისში, ის ბათუმში არ გამოვა, ან, უფრო მარტივად, აბაშიძე შევარდნაძე არ არის და იგი სისხლის დაღვრას არ მოერიდება.

დღეს აჭარის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მოვლენები ძალიან ჰგავს იმას, რაც ხდებოდა აფხაზეთის სეპარატისტების ლიდერთან, არძინბასთან დაკავშირებით. არძინბასი არ იყოს, რომელიც კრიჭაში ედგა შევარდნაძეს, აბაშიძეც არ ეპუება საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტ სააკაშვილს.

შეიძლება შეუპუებლობის ტაქტიკა დამუშავებულია მოსკოვში, სადაც აბაშიძე ორ კვირაში ერთხელ მაინც ჩადის ხოლმე, ეგებ ამ ტაქტიკის მიზანია, ემოციურმა სააკაშვილმა გასცეს ნაჩქარევი ბრძანება აბაშიძის ხელისუფლების ძალით გადაყენების შესახებ.

ჩვენი გაზეთის გამოსვლის დღეს იწურება იმ ათდღიანი ულტიმატუმის ვადა, რომელიც სააკაშვილმა აბაშიძეს წაუყენა მათ დასაკავებლად და დასასჯელად, ვინც ოპოზიციის მიტინგები დაარბია და ჟურნალისტს უმოწყალოდ გაუსწორდა. ცხადია, აბაშიძე არავის არ დასჯის და, თბილისის ბრძანებისამებრ, არც უშიშროების სამსახურს გააუქმებს.

ამის შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი თავისივე დანესებული ულტიმატუმის ვადის ერთგვარ ტყვეობაში ექცევა — მან ან უნდა მიაფუჩეჩოს ეს ულტიმატუმის თემა და დაელოდოს საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, ანდა ხელი გამოიღოს.

არადა ბოლო დღეების მოვლენები, როდესაც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იერიშით აიღეს ეკლესია და დააპატიმრეს ძებნილი მგალავაშვილი, ძალაუნებურად მიგვანიშნებს, რომ საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი არ მოითმენს ავტონომიის ლიდერის ურჩობას, ამასვე ცხადყოფს პრეზიდენტ სააკაშვილის გამონათქვამები პარიზსა და ერევანში.

მაგრამ ერთია ძალის დემონსტრირება თბილისსა თუ დასავლეთ საქართველოში და მეორე — აჭარაში. მით უმეტეს, რომ 15 მარტს აბაშიძის რეჟიმმა ჩოლოქზე დამატებით ჩააყენა კარგად შეიარაღებული სამართალდამცავები და ჯარის ნანილები, რომელთა მეთაურები მე-13 წელია არ ემორჩილებიან თავიანთ უმუალო ხელმძღვანელებს — მინისტრებს და თვით უმაღლეს მთავარსარდალს თბილისში.

ორივე მხრიდან ძალის დემონსტრაცია ძაბავს ისედაც რთულ სიტუაციას. რა მოხდება ხვალ? ამის ზუსტი პროგნოზირება გაჭირდება, მით უმეტეს, თუკი ჩოლოქს აბაშიძის რეჟიმისადმი ოპოზიციურად განწყობილი ათასობით ადამიანი მიადგება. აქ ერთი პროვოკაციული გასროლა ან მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა, ოფიციალურ თბილისს ალბათ ხელს გაუხსნის, ყველა ხერხი გამოიყენოს აბაშიძის რეჟიმის გასაუქმებლად.

P.S. *უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, ოპოზიციური მოძრაობა „ჩვენი აჭარის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 15 მარტს ისინი არ აპირებენ მომიტინგეთა ჯგუფებით მიადგნენ ჩოლოქს და ამით საშუალება მისცენ აბაშიძის რეჟიმს გამოიყენონ ძალა მშვიდობიან ხალხის წინააღმდეგ.*

ეს შეიძლება ოპოზიციური ძალების ერთგვარ დათმობად ჩაითვალოს, თუმცა ეს უკანდახევა, გარკვეულწილად, გაანელებს იმ დაძაბულობას, რაც დღეს შექმნილია ცენტრსა და მასთან დაუმორჩილებელ აბაშიძის რეჟიმს შორის.

ირაკლი ალადაშვილი

11 მარტი — 11 სექტემბერი ესპანურად

შურისძიება XXI საუკუნის „ჯვაროსნული ომისთვის“?!

მატარებლებში ჩადებულმა „ჯოჯოხეთის მანქანებმა“ ორ ასულამდე ადამიანი შეწირა და ათასზე მეტი დაასახიჩრა. ვინ ჩადინა ეს საზარელი ტერორისტული აქტი — ესპანეთიდან გამოიყოლა მშფოთვარემ ექსტრემისტულმა „ეტამ“ თუ „ჯვაროსნული ლაშქრობისთვის“ ესპანეთის დამსჯელმა „ალ-ქაიდამ“?

ორიოდე წუთით დაგვიანებამ ათასობით მადრიდელი სიკვდილისა და დასახიჩრებისგან იხსნა — სწორედ ამდენი ხნით დააგვიანა მადრიდის ცენტრში, სადგურ ატოჩში შესვლა მატარებელმა, რომელიც აფეთქდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენიმე საგარეუბნო მატარებელში განხორციელებულ ტერორისტულ აფეთქებებს მაინც შეეწირა 200 ადამიანი, 1463 — დასახიჩრდა (ეს აფეთქებები სადგურ ატოჩში განრიგის მიხედვით შესულ მატარებელში რომ მომხდარიყო, მაშინ, ესპანელ სპეციალისტთა მტკიცებით, ჩამოინგრეოდა სადგურის მინის თაღი, ნამსხვრევებში მოჰყვებოდა ასობით მატარებლის მომლოდინე მგზავრი).

„ეტა“ — სწორედ ეს სახელი გაახსენდა ყველას, ვინც ესპანეთის დედაქალაქში მომხდარი იმ საშინელი ტერორისტული აქტის შესახებ შეიტყო. იგი, თავისი მასშტაბით, 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარი საჰაერო ტერორიზმის შედეგების ტოლია.

ბასკეთის სეპარატისტული მოძრაობის ტერორისტული ფრთა „ეტა“ ათწლეულებია, ესპანეთის ხელისუფლებას უყენებს მოთხოვნას — ბასკთა ტერიტორია გამოიყოს ესპანეთისგან და აღიარებული იქნას მისი სუვერენიტეტი. ტერორისტული აქტებით „ეტა“ მოსვენებას არ აძლევდა ოფიციალურ ესპანეთს, მაგრამ ის, რაც 11 მარტს მოხდა მადრიდის ცენტრში, „ეტას“ ხელწერას ნაკლებად ჰგავს.

მას ამისთვის არც გამოცდილება და არც შესაძლებლობები არ ეყოფოდა, — აცხადებენ სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები. ამ მოსაზრების საფუძველი იმანაც განამტკიცა, რომ „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთმა ფრთამ თავის თავზე აიღო ეს ტერაქტი, რის შესახებაც წერილი ინგლისურ გაზეთს გაუგზავნა. შეიძლება ეს წმინდა წყლის თვალის ახვევის მცდელობა იყოს, რათა „ეტას“ მოსცილდეს ეჭვმიტანილის სახელი, მაგრამ, მეორე მხრივ, ესპანეთის სპეცსამსახურებმა მიტოვებულ მინიავტომობუსში აღმოაჩინეს გამოუყენებელი ამფეთქებლები და კასეტაზე ჩაწერილი ყურანის ტექსტი, რაც უფრო „ალ-ქაიდას“ კვალზე მიუთითებს.

ინგლისური გაზეთისთვის გაგზავნილ წერილში „ალ-ქაიდელი“ ტერორისტები წერენ, — ესპანეთზე შურს ვიძიებთ იმის გამო, რომ მან მხარი დაუჭირა აშშ-ს ახალი საუკუნის „ჯვაროსნულ ლაშქრობაში“ მუსლიმიური სამყაროს, კერძოდ კი, ავღანეთისა და ერაყის წინააღმდეგო.

ინტენსიური გამოძიება, 11 მარტის ტერაქტებთან დაკავშირებით, გრძელდება. განიხილება კიდევ ერთი ვერსია, რომლის თანახმადაც „ალ-ქაიდამ“ და „ეტამ“ ერთმანეთს „გაუგეს“, ტერორისტული გამოცდილება გაუზიარეს და ერთად განახორციელეს ეს საზარელი დანაშაული.

მანამდე კი, მილიონობით ესპანელმა და ამ ქვეყნის სტუმრმა ესპანეთის ქალაქებში, თავსხმა წვიმაში, მოაწყო მშვიდობიანი მსვლელობა ტერორიზმის წინააღმდეგ. ცხადია, რაც მეტ ქვეყანაში მოხდება ტერორისტული აქტი, მით ნაკლები მხარდამჭერი ეყოლებათ ტერორისტებს.

ბუშმა ბინ ლადენს მიაკვლია?!

ამერიკელმა სამხედროებმა ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე ახალი მსხვილი ოპერაცია დაიწყეს, რომელიც „თალიბანისა“ და „ალ-ქაიდას“ წევრების დაპატიმრებას ითვალისწინებს.

ოპერაციაში, რომელსაც ჰქვია „ქარიშხალი მთებში“, 13,5 ათასი სამხედრო ავიაცია მონაწილეობს. პენტაგონი შეიძლება საქვეყნოდ არ აცხადებს, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკულმა სპეცსამსახურებმა მიაგნეს „№1 ტერორისტს“ — უსამბინ ლადენის კვალს და მის ხელში ჩაგდებას აპირებენ. ასეთი ოპერაციებით რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტები ერომანდოს იმით ემსგავსებიან, რომ საარჩევნოდ არჩევნების წინ თავიანთი დაცემული რეიტინგის ამაღლებას ცდილობენ.

გასულ კვირას რუსულ ფედერალურ ძალებს ჩეჩნეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი ჩაჰბარდა, რაც, გარკვეულწილად, დაკავშირებული იყო რუსეთის 14 მარტის საპრეზიდენტო არჩევნებთან. ამჯერად რუსეთის სპეცსამსახურები ცდილობენ შემოირიგონ ან ფიზიკურად გაანადგურონ ასლან მასხადოვიც, ორი კვირით ადრე კი საქართველოს საზღვართან მოკლეს რუსლან გელაევი. პუტინისა არ იყოს, ბუშიც, რომელსაც შემოდგომაზე მძაფრი ბრძოლა მოუწევს საპრეზიდენტო სკამისთვის დემოკრატ კერისთან, ცდილობს, ამომრჩევლებთან გაითამაშოს და მათ არჩევნების წინ ამერიკის დიდი ტრაგედიის — 11 სექტემბრის „ავტორის“ თავი გაუგოროს.

ახალი ფონსტრი — რუსეთის თავდაცვის სამინისტრო

ჩვენი უზარმაზარი ჩრდილოელი მეზობლის — რუსეთის ფედერაციის საშინაო საქმეებში ასევე უზარმაზარი ცვლილებები მოხდა. პრეზიდენტმა პუტინმა საარჩევნოდ არჩევნების წინ მთავრობა შეცვალა.

რუსეთის მთავრობაში პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებაზე საქართველოს დიდი „მოყვარული“, რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი ოცნებობდა.

მართალია, ამჯერად რუსეთის პრეზიდენტმა თავის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ და ერთგულ მინისტრს ოცნება არ უსრულა, მაგრამ „კომპენსაციის“ სახით იმხელა საჩუქარი გაუკეთა, რამაც მარტო საქართველოსნაირი ქვეყანა კი არა, თვით შორეული ამერიკაც უნდა შეაშფოთოს.

ცვლილებების შედეგად რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ახალი მონსტრი-სამინისტრო ხდება, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი რუსეთის ნახევარ ბიუჯეტს მაინც შთანთქავს!

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გადაეცა სარკინიგზო ჯარების გაუქმებული ფედერალური სამსახურის ფუნქციები. ეს კი რუსეთის უკიდეგანო ტერიტორიაზე გამავალი სარკინიგზო ხაზების დიდი ნაწილის მშენებლობასა და ექსპლუატაციას ითვალისწინებს.

უცხოეთის ქვეყნებთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტის მთავარი ფუნქციები გადაეცემა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს. ამის შემდეგ თავად მინისტრი ივანოვი განსაზღვრავს, რომელ ქვეყანასა რა სახის იარაღი რა ფასად მიჰყიდოს, რაც უზარმაზარ შემოსავალს ჰპირდება.

თავდაცვითი სახის შეკვეთების სახელმწიფო კომიტეტი ასევე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს „ფასადით“ ერთიანდება, ხოლო ატომური ენერგიის ფედერალური სააგენტო იმ თემებს, რაც ბირთვული თავდაცვის კომპლექსებს ეხება, ასევე თავდაცვის მინისტრ სერგეი ივანოვს გადასცემს.

და, რაც მთავარია, თავდაცვის სამინისტროსვე დაექვემდებარება სპეციალური მშენებლობების ფედერალური სამსახური, რომელიც მანამდე რუსეთში გასაიდუმლოებულ მიწისქვეშა ობიექტებს, კოსმოდრომებსა და სარაკეტო შახტებს აშენებდა.

ყველაფერი ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ პრეზიდენტი პუტინი არა მარტო ოცნებობს, არამედ რეალურად ახორციელებს თავისი და თავისი კა-გე-ბეური წარმომავლობის სანუკვარ ოცნებას — საბჭოთა კავშირის-მაგვარი ტოტალური ზესახელმწიფოს შექმნას, რომელიც მსოფლიოს კვლავ ორპოლარულად აქცევს.

ყოველი ამგვარი ცვლილება მეზობელ და ჩვენდამი კვლავ „ველიკოდერჟავულად“ განწყობილ რუსეთში, საქართველოს ხელისუფლებამ დაწვრილებით უნდა გააანალიზოს, რადგან საბჭოთა კავშირის აღდგენას კრემლში მარტო საკუთარი თავდაცვის სამინისტროს გაძლიერებით როდი წარმოადგენენ — იქ თვალი მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების ანექსიაზეც უჭირავთ.

ირანელი

არ კლავს, მაგრამ აყრუებს

დღე-დღეზე ბაღდადში ჩაიტანენ პენტაგონის ერთ-ერთ ყველაზე გასაიდუმლოებულ იარაღს, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს ერაყში პარტიზანული მოძრაობის აღსაკვეთად.

ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ამერიკულ „ჰამერს“ ათასობით ერაყელის ნაწილი დაყრუება შეუძლია.

დემონსტრანტებსა და პარტიზანებს, რომლებიც კოალიციური ძალების წინააღმდეგ გამოვლენ, ახალი ამერიკული საიდუმლო იარაღი კი არ დახოცავს, არამედ დროებით ან სამუდამოდ... დააყრუებს!

ჩვეულებრივ „ჰამერს“, რომლის მსგავსიც ერაყში ათასობით დადის, უცბად ყურადღებას არავინ მიაქცევს, მაგრამ თუკი დემონსტრანტები ქუჩებში გამოვლენ, „ჰამერში“ ამოქმედდება ერთი ხელსაწყო, რომელიც 145 დეციბელის სიმძლავრის ბგერას გამოსცემს, რაც ყურისთვის ძალზე მტკივნეულია. ბგერის ეს სიმძლავრე საკმარისია, რომ 300 მის დაშორებით მყოფ ადამიანს საშინელი თავის ტკივილი დაეწყოს, ან სულაც დაყრუედეს.

ამგვარი იარაღი განეკუთვნება არალეტალური იარაღის კლასს, თუმცა ადამიანის უფლებების დამცველები ყველანაირად აპროტესტებენ მათ დამკვიდრებას სამხედროთა თუ პოლიციელთა შეიარაღებაში. ამერიკელი სამხედროები ცდილობენ, თავი გაიმართლონ — ეს აკუსტიკური მოწყობილობა საშინი სიმძლავრის ბგერას კი გამოსცემს, მაგრამ გამოიყენება ჩვეულებრივ მეგაფონდაც, რომლის საშუალებითაც ამერიკელი სამხედრო ფსიქოლოგები ერაყელ მომტაცნდებს დაშლისკენ მოუწოდებენო.

ამ საშინი „მეგაფონის“ სან-დიეგოელი გამომგონებლები არ მალავენ, რომ მათ „პირმშოს“ შეუძლია ბრბოში გამოიწვიოს მწვავე შაკიკი, მიუხედავად იმისა, ეს ადამიანები მოასწრებენ თუ არა ყურის დაცობას. ტკივილი იმ ძალისა იქნება, რომ ხალხს დაიჩოქებსო, — ამაყობენ ამერიკელი მეცნიერები.

არალეტალური, ანუ არამომაკვდინებელი იარაღის სახეობების შექმნით სხვადასხვა ქვეყნის სამხედროები ოციოდე წლის წინ დაინტერესდნენ. საბჭოთა კავშირში დახურულ და ძალზე გასაიდუმლოებულ ლაბორატორიებში ამუშავებდნენ „იარაღ-საოცრებას“, რომლის ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივებისა ადამიანების სისხლის წნევას მკვეთრად უზრდიდა და აძაბუნებდა მათ.

1993 წელს პენტაგონმა სომალიში გამოსცადა უნიკალური „ქვემეხი“, რომელიც ჭურვის ნაცვლად ქაფისებურ წებოვან მასას ისროდა. ეს მასა მოწინააღმდეგეს, პირდაპირი გაგებით... აწებებდა და არ აძლევდა მოძრაობის საშუალებას.

ამერიკელთა მეორე არამომაკვდინებელი იარაღის, ლაზერული ავტომატის შესახებ „არსენალი“ სამი წლის წინ წერდა, მაგრამ მას შემდეგ აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობამ იგი აკრძალა, რადგან ამ იარაღით გაშუბული ლაზერული სხივი, მართალია, მოწინააღმდეგს არ კლავდა, მაგრამ ბევრს სამუდამოდ აბრმავებდა. ეს კი უკვე არალეტალური კი არა, ნამდვილი არაჰუმანური იარაღი.

ბოლო ინფორმაციებით, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ლაბორატორიებში კვლავ ინტენსიურად მუშაობენ საიდუმლო, არალეტალური იარაღის სახეობების შექმნაზე. მუშავდება ძირითადად სამი სახის იარაღი. მათ შორის პირველი — კვლავ ლაზერული გამოსხივებაა, ოღონდ ამჯერად ამერიკელი მეცნიერები იმ დიაპაზონის ტალღების გამოსხივებას გამოიყენებენ, რომელიც მხოლოდ დროებით დააბრმავებს მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას. მეორე მომართულებაა მიკროტალღური გამოსხივება, რომელიც ადამიანის სხეულს 40-41 გრადუს ცელსიუსამდე გაახურებს და მას, გარკვეული დროით, ბრძოლისუუნაროს გახდის.

მესამე ხერხი კი ძალიან უახლოვდება საბრძოლო იარაღს. ლაპარაკია მომწამველელ გაზებზე, რომლებმაც უნდა დაანძინონ მოწინააღმდეგის ჯარისკაცები. დაახლოებით ამ შემადგენლობის აირი იქნა გამოყენებული მოსკოვის ცენტრში, საკონცერტო დარბაზზე იერიშის დროს, როცა ჩეჩენმა ტერორისტებმა მაყურებელი მძევლად აიყვანეს. რუსული სპეცსამსახურების მიერ დარბაზში გაშუბული ამ მომწამველელ აირს მაშინ 120-ზე მეტი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ აკუსტიკურ მოწყობილობას, რომლის ამოქმედების შემდეგაც ერაყში თავის ტკივილის წამალი მწვავე დეფიციტი გახდება. ადრინდელი ცნობების თანახმად, ამერიკელი საზღვაო ქვეითები ამ აკუსტიკური „მეგაფონით“ აღჭურვილი „ჰამერების“ დაყენებას იმ გამოქვაბულების შესასვლელებში აპირებდნენ, რომლებშიც „თალიბები“ და, კერძოდ, უსამბინ ბინ ლადენი ეგულებოდათ; მაგრამ პენტაგონმა ეს ჩანაფიქრი დღემდე რატომღაც არ განახორციელა.

მკითხველის სვეტი

— რა ბედი ეწია თანამედროვე ამერიკულ საბრძოლო შვეულმფრენ „კომანჩს“, რომელზეც ადრეც წერდით?

გ. მაჩაიძე, თბილისი

მფრინავი „ინდიელის“ შეწყვეტილი ფრენა

სულ რამდენიმე დღის წინ აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ შეწყვიტა ულტრათანამედროვე საბრძოლო-სადაზვერვო შვეულმფრენ RAH-66 Comanche-ს შექმნისა და წარმოების პროგრამა.

ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელება დაიწყო 20 წლის წინ — 1983 წელს პენტაგონმა მოინდომა 21-ე საუკუნის სუპერშვეულმფრენის შექმნა, რომელიც დაჯაბნიდა როგორც საბჭოთა Ми-24-ს, ასევე თავის თანამემამულე AH-64 Apache-ს.

ჩვენი დოსიე: RAH-66 Comanche–ზ პირველი გაფრენა 1996 წელს განახორციელა. ამ 8-ტონიანი აპარატის სიჩქარე იყო 350 კმ/სთ.

„კომანჩი“ დამზადებული იყო „სტელსის“ ტექნოლოგიით, რაც დიდ უპირატესობას ანიჭებდა მას. ამასთან, შვეულმფრენს შასი ეკეცებოდა, საჭის ხრახნი სპეციალურ „ფენესტრონში“ იყო „დამალული“ (ასეთივე აქვს შვეულმფრენ ნაძისთვის ნაყიდ ფრანგულ შვეულმფრენს), ხოლო რაკეტები — ფიუზელაჟში იყო მოთავსებული და გასროლის წინ საგანგებო მექანიზმს გამოჰყავდა გარეთ. ყოველივე ეს საგრძნობლად უშლიდა ხელს მოწინააღმდეგის რადიოლოკატორებს „კომანჩის“ აღმოჩენაში, რაც ეკიპაჟს საშუალებას აძლევდა, სწრაფად განეხორციელებინა ზუსტი სარაკეტო დარტყმა და თავიდან აერიდებინა მტრის საპასუხო ცეცხლი.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი სუპერშვეულმფრენის შექმნის პერსპექტივისა, პენტაგონმა მაინც უარი უთხრა „ბოინგისა“ და „სიკორსკის“ ცნობილ ფირმებს „კომანჩის“ პროგრამის გაგრძელებაზე. საქმე ის არის, რომ „კომანჩის“ პროგრამას 38 მლრდ დოლარი სჭირდებოდა. საპროექტო სამუშაოებისთვის და ორი „კომანჩის“ შესაქმნელად ორივე ფირმამ უკვე მიიღო 7 მლრდ დოლარამდე, მაგრამ პენტაგონმა თანხების დაზოგვა ამჯობინა.

შეიძლება ითქვას, რომ „კომანჩის“ პროგრამა ავღანეთისა და ერაყის ომების „შეეწირა“, რადგან მდიდარი პენტაგონიც (მას 2004 საფინანსო წელს 400 მლრდ დოლარზე მეტი სამხედრო ბიუჯეტი გამოეყო) კი, ფულის დაზოგვას ცდილობს, რადგან ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე პარტიზანული ომები ამერიკელ სამხედროებს ძალიან ძვირი უჯდებათ.

RAH-66 Comanche

განსაკუთრებული პრობლემაა ერაყში ჩამოგდებული ამერიკული შვეულმფრენები. ერაყელმა პარტიზანებმა უკვე ათზე მეტი შვეულმფრენი ჩამოაგდეს. ამიტომაც პენტაგონს ურჩევნია, „კომანჩის“ პროგრამის შეჩერებით დაზოგილი მილიარდები უკვე არსებული „ალბენისა“ და „ბლეკ ჰოუკების“ სამოდერნიზაციოდ გამოიყენოს. განსაზღვრულია 1400 ამერიკული შვეულმფრენის მოდერნიზება და 800-მდე ახლის დამზადება.

ამასთან, იმ 20 წლის განმავლობაში, სანამ „კომანჩი“ იხვწებოდა, თავადაც ამერიკულმა დამრტყმელმა შვეულმფრენმა AH-64 Apache-მა და სამხედრო-საგრანსპორტო UH-60 Black Hawk-მა იმდენჯერ გაიარეს მოდერნიზაცია, რომ ახალი RAH-66 Comanche-ი მათ ბევრად ვეღარ აჯობებდა.

GEORGIA კინაღამ ბირთვული აფეთქების ეპიცენტრი გახდა

ამერიკის პრესის ფურცლებზე მხოლოდ ამ დღეებში გამოჩნდა სენსაციური ინფორმაცია, რომ ბირთვული რაკეტის გადატანისას კინაღამ ბირთვული აფეთქება მოხდა ვაშინგტონის შტატის ქ. სიეტლის ახლოს. ატომური წყალქვეშა ნავიდან, რომელიც ატარებს ჯორჯიის შტატის სახელს, USS Georgia, ბირთვულქობინიანი ბალისტიკური რაკეტის გადმოტვირთვისას, ამერიკელი მეზღვაურების დაუდევრობით რაკეტა ამწიდან ჩამოვარდა.

სახიფათო ინციდენტი თურმე ჯერ კიდევ შარშან, 7 ნოემბერს, მომხდარა, მაგრამ პენტაგონს დღემდე პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული. ეს ცნობა ამერიკელ ჟურნალისტებს ახლახან მიაწოდა ანონიმურმა წყარომ.

ბალისტიკურ რაკეტას, რომელსაც ბირთვული ქობინიც ეყენა, ჩამოვარდნისას 20 სმ სიდიდის ნაპრალი გაუჩნდა, თუმცა ამერიკელი სამხედროები ირწმუნებიან, რომ რადიაციული გაჟონვა არ მომხდარა. დაზიანებული რაკეტა სპეციალურ დამცველ კონტეინერში მოათავსეს.

პენტაგონმა უკვე დასაჯა ოთხი მეზღვაური-ოფიცერი, თუმცა ბირთვულქობინიანი რაკეტის ჩამოვარდნისას, მისი დეტონაციის შემთხვევაში, ვაშინგტონის შტატი დიდ ტრაგედიას ვერ გადაურჩებოდა.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

საᲭᲘᲗᲝ ᲐᲚᲠᲣᲨᲘ ᲓᲦ ᲒᲝᲚᲗᲐᲜ ᲧᲘᲗᲐᲓ ᲥᲐᲜᲗᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲚᲘ

ამას წინათ რედაქციაში ჩვენი კოლეგის, გაზეთი „ჭიათურის მაღაროელის“ ყოფილი რედაქტორის, ამჟამად პენსიონერის, ბატონ დიმიტრი ტატიშვილის წერილი მივიღეთ. იგი ასე იწყება:

„მინდა თქვენს მკითხველს ვუამბო ერთ თავდადებულ, ნამდვილ მამულიშვილზე, რომლის სახელიც ჩაკარგულია უშიშროების არქივებში. ასეთი ადამიანით იამაყებდა ჩვენზე ბევრად უფრო დიდი ერიც კი.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ოთარ იშხნელი თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა. მან ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა, მაგრამ მალე ტყვედ ჩავარდა. ტყვეობის მძიმე წლები სხვადასხვა ბანაკში გაატარა. ბოლოს საფრანგეთში მოხვედა, სადაც დაუკავშირდა საფრანგეთის ანტიფაშისტურ ორგანიზაციას. შექმნა პარტიზანული შენაერთი, შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ჩამოიტანა საბრძოლო ორდენები, მედლები და სამი ალბომი, რომლებიც პარტიზანული რაზმის საბრძოლო გზას ასახავდა.

ერთი ალბომი მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის მდივანს, ვასილ მეკავანძეს გადასცა, ორი კი დაატმირებისას უშიშროების სამსახურმა წაიღო. ფოტოუბიდან დამამახსოვრდა ერთი: აღლუმს იღებს ოთარ იშხნელი შარლ დე გოლთან ერთად.

...იმედია, საქართველოს გაახსენებთ დაუმსახურებლად მივიწყებული მამულიშვილის სახელს“.

მასალების ძიებაში უფროს მეგობარს, საჩხერის ღვინის კომბინატის ყოფილ დირექტორს, ბორის საყვარელიძეს ვესტუმრე:

— ოთარ იშხნელი, რომელსაც შენ ეძებ, ჩვენი კომბინატის მთავარი მექანიკოსი იყო ორი ათეული წლის განმავლობაში. ჩვენ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ რაღაც დიდი დამსახურება ჰქონდა ფრანგი ხალხის წინაშე. თავმდაბალი კაცი იყო, თავის თავზე არასდროს ლაპარაკობდა...

გულდა ჩაჩანიძე, ჭიათურის ეთერზეთების ქარხნის დირექტორი: — 1978 წელს, ღვინის ქარხნების გაერთიანებიდან რომ წამოვედი, ბატონი ოთარიც თან წამოვიყვანე. შეიძლება ითქვას, რომ ეთერზეთების ქარხანა მისი შექმნილია. ვიცოდი, ვინც იყო, თუმცა არასოდეს უტრაბახია თავისი წარსულით. ვერც ვიხსენებ, თუნდაც ოდესმე თუ დასცდენია სიტყვა ამის შესახებ.

სოფლელი ბიჭი

ჩვენ გავისარჯეთ და ამჯერად ხელთა გვაქვს რუსულ ენაზე დაწერილი, დრო-ჟამისაგან გაყვითლებული ოთარ იშხნელის ავტობიოგრაფია.

ოთარის მამა სვიმონი ჩხირკედელა კაცი იყო და რაკი სოფელ ჩხარში საჩხირკედელაო ვერაფერი ნახა, გასული საუკუნის დასაწყისში ჭიათურაში გადასახლდა. ალბათ მამისგან გამოჰყვა ტექნიკის სიყვარული და 1939 წელს ოთარი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ხდება. მალე ჯარში გაიწვიეს და საოფიცრო სასწავლებელში გააგზავნეს. ომმა სასწავლებელში მოუსწრო. 1941 წლის 25 ოქტომბერს ნაწილი, რომელშიც ოთარ იშხნელი იბრძოდა, მტრის ალყაში მოექცა და ტყვედ ჩავარდა. თანამებრძოლების ბედი გაიზიარა დაჭრილმა იშხნელმაც. ორი წელი სხვადასხვა ბანაკში ათრიეს ტყვე ქართველები გერმანელებმა. მერე კი, როცა ვერმახტის ჯარებმა უკან დაიხიეს, ტყვეებიც, უფასო მუშახელი, რუმინეთის გავლით გადარეკეს უნგრეთამდე. ორმოცდასამის დასაწყისში კი გაირკვა, რომ მათ საფრანგეთის ქალაქ კარმშეში ქვანახშირის მაღაროების გაფიცული მუშები უნდა შეეცვალათ.

— მთებში გაქცევა ვერ მოვახერხეთ და გულახდილად რომ გითხრათ, არც ვნანობ. ბოლოს და ბოლოს, არც გზა ვიცოდით და არც კვალი. თუ თანახმა იქნებით, შევეცდები ადგილობრივ პარტიზანებს დავუკავშირდე და თუ ბანაკიდან გაქცევა მოვახერხეთ, მათთან ერთად გავაგრძელოთ ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, — ოთარმა ისე მორიდებით გახედა მეგობრებს, თითქოს მისი ბრალი იყო, ამდენ ხანს რომ ვერ მოახერხეს ბანაკიდან თავის დაღწევა.

— ვის გინდა ენდო ამ უცხო ქვეყანაში? აქაურებისათვის ჩვენ, ბარბაროსები, ველური ერის წარმომადგენლები ვართ. ეჭვი არაა, ეს ხმა გერმანელებმა იმ მიზნით გაავრცელეს, რომ ფრანგები ზიზღით განეწყოთ ჩვენს წინააღმდეგ, — თქვა ნაღვლიანად ვალო დინგოშვილმა და მზერა ალექსანდრე კალანდაძეზე გადაიტანა.

— ჰოდა, დავუმტკიცოთ ფრანგებს, რომ ასე არაა, რომ ბარბაროსები კი არა, უდიდესი კულტურისა და ტრადიციების ხალხი ვართ, რომ ფაშიზმი კაცობრიობის მტერია და სხვა ერებთან ერთად ვიბრძვით მის დასამხობად, — დაასკვნა კალანდაძემ.

გადაწყდა: ტყვეები, რომელთა შორის ქართველები ჭარბობდნენ, თავდაპირველად გერმანელთა ნდობის მოპოვებას შეეცდებიან. ეს კი მათ გაქცევას გაუადვილებს. იმავდროულად, ოთარ იშხნელი და ალექსანდრე კალანდაძე ფრანგ პარტიზანებთან დაკავშირებაზე იზრუნებენ.

გავიდა ხანი და ქართველებმა მორჩილებისა და თავდაჭერილობის ისეთი მაგალითები აჩვენეს გერმანელებს, რომ ქალაქში გასვლაზე კი არა, იმაზეც იყო ლაპარაკი, ზოგიერთ მათგანს იარაღი ხომ არ მივცეთ და გვერდში ამოვიყენოთო. ახლა საჭირო იყო ჩანაფიქრისთვის ნიღაბი მოერგოთ და საქმეს შესდგომოდნენ. ნიღაბის მაგივრობას ქალი გასწევდა.

მეკავშირე ფერია

გოგოს ჟანეტ დე ტრენი ერქვა. იქვე, იმ სკოლის გვერდით ცხოვრობდა, სადაც ტყვეთა ბანაკი იყო განთავსებული და თუ პირველად გაურბოდა „ბარბაროსებს“, მალე დარწმუნდა, რომ ქართველები ველურები კი არა, უძველესი კულტურის მქონე ერის შვილები ყოფილანო. ყველასგან მაინც ოთარი გამოარჩია და ვაკმაც უმალვე იგრძნო, რომ ეს ის გოგონა იყო, ვისაც ეძებდა. ჟანეტი ერთი პატარა, გალეული გოგო იყო, მაგრამ იმდენად სათნო და კეთილი, რომ ერობიშად მოინდირა ჭაბუკის გული. გარეგნობით არც ოთარი გახლდათ დიდი გარდანქმული. ერთი, საშუალოზე დაბალი, მაგრამ კუნთმაგარი ბიჭი იყო.

ჟანეტ დე ტრენი და ოთარ იშხნელი

ორ ცეცხლშუა იყო ბიჭი — ისეთი ადამიანი სჭირდებოდა, ვინც პარტიზანებთან დააკავშირებდა, მაგრამ ამ სახიფათო საქმისთვის საყვარელი ადამიანი რომ უნდა გაემეტებინა, ეს ადარდებდა. მაგრამ ისიც იცოდა, რომ ვიდრე ფაშიზმი ბატონობდა, მისი და ჟანეტის ბედნიერებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, ამიტომ ორივეს უნდა ებრძოლა. იყო კიდევ ერთი, არანაკლებ საშიში დაბრკოლება ამ გზაზე — მას საბჭოთა ერქვა, მაგრამ მაშინ ამაზე არ ფიქრობდა.

ჟანეტის მამამ და ძმამ დააკავშირეს ქართველები პარტიზანებთან. ფრანგებს არც ისე ეპიტნავებოდათ უცხო ხალხის თავიანთ რაზმში მიღება, მაგრამ მაინც დათანხმდნენ. მათი მეშვეობით ქვანახშირის მაღაროების ბლოკირება შეიძლებოდა.

— რამდენი კაცი აპირებთ ჩვენთან გაერთიანებას? — იკითხა პარტიზანთა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ედმონდმა.

— ათასი... — სწრაფად შეაგება ოთარმა.

— ათასი მეტისმეტია. ამდენი იარაღი არ გვაქვს. ამასთან, ჩვენი ტყვეები იმდენად მეჩხერია, ამდენ ხალხს ვერ დაფარავს. ჯანმრთელი და ჭკუადამჯდარი ხალხი ერთი ასეული შეადგენეთ. მეტს ვერ მივიღებთ — თქვა და ფეხზე წამოდგა მეორე ფრანგი ფერნანი, რომელიც ჩანდა, ჩინით ედმონდზე მაღლა იდგა.

ძალზე გაძნელდა სიის შედგენა. კი, ისეთებიც იყვნენ, იარაღის აღებას რომ გაურბოდნენ და მაღაროში მუშაობას არჩევდნენ, მაგრამ პარტიზანებთან წასვლის მსურველი მაინც ბევრი აღმოჩნდა. აღლქსანდრემ და ოთარმა ორას კაცამდე ძლივს შეამცირეს სია და თავი დაიმშვიდეს:

— ბოლოს და ბოლოს, ხომ არ გამოგვყრიან ფრანგები. მიგვიღებენ, აბა, რა იქნება.

მაგრამ სწორედ იმ დღეებში ქართველები გერმანელებმა ქალაქის ერომანეთისაგან დაშორებულ უბნებში დაანაწილეს. ასე რომ, აჯანყება ერთდროულად სამ ადგილზე დაიწყო. ორგან ქართველებმა იმარჯვეს, გერმანული დაცვა განაიარაღეს. შემდეგ მათივე მანქანები სურსათით, ტყვია-წამლითა და ტყვეებით დატვირთეს და ძლენთ მიადგნენ ფრანგებს. სამგაეროდ, მესამე დანაყოფმა ბრძოლა წაადო და უამრავი ქართველი შეაკვდა მტერს. არც გერმანელებს დასდგომიათ კარგი დღე. ეს მოხდა 1943 წლის 2 აგვისტოს. 146-მა კაცმა გააღწია იმ ღამეს უუკოველის ტყეში და იქ მყოფ 71 პარტიზანს შეუერთდა. მეხუთე დღეს აღმოაჩინა გერმანელებმა დაზვერვამ მეამბოხეები და ერთბაშად სამი მხრიდან დააცხრა თავს. პირველივე შეტევისას დაიღუპა ქართული რაზმის ხელმძღვანელი ვალო დინგოშვილი. იგი ოთარ იშხნელმა შეცვალა და ორი მოზრდილი ჯგუფით გადაკეტა გერმანელთა ფლანგები. ამით მტერს მეამბოხეების ალყაში მოქცევის საშუალება ესპობოდა. ამასთან, ამ მხარეს გაატარეს პარტიზანებთან შესახვედრად გამოსული მახლობელი სოფლების მცხოვრებლები, მათ შორის, ქალები და ბავშვები. იმ დროს ქართველთა ამ შენაერთის კომისარი, შემდეგში კი მწერალი და მეცნიერი ბატონი ალექსანდრე კალანდაძე დაწერილებით აღწერს ამ ბრძოლას თავის ნახევრად დოკუმენტურ რომანში „მაკიზარებთან“.

„ავტომატმომარჯვებული (იშხნელი. — ვ. გ.)... ჩვეულებრივზე უფრო ხალისიანად გამოიყურებოდა. სასტუმროს წინ, ფილაქანზე იდგა და... სახელდახელოდ ათეულებსა და ოცეულებს აკომპლექტებდა... შტაბში სხვადასხვა მხრიდან უიარაღო, დაბნეული მაკიზარების (პარტიზანებ-ის. — ვ. გ.) სულ ახალ-ახალი გუნდები შემორბოდა და ისიც გასაოცარი სისწრაფით უნიშნავდა მათ თავდაცვის პოზიციებს. მე ერთი ათეული მომცა და მიბრძანა, უკან გავბრუნებულიყავი, მინდორში უსასოოდ მორნიალე ბავშვები, ქალები, ავადმყოფები და უიარაღო მოქალაქეები მომეგროვებინა და ვიორის ხეობის ტყეებში მათი გადაყვანა უზრუნველმყო.

...ასეოდე ნაბიჯზე მყოფი მოიერიშე, გაოფორებული, მრავალრიცხოვანი მტრის თვალწინ ერთმა რიგითმა ქართველმა ჯარისკაცმა, სრულიად უბრალო სოფლელმა ბიჭმა იმისთანა იმპროვიზებული თავდაცვა მოაწყო, რომ გამოჩენილ სარდალსაც შეშურდებოდა... იმ დღეს გერმანელებს ორმოცდაერთა კაცი დავუხოცეთ, ორმოცდაჭვიდმეტი კი დავჭერით. საღამოს ფაშისტებმა თვითონვე მოაგროვეს თავიანთი მიცვალებულები, ზედ რამდენიმე უმიდო დაჭრილი დაამატეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს. ჩვენ შვიდი კაცი მოგვიკლეს, არც დაჭრილი გვყავდა მაინცდამაინც ბევრი“.

1944 წლის 2 ივნისს საფრანგეთის ეროვნული კომიტეტი, გენერალ შარლ დე გოლის ხელმძღვანელობით (რომელიც ცნეს სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა), საფრანგეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობად გარდაიქმნა და დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ფრანგებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ოთარ იშხნელის პარტიზანული რაზმი და მას

(მარცხნიდან) ალექსი მახარაძე, ოთარ იშხნელი და კოსტა ჩაგელიშვილი

პირველი საბჭოთა პოლკი უწოდეს. მასში სამი ათას შვიდასი კაცი ირიცხებოდა. ოთარმა პოლკი სამ ნაწილად გაყო. ერთი იმ ტერიტორიას იცავდა, სადაც თვითონ იყო განლაგებული, მეორე ისვენებდა, მესამე კი საბრძოლო დავალებების შესასრულებლად დადიოდა.

...და ირეხებოდა ხევებში გერმანელთა ეშელონები, ფეთქდებოდა ტყვია-წამლის სანყობები, იწვოდა ფაშისტების შტაბები. 1944 წლის აგვისტოდან პოლკი პარტიზანულ ბრძოლასთან ერთად ტაქტიკურ საბრძოლო ოპერაციებსაც ატარებდა. ერთიმეორის მიყოლებით გაათავისუფლეს რამდენიმე ქალაქი. ხელში ჩაიგდეს გერმანელების შეიარაღების დიდი არსენალი; ათობით სატვირთო და მსუბუქი მანქანა, მძიმე ტექნიკა და სურსათ-სანოვაგე, ტყვედ აიყვანეს ათასობით გერმანელი. მალე იშხნელის პოლკი კიდევ რამდენიმე ქალაქს ათავისუფლებს. საფრანგეთი სახალხო აჯანყებამ მოიცვა. მტრის გაადგილებლად ბრძოლებს მიუხედავად, სექტემბრის დასაწყისში სამხრეთი საფრანგეთი დამპყრობლებისაგან გაიწმინდა.

ამ ბრძოლებში იშხნელის პოლკმა ხელი იგდო სამი ათას ხუთასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ორასოთხმოცდაჩვიდმეტი სატვირთო ავტომანქანა, თორმეტი ავტობუსი, „სიტროენის“ მარკის ოთხი მსუბუქი ავტომანქანა, ამდენივე ჯავშანტრანსპორტიორი, ექვსი ტანკი, საარტილერიო დანადგარები და ნაღმსატყორცნები, ასობით ავტომატი, კარაბინი და ტყვიამფრქვევი.

აღიარება

ის ფაქტი, რომ ტულუზის სამხედრო ოლქში ოთარ იშხნელის პოლკი საბრძოლო ბირთვს წარმოადგენდა, მისი მეთაურის დამსახურება იყო. თუმცა პოლკის მებრძოლების გარდა, თითო-ოროლა თუ იცოდა, რომ ამ სახელოვან შენაერთს ქართველი მეთაური ჰყავდა. და აი, ტულუზის განთავისუფლების დღის აღსანიშნავ აღლუმზე ფრანგი მოქალაქეები გაოცებით შესცქერიან თავიანთ განმათავისუფლებელს, ოთარ იშხნელს, რომელიც საზეიმო ტრიბუნაზე გენერალ შარლ დე გოლის გვერდით დგას. მის მკერდს ორდენები და მედლები ამშვენებს, მხრებზე კი პოლკოვნიკის სამხრეები უბრწყინავს.

ოთარ იშხნელი მაშინ ოცდაოთხი წლის იყო...

გავა ხანი და პრეზიდენტ შარლ დე გოლის საბჭოთა კავშირში ვიზიტის მოსამზადებელ ოქმში გაჩნდება ჩანაწერი — „საფრანგეთის პარტიზანული მოძრაობის გმირთან, ოთარ იშხნელთან შეხვედრა“. საბჭოთა კგბ-ის თანამშრომლები მას ჭიათურაში მონახავენ, იქვე ჩაუტარებენ შესაბამის ინსტრუქტაჟს, გააფრთხილებენ, რომ ქალაქიდან არ გავიდეს, რადგან ამ დღეებში მოსკოვში უნდა გადააფრინონ და მის პირად საქმეს დალუქული პაკეტით აგზავნიან ცენტრში. მოსკოვში ჩამოვა გენერალი შარლ დე გოლი, მაგრამ ოთარ იშხნელს მას არ შეახვედრებენ. ეტყვიან, რომ იგი გარდაიცვალა. ფრანგი პრეზიდენტი დანანებით გადააქნევს თავს და თავისთვის ჩაილაპარაკებს: — და-სა-ნა-ნია. ჯერ ორმოცდაექვსისაც არ იქნებოდა...

მან ხომ არ იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგო, რა ბედი ეწია ოთარს ომის დამთავრების შემდეგ.

რაღაა იგი სინათლე...

ვიდრე იშხნელი და მისი ხალხი სამხრეთ საფრანგეთს ათავისუფლებდნენ, ნორმანდიაში მოკავშირეები გადმოსხდნენ და დღის წესრიგში დადგა მათ ოპერაციებში პარტიზანული რაზმების ჩაბმის საკითხი. მაგრამ საბჭოთა სარდლობამ „დაზოგა“ ნაომარი ხალხი და პოლკის დაშლის გადაწყვეტილება მიიღო. მიზეზი გასაგებია — ჯარისკაცთა უმრავლესობა გერმანელთა ყოფილი ტყვე იყო. ეს კი საბჭოთა მეომრის დიდ დანაშაულად ეთვლებოდა. თუმცა ფრანგები ვერ შეელიენენ ოთარს და იგი სამხრეთი საფრანგეთის სამხედრო ოლქის უფროსად დანიშნეს. ამ დღიდან შედარებით მშვიდი ცხოვრება დაიწყო. სიყვარულისთვისაც მოიცალა

და ჟანეტთან იქორწინა.

მერე იყო პარიზი, შეხვედრები ბოლშევიკებს გამოქცეულ ემიგრაციასთან და ნოე ჟორდანიას შეგონებები — „არ დაიჯეროთ, ქვეყნად საქართველოზე უკეთესი ქვეყანა იყოს. არ დაუჯეროთ გერმანელებს, რომ თქვენ იქ დაგასჯიან. 4-5 წელიწადს სტალინი ხელსაც ვერ გახლებთ. ამასობაში კი 2-3 შვილს მაინც შესძენთ ქვეყანას. შენ პირველი უნდა ნახვიდე, ოთარ. ყველა შენ შემოგყურებს. ეს თქვენი პატრიოტული მოვალეობაა.“ იცოდა ოთარმა, რაც ელოდა სამშობლოში. ჟანეტიც იცოდნდა — თავს იმტვრევდა, რომ დამიჭირონ, რა ეშველება უჩემოდ უცხო ქვეყანაში. არადა, დავტოვო და როგორ დავტოვო ფეხმძიმე ქალიო.

ბოლოს მაინც გადაწყვიტა: რაკი ჩემი წასვლა აუცილებელია, წავალ საქართველოში, მაგრამ იმ პირობით, რომ დავბრუნდები ჟანეტთან და მასთან ერთად დაველოდები უკეთეს დროს სამშობლოში დასაბრუნებლადო და ასეც მოიქცა. მას საბჭოთა მოქალაქეების შეგროვება და მათი სამშობლოში რეპატრიაციის ორგანიზება დაავალეს...

თხუთმეტი ათას კაცს გამოუძღვა... ბოლშევიკური ჯოჯოხეთისაკენ, მათ შორის ბევრი ქართველი იყო.

აქეთობას კი კარგად იმგზავრეს, მაგრამ უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო. მე ჩემი თვალითა მაქვს ნანახი მისი სტუდენტობის დროინდელი ბლოკნოტი, რომელიც მთელი ომის განმავლობაში ჯიბეში ედო „სტუდენტმ“ პოლკოვნიკს. ერთადერთი ლექსის ასეთი ფრაზა შეცა თვალში:

„...მაგრამ ლალატი შენი ტრფობისა, გულში არასდროს არა მქონია და ვინც მიყვარდა შენს გაცნობამდე, ჩემი სამშობლო არის, მგონია“.

ეს ლექსი 1953 წელს დაუწერია შორეულ ციმბირში გადასახლებულ ოთარ იშხნელს. იქ მას ოცი წელი უნდა გაეტარებინა, მაგრამ სტალინის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ გაათავისუფლეს და 1955 წელს საქართველოში დაბრუნდა. უეჭველია, ამის გამო არ შეახვედრეს იგი საფრანგეთის პრეზიდენტს. როგორი იქნებოდა, ამ რანგის სტუმრისათვის ეთქვა — ფრანგებისათვის გაწეული სიკეთის სამადლობლად ჩემებმა ციმბირში გადამასახლესო. საბჭოთა რეჟიმის შიშით განყვიტა მან კაკვრი საყვარელ ქალთანაც. ალბათ ფიქრობდა, ჩემ გამო იქ არ დაუწყოს კგბ-მ დევნაო და ისე ჩავიდა სამარეში (1992 წელს), მხოლოდ ის იცოდა, რომ გოგონა შეეძინა ჟანეტს. ესეც საფრანგეთიდან კარგა ხნის შემდეგ დაბრუნულმა ერთმა მისმა თანამებრძოლმა ამცნო. მეტი ცოლ-შვილზე არაფერი შეუტყვია. მოგვიანებით კი ქართველ ქალზე იქორწინა და შესანიშნავი ქალ-ვაჟიც გაზარდა. ეს წერილიც მისი რძლის, ქალბატონი თინას დამბარებით მოვამზადეთ.

P.S. ახლახან იშხნელების ახლო ნათესავებმა რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე ნახეს გადაცემა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობისა და პირველი საბჭოთა პარტიზანული შენაერთის შესახებ. დოკუმენტურ კინოკადრებში იხილეს ქართველი „ბაკის“ (პარტიზანის), ოთარ იშხნელის ბიუსტი და ქართველ პარტიზანთა გმირობის ამბებიც გაიგეს. ყოველ წელს ბრძოლების ადგილზე, მათი ხსოვნის პატივსაცემად, პარტიზანების მეგობრები და ოთარ იშხნელის მეუღლე და ქალიშვილი იკრიბებიანო, აქცნობდა წამყვანი მაყურებელს.

რუსულმა ტელევიზიებმა პასუხის ღირსადაც არ ჩათვალეს ოჯახის წევრების თხოვნა — გთხოვთ, მისამართი გამოგვიგზავნეთო. ჩვენებური კი, ვისაც საფრანგეთში უხილავს ოთარ იშხნელის ბიუსტი, ვფიქრობთ, არ დაგვზარდებიან და ჩვენი გაზეთის საშუალებით აცნობებენ მათ ამის შესახებ.

ვაჟა გავაშელი

ანტონ კუკულავას შეცდომით გაუხსნეს ცეცხლი?!

პოლიციელების გამოუსწორებელი შეცდომა თუ აუცილებელი მოგერიება...

10 მარტს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პოლიციის თანამშრომლებმა 25 წლის ანტონ კუკულავა მოკლეს. იმის მიუხედავად, რომ მომხდარიდან უკვე რამდენიმე დღე გავიდა, დღემდე გაურკვეველია, რატომ გაწირეს პოლიციელებმა სასიკვდილოდ 25 წლის ახალგაზრდა. ერთი ვერსიით, კუკულავა პოლიციელებს შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა. თუმცა არსებობს სრულიად საპირისპირო მტკიცებულებაც: ანტონ კუკულავა ახალი ჩამოსული იყო დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსიდან, სადაც 11 მარტს ისევ აპირებდა გამგზავრებას და მორჩილად შედგომას. მისი ახლობლების თქმით, მას იარაღი არასოდეს უტარებია. ასე რომ, პოლიციელებს სროლას ვერ აუტეხდა.

მომხდარის ოფიციალური ვერსია კი ასეთია: 10 მარტს, შუაღამისას, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პოლიციის თანამშრომლები, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტები: აკაკი ჭარბაძე, გიორგი კაშია, ზურაბ წერეთელი, პაატა კვოტკოვსკი და სპპატრულო-საგუშაგო სამსახურის ოცეულის პატრულ-ინსპექტორი, ზემდგომ ნოდარ ზიზიაშვილი საპატრულო შემოვლაზე იყვნენ კვოტკოვსკის კუთვნილი ავტომანქანით. მარჯანიშვილის ქუჩის 42-ე ნომერთან მათ სამი ახალგაზრდა შენიშნეს, რომლებიც კამათობდნენ. პოლიციელთა დანახვაზე მოკამათეები გაიქცნენ. ერთ-ერთმა მიმალვა მოასწერო, ერთი მათგანი, 22 წლის კარლო ბარამიძე მალევე აიყვანეს, ხოლო მესამე, როგორც შემდგომ გაირკვა, ანტონ კუკულავა სროლა-სროლით გარბოდა, რის გამოც პოლიციელებმა საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს. კუკულავას ერთი ტყვია ზურგში მოხვდა. პოლიციელებმა იგი თსუ-ის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც დაახლოებით 40 წუთის შემდეგ გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია „ვოლტრანის“ ფირმის საფანტის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, კუსტარულად გადაკეთებული თვითნაკეთი ვაზნებიც გასასროლად, მჭიდით და ერთი ვაზნით.

საინტერესოა, რომ ეს ვერსია პოლიციელთა ჩვენებას ემყარება. ამიტომ ჯერ საბოლოო არ არის და რა მოხდა სინამდვილეში იმ ღამეს მარჯანიშვილის ქუჩაზე, ამ კითხვაზე ექსპერტიზამ უნდა გასცეს პასუხი. თუმცა, ანტონ კუკულავას ახლობლების აზრით, პოლიციელებმა იგი სრულიად უმიზეზოდ მოკლეს. „ანტონი წყნარი ბიჭი იყო, — ამბობს ჩვენთან საუბრისას ხსენ ერთ-ერთი ახლობელი, — იარაღი არასოდეს უტარებია, მაშინაც კი, როცა მისი ძმა, გიგა, შევარდნაძის დაცვაში მუშაობდა და იარაღის ტარებისთვის ვერავინ მოსთხოვდა პასუხს. იარაღს თუნდაც იმიტომ არ ატარებდა, რომ მორწმუნე იყო და ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა. ამასთან, ასეთი ჭრილობისგან არ უნდა მომკვდარიყო (ანტონ კუკულავას ტყვიამ ფილტვი გაუხვრიტა). იგი გვიან მიიყვანეს საავადმყოფოში და, ფაქტობრივად, სისხლისგან დაიცალა...“

ერთი სიტყვით, კითხვა — ჰქონდა თუ არა იარაღი ექსპრეზიდენტის ყოფილი დაცვის წევრის ძმას, ჯერჯერობით, უპასუხოდაა. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი საინტერესო ვერსია, რომლის მიხედვითაც, პოლიციელებმა ანტონ კუკულავას შეცდომით გაუხსნეს ცეცხლი.

როგორც „კვირის პალიტრას“ კონფიდენციალურმა წყარომ განუცხადა, 10 მარტის ღამეს მხოლოდ მარჯანიშვილის ქუჩაზე არ ყოფილა სროლა. იმავე ღამით დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის თანამშრომლებმა შეტყობინება მიიღეს ერთ-ერთი ბინის გაქურდვის თაობაზე. შემთხვევის ადგილზე მისულ წესრიგის დამცველებს ბინაში მყოფმა სამმა ბოროტმოქმედმა ცეცხლი გაუხსნა. დაიჭრა სამი პოლიციელი — პავლე გაბრიჩიძე, გიორგი ჯანგირაშვილი და რამაზ გიგაური. თავდასხმელებმა უვნებლად მოახერხეს პოლიციელთა ალყის გარღვევა, თან პოლიციელთა ორი „მაკაროვიც“ გაიტაცეს და გაუჩინარდნენ(!).

ჩვენი წყარო არ გამორიცხავს, რომ წარუმატებელი ოპერაციით გაღიზიანებულ პოლიციელთა პატრული მარჯანიშვილის ქუჩაზე ანტონ კუკულავასა და კიდევ ორ პირს გადაეწყდა, ჩათვალა, რომ ბინის ქურდებთან ჰქონდა საქმე და ცეცხლი გახსნა.

ამ ვერსიას დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურაში არ ადასტურებენ.

ირაკლი წერეთელი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორი: — ანტონ კუკულავას საქმეზე ჯერჯერობით, იმაზე მეტი, რაც პირველ დღეს დადგინდა, არაფერი ვიცით.

— პირველ დღეს არ დაუდგენიათ, ჰქონდა იარაღი თუ არა კუკულავას?

— ამის დასადგენად დროა საჭირო. პოლიციელთა ჩვენებით, კუკულავამ დაიწყო სროლა. მთელი მარშრუტის გარბენისას, მარჯანიშვილი-ერისთავი-ჩიტაიას ქუჩებზე დევნის დროს, მან რამდენჯერმე მოასწრო სროლა პოლიციელთა მისამართით. პოლიციელები ჯერ ჰაერში ისროდნენ და მხოლოდ უკიდურეს მომენტში გაუხსნეს ცეცხლი. კუკულავასგან ამოღებული იარაღი და მასრები ჯერ პოლიციის სამორიგეო ნაწილში წარადგინეს, შემდეგ კი ეს იარაღი პროკურატურამ ამოიღო.

— ამ ჩვენების მიხედვით, პოლიციელთა მიმართ საბრალდებოდ არაფერია?

— ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით. პოლიციელთა ყოველი მოქმედება შეფასებულია. ამ საკითხზე პროკურატურაც მუშაობს და შსს-ს გენერალური ინსპექციაც. საგამოძიებო მუშაობის შემდეგ გაირკვევა, გადაჭარბეს თუ არა პოლიციელებმა ცეცხლის გახსნით თავიანთ უფლებამოსილებას?

იმედია, უახლოეს მომავალში გაირკვევა, აუცილებელ მოგერიებას, უფლებამოსილების გადაჭარბებას თუ პოლიციელთა შეცდომას შეეწირა ანტონ კუკულავა.

დავით დეკანოიძე

ერთი კვერცხის გამო ანგარიშსწორებაზე ნამდვილად არ მიფიქრია

„თბილისის პოლიციის შეფი არ გავხდები“

სახელისუფლებო სტრუქტურებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ჭორები ბოლო ხანს განსაკუთრებით ხშირად მართლდება. მიუხედავად იმისა, რომ ჭორის ობიექტები კატეგორიულად უარობენ ამა თუ იმ თანამდებობაზე მათი დანიშვნის შესაძლებლობას, კულუარებში ნაწილისწარმოებულებ ჩინებს მაინც იღებენ. არ ვიცით, რა ბედი ეწევა ახალი ჭორის ობიექტს, ანუ, ნამდვილად დანიშნავენ თუ არა საბურთალოს მაჟორიტარ დეპუტატს **გივი თარგამაძეს** *თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსად, თუმცა მას ამბის გასარკვევად მაინც მივმართეთ. მასვე ვთხოვეთ კომენტარი აჭარაში განვითარებული მოვლენების შესახებ.*

— ეს არის აბსურდული, სულელური დეზინფორმაცია, რის გამოც ცნობისმოყვარეებმა ტელეფონი „ამიფეთქეს“. ხელისუფლების წარმომადგენლებთან საერთოდ არ ყოფილა ამ საკითხზე საუბარი.

— რომ შემოგთავაზონ, ამ თანამდებობაზე უარს იტყვით?

— რა თქმა უნდა. მე ვარ მაჟორიტარი დეპუტატი საბურთალოს ოლქში და არ ვაპირებ ჩემი მხარდამჭერების ხმები ურნაში გადავაგდო.

— როგორ აფასებთ ბასილ მკალავიშვილის დაკავების, მისი მრეველისა და ეკლესიის დარბევის ფაქტს, ხომ შეიძლებოდა მღვდელი წინადღეს სანდალების გარეშე დაეკავებინათ?

— ძებნილის დაკავება სამართლიანი აქტი იყო. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ დააკავეს წინადღეს პრესკონფერენციის მიმდინარეობისას, ამ შეყოვნებისთვის შესაბამისი რაიონის სამართალდამცველებს საყვედური უნდა გამოეცხადოთ. ჩვენი პოლიციის დიდი მეხოტბე არასდროს ვყოფილვარ, თუმცა გლდანში ისინი იდეალურად იქცეოდნენ, ტელევიზიით ნანახი კადრები ამის თქმის საფუძველს იძლევა. სწორედ ამ კადრებიდან ჩანს, რომ მშვიდობიანი მიზნით მისულ პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ამის გამო გახდნენ იძულებული სპეცრაზმისთვის ეხმოთ, ისინიც დელიკატურად იქცეოდნენ.

> მე ერთი კადრი ვნახე, სადაც ქალს ფიზიკურად შეურაცხყოფდნენ და ეს მართლაც ცუდია, მაგრამ ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ასე მუშაობს პოლიციის სპეცრაზმი. ის ხალხი ბევრად უფრო აგრესიული იყო, ვიდრე სპეცრაზმელები. ისინი ქვებს ესროდნენ და ჯოხებით უწევდნენ წინააღმდეგობას.

— რას ეძახით დელიკატურობას, უმწეო ქალების ცემას?

— მე ერთი კადრი ვნახე, სადაც ქალს ფიზიკურად შეურაცხყოფდნენ და ეს მართლაც ცუდია, მაგრამ ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ასე მუშაობს პოლიციის სპეცრაზმი. ის ხალხი ბევრად უფრო აგრესიული იყო, ვიდრე სპეცრაზმელები. ისინი ქვებს ესროდნენ და ჯოხებით უწევდნენ წინააღმდეგობას.

დაგავიწყდათ, ეს ხალხი წლების განმავლობაში როგორ იყო გათავხეხედული? ეს დაუსჯელობამ ქნა! წინა ხელისუფლების წაყრუების გამო როგორც სურდათ და რა მეთოდითაც ახერხებდნენ, იმით უსწორდებოდნენ „მსხვერპლს“. მათგან ვინილეთ პირველად ქვების სროლაც და „როზგებიც“.

— ამიტომ მათ წინააღმდეგ იმავე მეთოდებით უნდა იბრძოლოთ?

— რაგომ იმავე? ვინმეს გადაპარსეს თავი, როგორც თვითონ აკეთებენ, ჯვრები ურტყეს თავში ვინმეს თუ რა?

— გავრცელდა ხმა, რომ ეს იყო ანგარიშსწორება თავისუფლების ინსტიტუტის მხრიდან. გაიხსენეს თქვენი და გიგა ბოკერიას მკალავიშვილთან დაპირისპირების ფაქტები.

— მე ერთი კვერცხი მესროლეს და ამის გამო შურისძიებაზე არც მიფიქრია. უზნეობაა იმაზე ფიქრიც კი, რომ ეს ანგარიშსწორება იყო. მკალავიშვილი ცნობილი დამრბევია არა მარტო თავისუფლების ინსტიტუტის, არამედ იეღოველების და სხვა სექტების. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ამიტომ აღიძრა. დღემდე არ მითქვამს, თქვენ გიმხელთ, რომ შეეხვდი იმ აჭარლებს, რომლებიც მცემდნენ ბათუმში, ვესაუბრე და მათთანაც კი არ მაქვს ანგარიშსწორების სურვილი.

— შევარდნაძის რეჟიმის დროს რომ იგივე ამბები დატრიალებულიყო, რა შეფასებას მისცემდით?

— იმ დროს სპეცრაზმი დასდევდა მკალავიშვილის ხალხს და თავებს უხეთქავდა. ერთადერთი თავისუფლების ინსტიტუტი იყო, რომელიც მათ უფლებებს იცავდა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც დავიპირისპირდნენ.

— აჭარაში სიტუაცია აშკარად საშიშ ზღვარს უახლოვდება. მისი ტრაგიკულად განვითარების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა რომელ მხარეს დაეკისრება?

— მთლიანად ჩვენ, ხელისუფლების მხარეს. ვაცხადებ, რომ აჭარაში გლობალური შეჭრა არ მოხდება. თუმცა ასლან აბაშიძე აპირებს ხელისუფლების გამოწვევას და 15 მარტს შეიარაღებული დაპირისპირების ინსცენირების მოწყობას. აჭარაში იარაღის ტარება სასტიკად იკრძალება, აბაშიძეს კი ქობულეთში, სასტუმრო „კოლხეთში“ უკვე 2 სატვირთო მანქანით აქვს მიტანილი იარაღი. ჩვენ პროვოკაციებს არ აგყვებით. სამწუხაროდ, აბაშიძესთან დიალოგმატია და მშვიდი საუბრები არ ჭრის, მაგრამ მისი კლანის წევრებთან, ზოგიერთის გამოკლებით, საუბარი კიდევ შეიძლება. ვფიქრობ, სწორედ ეს გამოიღებს საბოლოო შედეგს.

— საბოლოო შედეგი როგორი იქნება?

— აბაშიძე არჩევნებში დამარცხდება. ეს გარდაუვალია. ის აღიარებს ამ მარცხს, ან ისევ გააყალბებენ არჩევნებს და ისე დაამთავრებს ბოგინს, როგორც შევარდნაძე. ნოემბრის მსგავსად ეს მოკლე ხანში მოხდება. ვფიქრობ, აჭარის საზოგადოება შეეცდება აბაშიძესთან სიტუაციის მოგვარებას და თუ დახმარება დასჭირდებათ, ცენტრიდან კანონის ფარგლებში მას კიდევ გაუწევენ. რაშიც მე გასაკვირს ვერაფერს ვხედავ.

ეკა ლომიძე

გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისთვის დოკუმენტაციის მომზადების დროს, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკუთრებასა და ფლობასთან დაკავშირებით?

მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:

- **მედიაცია**
- **იპოთეკით დაგვირთვისთვის დოკუმენტაციის მომზადება**
- **მემკვიდრეობა,**
- **ყიდვა-გაყიდვისთვის დოკუმენტაციის მომზადება**
- **კერძო არბიტრაჟი,**
- **სასამართლო ინსტანციებში ინტერესების დაცვა.**
- **უფასო იურიდიული კონსულტაცია,**

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8, ☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 399 856; 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 236 411; 899 271 912; თეთრიწყარო 899 702 192

CMYK

სექტაც რომ ვიყოთ, ადამიანები ხომ ვართ?!

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ამავე აზრისაა გენერალური პროკურორი ირაკლი ოქროშვილიც. საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსი **გიორგი ანდრიაძე** კი მომხდართან დაკავშირებით აცხადებს: „თუ დავინახავთ, რომ აიკრძალა და შეიზღუდა იეღოველთა აგრესიული ქმედებებიც, მაშინ იმის თქმა იქნება შესაძლებელი, რომ ყოველივე ეს ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლაა და არა — პოლიტიკური შეკვეთა...“

იმის მიუხედავად, რომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა ბასილ მკალავაშვილს ჯერ კიდევ ხუთი თვის წინ მიუსაჯეს, მას ამ დღეებში მაინც მოუწევს სასამართლოს წინაშე წარდგომა აღმკვეთი ღონისძიების დასაკანონებლად. რა იქნება შემდეგ, ეს ჯერ არავინ იცის. მკალავაშვილის მომხრეები ამბობენ, რომ ისინი მასობრივი გამოსვლების მოწყობას აღარ აპირებენ და საქმის სამართლებრივად მოგვარებას დაელოდებიან.

P.S. რა ვერდიქტს გამოიტანს სასამართლო მკალავაშვილის წინააღმდეგ, უცნობია. მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებას კიდევ დიდხანს ემახსოვრება არა თვით დაკავების ფაქტი, არამედ მისი მეთოდები, რასაც სავარაუდოდ კიდევ ბევრჯერ წამოაძახებს (განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ) ოპოზიცია ხელისუფლებას. მით უმეტეს, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, საზღვარგარეთ მყოფი ქართული დიასპორის წარმომადგენლებიც უარყოფითად აფასებენ ამ ფაქტს.

დავით დეკანოიძე

განათლების ახალი მინისტრი კახა ლომაია, დანიშვნის დღიდანვე ეძებების ქარიშხალში აღმოჩნდა. ერთი კვირა იქნებოდა გასული მისი გამინისტრებიდან, როცა გაჩნდა ვარაუდი, რომ იგი აპირებს სკოლებში ზოგიერთი საგნის (ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის) პროგრამების შეცირებას და რელიგიის ისტორიის სწავლებიდან ამოღებას. ალაპარაკდნენ სხვა „არასასიამოვნო“ სიურპრიზებზეც. კახა ლომაიამ ამის გამო ბრიფინგიც მოაწყო და მკაცრად განაცხადა, რომ მსგავს არაფერს აპირებს და ყველაფერი სიცრუეა. მაგრამ საზოგადოებას კიდევ ბევრი რამ აინტერესებს, პირველ რიგში კი ის, თუ როგორ აპირებს ახალი მინისტრი საქართველოს განათლების სისტემაში, რბილად რომ ეთქვათ, არეულ-დარეული მდგომარეობის გამოსწორებას.

— ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დამხვდა, — გვითხრა **კახა ლომაიამ**, — თუნდაც სკოლა-ინტერნატების მდგომარეობა აიღეთ, ჩვენ აქ ცხაურობრობთ და ამ დროს უამრავი ბავშვი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. ვიდრე ისინი ამგვარ ვითარებაში იქნებიან, ვერ მივცემ თავს სიმშვიდის უფლებას. ზოგჯერ ძნელი დასადგენიც არის, რას მივანიჭოთ უპირატესობა.

— მაინც რას ანიჭებთ უპირატესობას?

— სკოლა-ინტერნატებს, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ, და სკოლას. არსებობს დიდი პროექტი, რომლის განხორციელებაში მსოფლიო ბანკი მონაწილეობს. ამ პროექტში თავმოყრილი მატერიალური და ინტელექტუალური ძალები საკმარისია სასწავლო გეგმის შესაცვლელად. პირველიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით (შემდეგში თორმეტწლიან სწავლებაზე უნდა გადავიდეთ) ერთიანი მწყობრი სასწავლო გეგმა უნდა შეიქმნას. ეს ნიშნავს სახელმძღვანელოების გამართვას, დამხმარე-მეთოდური ლიტერატურის სისტემის შექმნას და მასწავლებელთა გადამზადების სისტემას. მომავალი წლიდან აუცილებლად განხორციელდება მისაღები გამოცდების ერთიანი სახელმწიფო გამოცდით ჩანაცვლება — ე.ი. უმაღლესში მისაღები გამოცდები აღარ იქნება... შემდეგი პრიორიტეტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. რაც უფრო მეტად ვიხელდები ფინანსურ საქმეებში, ვრწმუნდები, ამ მწირი სახსრებითაც კი შეიძლებოდა ყველაფერი ასე არ გაპარტახებულიყო. საჭიროა სკოლების ოპტიმიზაცია. უზარმაზარი სკოლის შენობება დაუტვირთავი. ისინი სახჭოთა მეგალომანიის დროსაა აშენებული. მათი გათბობა, მოვლა დღეს შეუძლებელია. ამიტომ უნდა მოხდეს სკოლების გამსხვილება და მათი მართვა უფრო ადვილი იქნება...

— გამსხვილება ანუ რამდენიმე სკოლის ერთ სკოლად გაერთიანება?

— რა თქმა უნდა. გაუმჯობესდება მართვის ხარისხიც, სწავლების დონეც. გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე განახლდება ინვენტარი. თუ პირველი ქმედითი ნაბიჯები გადავდგით ამ მიმართულებით, მაქვს გარანტია, რომ ჩვენი მეგობარი დონორი ორგანიზაციებიც გაიღებენ სახსრებს. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ განათლების ეროვნული სისტემა ჩვენთვის ნაკლებღირებული არ არის, ვიდრე მათული. ამიტომ უნდა მოხდეს სკოლების გამსხვილება და მათი მართვა უფრო ადვილი იქნება...

— გამსხვილება ანუ რამდენიმე სკოლის ერთ სკოლად გაერთიანება?

— რა თქმა უნდა. გაუმჯობესდება მართვის ხარისხიც, სწავლების დონეც. გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე განახლდება ინვენტარი. თუ პირველი ქმედითი ნაბიჯები გადავდგით ამ მიმართულებით, მაქვს გარანტია, რომ ჩვენი მეგობარი დონორი ორგანიზაციებიც გაიღებენ სახსრებს. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ განათლების ეროვნული სისტემა ჩვენთვის ნაკლებღირებული არ არის, ვიდრე მათ-

უმაღლესში მისაღები გაემოცდები აღარ იქნება

მომავალში თორმეტწლიან სწავლებაზე უნდა გადავიდეთ

33 უნივერსიტეტი გვაქვს და 12 აკადემია(?!)



— ფიქრობთ, რომ სკოლას გლობალიზაციისაკენ უნდა ჰქონდეს გზა აღებული და პრიორიტეტი უცხო ენისა და კომპიუტერის შესწავლას მიანიჭოს?

— ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ჩვენს ისტორიას, ენას, გეოგრაფიას, მაგრამ მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ჩვენსავით მცირერიცხოვანი ერებისათვის, აუცილებელია, არ ჩამოვრჩეთ პროცესებს. გლობალიზაცია წვიმასავით არის. როცა წვიმს, როგორიც არ უნდა იყოს შენი განწყობა, ვერაფერს შეცვლი. გლობალიზაცია არის ფაქტი, მისი ტემპი დღითიდღე იზრდება. ჩვენ მისი სიჯეფი უნდა ვისარგებლოთ, თუმცა მას ახლავს საფრთხეც, რისგანაც თავი უნდა დავიცვათ, შევინარჩუნოთ ეროვნული და კულტურული, რელიგიური იდენტურობა. ამავე დროს, არ უნდა ჩავიკეტოთ, თორემ ამით საკუთარ თავს განაჩენს გამოვუტანთ და დავრჩებით XX ს-ის ერად. ჩვენ უნდა ვიყოთ XX საუკუნის ერი.

— საქართველოს გეოგრაფიისა და საქართველოს ისტორიის შესწავლა მსოფლიო გეოგრაფიასთან და ისტორიასთან მიმართებაში, ამ საგნების შემცირების ხარჯზე ხომ არ მოხდება? იმასაც ამბობენ, „ეეფსისტგაოსანი“, აგიოგრაფია სწავლებიდან უნდა ამოიღონო. განა ყოველივე ამის სწავლებამ ცუდი შედეგი მოგვიტანა?..

— მე ეს არ მითქვამს. როგორ შეიძლება ეროვნულის სწავლებამ ცუდი შედეგი მოიტანოს. პირიქით, ჩვენი მიზანია ქართულ ენაზე ზრუნვა. ამ მიზნით, პირველად 10 წლის განმავლობაში, ერთ-ერთ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოსთან მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ იქიდან უკონტროლოდ აღარ შემოვა სახელმძღვანელოები... აქამდე ამ სახელმძღვანელოების ნაწილი უფასოდ ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, ნაწილი კი იყიდებოდა. უახლოეს წლებში, ათწლიან პერსპექტივაში ჩვენ აღარ გვექნება ე.წ. უცხოენოვანი სკოლები. იქნება ქართული სკოლები, სადაც ამა თუ იმ ეთნიკური წარმოშობის ხალხი გაძლიერებულად ისწავლის თავის ენას. ეს იქნება ქართული სკოლები.

— რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ „მეზობელ სახელმწიფოში“ — საინგილოში, ქართული ენის სახელმძღვანელოების ოფიციალური შეტანა?

— ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე მოვთხოვეთ ჩვენს მეზობლებს ყოველგვარი შეფერხების გარეშე შევიდეს ქართული ენისა და ლიტერატურის წიგნები კახში, ნუხსა და ზაქათალაში.

ეს არის პირადად ჩემი ამოცანაც.

— რელიგიის ისტორიის სწავლების შესახებ რას იტყვით?

— საქართველოში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მართლმადიდებლური რელიგიის ისტორიის სწავლებას, ამასთან ერთად უნდა ისწავლებოდეს ყველა იმ რელიგიის ისტორია, რომლის მიმდევრებიც საქართველოში ცხოვრობენ.

— მოგეხსენებათ, არსებობდა ალტერნატიული სასკოლო სახელმძღვანელოები. ყოველ სახელმძღვანელს „საგზურს“ განათლების სამინისტრო აძლევს. რას იზრუნებდა განათლების სამინისტრო. იყო თუ არა მისი არჩევანი ობიექტური და უანგარო?

— არსებობს ბევრი კარგი სახელმძღვანელო. მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც კონკურენციას უწევენ მეზობელ სახელმწიფოებში გამოცემულ, უფრო მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებულ წიგნებს. არის სუსტი სახელმძღვანელოებიც. იყო თუ არა შერჩევისას კორუფციული გარიგება, მიჭირს ამისი თქმა. თუმცა კორუფციას არ გამოვრიცხავ. მეტსაც გეტყვით, ყოფილი მინისტრის მოადგილეს, რომლის წინააღმდეგაც ამჟამად აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და რომელიც შარშან ლონდონში წავიდა საცხოვრებლად, გაფორმებული ჰქონდა საგამომცემლო ფირმა, სადაც მიდიოდა შეკვეთების ნაწილი. ეს გასაკვირი კლასიკური ინტერესთა კონფლიქტი და ინვეს ეჭვს, რომ ადგილი ჰქონდა მატერიალურ დაინტერესებას ანუ კორუფციას.

— კიდევ ერთი სასწრაფოდ გადასაწყვეტი საკითხია სკოლის სანტარული მდგომარეობა. ადრე არსებობდა „ბუფეტების“ ერთი სისტემა, რომელიც გარკვეულწილად კონტროლდებოდა. დღეს რა ხდება, რა იყიდება სკოლებში, რა მაღაზიებია გახსნილი სკოლის ფიიეში? რომ არაფერი ვთქვათ ტუალეტებზე, რომლებიც ადრეც საშინელ დღეში იყო...

— ჩემი ორი შვილი სკოლის მოსწავლეა და კარგად ვიცი ეს ამბავი. ჯერ იქამდე არ მიგსულვარ, მაგრამ იქაც უმკაცრესი კონტროლი დამყარდება. ტუალეტები — ეს საშინელებაა. ვიცი, რომ სტატისტიკურად ჩვენი მოსწავლეების დიდ პროცენტს პრობლემები აქვს შარდის შეკავებასთან. აღმოჩნდა, რომ მიზეზია შარდის განგებ შეკავება, რათა არ ისარგებლონ სკოლის ტუალეტებით. ბავშვების ფიზიკურად დასახიჩრების უფლება არ გვაქვს. ეს რომ ხდებოდეს ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, მშობლები საჩივრებით გააკოტრებდნენ მთავრობას.

— თუკი სკოლის ადმინისტრაცია გადაწყვეტს, მომავალი წლიდან შესაძლოა შემცირდეს პედაგოგთა რიცხვი?

— ეს არ არის ადმინისტრაციის გადასაწყვეტი. იცვლება სკოლის მართვა. სკოლას ეყოლება არჩეული სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც აირჩევენ მშობლები და პედაგოგები. საბჭო გამოცხადებს კონკურსს სკოლის დირექტორის, ანუ მენეჯერის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. მენეჯერი განაგებს ბიუჯეტს, საბჭო გადაწყვეტს, რა ურჩევნია, ჰყავდეს ცოტა მასწავლებელი და მოაწესრიგოს სკოლის ტექნიკური აღჭურვა, თუ ჰყავდეს მეტი პედაგოგი და შემცირდეს ადმინისტრაცია. როგორც წესი, პრობლემა ადმინისტრაციაშია და არა პედაგოგებში. თითი აღარავის ექნება გასაშვერი არავისკენ.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

რას გვეტყვი, მამაო?

— მარხვის გარდა, კიდევ რომელ დღეებში არ შეიძლება ჯვრისწერა?

— საეკლესიო კანონიკით, ჯვრისწერა, გარდა სამარხვო დღეებისა, არ აღესრულება აღდგომის მარხვის შემდგომ ერთი კვირის — ბრწყინვალე შვიდეულისა და შობის მარხვის მომდევნო კვირაში.

— გთხოვთ, მცირედენი განმარტება მოგვცეთ მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელო იერარქიის შესახებ...

— მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელო იერარქია 3 საფეხურად განლაგდება: დიაკვანნი, მღვდელნი, ეპისკოპოსნი. მღვდელს დეკანოზისა და მთავარხუცესის ხარისხი მიენიჭებათ, ეპისკოპოსს — პატრიარქის; მღვდელსა და დიაკონს მიემართავთ — „მამაო“, ეპისკოპოსს — „მეუფეო“...

ტაძარში ღვთისმსახურების დროს სამღვდელოება წოდებების მიხედვით განლაგდება. დიაკონი მღვდელს ღვთისმსახურებაში ეხმარება... საეკლესიო მსახურებას ასრულებენ მედავითნე, მნათე, სტიქაროსანი და მგალობლები.

— რამდენჯერმე შეეამჩნინ, რომ მობილური ტელეფონით მოძღვარს დალოცვას სთხოვენ, რამდენად მართებულია ეს?

— ყოველი გამოგონება შესაძლოა ღვთის სამსახურში ჩაყენო და ადამიანის სასიკეთოდ მიმართო...

თუ ადამიანმა ღვთის ნებით იმდენი შეძლო, რომ სივრცე გადალახა და მეორე ადამიანს დაუკავშირდა, მაშ რატომ არ შეიძლება, რომ ამ სივრის იქით თავის მოძღვართანაც იქონიოს კავშირი და დალოცვა სთხოვოს. ამ მოვლენაში არაფერია ღვთისა და ეკლესიის საწინააღმდეგო.

— შეიძლება თუ არა ხატებთან დაფიდო მიცვალებულის ის სურათი, რომელზეც ცოცხალი ადამიანიცაა ალბეჭდილი?

— ხატები წმინდანთა გამოსახულებებს აღბეჭდავენ და მათ ცალკე გამოყოფილი კუთხე უნდა ჰქონდეთ, ოთახის აღმოსავლეთ მხარეზე. სასურველი არ არის, მათთან არც ცოცხალი და არც თუნდაც თქვენთვის საყვარელი გარდაცვლილის სურათი მოთავსოთ.

ზოგადად არც ის არის მართებული, რომ მიცვალებულის სურათი დიდხანს, რამდენიმე წლის განმავლობაში გედოთ გამოსაჩენ ადგილას, მაგრამ თუ მაინც ასე მოიქცევთ, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვისთან ერთად იქნება მიცვალებული ფოტოზე გამოსახული.

— როგორ აღვიქვათ ხალხური ნათქვამი არსენას შესახებ:

„მდიდარს ართმევს,
ღარიბს აძლევს,
ღმერთი როგორ წაასდენსა“.

— არსენა ხალხის საყვარელი გმირი იყო და ვფიქრობთ, არა იმიტომ, რომ მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს ურიგებდა. გადმოცემით ცნობილია, რომ მას მოყვანი უყვარდა, ეხმარებოდა და ხალიცა სიყვარულით პასუხობდა. მაგრამ ის სწორედ იმიტომ გახდა ტრაგიკული ადამიანი, რომ მის მიმართ სხვისმა ჩადენილმა ძალადობამ თვითონაც მოძალადედ აქცია.

უფალიც ხომ ამას გვასწავლის — ძალადობა ძალადობას ბადებს და არა სიკეთეს. როცა ლექსის ამ სტრიქონებს კითხულობთ, გაიხსენეთ, რომ არსენა დიდ განსაცდელში ჩავარდა და ძალადობით აღესრულა...

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „ეროვნის პალიტრის“ ეკუთვნის საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

„რაკი ამ ყულფში გავყავი თავი, სხვა არჩევანი არ მაქვს“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

მაგრამ ბონდო შალიკიანის აყვანის დროს უნებლიე შეცდომა მოგვივიდა. ტელეკომპანიებისთვის არაფერი გვიცნობებია, მხოლოდ საეცსამსახურის ვიდეოკამერით ვიღებდით. ოპერატორიც გაფრთხილებული იყო, რომ მხოლოდ შალიკიანის დაკავების ეპიზოდი მიეწოდებინა ტელევიზიებისთვის. კადრების „გადაგორვებისა“ დროს შალიკიანის სახლში შესვლის რამდენიმეწამიანი კადრი უნებლიეთ გადაჰყვა.

— თუ გადაყოლეს?

— ოპერატორი საგანგებოდ დავიბარე ამის გასარკვევად. ეს იყო ოპერატიული კადრები. ნამდვილად არ გვქონია განზრახული შიშველი ადამიანების ტელევიზიით ჩვენება. იმ კაცს შეცდომა მოუვიდა, მაგრამ უფრო მეტად იმან გამაკვირვა, რომ ეს გადაყოლილი კადრები ტელეკომპანიებმა გაუშვეს. ასე რომ, ეს შემთხვევა საქმის ჩრდილოვანი მხარეა და უნდა გამოსწორდეს.

— მოდი, ჟურნალისტებს ნურაფერს დაბრალებთ — ამ შემთხვევის გამო ყველაზე ნაკლები პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ.

— ვიცი, ყველაზე უმადური და უუზრო საქმეა, ჟურნალისტს მორალი უკითხო. მაგრამ ხომ შეიძლება, რომ შეთანხმდნენ საინფორმაციო საშუალებები, შიშველი ადამიანები არ ვაჩვენოთო. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ დამნაშავის დაპატიმრების დროს ტელეკამერები შემთხვევის ადგილზე არ იყოს, მაგრამ ისიც ხომ შეიძლება, ასეთ ოპერაციას ჟურნალისტი წაესწროს. ამიტომ არის საჭირო „ჯენტლმენური შეთანხმება“, საზოგადოებისთვის უსიამოვნო კადრები ტელევიზიითან არ გავიდეს. სხვათა შორის, ქვეყნის ხელმძღვანელობა, უშიშროების საბჭოს მდივანი და უშიშროების მინისტრიც იმავეს ფიქრობენ... თვითონაც არ მსიამოვნებს ამ კადრების ნახვა — მეც ჩვეულებრივი ქართული ოჯახის შვილი ვარ. შინ მისულს მშობლები და მეუღლე მეუბნებიან, — რა აუცილებელი იყო ამის ტელევიზიით ჩვენებაო.

— ბათუმელი სტუდენტების თბილისიდან გაშვების გამო გამიმძიღებლების დასჯა რამდენად სამართლიანი და ეთიკური იყო, მათზე ხომ, ფაქტობრივად, ჯოხი გადატყდა?

— ვინმეზე ჯოხის გადატეხა არც სწორია, არც სამართლიანი და არც ეთიკური, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ ყოფილა. შესაძლოა ვინმე ფიქრობს, რომ გამომძიებლები ზედმეტად მკაცრად დაისაჯნენ, მაგრამ ისინი უკანონოდ და უსამართლოდ არ დასჯილან. გამომძიებლებს ჰქონდათ სტუდენტების გათავისუფლების უფლება, მაგრამ მათ უნდა გაეთვალისწინებინათ ის, რომ ამას შესაძლოა გამოძიების ინტერესები დაეზარალებინა. ხომ ცხადი იყო, რომ ის სტუდენტები, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ აჭარის ხელისუფლებასთან და მონაწილეობდნენ განსხვავებულად მოაზროვნე ახალგაზრდების დარბევაში, ბათუმში გაშვების შემდეგ პროკურატურაში აღარ გამოცხადდებოდნენ.

— წარმოუდგენელია, გამომძიებლებს ეს გადწყვეტილება საკუთარი ინიციატივით მიეღოთ.

— თავიდანვე გამოითქვა ეჭვი — ზემოდან ხომ არ მიიღეს დავალებაო. არავითარი დავალება გამომძიებლებს არ მიუღიათ. ამ ამბავთან დაკავშირებით რატომღაც ზურაბ ჟვანიაც ახსენეს. ალბათ იმის გამო, რომ შეწყნარებული იყო ამ საკითხით და მის მოგვარებას ცდილობდა. დაპატიმრებული გამომძიებლები არც ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრები არიან, არც დიდი გულშემატკივრები, რომ მის გამო საპყრობილეში ისხდნენ.

— ამ ამბავთან დაკავშირებით ახსნეს ირაკლი განუგრავაც.

— რა დაინტერესება უნდა ჰქონოდა ირაკლი განუგრავას? თუ ასეა, მაშინ მისთვისაც ზემოდან უნდა ეთქვა ვიღაცას — სტუდენტები გაუშვიო.

— სტუდენტები შესაძლოა მხოლოდ ორი მიზეზით გიყვნათ — ზემოდან მითითებით ან კიდევ დიდი საზღაურის ფასად. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავიანი ხელით რატომ გამოიყვანდნენ ყველნი დანას?

— გამოსარიცხი არც ერთი ვერსია არ არის. ამიტომაც არის აუცილებელი გამოძიების ჩატარება. გამომძიებლებმა უნდა დაასაბუთონ თავიანთი ქმედების მოტივი — ხელისუფლებისგან მიიღეს დავალება თუ ვიღაც ავტორიტეტებს გაუწიეს ანგარიში, რომელთა წინაშე რაღაც ვალდებულებები ჰქონდათ. სასამართლოს ამ სტუდენტების გაუსვლელობის შესახებ დადგენილება ჰქონდა გამოტანილი, ისინი თბილისში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ... დღეს კი ბათუმში იმყოფებიან. გვეუბნებიან პროკურატურისგან უწყება, რომ ჩვენების მისაცემად ჩამოსულიყვნენ, მაგრამ არ ჩამოდიან.

— იძულებით ჩამოყვანას აპირებთ?

— ეს უკვე სხვა საკითხია და ამგვარად პრობლემის გადაწყვეტა პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლებს გამომძიებლებს. ამიტომ სავსებით სამართლიანი იყო მათ მიმართ პროკურორის პრეტენზია და სასამართლოს განჩინება.

— ბოლოს და ბოლოს, როგორ აპირებთ ბათუმელი სტუდენტების დაკითხვას?

— ეს ცალკე უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს, ნებით მათ არავინ გამოგვაგზანს. ხომ გახსოვთ აკაკი ჩხაიძის ბათუმიდან ჩამოსაყვანად წაბეში გათვლილი სპეცოპერაცია დაგვეჭირდა შვეულმფრენებისა და კომანდოსების მონაწილეობით.

— იყო იმის აღბათობა, რომ ჩხაიძე არ გამოეტანებინათ თქვენთვის?

— რა თქმა უნდა. აბა, კი არ მეხალისებოდა იქ ჩაფრენა. რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ჩამოვიყვანოთ ეს ახალგაზრდები. როგორც პრეზიდენტმა თქვა, არ შეიძლება აჭარაშიც ისეთივე პრობლემები შეიქმნას, როგორიც აფხაზეთში იყო თავიის დროზე. დაუშვებელია, რომ იქ პოლიცია ვერ შედის, ეჭვმიტანილი ვერ გამოგყავს.

— ბატონო გიორგი, დღეს „რკინის კაცის“ სავარძელში ზიხართ, თქვენ როგორი კაცი ხართ?

— ჩვეულებრივი. ეს სავარძელი მართლაც მისია, არც ავული გამომიცვლია. ახალი მხოლოდ დფფა, რომელიც სამუშაოდ მჭირდება... ჰო, კიდევ სახელმწიფო დროშა და ოქროს ვარდი ახალი.

— ოჯახი როგორ ეგუება თქვენს ასეთ სამუშაო რეჟიმს?

— ვერ ეგუებიან. უხერხულია ჩემს ოჯახურ პრობლემებზე ველაპარაკო საზოგადოებას და ვიწუწუნო, თუმც გეტყვით, რომ დედა, მეუღლე და ოჯახის სხვა წევრები ძალზე უკმაყოფილნი არიან. გარკვეულწილად, ისინიც სანგარში სხედან იმიტომ, რომ თუ ვინმე ჩემთვის ცუდის გაკეთებას მოისურვებს, ისინიც საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებიან. ამიტომაც ჩვენს სახლთან დაყაენეს დაცვა, ფანჯრებს გისოსები გაუკეთეს. ასეთ რეჟიმს ჩემი მეუღლე ვერ იტანს. ძნელია იუპიტერის შუქქვეშ, ალიაქოთში ცხოვრება, მაგრამ რას ვიზამთ, ეს ჩვენი ცხოვრების ისეთი დეტალებია, რომელთანაც შეგეუბა გვინევს. სიმართლე გითხრათ, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ამ სავარძელში არ ჩავედებოდი. პარლამენტში გაცილებით კომფორტულად ვიყავი, მაგრამ თუ ყველამ ასე იმსჯელა, საქმეს ვინღა გააკეთებს. რაკი პასუხისმგებლობა ვიტვირთე და ამ ომში ჩავერთე, უკან აღარ დავიხევ.

— მაგრამ იყო შემთხვევა, როდესაც თქვენ უარი თქვით თანამდებობაზე.

— მაშინ ომი კი არა, პროფესიაცია იყო. მე შევარდნაძის მინისტრობაზე ვთქვი უარი.

— მოუხედავად იმისა, რომ ყვანიმაც გთხოვათ.

— მთხოვა იმიტომ, რომ მაშინ ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ სჯეროდა — შევარდნაძე რაღაცას გაკეთებსო. ალბათ ამბიციურ განცხადებად არ ჩამითვლით, მაგრამ შევარდნაძესთან მუშაობის ყველაზე მეტი გამოცდილება ჩვენს თანაგუნდელთაგან მე ქმნიდა. მე გახლდით ანტიკორუფციული კომისიის თავმჯდომარე და საკუთარ თავზე გამოვცადე, სწყინდა თუ უხაროდა შევარდნაძეს, როდესაც კორუმპირებული მინისტრების გვარებს ვასახელებდი და მათ მამხილებელ მასალებს მაგიდაზე ვუწყობდი. 1996 წელს, როდესაც ამ კომისიის თავმჯდომარეობას დავთანხმდი, შევარდნაძეს ვუთხარი — თქვენ არა მარტო პრეზიდენტი, არამედ პარტიის თავმჯდომარეც ბრძანდებით, შესაძლოა თუ არა კორუფციას რეალურად ებრძოლოთ-მეთქი? ვგულისხმობდი იმას, რომ კორუფციასთან ბრძოლა ქვეყანაში ერთგვარ დესტაბილიზაციას იწვევს (ხომ ხედავთ, დღესაც ამდენი კორუპირებულის დაპატიმრების გამო ჩვენი ბევრი მხარდამჭერი ჩვენს წინააღმდეგ აღაპარკადა. ამას იმიტომ ვუძღვებ, რომ ჯერ კიდევ დიდია საზოგადოების მხარდაჭერა). პრეზიდენტმა გულწრფელად ვუთხარი, ვიცი, წარმატების მხოლოდ 30%-იანი შანსი მაქვს. მზად ვარ, ამაზე წავიდე, თუ თქვენ ბოლომდე გვერდით დამიდგებით. თუკი ვინმეს დანაშაულს აღმოვაჩენ, ვინც უნდა დამირეკოს, უკან არ დავიხევ-მეთქი. დამთანხმდა, მაგრამ ენერგეტიკის მინისტრი როდესაც მოუხსენით, ეწყინა. ურთიერთობა გაგვიფუჭდა მას შემდეგ, რაც ფინანსთა მინისტრიც მოიხსნა. 6 თვე არ მელაპარაკებოდა თავისი 120-კაციანი ფრაქციის თავმჯდომარესა და მოადგილეს (პარტიაში). ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ დაურეკავს, აღარაფერს ვამბობ პირისპირ საუბარზე. არც მე შევხმიანებივარ — ვიცოდი, რაზეც იყო გაბრაზებული. ბოლოს ინჯიიც მოეხსენით, ამას აჭარის საკითხიც დაემატა (როდესაც მე ვთქვი, ეს ავტონომია ორი იმპერიის ინტერესების გათვალისწინებით შეიქმნა-მეთქი, შევარდნაძემ მოიბოდიშა ჩემი ნათქვამის გამო), ამის შემდეგ გაუსაძლისი გახდა საქართველოში ჩემი დარჩენა და შტაბებში წავედი.

შევარდნაძის პოზიციამ დამარწმუნა, რომ კორუფციის სისტემასთან ჩემს შებრძოლებას მხარდაჭერად და მისი პოლიტიკის განმორციელებად კი არა, დაპირისპირებად აღიქვამდა. როდესაც მთავარსარდალს სხვა რამ უნდა და შენ სხვა რამეს აკეთებ, რა გამოვა აქედან? მივხედი, რომ მას ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა — მთავრობაში წაეყვანეთ და გაეყვანეთ. ამ მიზნით ნაიყვანა მან მთავრობაში მიშა ააკაშვილი, მიშა მაჭავარიანი და ზურაბ ნოღაიდელი, მაგრამ ვერ მიაღწია მიზანს. წარმოგიდგენიათ, რა უბედურებაა, როდესაც ქვეყნის პირველ პირს ასეთი ზრახვები აქვს?

ხელისუფლებაში ყოფნით ფულის კეთება რომ მწდომებოდა, ვიტყოდი უარს საბაყოს, საგადასახადოსა და საგადასახადო ლეგიონის — ამ სამივე სტრუქტურის ხელმძღვანელობაზე? შუბლის ძარღვი რომ გამეწყვიტა, ნახევარ წელიწადში იმდენ სიმდიდრეს დავაგროვებდი (მარტო დანიშვნებით), ჩემს შთამომავლებს რომ ეყოფოდა, მაგრამ მე ასე ვერ ვიცხოვრებ. სადაც ღირს ომი, მზად ვარ ვიომო. მაშინ ომი არ ღირდა, ახლა კი ღირს. ამ საქმეს რომც შევწირო, ვიცი, მართალ საქმეს შევწირავი. აფხაზეთის ომში უფრო იოლი იყო ბრძოლა. ვიცოდი, რომ მტერი წინ იყო, ახლა კი პოტენციური მტერი შეიძლება ყველგან იყოს (360 გრადუსზე). საიდან გესვრიან და საიდან დაგიდებენ კვანტს, არ იცი. სხვათა შორის, ჩემთვის ტყვიაზე უარესი და მტკივნეულია მწარედ, ცილისმწამებლურად ნათქვამი სიტყვა. ამას მირჩევნია, ტყვია მესროლონ. სახელის გატეხას მართალი მირჩევნია თავის გატეხა.

ჩემი მოწოდება არ ყოფილა შს მინისტრობა, მაგრამ მითხრეს, ეს არის ერთ-ერთი ურთულესი უბანიო და სხვა გამოსავალი არ მქონდა.

მოვუწოდებდ პრესას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროკურატურას, გენერალურ ინსპექციას, რომ ჩაატარონ საკუთარი გამოძიებები თუნდაც ფარული კამერის გამოყენებით. ყველას უნდა ჰქონდეს განცდა, — თუკი უკანონობას ჩავიდენ, ვიღაც მაინც გამომიჭერსო. როდესაც დიდი ძალაუფლება გენიჭება, დიდი პასუხისმგებლობაც გეკისრება და შესაბამისი კონტროლიც გაქვს. მე კი, რაკი ამ ყულფში გავყავი თავი, სხვა არჩევანი არა მაქვს — ილუმინატორის შუქზე ვდგავარ, მაგრამ რას ვიზამ, ასეთია ჩემი ცხოვრება.

P.S. გვინდოდა, შს მინისტრის პოზიცია გაგვეგო ბასილ მკალავიშვილის მრეველის დარბევაზე, ფინანსთა მინისტრ ნოღაიდელის აჭარაში ხანმოკლე პატიმრობასა და ორშაბათს დაგეგმილი „ჩვენი აჭარის“ აქციაზე, მაგრამ გიორგი ბარამიძე პრეზიდენტს ახლდა სომხეთში და ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე მისი კომენტარი ვერ მოვისმინეთ.

ჩვენი მხრიდან კი ერთ რამეს ვიტყვით: ჩაძიება და ვინმესთვის ხინჯის ტეხა საქმედ არასდროს გაგვიგია — ყოველთვის სიმართლისა და მართლის თქმის პოზიცია გვქონდა. გასულ კვირას გლდანის ეკლესიის მრევლის დარბევის სცენების ნახვამ გვაფიქრებინა, ხომ არ მკვიდრდება ჩვენს ქვეყანაში კანონის უზენაესობის სახელით უკანონობა, რაგომ გაუსწორდნენ ასე სასტიკად ასაკოვან მამაკაცებსა და ქალბატონებს. იქნებ მართლაც აკლიათ ჩვენს სამართალდამცველებს კომპეტენცია და პროფესიონალიზმი. ალბათ, სწორედ ეს არის პრობლემა, თორემ მკალავიშვილის აყვანა უპრობლემოდ და ხმაურის გარეშე წინადღეს სახალხო დამცველის ოფისშიც ხომ შეიძლებოდა.

სამართალდამცველებს დიდი გამოცდა მომავალშიც ელით. აჭარაში მოსალოდნელი აქციები მათთვის ფაქტობრივად დანის პირზე გაგლა იქნება. იქნებ ამჯერად მაინც იმოქმედონ უშეცდომოდ, თორემ უნებლიე შეცდომამ შესაძლოა სისხლის ღვრამდეც მიგვიყვანოს.

იზო რკაძე

„ხელისუფლებაში საკუთრების ხელახალი გადანაწილების სურვილი გაჩნდა“

„მოსახლეობის 80%-ს აუცილებლობად მიაჩნია პარლამენტში ოპოზიციის მისვლა“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

ჩვენ არც ის დაგვიმალავს, რომ კანონპროექტი ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია. აუცილებელია, პარლამენტში იქნეს საფუძვლიანად განხილული, კანონპროექტი ვიღაცისთვის პრივილეგიების მიმნიჭებელი და ვიღაცისთვის კი ხელის შემშლელი არ უნდა იყოს.

— თვლით თუ არა, რომ ლარის კურსის მერყეობა ხელოვნური იყო და რას ემსახურებოდა ეს?

— ეროვნული ვალუტის რეგულირება საბაზრო პრინციპებით ხდება, მაგრამ ბერკეტები ყოველთვის ხელისუფლებას უპყრია ხელი. ის, რაც მოხდა, მართლაც კატასტროფა იყო — დოლარი მთელ მსოფლიოში მყარდება, საქართველოში კი მისი კურსი დაეცა. ამას მოჰყვა კიდევ ერთი უცნაურობა, — გაიაფების ნაცვლად, სამომხმარებლო ბაზარზე ფასები გაიზარდა. ამას მე „ეკონომიკურ გულგრილობას“ ვუწოდებდი. ძნელი სათქმელია, რა ჰქონდა მთავრობას ასეთი ქმედებით განზრახული. ბიზნესწრეებში ამ ფაქტმა დიდი შეშფოთება გამოიწვია — მეტი გადასახადის გადახდა მოგვიწევს და ეს ფასებს კიდევ უფრო გაზრდისო...

სწორედ დოლარის კურსის დაცემის გამო იყო, რომ ჩვენ ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის გაიაფება მოვითხოვეთ. ზოგიერთმა კი ეს მემარცხენე ლოზუნგად ჩაგვითვალა, მაგრამ იმ კომპანიებთან, რომლებთანაც კონტრაქტია დადებული, გათვალისწინებულია ლარის გაცვლითი კურსი; ანუ თუ ლარი გაუფასურდებოდა, გადასახადები უნდა გაზრდილიყო. მაგრამ ჩვენთან პირიქით მოხდა — გამყარდა ეროვნული ვალუტა და ამ კომპანიებს ზედმეტი მოგება წარმოექმნათ. გამოვიდა, რომ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მიმწოდებლები თითოეული მოქალაქის ჯიბეში ჩაძვრნენ.

დღეს მთავრობას სრული საფუძველი აქვს, მიმართოს სემეკს და ტარიფის გადასინჯვა მოითხოვოს.

— გასული საარჩევნო კამპანიების დროს თქვენ ამერიკელი იმიჯმეიკერების რჩევებს ითვალისწინებდით, ამჯერადაც უცხოელები გემსახურებიან?

— ადრე მართლაც გვყავდა ამერიკელი კონსულტანტები, მაგრამ ახლა ადგილობრივი რესურსებით ვმუშაობთ. აღარ გვაქვს ძვირადღირებული კლიპების გადაღების საშუალება და ამჯერად არც ჩემი მეგობარი ბასა ფოცხიშვილი შემოწუხებია.

დარწმუნებული ვარ, არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება და პარლამენტში შევალთ.

მარი ზანდუკელი

საქართველოს მინაგან საქმეთა სამინისტრო მოგმართავთ:

პოლიციას რეფორმებისათვის ესაჭიროება თქვენი მხარდაჭერა;

თუ თქვენ ფლობთ ინფორმაციას პოლიციელის მიერ დანაშაულის დფფარვის ან აღურიცხველობის შესახებ;

თუ თქვენ ფლობთ ინფორმაციას პოლიციელის მიერ ნარკოტიკების მოხმარებისა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში მონაწილეობის შესახებ;

თუ თქვენ ფლობთ ინფორმაციას პოლიციელის მიერ ადამიანის უფლების დარღვევის თუნდაც ერთი ფაქტის შესახებ;

დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში შემდეგ ნომრებზე:

99-53-50, 98-39-43

დავეხმაროთ პოლიციას, იმუშაოს ახლებურად და ჩადგეს ხალხის სამსახურში.

ერთი კაფსულა ჯანმრთელი და წარმატებული დღისთვის

ნატურალური ვიტამინომინერალური კომპლექსი „სინგლ დეი“ განკუთვნილია საქმიანი ადამიანებისთვის, რომელთა ცხოვრებაც დაკავშირებულია მომატებულ გონებრივ, ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვასთან, აგრეთვე მათთვის, ვისაც ნებისმიერ სიტუაციაში სურს იყოს ენერგიული, ჯანმრთელი და ლამაზი.

პრეპარატის საშუალებით შეგიძლიათ ხანმოკლე პერიოდში აღიდგინოთ შრომისუნარიანობა, იმუნიტეტი, მშვიდი ძილი და კუჭ-ნაწლავის სისტემის ნორმალური ფუნქციონირება, გაიუმჯობესოთ ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობა.

ხარისხის გარანტია – GMP-ის საერთაშორისო სტანდარტის სერტიფიკატი

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56
www.schiffvitamins.com

LEFIGARO შირაკს შეუძლია, რუსეთთან ჩვენი კეთილი შუამავალი გახდეს

36 წლის ქარიზმატული ლიდერი, თანამედროვე, მოღიმარი, სახენათელი გოლითი. მასში ანგლოსაქსური პრაგმატიზმი დიპლომატიის მოქნილობასთანაა შერწყმული. ფრანგულად ისევე თავისუფლად ლაპარაკობს, როგორც ინგლისურად, — ასეთი შთაბეჭდილება დატოვა საფრანგეთში სამდღიანი სამუშაო ვიზიტით ჩამოსულმა საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა. **მიხეილ სააკაშვილი** შეხვდა პრეზიდენტ ჟაკ შირაკს, საგარეო საქმეთა მინისტრ დომინიკ დე ვილპენს, შინაგან საქმეთა მინისტრ ნიკოლა სარკოზის და ეკონომიკის მინისტრ ფრანსის მერს. მან მოახერხა საფრანგეთის საქმიანი წრეების ქართული ბაზრით დაინტერესება. საქართველოში ამჟამად კორუფციის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლაა გაჩაღებული, ქვეყანას მაფიოზური ჯგუფებისგან ათავისუფლებენ. სახელმწიფოს სათავეში მოსული ახალი გუნდი ცდილობს, შექმნას ისეთი საგადასახადო სისტემა, რომელიც უცხოელ ინვესტორებს მიიზიდავს — ეს ერთადერთი გამოსავალია იმ ქვეყნისთვის, სადაც შემოსავლების 60% ჩრდილოვანი ეკონომიკის საკუთრებაა, — ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

— ვაშინგტონის შემდეგ მოსკოვსა და ბერლინს ეწვიეთ. ახლა პარიზში ჩამობრძანდით. რას ელით საფრანგეთისგან?

— ევროპაში ინტეგრაციის გზა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებზე გადის. საფრანგეთზე უკეთესად აბა, რომელი სახელმწიფო შეძლებს გაგვიადვილოს ევროპისაკენ სვლა. სწორედ საფრანგეთში გვყავს რევოლუციის შემდგომი წლების ქართველების ყველაზე დიდი დიასპორა. ჩვენი ხალხები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს ხასიათითა და ქმედებებით, ამიტომ ვაპირებთ ბევრ რამეში საფრანგეთის გამოცდილების გამოყენებას. მაგალითად, თქვენი მოდელის შესაბამისად შევქმენით ჟანდარმერია. ჩვენთვის მეორე, მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი საფრანგეთის და რუსეთის განსაკუთრებული ურთიერთობაა. მე ბევრი ვესაუბრე რუსეთზე ჟაკ შირაკს, რომელიც მოხიბლულია ამ ქვეყნით. იგი მართალს ამბობს, — რუსეთის მიმართ მომთმენი უნდა ვიყოთ, მიუხედავად მათი ზოგიერთი უცნაური საქციელისა, უნდა შენყდეს რუსეთის შეურაცხყოფა, თუმცა ეს კაპიტულაციის სულაც არ ნიშნავს. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა ომებთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული, რამაც ერთგვარი სიფხიზლე გამოგვიმუშავა. თუმცა, მაინც მჯერა შირაკის პოლიტიკისა, რომელიც მოსკოვთან ჩვენი ურთიერთობის ახალ ტონზე გადასვლის ითვალისწინებს.

— თქვენ ოპტიმისტურად ხართ განწყობილი პუტინის მიმართ. რა გაძლევთ ამის საფუძველს, მაშინ როცა ავტორიტარული ტენდენცია იზრდება?

— მართალი ხართ, რუსეთში დემოკრატიის მხრივ ყველაფერი წესრიგში არ არის. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პუტინი ნამდვილად პოპულარულია. კიდევ ერთი, კრემლში ხელისუფლების კონსოლიდაციას ჩვენთვის დადებითი ასპექტებიც აქვს. ელცინის ეპოქაში ეს ძალიან რთული იყო, ზოგიერთი გენერალი უფრო მეტ ძალაუფლებას ფლობდა, ვიდრე პრეზიდენტი. პუტინის მიერ ძალაუფლების კონსოლიდაციამ ეს ქაოსი გაფანტა.

— განა პუტინმა გაცილებით მეტი უფლება არ მისცა გენერლებს, რომლებმაც ომი გააჩაღეს ჩეჩნეთში?

— ჯერჯერობით, კრემლსა და სამხედროებს შორის ურთიერთობა სრულად არ არის მოწესრიგებული. მაგალითად, ამ ერთი თვის წინ რუსეთს შევთავაზე, რუსულ-ქართულ ჯარებს პანკისის ხეობაში ერთობლივი პატრულირება განეხორციელებინათ. პუტინმა გაიზიარა ეს წინადადება, მაგრამ სამხედროებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. პუტინი ძალიან პრაგმატულია. მას სურს ძლიერი და თანამედროვე რუსეთის შექმნა და იცის, რომ მართვის ძველი მეთოდები უკვე აღარ გამოდგება. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ არჩევნების შემდეგ ახალი პუტინი გამოჩნდება.

— რა აზრის ხართ მის შეხედულებაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის შესახებ, უსაფრთხოების ზონაზე?

— რუსეთისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საკითხი, თუმცა ეს სამხედრო ბაზებზე არ უნდა იყოს დამყარებული. რუსულმა ბაზებმა უნდა დატოვონ საქართველოს ტერიტორია. ჩემთვის მთავარია ამ ქვეყანასთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის განვითარება. პუტინმა განაცხადა, სსრ კავშირის დაშლა XX საუკუნის ტრაგედიაა, რასაც ვერაფრით დავეთანხმები, მაგრამ მან ისიც იცის, რომ ყველაფერი დასრულდა.

— ამბობენ, რომ ამერიკის გაგლენა თქვენს რეგიონზე საკმაოდ გაიზარდა. რას ეტყს აშშ კაკეასიაში?

— აშშ-ის მიზნები სულ სხვაა, ვიდრე ამას ევროპაში ფიქრობენ. ამბობენ, რომ მას ნავთობი იზიდავს, მაგრამ არ არის მართალი. მე ვესაუბრე ბუშს ამერიკაში ვიზიტისას და დავასკვენი, რომ იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საერთო ღირებულებების ჩამოყალიბებითაა დაინტერესებული. ეს ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიზაციის პროცესის იდეას ემთხვევა. ბევრი მისი ქმედება სწორედ ამით არის განპირობებული.

— ფიქრობთ, რომ საქართველოს მოდელი შეიძლება სამაგალითო გახდეს თანამეგობრობის დანარჩენ სახელმწიფოებისთვის?

— მართალი გითხრათ, საქართველოში ჩემი არჩევით საკმაოდ შეშფოთდნენ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ლიდერები. როცა კერძო ვიზიტით ვიყავი კიევში, ზოგიერთმა ჩე გევარას შემადარა — თითქოს მზად ვიყო რევოლუციის ექსპორტის მოსახდენად. მაგრამ რევოლუციებისა და ცვლილებების ექსპორტი შეუძლებელია. იგი მომწიფებულ საზოგადოებას მოითხოვს. დარწმუნებული ვარ, რომ გეოპოლიტიკის შეცვლა ახალი გუნდის მოსვლით არის შესაძლებელი, რადგან იგი ახლებურ ადმინისტრირებას, ახალ მიდგომებს განახორციელებს. თუ დემოკრატიული სახელწიფოების პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ჩამოვლენ, ეს ქვეყნები დასავლური აზროვნების რელსებზე გადავლენ, ამით კი ევროპა არნახულად გაფაროთვდება. მაგალითად, თუ უკრაინაში დემოკრატიული ცვლილებები განხორციელდება, იგი ორასმ წელიწადში ევროგაერთიანების წევრი გახდება. რუსეთშიც ამის მსგავსი შეიძლება მოხდეს. ვფიქრობ, რუსეთის მოდერნიზება გეოპოლიტიკის შეცვლას გამოიწვევს.

ერევანი საქართველოს პრეზიდენტს გულთბილად შეხვდა

სააკაშვილი შეხვდა ქართული სათვისტომოს წევრებს, მოინახულა ეწმიაძინი, ეწვია ყოველთა სომეხთა კათალიკოსს გარეგინ მეორეს.

ერევნიდან მოსული ცნობებით, საქართველოს პრეზიდენტს პომპეზური შეხვედრა მოუწყვეს. ეტყობა, სომხეთმა გადაწყვიტა, მასპინძლობით ეჯობნა მეზობელი აზერბაიჯანისთვის, სადაც საქართველოს პრეზიდენტს საკმაოდ მოკრძალებულად დახვდნენ. ამ ვიზიტის დროს მარტო პროტოკოლის ღონისძიებები როდი ჩატარდა, არამედ კულტურულიც — მიხეილ სააკაშვილს დიდი რეჟისორის, სერგო ფარაჯანოვის მუზეიმი დაათვალიერებინეს და გულუხვად გაუმასპინძლდნენ.

რეგნუმ რუ

აჭარის „გეგისტეგი“ — საქართველოს წინააღმდეგ

ოფიციალურ თბილისსა და აჭარას შორის ურთიერთობა დაძაბულია. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აჭარას ულტიმატუმი წაუყენა — ათ დღეში გააუქმონ ავტონომიის უშიშროების სამინისტრო. საქართველოს ლიდერმა იმ სპეცრაზმელების მოძებნა და დასჯა მოითხოვა, ვინც თბილისელი ჟურნალისტი სცემა. აჭარის მეთაურმა ასლან აბაშიძემ გარკვევით აგრძნობინა ყველას, რომ ამ მოთხოვნებს არ შეასრულებს.

საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვეტილება აჭარის უშიშროების სამინისტროს გაუქმების შესახებ, ასე ახსნა: „ერთ ქვეყანაში არ შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო უშიშროების ორი სამინისტრო, ამასთან, მაქვს მონაცემები იმის შესახებ, რომ აჭარის უშიშროების სამინისტროს მუშაკები ჯაუშურ საქმიანობას ეწევიან საქართველოს წინააღმდეგ“. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უშიშროების სამინისტროში ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და აცხადებენ: გადაწყვეტილება მიღებულია, რეგიონი დაექვემდებარება ბრძანებას, გართულება არ იქნება. ამავე დროს, თავად ბათუშში მ. სააკაშვილის განცხადებამ ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. ასლან აბაშიძემ აჭარის ტელევიზიით გამოსვლისას ცენტრი რეგიონზე უპრეცედენტო ზეწოლაში დაადანაშაულა — თავისი გადაწყვეტილებით, სააკაშვილი აჭარის კონსტიტუციას არღვევს, რის მიხედვითაც რესპუბლიკას, თავდაცვის სფეროს გარდა, საკუთარი სამინისტროების და უწყებების ფუნქციონირების უფლება აქვსო. აჭარის სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა გოგი კუპრეშვილმა კომენტარებისგან თავი შეიკავა. სამაგიეროდ, თბილისში ავტონომიის მეთაურს მხარი მისმა წარმომადგენელმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა დაუჭირა, რომელმაც გაზეთის კორესპონდენტს განუცხადა, ამგვარი რეფორმები აუცილებლად აჭარის ლიდერთან შეთანხმებით უნდა კეთდებოდეს და არა ერთპიროვნულადო. აჭარის რეჟიმის ოპონენტმა, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ, დავით ბერძენიშვილმა კი თქვა: „მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება საქართველოს კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება, პრეზიდენტის უფლებამოსილების ჩაჩრეოს არ სცილდება და ამიტომ იურიდიული დავის საგანი არ შეიძლება იყოს. ასლან აბაშიძე იძულებული იქნება, დავმორჩილოს ამ გადაწყვეტილებას, თუ არა და, საბოლოო სიტყვას აჭარის ახალარჩეული პარლამენტი იტყვის“. ამასთან, ქართველი რესპუბლიკელების ლიდერი გადაჭრით უარყოფს ავტონომიაში ძალისმიერი მოქმედებების შესაძლებლობას. განსხვავებული აზრისაა სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მუშაკი, ამჟამად დამოუკიდებელი ექსპერტი ნიკა ლალიაშვილი, რომელიც ძალოვან ვარიანტსაც არ გამორიცხავს. ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ცენტრი იძულებული იქნება გადამწყვეტი ზომები მიიღოს. „მიღებულია შეიარაღებული სტრუქტურის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება, თუმცა, მათი წევრები კვლავ იარაღით დადიან, იკრიბებიან, რაღაცაზე მსჯელობენ... ეს კი არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსის, არამედ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევაცაა. ვფიქრობ, ცენტრის მოქმედება სრულიად გამართლებული იქნება“. ბათუმი პრეზიდენტის ულტიმატუმს „ავტონომიის სტატუსზე ზეწოლად“ მიიჩნევს და აფრთხილებს, რომ ამან შეიძლება „სერიოზული საერთაშორისო სკანდალი გამოიწვიოს“. პრეზიდენტმა სააკაშვილმა კი საფრანგეთიდან მიანიშნა, რომ ვერავითარ დემარშს ვერ აიტანს. „მინდა ყველას მოვაგონო, — უთხრა მან პარიზში ჟურნალისტებს, — რომ ნათქვამი უკან არ მიმაქვს. რასაც ვამბობ, ვასრულებ... ყოველგვარი დაუმორჩილებლობა ძალიან მკაცრად აღიკვეთება“.

ნეზავისიმაია გაზეტა №48

აბაშიძემ რუსეთს სააკაშვილის შეჩერება სთხოვა

13 მარტს, მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე აჭარის მეთაურმა ასლან აბაშიძემ მსოფლიო თანამეგობრობას მოუწოდა, შეაჩეროს აჭარაზე თბილისის ზეწოლის მცდელობა. „მინდა ხმა მივაწვდინო ევროპის საბჭოს და გაეროს უშიშროების საბჭოს, ჩვენს მეზობლებს — რუსეთს, თურქეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, ევროპის მოწინავე ქვეყნების ხელმძღვანელებს, რათა შეაჩერონ ძალა, რომლის ქმედება მძიმე შედეგებს გამოიღებს.“ აბაშიძემ აღნიშნა, რომ სარწმუნო წყაროს ცნობით, ორშაბათს, 15 მარტს, საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან აჭარისკენ ასი ათასამდე ადამიანი დაიძვრება. მათ შორის სამხედრო პირებიც — საქართველოს შინაგანი ჯარებისა და „კომანდოსის“ შენაერთები. წინ კი ცოცხალ ფარად ქალებს დაიყენებენ. რუსეთი და მეზობელი ქვეყნები ვალდებულნი არიან, დაიცვან აჭარა ძალადობისგან, — განაცხადა აბაშიძემ.

იტარ-ტასი

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილება, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრად საფრანგეთის ელჩის, **სალომე ზურაბაშვილის** დანიშვნის თაობაზე, იმეიათი ნაბიჯია; ეს ორი ქვეყნის ურთიერთკეთილგანწყობაზე მიუთითებს და ადასტურებს საფრანგეთის გაწმრახვას, გვერდში დაუდგეს საქართველოს ამ ისტორიულად მეტად მნიშვნელოვან დროს.

პარიზი, 11 მარტი, 2004 წელი

Le Monde

მიხეილ სააკაშვილი: „საქართველო ევროპის ნაწილად მიიჩნევს თავს“

(ამონარიდი ინტერვიუდან)

— ვარდების რევოლუციის შემდეგ ევროგაერთიანებამ ამერკავკასიის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) ქვეყნებთან უკეთ პარტნიორობის მიზნით, ამ სახელმწიფოების ერთ კონტექსტში მოსხესნება გადაწყვეტა. საინტერესოა, რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

— ვარდების რევოლუციამ ამ მხრივაც გადამწყვეტი როლი ითამაშა. საქართველო, როგორც გეოგრაფიულად, ისე კულტურული თვალსაზრისით, ევროპის ნაწილად მიიჩნევს თავს. ქართველები ენთუზიაზმით აღსავსე ევროპელები არიან. ევროპული პროექტი ჩვენი, სამი სახელმწიფოს, ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნას აპირებს, რის შესახებაც ვესაუბრე აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს. მან ამ საკითხის განხილვისთვის მზადყოფნა გამოთქვა. ამავე თემაზე გვექნება საუბარი სომხეთის პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანთან.

— საქართველოში ფართომასშტაბიანი ანტიკორუფციული ოპერაციები მიმდინარეობს. რაიმე კონკრეტული პროგრამა გაქვთ შემუშავებული?

— ჩვენი უპირველესი ამოცანა — უსაფრთხო გარემოს შექმნაა. კრიმინალური სიტუაცია, რევოლუციის წინა პერიოდთან შედარებით, საკმაოდ შეიცვალა, რადგან საქართველოს მაშინდელი მთავრობა მთავარი მაფიოზური დაჯგუფება იყო! ჩვენ დავაკავეთ მინისტრები, კრიმინალური ბანდები. მერწმუნეთ, ეს არც ისე იოლი საქმეა! ამ დაჯგუფებებს უფრო მეტი წონა ჰქონდა ჩრდილოვან ეკონომიკაში, ვიდრე რომელიმე მინისტრს. ჩვენი მიზანია, ჩრდილში მოქცეული ეკონომიკის (60%) კანონიერ ჩარჩოებში გადაყვანა. ეკონომიკისადმი ასეთი მიდგომაა სწორედ იმის მიზეზი, რომ ყოფილი საბჭოთის ქვეყნებში იგი თითქმის არ არსებობს. ამ პირობებში რაიმეს გაუმჯობესებასაა და მით უმეტეს, განვითარებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. საგადასახადო სისტემის შექმნას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასაც ჩვენს მთავარ პრიორიტეტებად მივიჩნევთ. დაბოლოს, ძალისხმევას არ ვიშურებთ კონტრაბანდის შესამცირებლად, რისი არსებობაც საქართველოსთვის, როგორც საუკეთესო სატრანზიტო ქვეყნისთვის, შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.

გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲑᲘ ᲒᲘᲠᲘᲝᲡᲢᲝᲑᲘᲡ

პატარა **ნინი ᲨᲣᲒᲘᲗᲘᲫᲔ** დედა გაბრაზა. დედამ დატუქსა: — ძალიან ცელქობ და დღეიდან რეჟიმში ჩაგსვამო. ნინიმ ბებუასთან მიირბინა:

— ბებუ, შენც ჩემთან ერთად ჩაჯექი რეჟიმში, თორემ მარტოს შემეშინდება.

***

4 წლის **ᲐᲜᲣᲙᲘ ᲮᲝᲠᲜᲐᲣᲚᲘ** ბებოს სთხოვს, მშიაო. ბებო ქურასთან ტრიალებს.

— ცოტაც მოითმინე, ჯერ ნახევრად არის მზად... — ეუბნება ბებო.

— მერე ნახევარი დამისხი რა, ბებო? — შეეხვეწა ანუკი.

***

2 წლის **ᲨᲐᲙᲣᲜᲐ ᲛᲣᲠᲣᲨᲘᲫᲔ** თამაშობს, თან ტელევიზორს უსმენს. ტელევიზორში სიტყვა „თავისუფლება“ ახსენეს.

— დედიკო, ლა ალის თავისუფლება?

პასუხს არ დაელოდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ძალიან ლომ გაგაჯავლებ და მაინც ალ გამლახავ?

***

პატარა **ᲓᲐᲗᲐ ᲗᲐᲓᲣᲛᲐᲫᲔ** დედას ეკითხება:

— ბებიკომ ხაჭაპურში ამდენი ყველი „ჟუვაჩკა“ რატომ ჩადო?

I ᲐᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘ

1) ამ უნივერსიტეტებიდან რომელია გერმანიაში?
ა) იენის; ბ) ჰარვარდის; გ) ოქსფორდის; დ) კემბრიჯის.

2) რომელია ზედმეტი?
ა) კონგრესი; ბ) სიმპოზიუმი; გ) კონსულტაცია; დ) კონფერენცია.

3) რომელი ტაძარია კახეთში?
ა) სამთავისი; ბ) ნიკორწმინდა; გ) ოშკი; დ) ნეკრესი.

4) რომელია ისრაელის ფულის ერთეული?
ა) იენი; ბ) ლირა; გ) დინარი; დ) შეკელი.

5) რას ნიშნავს ლათინურად სიტყვა „დეპუტატი“?
ა) ყოველისმცოდნეს; ბ) კარგ მოსაუბრეს; გ) რწმუნებულს; დ) პარტიის წევრს.

6) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ნიშნავს რაშეში ხელის შეშლას, იმედგაცრუებას?
ა) ხელი მოეცარა; ბ) ხელი წაუცდა; გ) ხელი გადაუბრუნდა; დ) ხელი მოაკლდა.

7) ვინ არის კომპოზიტორი ილია ჭავჭავაძის ლექსზე შექმნილი სიმღერისა — „ჩემო კარგო ქვეყანავ“?
ა) ზ. ფალიაშვილი; ბ) რ. ლაღიძე; გ) გ. ცაბაძე; დ) ბ. კვერნაძე.

8) იბერიის მეფე, რომელმაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა?
ა) ფარსმანი; ბ) ფარნავაზი; გ) მირიანი; დ) ვახტანგ გორგასალი.

ᲚᲝᲪᲕᲐ

ᲑᲘᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

ხალხი ყოველი მხრიდან მოდიოდა იესოსთან და იესოც ასწავლიდა მათ: „როდესაც ლოცულობ, ნუ ემსგავსები თვალთმაქცთ, რომელთაც უყვართ სინაგოგასა თუ ქუჩის კუთხეში დგომა და ლოცვა, რათა თავი მოაჩვენონ ხალხს. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური. შენ კი, როდესაც ლოცულობ, შედი შენს სენაკში, მოიხურე კარი და ილოცე მამის შენის მიმართ ფარულად; და მამამ შენმა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად, ხოლო ლოცვისას ნუ იტყვით ზედმეტს, წარმართთა მსგავსად, რომელთაც ჰგონიათ, რომ სიტყვამრავლობის გამო შესმენილ იქნებიან. ნუ ემსგავსებით მათ, ვინაიდან მამამ თქვენმა, ვიდრე სთხოვდეთ, მანამდე იცის, თუ რა გჭირდებათ.

ასე ილოცეთ:

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავ სახელი შენი. მოვდინ სუფევა შენი, იყავ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ.

თუ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, თქვენც მოგიტევებთ მამა თქვენი ზეციერი. ხოლო თუ არ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, არც თქვენს შეცოდებებს მოგიტევებთ მამა თქვენი ზეციერი. და როდესაც მარხულობთ, ნუ იქნებით მწუხარენი, თვალთმაქცთა მსგავსად, თავპირი რომ ჩამოსტირით, რათა მმარხველად ეჩვენონ ხალხს. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური. ხოლო შენ, როდესაც მარხულობ, თავს იცხე და დაიბანე პირი შენი. რათა ხალხს კი არ ეჩვენო მმარხველად, არამედ დაფარულში მყოფ მამას შენსას; და მამან შენმა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად.“

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ კუზიანი ცხოველის სახელს.



ᲘᲞᲝᲕᲔ 10 ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ



ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲜᲘᲚᲔᲗ 31-ᲖᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲖᲚᲐᲪᲠᲔᲑᲘ
+4 ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ 50-ᲛᲓᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲖᲚᲐᲪᲐᲠᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲘᲒᲜᲘ-ᲖᲚᲐᲪᲐᲠᲘ + ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ
1 ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ 20 ᲗᲔᲗᲠᲘ ᲦᲘᲠᲘ

ᲖᲚᲐᲪᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲐᲖᲗᲝ ᲯᲘᲮᲣᲠᲔᲑᲨᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲔᲑᲨᲘ

ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ!

ᲞᲐᲒᲐᲠᲐ ᲛᲔᲥᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲖᲚᲐᲪᲐᲠᲘ „ᲜᲐᲪᲐᲠᲫᲔᲥᲘᲐ“ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲘᲡᲒᲐᲛᲔᲑᲐ

ქუჩაში ამღერებული უფლის ანგელოზი...

ზის და გულგრილად ადევნებს თვალს, თუ როგორ ცვლის წუთისოფლის კალენდარზე გაზაფხლის ზაფხოლი და შემოდგომას ზამთარი. ის ამ ქუჩის განუყოფელი ნაწილია, ხელში ფანდურით და მისი გაუხეშებული გარეგნობისთვის შეუფერებელი წკრიალა ხმით მღერის. არასოდეს ითვლის, ვინ რამდენს გაიღებს მოწყალებად, რას ჩაუდებენენ თუნუქის კოლოფში...

ლალე, ლალე, დივლი-დალალალე,

ჩემო ლამაზო სამშობლოო,

შენ კი გენაცვალე-ე!..

...არ გამოველაპარაკებოდი, იმ დღეს მომხდარი ერთი უცნაური ფაქტი რომ არა: სიმღერა შეწყვიტა ქალმა და უწეველო თბილი ხმით მოუხმო თავისთან ვიღაცას: „მოხვედით, ჩიტფუნები?!. მოდით, მოდით... შეგაცივდათ?! უი, როგორ გაგთოშიათ თითები... ისევ გამოხვედით ქუჩაში?“

7-8 წლის გოგონები მიუახლოვდნენ, ღარიბულად ჩაცმულები...

ქალმა ყუთიდან იმ დღის მონაგარი ამოიღო და თანაბრად გაუყო ორივეს, ჯიბეში ჩაუდო: — არ დაკარგოთ, შინ გაიქეცით, ცოტა ხანს პურის ფულად გეყოფათო...

გოგონები მომღერალ ქალს გამოეშვიდობნენ და გაიქეცნენ...

...გული ყელში მომებჯინა. მერე მივედი და გვერდით მიეუჯექი ხიდის მოაჯირზე მოკალთებულს: — შენი ახლობლები იყვნენ? — ვკითხე...

— არა, მე მაგის ბედი ვინ მოცა, ეს ანგელოზები ჩემს ბუდეში იყვნენ. არ ვიცი, ვისი შვილები არიან, მაგათი დედა არასოდეს მინახავს, თავად ამბობენ — ავადაო! რამდენიმე თვის წინ ვნახე პირველად სამათხოვროდ ქუჩაში გამოსულები, არადა, ხელის გაწედასაც ვერ ბედავდნენ, რცხვენოდათ, რაღაცნაირად იყვნენ მობუზულები... ჩემი ბავშვობა გამახსენეს, თავიდან მეც ვერ ვბედავდი მოწყალების თხოვნას, არადა, ეს სულაც არაა სირცხვილი და იცი, რატომ?! — მათხოვარი ბეჭით ადამიანისთვის სულის გაწმენდის საშუალებაა... როცა კაცი მოწყალებას გასცემს, ე.ი. სიბრალული შეუძლია, აქედან გამომდინარე კი, სული უმსუბუქდება და ავის კეთებისთვის ხელი არ მოუბრუნდება... თუ კეთილი არ ხარ, მოწყალების გაცემას ვერ შეძლებ და სული გაგიკერპდება!.. ფული რაა — დღეს რომ მილიონი გაქეს, ხვალ შეიძლება პურის ფულიც აღარ გქონდეს. ჰოდა, თუ ადრე არავინ განგიკითხავს, არც შენ გექნება დახმარების იმედი და შეიძლება თავის მოკვლის სურვილიც გაგიჩნდეს, თუ მანამდე თავისით არ გაგისკდა გული...

...ამ პატარებს, იცი, რატომ გაუჭირდათ სამათხოვროდ ხელის განდგენა?! — სისხლი თავადებისა აქვთ. სახელოვანი წინაპრები ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რომ მათი შთამომავლები ქუჩა-ქუჩა ირბენდნენ შვივრები და შეშინებულები?!. ე-ეჰ, ახლანდელ მდიდრებს რომ შეეძლოთ ამაზე ფიქრი... განა ანგელოზები უნდა მათხოვრობდნენ?

— რა გქვია?! — ვკითხე ქალს, რომელიც ალბათ ბევრად ახალგაზრდა იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა...

— არც სახელი მაქვს, არც გვარი... ბავშვთა სახლის კიბეზე ვუნახივარ

სანიტარს დაგდებული ორიოდე დღის ჩვილი... — ისე სუსტი იყავი, არ გვეგონა თუ გადარჩებოდიო! მე კი გადავრჩი...

— ბავშვთა სახლში გაიზარდეთ?

— ორი წლისა ამიყვანა უშვილო ცოლ-ქმარმა... ხომ ისე პატარა ვიყავი და ვგრძნობდი, არ ვუყვარდი დედობილს, ამიტომ ვერაფრით ვერ დავუძახე დედა. ამანაც შეუწყო ალბათ ხელი იმას, რომ ადვილად გამიმეტეს...

— როგორ თუ გაგიმეტეს?

— სრულიად ჩვეულებრივად. კატის კნუტივით დამავლეს ქეჩოში ხელი და ორი წლის შემდეგ, 4 წლისა უკანვე მიმაბრუნეს ბავშვთა სახლში... ღამეებს ტირილში ვათენებდი, სიცხეს მაძლევედა, მაინც ის ქალი და სახლი მენატრებოდა, სადაც ორი წელი გავატარე, ღმერთს ვეხვეწებოდი: — ოღონდ მოვიდეს და ისევ წამიყვანოს, მოვეფერები, დედასაც დავუძახებ და ყველაფერს დავუჯერებ-მეთქი. იმან კი სხვა ბავშვი წაიყვანა... შვიდი წლისა გავიპარე ბავშვთა სახლიდან პირველად... დამაბრუნეს და დამსაჯეს... მაინც გავიქეცი...

— რატომ გარბოდი?

— არ ვიცი! მართლა არ ვიცი... რომ არ გავქცეულყავი, გული გამისკდებოდა და მოვკვდებოდი!... მაშინ დავინყე მოწყალების თხოვნა, გამიჭირდა ძალიან, თან ახლა რომაა, ისე კი არ იყო მაშინ, იშვიათი იყო მათხოვარი ბავშვი, ისიც ქართველი...

— ფანდურზე დაკვრა სად ისწავლეთ?

— ბავშვთა სახლში. სიმღერამაც გადაარჩინა ჩემი გული გახეთქვას... სიმღერა საოცრებაა... ასე მგონია, სულ პირველად ატირებულმა ადამიანმა დაინყო სიმღერა...

— სახლი გაქვთ?

— გაიჩნია რას ეძახი სახლს. ეს ქუჩაა ჩემი სახლი!...

— ოჯახის შექმნა არ გიცდია?

— ბავშვთა სახლის შემდეგ პროფტექნიკურში ვსწავლობდი და იქ ერთი ბიჭი შემიყვარდა, მასაც ძალიან ვუყვარდი, მაგრამ მისმა მშობლებმა დაგვაშორეს: — უპატრონოს შინ არ შემოვუშვებთო! ის ბიჭი გაპარვას მთავაზობდა, — ბოლოს და ბოლოს, გვაპატიებენო! მაგრამ უარი ვთქვი... რაღაცა ჩამწყდა გულში და მიეხვდი, რომ...

— რას მიხვდი!.

— რომ ჩემი ადგილი არ იყო დედამიწაზე... სერიოზულად ვფიქრობდი თავის მოკვლაზე, მაგრამ შემეშინდა, ღმერთის შემეშინდა... „სიცოცხლეში დამდაბლებული — ზეცაში განდიდდები!“ — ბიბლიაში წერია...

— ეგ ვინ გასწავლა?!

— ვიცი... ვიცი და მე ის უფრო მეცოდება, თავი რომ ღმერთი ჰგონია, რადგან მდიდარია... შენ მდიდარი ხარ? — მკითხა რატომღაც.

— არა-მეთქი! — დავიბენი.

— ღმერთის წმამს? — მკითხა.

— რა თქმა უნდა!..

— ჰოდა, მდიდარო ყოფილხარ!..

...მერე ფანდური მოიმარჯვა და საოცრად ჩაინკრიალა ხმამ: „ჩემო კარგო ქვეყანა-ავ!..“

...ჯიბიდან ხურდები ამოვიღე და თუნუქის ყუთში ჩავუყარე... არც შეუმჩნევია!..

ისევ გულგრილი მზერა მიიაყრო ქუჩას...

ნიშა ხარის წმინდა ცრემლები...

სხვას რომ ეთქვა და საკუთარი თვალით არ მენახა, გამიჭირდებოდა დაჯერება: წინა დღით ბებერი ხარი დაეკლა შიო პაპას და ხორცი სოფლისთვის დაერიგებინა: ძმასავით მედგა ლაბა გვერდით, მაგის ხორცს რა შემაჭმევს ან რა გამაყიდვინებს, წაიღეთ, ღმერთმა შეგარგოთ. პირუტყვი ღმერთს კაცის საკვებად გაუჩენია, ხომ არ გადავყარი, აბა, ხორცს, როცა ქვეყანაზე ამდენი მშიერი დაიარებაო...

არა, მოხუცი შიოს სიკეთეს კი არ გავუკვირვებივარ, მე ლაბა ხარის მეწყვილის — ნიშას რეაქციამ გამაოგნა, რომელიც მიწაზე შემშრალი მეგობრის სისხლთან წინა ფეხებზე ჩამუხლული თვალცრემლიანი ზმუოდა... არ გაბყუფთ, მარილა ტიროდა ხარი და მის დამშვიდებას ამაოდ ცდილობდა შიო პაპა: „ჰო, კარგი გეყო, ნიშავ, განა მე კი არ მტკივა გული, რო ლაბა აღარა გვყავს, მაგრამ დაბერდა, აღარ შეეძლო, ურემი ლოდივით ემძიმებოდა და ქედს უღუნავდა, მუხლიც აღარ მიჰყვებოდა... განა არ ვიცი, რომ მის დახმარებას ცდილობდი... არადა, მისთვის სიცოცხლე წვალება იყო. დრო მოვა და შენც დაბერდები, თავად გაიწვდი წინ კისერს და არ შეგეშინდება, რადგან უძლურება სიკვდილზე უფრო საშიშია!.. ასე სჯობდა ლაბასთვის, დამიჯერე... ახლა გამიმყე, ახალგაზრდა კუდა-ხარი უნდა შეგიბა უღლის გამწეკად. უნდა დაეხმარო, ისევე როგორც თავის დროზე შენ გასწავლა ლაბამ უღელში დგომა. მერე კუდა მოიყრის მუხლს შენი სისხლის წინ და ის იტირეს. მანამდე კი ორთავე ჩემს კუბოს წამოიღებთ ძლიერ ქედზე და ციმეგ ამიგანთ წინაპართა სასაფლაოზეო... თქვენ მაინც ნუ მიტირებთ, იმოდენა წუთისოფელი გამოვიარე, ჩემზე ახალგაზრდები წავიდნენ... იმათაც უკვირთ, ალბათ ჩემი აქ ყოფნა. კმარა, ტირილი, ნიშავ, კმარა, წამო, კაცო! მეც გული მაქ, მეტი კი არ შემიძლია!..“

კიდევ ერთხელ დაიზმუვლა ნიშამ და მორჩილად გაჰყვა შიო პაპას. მინდოდა გაგყოლოდი, მაგრამ... იმაზე მეტი რაღა უნდა ეთქვა 87 წლის მოხუცს ჩემთვის, რაც თავის ხარს გაუმხილა...

ნიშას ცრემლი მით უფრო შემაძრწუნებელი იყო, იმ მკვლელობის ფონზე, რომელიც იმავე სოფელში ორიოდე კვირის წინ მოხდა: 42 წლის მამაკაცმა თანშეზრდილი ბიძაშვილი გაიმეტა, დაუნანებლად აღმართა დანა თანატოლზე და რისთვის, მერე — ვალად წაღებული ფული რომ არ დაებრუნებინა უკან და სხვისი ნაშრომი მიეთვისებინა...

მკვლელზე ამბობდნენ — არ იყო ცუდი კაციო. უფროს მეტიც, არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ კაცის მოკვლა შეეძლო, თანაც ვისი, ძმებივით ერთი ბებიის კალთაში ამოიზარდნენ, ჭირი და ლხინი გაუყოფელი ჰქონდათო!..

იქნებ სულ ტყუილად გვგონია ადამიანებს თავი ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე სრულყოფილებად და სწორედ ნიშაა ის, ვისაც ჩვენზე მეტი სისხლიც აქვს, გულიც და სიყვარულიც ჩვენზე მეტად შეუძლია!.. იქნებ ჩვენზე ბევრად მეტი იციან სიკვდილ-სიცოცხლეზე...

შიო პაპას და მისი ხარების ამბავმა ბაბუაჩემი გამახსენა, რომელიც მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც ვაში შეუგიენ — ვის რაში სჭირდება შენი ვენახი, ღვინოს ყურძნის გარეშეც მშვენივრად „გავაკეთებთო“!.. ამაოდ ცდილობდა მოხუცი ახალგაზრდებისთვის დაემტკიცებინა, რომ ვაში არც მხოლოდ ყურძენი იყო, არც მხოლოდ ღვინო ან არაყი... რომ ვაში საქართველოს სიმბოლო იყო, სალოცავი და საფერებელი...

მაინც გაუჭეხეს ვენახის ნაწილი, არ ვიცი, თხილის და არ ვიცი, საზამთროს დათესვას აპირებდნენ მის ადგილზე. ეს რომ ბაბუამ ნახა, ავად გახდა... და საბოლოოდ თვალისჩინი დაკარგა. თუმცა ძალიან უყვარდა საქართველოს მთა-ბარში ხეტიალი, მაგრამ ერთი არ დაუწუწუნია, იმას დარდობდა, — ღმერთო, ღირსი ვარ თვალისჩინის დაკარგვის, შენს ვენახს ვერ მოვუფრთხილდი, ზედაშეს ვეღარ დაგინურავო!.. არც უცოცხლია ამის შემდეგ დიდხანს. შემოდგომაზე მიიცვალა, სხვისი ეზოებისკენ რომ დაიძრა ყურძნით დატვირთული ურმების ქარავანი და ერთმანეთ

ადამიანებს ერთ-ერთ ასეთ ეზოში ბებერ ბაბუაჩემს ბოლოს ერთხელ ენახა ... ეს ... ეზოში ... ბებერ ... ბოლოს ... ეს ... ეზოში ... ბებერ ... ბოლოს ... ეს ... ეზოში ... ბებერ ... ბოლოს

DURA LEX
SED LEX

სასამართლო ჟრონიკა

ყოველთვიური ჩანართი N33 15.03.2004

გათეთრდება?!
არ გათეთრდება?!

თამარ კინწურაშვილი

მას შემდეგ, რაც გენერალურმა პროკურატურამ წინამორბედი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის სიძე, კომპანია „მაგთის“ დამფუძნებელი და დირექტორი გადასახადების დამალვის ბრალდებით ციხის გზას გაუყენა, ხოლო სიგარეტის მწარმოებელ და დისტრიბუტორ ფირმა „ომეგაში“ საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ფინანსური ამნისტიის განხორციელების სურვილი გაახმოვანა.

პატიების სურვილი სურვილადვე არ დარჩენილა და ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებმა მოამზადეს კანონპროექტი, რომელიც საქართველოში ფინანსური ამნისტიის განხორციელებას ითვალისწინებს. ალტერნატიული პროექტი მოამზადა „თავისუფლების ინსტიტუტმაც“ და ეს უკანასკნელი, ხელისუფლების კანონპროექტისგან განსხვავებით, ნაკლებად ლიბერალურია. „თავისუფლების ინსტიტუტის“ ვარიანტის თანახმად, მას შემდეგ, რაც გადამხდელები მოახდენენ თავიანთი დამალული გადასახადების დეკლარირებას, პოლიციასა და საგადასახადო სამსახურებს ეძლევათ 150-დღიანი ვადა იმის გამოსაძიებლად, თუ რამდენად რეალურია დეკლარირებული თანხები. დეკლარირებულ თანხებზე პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეხსნება, ხოლო არადეკლარირებულ თანხებზე პასუხისმგებლობის საკითხი ისევ დღის წესრიგში რჩება.

გაცილებით ლიბერალურია მთავრობის ვარიანტი, რომელიც გადასახადის გადახდისაგან ათავისუფლებს იმ გადამხდელებს, ვისი დავალიანებაც მილიონ ლარზე ნაკლებია. „თავისუფლების ინსტიტუტის“ იურისტის, ირაკლი კოტეტიშვილის აზრით, ამგვარი პატიება დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს იმათ მიმართ, ვინც კეთილსინდისიერად იხდიდა გადასახადებს და პირნათელია ბიუჯეტთან მიმართებაში.

ექსპერტები კიდევ ერთ პრობლემაზე მიუთითებენ, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია ფინანსური ამნისტიის განხორციელებისას. სახელდობრ, სხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამნისტია იმ შემთხვევაშია ეფექტური, თუ მას საგადასახადო სისტემაში ცვლილებები სდევს თან.

ოფიციალური პროექტი არ ითვალისწინებს ასევე ამნისტიას ოფშორულ ზონებში არსებულ ანგარიშებზე. ამ ტიპის ამნისტია განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ხელისუფლების ინიციატივას 1253 გადასახადის გადამხდელი გამოეხმაურა. ეს პრობლემა, რაც ზოგადად, თანხების გათეთრებას, უცხოურ ანგარიშებს, ქვეყნიდან გადინებულ კაპიტალსა და მათ წარმომავლობას უკავშირდება, კვლავ გადაუჭრელი რჩება საქართველოსთვის.

არადა, დასავლური გამოცდილება იცნობს ამ პრობლემის გადაჭრის გზებს. მაგალითად, ბელგიური კანონი „(პასუხისმგებლობისგან) ერთიანად გათავისუფლების დეკლარაცია“, რომელიც ძალაში 2004 წლის 16 იანვარს შევიდა, მიზნად ისახავს ქვეყნიდან გადინებული კაპიტალის უკან დაბრუნებას. თუმცა, ხსენებული კანონი არ ვრცელდება თანხებზე, კაპიტალსა და მოძრავ ქონებაზე, რომელიც ფულის გათეთრების ოპერაციების შედეგად არის მიღებული.

რა გათეთრდება და რა არ გათეთრდება საქართველოში, ამის შესახებ ალბათ, არა მხოლოდ ამნისტიის კანონპროექტის, თავად ამნისტიის პროცესისა და მისი შედეგების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. ეს უკანასკნელი კი დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად არასიმბოლურ დატვირთვას მისცემს ხელისუფლება თავად ამნისტიის პროცესს. სხვა მხრივ კი, ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო არც პირველი ქვეყანა იქნება (რომის იმპერიაში ჩვ. წ.აღ-მდე 458-401 წლებში ჩატარდა), ვინც ფინანსურ ამნისტიას მიმართავს და არც უკანასკნელი (XXI ს. – იტალია, ჯაზახეთი, ბელგია).

მაია დვალი

სამართალი ცხელ ხაზზე

უკვე ოთხი თვეა, სასამართლო ხელისუფლება მოქალაქეებსა და მოსამართლეებს ახალ სერვისს სთავაზობს. 2003 წლის 10 ნოემბრიდან ყოველ სამუშაო დღეს, 12-დან 5 საათამდე ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სასამართლოსთან დაკავშირებით რაიმე შეკითხვა, პრეტენზია ან პრობლემა აქვს, შეუძლია, ცხელი ხაზის ნომერზე დარეკოს და უახლოეს დროში პასუხიც მიიღოს. ოპერატორს თქვენი ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის ნომერი და მოთხოვნის მოკლე შინაარსი უნდა ჩააწერინოთ. ასევე უნდა აცნობოთ, თუ რომელი ინსტანციები გაიარა სადავო საქმემ და მიგიმართავთ თუ არა დისციპლინური დევნის აღმძვრელი ორგანოებისთვის: იუსტიციის საბჭოს ან უზენაესი თუ საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეებისათვის. ოპერატორი ამ ინფორმაციას დაუყოვნებლივ მიაწვდის ეთიკის კომისიას, რომელშიც მოსამართლეთა ასოციაციის მიერ არჩეული მოსამართლეები შედიან. ეთიკის კომისია შესაბამის მოსამართლეს დაუკავშირდება და პასუხს მოქალაქეს ოპერატორის მეშვეობით აცნობებს. ცხელ ხაზზე დარეკვა თავად მოსამართლეებსაც შეუძლიათ, თუკი სურვილი გაუჩნდებათ განაცხადონ, რომ ადგილი აქვს მათზე ზენოლას. ამ ოთხი თვის განმავლობაში ეთიკის კომისიას მხოლოდ ერთმა მოსამართლემ მიმართა, თუმცა, რა საკითხზე, ჯერჯერობით არ ხმაურდება.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, ნინო გვენეტაძის თქმით, ეთიკის კომისია ცხელი ხაზით მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირებას სხვადასხვა სახით ახდენს: მოქალაქეს აძლევენ რჩევას ან სთხოვენ, დაიცადოს, ვიდრე ზემდგომი სასამართლო ინსტანცია გადაწყვეტილებას გამოიტანს; ასევე, მიმართოს დისციპლინური დევნის აღმძვრელ ორგანოებს; იმ შემთხვევაში, თუკი საქმე მოსამართლის დანაშაულებრივ ქმედებას ეხება, პროკურატურაში განაცხადოს.

რა პრეტენზიები აქვთ მოქალაქეებს და რა პრობლემების გადაჭრა შეძლო ეთიკის კომისიამ?

მოქალაქეთა უმეტესობა სასამართლოებში საქმეთა განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებით არის უკმაყოფილო და მოსამართლეებს საქმის არაობიექტურ განხილვაში ადანაშაულებს, თუმცა მოქალაქეები თავიანთ ამ შეხედულებას კონკრეტული ფაქტებით ვერ ასაბუთებენ. ნინო გვენეტაძის თქმით, მოქალაქეები აცხადებენ, რომ ზოგიერთი საქმე უკვე ხუთი-შვიდი წელინადია, ინსტანციიდან ინსტანციაში გადადის, ამიტომაც მოქალაქეებს უჩნდებათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქმე არაობიექტურად გადაწყდება.

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ცხელ ხაზზე შესული 110 ზარიდან 30 შემთხვევაში მოქალაქე კატეგორიულად საქმის ობიექტურ განხილვას ითხოვდა, რაზეც კომისია რეაგირებას ვერ ახდენს, რადგან გადაწყვეტილების მიღების პროცესში ვერ ჩაერევა. „მოქალაქეს ვურჩევთ, – აცხადებს გვენეტაძე, – მას შემდეგ დაგვიკავშირდეს, რაც გადაწყვეტილებას არ დაეთანხმება და რაიმე პრეტენზია გაუჩნდება. სხვათა შორის, ჩვენ ცხელი ხაზის მეშვეობით მოქალაქეებთან დიალოგს შემდეგშიც ვაგრძელებთ: მათ ოპერატორის მეშვეობით ვუკავშირდებით და ვინტერესდებით, რამდენად კმაყოფილი ან უკმაყოფილონი დარჩნენ სასამართლოს გადაწყვეტილებით.“

დასასრული 3ე-18 გვერდზე



სამართალი ცხელ ხაზზე

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

მოქალაქეთა ნაწილი მოსამართლეებს თავიანთი მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში ადანაშაულებს. მაგალითად, მოსამართლემ საქმე განსახილველად მიიღო, შემდეგ კი შვებულებაში გავიდა, ანდა სასამართლო პროცესები უსასრულოდ გადაიდება ხოლმე, თუმცა, პროცესი, შესაძლოა, არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ ობიექტური მიზეზითაც გადაიდოს, მაგალითად, მხარე სისტემატურად არ ცხადდება, ბადრაგმა განსასჯელი პროცესზე არ მოიყვანა, არ გამოცხადდა პროკურორი და ა.შ.

ცხელი ხაზის მეშვეობით აღნუსხული პრეტენზიებიდან ირკვევა, რომ მოქალაქეებს არა მხოლოდ მოსამართლეების, არამედ სასამართლო აპარატის, ანუ მოხელეების მუშაობაც არ აკმაყოფილებთ. ზარების ავტორთა უმეტესობა აცხადებს, რომ სასამართლო მოხელეები მათ საჩივრებს, განცხადებებსა თუ შუამდგომლობებს გულგრილად ეკიდებიან, ანუ მოქალაქეებს არ აკმაყოფილებთ ის მომსახურება, რასაც სასამართლო აპარატი მათ სთავაზობს. მოუწესრიგებელია მოქალაქესა და მოსამართლის თანაშემწეს შორის სატელეფონო კონტაქტებიც. მაგალითად, ერთ-ერთმა მოქალაქემ მოსამართლესთან ტელეფონით დაკავშირება ერთი თვის განმავლობაში ვერ შეძლო.

სასამართლოებში არც გადაწყვეტილებებთან ან სხდომის ოქმებთან დაკავშირებული საკითხებია წესრიგში. მხარე სხდომის ოქმს ოპერატიულად, კანონით დადგენილ ვადაში უნდა ეცნობოდეს, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება, თუმცა, ეს მხოლოდ სასამართლოს ცუდი მუშაობის ბრალი არ არის. სპეცსახსრების გაუქმების შემდეგ სასამართლოები ქსეროასლების ოპერატიულად გადაღება-გაცემის შესაძლებლობას მოკლებულნი არიან. მოუწესრიგებელია მოქალაქეებისთვის უწყებების ჩაბარების მექანიზმიც. არის შემთხვევები, როცა სასამართლოში კანცელარიის თანამშრომლები სარჩელის მიღებისთვის თანხას ითხოვენ, თუმცა, როგორც ეთიკის კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, მოქალაქეები კონკრეტული თანხების დასახელებაზე თავს იკავებენ, ეს თანხები 5-10 ლარიდან 30 ლარამდე მერყეობს. მოქალაქეებს იმ პირთა დასახელებაც უჭირთ, რომლებიც მათ სარჩელის თუ განცხადების მიღების სანაცვლოდ ფულს სთხოვენ. ნინო გვენეტაძის თქმით, მოქალაქეები სტრუქტურულ საკითხებში ვერ ერკვევიან, ამიტომ ვერ აკონკრეტებენ, პირი, რომელიც მათგან თანხას ითხოვდა, კანცელარიის გამგეა, რიგითი თანამშრომელი თუ სხვა პირი. ეთიკის კომისია კონკრეტული სასამართლოს დასახელებისგან თავს იკავებს, მაგრამ აცხადებს, რომ მსგავსი შემთხვევები როგორც თბილისის, ისე რეგიონების სასამართლოებშიც ხდება. შესაძლოა, ესა თუ ის განცხადება სასამართლოს განსახილველი არც იყოს, მაგრამ სასამართლოს მოხელე ვალდებულია, მოქალაქეს კანონით დადგენილი სათანადო წესით გასცეს პასუხი. უფრო კონკრეტულად კი, ცხელ ხაზზე მოქალაქეს ურჩევენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როცა სასამართლოში მის სარჩელს ან განცხადებას არ იღებენ, სასამართლო მოხელეს საქმის მიღებაზე უარი წერილობით მოსთხოვოს. კოლეგებს კი ეთიკის კომისია ურჩევს, დაიცვან სასამართლო მოხელეთა ეთიკის კოდექსი, იმ მოხელეებს (მოსამართლის თანაშემწე იქნება თუ კანცელარიის თანამშრომელი), რომლებიც მოქალაქეებს არაჯეროვნად მოეპყრობიან, დაადონ დისციპლინური სახდელი.

ოთხი თვის განმავლობაში ცხელ ხაზზე 110 ზარი შევიდა. 73 შემთხვევაში აღმოიფხვრა მიზეზი, რის გამოც ცხელ ხაზზე დარეკეს, ანუ ეთიკის კომისიამ მოქალაქეებს დახმარება გაუწია. ცხელ ხაზზე 34 სამდლობელი ზარიც დაფიქსირდა. 7 შემთხვევაში კი ეთიკის კომისიამ რეაგირება ვერ მოახერხა, რადგან სასამართლო პროცესები უკვე დამთავრებული იყო.

ჯერჯერობით არ ხმაურდება, ცხელ ხაზზე შესული ინფორმაციების შედეგად, აღიძრა თუ არა დისციპლინური დევნა რომელიმე მოსამართლეზე. ზოგადად, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა კონფიდენციალური საკითხია და დევნის აღძვრის შემთხვევაში მხოლოდ დევნის აღმძვრელსა და იმ მოსამართლეს ეცნობება, რომლის მიმართაც დისციპლინური სამართალწარმოება დაიწყო.

როგორც ნინო გვენეტაძე აცხადებს, მოსამართლეთა უმეტესობა ცხელი ხაზის ამოქმედებით უკმაყოფილოა და თვლის, რომ მოქალაქეებისთვის ეს სერვისი ზედმეტია. სხვათა შორის, სარეკლამო განცხადება, რომელზეც ცხელი ხაზის ნომერი იყო მითითებული, თითქმის ყველა სასამართლოში მალევე ჩამოხიეს. გვენეტაძის თქმით, ნაკლებსავარაუდოა, რომ ეს თავად მოქალაქეებს გაეკეთებინათ. მიუხედავად იმისა, აღადგენენ თუ არა სასამართლოები ამ განცხადებებს, ცხელი ხაზი მაინც ფუნქციონირებს და ჩვენ ისღა დაგვრჩენია გაზეთის მეშვეობით ვაცნობოთ მოქალაქეებს, რომელთაც სასამართლოში პრობლემები ექმნებათ, მისი ტელეფონის ნომერი:

25 25 53

როგორი უნდა იყოს

სკოლა,

რომელშიც ჩვენი შვილები სწავლობენ?

ეს უპირველეს ყოვლისა ჩვენ თავად უნდა გადავწყვიტოთ!

საქართველოს არაერთ სკოლაში მშობლებმა უკვე აირჩიეს სამეურვეო საბჭოები და ჩაერთნენ სასკოლო ცხოვრებაში. თუ თქვენ გსურთ, რომ იმ სკოლაში, სადაც თქვენი შვილი სწავლობს, შეიქმნას ასეთი საბჭო, გაინტერესებთ საბჭოების მუშაობის პრინციპი და პრაქტიკა

დაგვიკავშირდით ტელეფონზე

93 66 15

„თავისუფლების ინსტიტუტთან“ არსებულ იურიდიულ სამსახურში

პროექტს ახორციელებენ: „ასოციაცია ALPE“, „თავისუფლების ინსტიტუტი“ და „სამართლიანი არჩევნები“, ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“-სა და „USAID“ ის მხარდაჭერით.

ავაშენოთ ჩვენი სკოლა

ALPE Save the Children®

შონ ო' კონერი

„სანდეი მეილის“ წინააღმდეგ



საჩივარი: კომისიას საჩივრით მიმართა ქალბატონმა ნანსი ზელცერმა, რომელიც წარმოადგენდა ბატონ შონ ო' კონერის ინტერესებს. სარჩელის მიზეზი 1999 წლის აპრილში „*სანდეი მეილში*“ გამოქვეყნებული ფოტოპუბლიკაცია გახდა. მოსარჩლეთა შეფასებით, ფოტოს გამოქვეყნება ეწინააღმდეგებოდა პრაქტიკის კოდექსის მე-3 მუხლს (**პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა**). ფოტოს თან ერთვოდა სტატია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ შონ ო'კონერმა ედინბურგში ჩაიტანა თავისი ახალი ფილმი, რომლის შინაარსიც ეხმიანებოდა შოტლანდიის პარლამენტის არჩევნებს.

მოსარჩლეთა განცხადებით, ბატონმა შონ ო' კონერმა თავაზიანად სთხოვა ფოტორეპორტიორს, არ გადაეღო მისთვის ფოტო და გასცლოდა მას, როდესაც ეს უკანასკნელი ბატონ ო' კონერს სასტუმრო „ჰოლსში“ მიუახლოვდა. მხარის მტკიცებით, ფოტოკორესპონდენტმა ეს თხოვნა ანტაგონისტურად მიიღო და შეეცადა ბატონ ო' კონერის განრისხება გამოეწვია. იგი მას გზაზე გადაეღობა, როდესაც მსახიობი სასტუმროდან გასვლას ცდილობდა.

რედაქტორის განცხადებით, ფოტო სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიიდან იყო გადაღებული. გადაღების ადგილის სტატუსი მკაფიოდ განსაზღვრული არ იყო და ფოტოკორესპონდენტმა ის საზოგადოებრივ ადგილად ჩათვალა. მას ფოტოკამერა შენობაში არ შეუტანია და რესპონდენტის მიმართ იძულება არ განუხორციელებია. რედაქტორმა კომისიის წევრთა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ფოტოკორესპონდენტმა დაინახა, თუ როგორ ესაუბრებოდა შონ ო' კონერი შოტლანდიური პრესის წარმომადგენელს სასტუმროს ბარში და თავადაც გადაწყვიტა მასალის მომზადება.

მოსარჩლე მხარე ამტკიცებდა, რომ გადაღება სასტუმროს კუთვნილ ტერიტორიაზე მოხდა. უფრო მეტიც, კორესპონდენტს და ფოტორეპორტიორს სთხოვეს, დაეტოვებინათ კერძო ტერიტორია. რაც შეეხება შოტლანდიელ ჟურნალისტს, ბატონ ო' კონერის განცხადებით, ეს იყო მეგობრული საუბარი და არა ინტერვიუ.

პასუხად რედაქტორმა განაცხადა, რომ კორესპონდენტს დაცვამ სასტუმროს დატოვება მას მერე მოსთხოვა, რაც ფოტოები უკვე გადაღებული იყო და ეს უკანასკნელი, სასტუმროს დაცვის მოთხოვნას უსიტყვოდ დაემორჩილა. თუმცა, მოსარჩლე მხარე მოვლენათა განვითარების თავის ვერსიას ამტკიცებდა.

გადაწყვეტილება: კომისიამ სარჩელს მხარი არ დაუჭირა.

მოტივაცია: კომისიამ აღნიშნა, რომ შონ ო' კონერი — შოტლანდიის ნაციონალური პარტიის თვალსაჩინო მხარდამჭერი — საპარლამენტო არჩევნების პერიოდში იმყოფებოდა ედინბურგში და თავისი ახალი ფილმისადმი საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. იგი იმყოფებოდა სასტუმროს მისაღებში, რომელიც მართალია სასტუმროს კუთვნილი ტერიტორიაა, თუმცა ქუჩიდან კარგად ჩანს და იქ ბატონ კონერს პრივატულობის მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა. მას კარგად ხედავდა საზოგადოება და ვერავინ შეუშლიდა ხელს სხვა ფოტოკორესპონდენტებს, მისთვის სურათების გადაღებას, თუნდაც ქუჩაში გამოსვლისას.

კომისიამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა იმის დამამტკიცებელი არგუმენტი, რომელიც კორესპონდენტის მხრიდან რესპონდენტის შევიწროებას დაადასტურებდა.

25 აპრილი, 1999 წელი

ვის და რას უჩივიან ცნობილი ადამიანები?

პრესის საჩივრების კომისიის პრაქტიკა

გაგრძელება. დასაწყისი ის. „სასამართლო ქრონიკა“ №32

პრესის საჩივრების კომისიები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით არსებობს, თუმცა მათი ძირითადი პრინციპი ყველგან ერთია – ჟურნალისტები, მედიის მფლობელები, საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ნებაყოფლობით აყალიბებენ თვითრეგულირების ორგანოს, რომელიც საზოგადოებასა და მედიას შორის წარმოქმნილ დავებს იხილავს. საბჭოები, რომლებიც სასამართლოს ერთგვარ ალტერნატივად აღიქმება, მოქალაქეებისაგან შესულ საჩივრებს განიხილავენ მედიის მიერვე აღიარებული ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების საფუძველზე.

პრინცი უილიამი

ჟურნალ „O.K!“-ის წინააღმდეგ

საჩივარი: მისი სამეფო უდიდებულესობის, პრინც უილიამის სახელით კომისიას სარჩელით სენტ ჯეიმს პალასის ადვოკატმა, ბატონმა სტივენ ლამპორტმა მიმართა. მოსარჩლის შეფასებით, ჟურნალ O.K!-ში 2000 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული ფოტოები არღვევდა პრაქტიკის კოდექსის მე-3 მუხლს (**პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა**).

მოსარჩლის განცხადებით, ფოტოები გადაღებული იყო ჩილეში პრინც უილიამის მოგზაურობის დროს. პრინცი ჩილეში სკოლის დამთავრების შემდეგ და უნივერსიტეტში შესვლამდე იმყოფებოდა. ფოტოებზე ასახული იყო პრინცი უილიამი კლდეზე ცოცვისა და მდინარეში ცურვის დროს. მოსარჩლეთა შეფასებით, ფოტოები გადაღებული იყო ფარულად, თვალთვალის შედეგად, რაც ეწინააღმდეგებოდა კოდექსის მე-4 მუხლსაც (**შევიწროება**) და რომ ამ გზით გადაღებული ფოტოების გამოქვეყნება სხვა არაფერი იყო, თუ არა პაპარაცული საქმიანობის ხელშეწყობა.

რედაქტორმა განაცხადა, რომ რამდენადაც მისთვის იყო ცნობილი, ფოტოები კორესპონდენტებს არ მოუპოვებიათ მიზანმიმართული, ფარული თვალთვალის შედეგად და ისინი საზოგადოებრივ ადგილებში იყო გადაღებული. მისივე განცხადებით, პრინც უილიამის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა. ჟურნალი შეეცადა ეჩვენებინა, თუ როგორ ემზადებოდა პრინცი დიდი ბრიტანეთის მონარქობისათვის. ამასთანავე რედაქტორმა მოუბოდიშა უელსის პრინცსა და პრინც უილიამს იმ უსიამოვნო განცდების გამო, რომელიც მათთვის ჟურნალის ამ პუბლიკაციას შეეძლო მიეყენებინა.

მოსარჩლე მხარე აცხადებდა, რომ პრაქტიკის კოდექსის თანახმად, რედაქტორი ვალდებულია, შეამოწმოს ყველა მასალის წარმომავლობა და რომ პრინცი უილიამი იმყოფებოდა ისეთ ადგილას, სადაც მას საჯაროობისგან დაცულობის დასაბუთებული მოლოდინი ჰქონდა. სამეფო ოჯახმა განაცხადა, რომ პრინც უილიამის ეს ვიზიტი იგეგმებოდა, როგორც კერძო და მათ საგანგებოდ იზრუნეს იმაზე, რომ გაეფრთხილებინათ პრესა, არ გამოექვეყნებინა პაპარაცების მიერ მიწოდებული ფოტოები.

გადაწყვეტილება: კომისიამ სარჩელს მხარი დაუჭირა.

მოტივაცია: კომისიამ ცნობად მიიღო რედაქტორის სინანული იმას გამო, რომ უსიამოვნება მიაყენა პრინც უილიამს და აღნიშნა, რომ ეს საკითხისადმი სწორი მიდგომა იყო. ამავე დროს კომისიამ გაიზიარა მოსარჩლეთა პოზიცია იმის თაობაზე, რომ პრინცი უილიამი იმყოფებოდა ისეთ ადგილას, სადაც მას საჯაროობისგან დაცულობის დასაბუთებული მოლოდინი უნდა ჰქონოდა და რომ ამ ფოტოების გამოქვეყნება კოდექსის მე-3 მუხლის მოთხოვნას ეწინააღმდეგებოდა.

კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ არც ერთმა სხვა გამოცემამ არ დაბეჭდა აღნიშნული ფოტოები, ხოლო ჟურნალმა „O.K!“-იმ, სამწუხაროდ, ხელი შეუწყო პაპარაცების საქმიანობას საერთაშორისო ბაზარზე. ამით პრინც უილიამს ჟურნალმა შეუქმნა დისკომფორტი საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს.

კომისიამ ასევე გაამახვილა ყურადღება კოდექსის მე-4 მუხლის ნორმაზე, რომელიც კრძალავს ისეთი ფოტოების გამოქვეყნებას, რომელიც მიზანმიმართული, ფარული თვალთვალის გზით არის მოპოვებული და აღნიშნა, რომ კოდექსი კატეგორიულია მოზარდთა უფლებებთან მიმართებაში. კოდექსი აღიარებს „ახალგაზრდების უფლებას, ჰქონდეთ ნორმალური, ყოველგვარი ზეწოლისგან თავისუფალი ცხოვრების პირობები, რაც უზენაესი ღირებულებაა“ და რომ არ არსებობდა ისეთი საჯარო ინტერესი, რომელიც პრინც უილიამისადმი მიძღვნილ ასეთ პუბლიკაციას გაამართლებდა.

27 ოქტომბერი, 2000 წელი

პრემიერ-მინისტრი ბლერი და მისი მეუღლე

„დეილი სპორტის“ წინააღმდეგ

საჩივარი: კომისიას საჩივრით დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა და ქალბატონმა ბლერმა მიმართეს. მათ „დეილი სპორტში“ 1999 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული სტატია „*სექსუალურად აქტიური ბლერი*“ გააპროტესტეს და რედაქცია პრაქტიკის კოდექსის მე-6 მუხლის (**ბავშვები**) დარღვევაში დაადანაშაულეს.

პუბლიკაცია ილუსტრირებული იყო ფოტომასალით, რომელზეც აღბეჭდილი იყო პრემიერის ვაჟი ერთ-ერთ წვეულებაზე იმ მომენტში, როდესაც ის გოგონას ცეკვის დროს კოცნიდა. თანდართული ტექსტი და გადაღების რაკურსი მისი პიროვნების იდენტიფიცირების საშუალებას იძლეოდა.

მოსარჩლის განცხადებით, მის ვაჟს სურათი ნებართვის გარეშე გადაუღეს, რითაც დარღვა პრაქტიკის კოდექსის მე-6 მუხლის რამდენიმე ნორმა.

რედაქტორის განცხადებით, წვეულებები დიდი ხანია იქცა ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციების მუდმივ თემად და რომ ჟურნალისტი ამ წვეულებაზე თავად ორგანიზატორებმა მიიწვიეს. რედაქციამ კომისიას გაუგზავნა წინა წლების პუბლიკაციები ანალოგიურ თემაზე და აღნიშნა, რომ მათზე პრეტენზია აქამდე არ ყოფილა. რედაქცია აცხადებდა, რომ ფოტოები უმცროს ბლერს გადაუღეს არა მისი სოციალური მდგომარეობის გამო და რომ წვეულების ორგანიზატორებს, რომლებიც ღონისძიებაზე მოქმედებდნენ მშობლების სახელით (in loco parentis), არ გაუპროტესტებიათ გადაღებები. რედაქტორმა არ გაიზიარა მოსარჩლის მტკიცება, რომ დაირღვა კოდექსის მე-6 მუხლი, რადგან ფოტო ასახავდა არა მოზარდის პირად ცხოვრებას, არამედ მის ქცევას საჯარო ადგილას.

გადაწყვეტილება: სარჩელი დაკმაყოფილდა.

მოტივაცია: კომისიამ აღნიშნა, რომ პრაქტიკის კოდექსი იცავს მოზარდის უფლებას, მათ შორის ცნობილი და მაღალი მდგომარეობის მქონე მშობლების შვილები, აღიზარდონ ნორმალურ გარემოში, ხელი არ შეეშალოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში და დაესწრონ წვეულებებს ისე, რომ ამ მოვლენათა გასაჯაროების შიში არ ჰქონდეთ.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კომისიამ დაადგინა, რომ დაირღვა კოდექსის ნორმა, რადგან ფოტოები უნებართვოდ ცხადა, რომ ისინი არ იყვნენ უფლებამოსილნი გაეცათ ან აეკრძალათ გადაღება, რადგან არ ჰქონდათ რწმუნებულება მშობლებისაგან, მით უმეტეს, რომ კომისიამ არ გამორიცხა მათი კომერციული დაინტერესება.

კომისიამ აღნიშნა, რომ რედაქცია ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ეცადოს, მიიღოს ნებართვა ბავშვის მშობლებისაგან ან უფლებამოსილი პირისაგან, ხოლო როდესაც ეს შეუძლებელია, უნდა გააჩნდეს საკმარისი არგუმენტები, რათა დამამტკიცოს, რომ მან ყველაფერი იღონა.

კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ წვეულებაზე მყოფი მოზარდებიდან, პუბლიკაციასა და ფოტოზე არავინ იყო იდენტიფიცირებული გარდა პრემიერ-მინისტრის ვაჟისა, რაც მკაფიოდ მეტყველებს იმაზე, რომ ის პუბლიკაციაში მისი მშობლების საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო მოხვდა.

სოფო გუკია

8 თვიანი პატიმრობა "ლამაზი მოჩვენებისთვის"

16 წლის ახალგაზრდა ქალმა უჩივლა ამას წინათ, ოდესის მაზრის სასამართლოში, ერთს იქაურს გლეხს, რომ ცოლად შერთვას შემპირდაო, შემაცდინაო და ახლა უარზე დგასო. ამ საქმეზედ სასამართლო განხილვა დანიშნულა. იმ გლეხს უთქვამს, მე რომ ეგ ქალი შევაცდინე, მაშინ ლამაზი მომეჩვენა, ახლა კიდევ კბილები ჩამოსცვივდა და მაგ უკბილოს ცოლად ვერ მოვიყვანო. ამ კაცს სასამართლომ რვა თვით საპატიმრო გარდაუწყვიტა.

„დროება“ №444

კორუმპირებული კამანდირები გააციმბირეს

გასული თვის 22-ს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ გამოაცხადა განჩინება ქართულ ქვეითთა დრუჟინის კამანდირის პოდპოლკოვნიკის აფხაზის და ხაზინადრის შტაბს-კაპიტნის შეიკინის საქმის თაობაზე. ამათ სახელმწიფო ფულის დახარჯვასა და ყალბი ქაღალდების შედგენას აბრალებდა. ეს ვაჟბატონები თურმე დიდძალ ფულს პარავდნენ სახელმწიფოს, დრუჟინის სალდათები კი მშიერ-მწყურვალი იხოცებოდნენ. სამხედრო სასამართლომ ორივე დამნაშავედ იცნო, უფ. აფხაზს ყველა ღირსების ჩამორთმევა და სამი წლით ენისეის გუბერნიაში და 10-ით ციმბირში ცხოვრება გადაუწყვიტა. შეიკინს კი ათი წლით ციმბირში გადასახლება გარდაუწყვიტეს.

„დროება“ 1875, №2

დავითაშვილების ნაცემი მოურავი

შარშან ოქტომბერს ორთა ძმათა დავითაშვილებმა: ბაგრატმა და ირაკლიმ, ამილახვრის მოურავს თავზარაშვილს საშინლად სცემეს და მკვახე ყურძენი აჭამეს. ისე უცემიათ, რომ თავზარაშვილი თითქმის დამახინჯებულა, მუცელი ასტკიებია და გვარიანი ხანი გავიდა მას შემდეგ და დღესაც მახინჯად დადის თურმე. კბილები დასცვივდა და ყბები მოღრეცილი აქვს. ეს საქმე ოლქის სასამართლომ განიხილა. სასამართლოში აიხსნა, რომ ამილახვარს თავისი ხვედრი მამული სოფელ ძევრში ვალში მიუცია დავითაშვილების დისთვის ნინო ზანდუკელისთვის. ამილახვარს უფიქრია ერთხელ კიდევ ვიხეირებ ჩემი მამულებითო და ზემოხსენებული ნაცემი მოურავი ძევრს გაუგზავნია. ამ მოურავს უთქვამს გლეხებისთვის წლევანდელი შემოსავალი ამილახვარს ეკუთვნის, ძალიან ეჩქარება და აბა ჩქარა ვენახები უნდა მოკრიფოთო. გლეხები უარზე დამდგარან ჯერ ყურძენი შემოუსვლელია, არ შეიძლება მოკრეფაო. მოურავი დარეკია გლეხებს და მჟავე ყურძენი დაუკრეფნიათ. ზანდუკელის ძმებს გაუგიათ ეს ამბავი, გული მოსვლიათ, მოურავისთვის გვერდები დაურბილებიათ და რაც მკვახე ყურძენი დაუკრეფია ნახევარი ძალათი აჭამეს.

„დროება“ 1892, №261

მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

ALPE
ჩანართი მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ.
მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33
ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596
E-mail: office@alpe.ge www.alpe.ge

ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲜᲚᲐᲓ ᲕᲔᲚᲘᲗ ᲘᲛ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲒ ᲒᲕᲯᲔᲠᲐ



ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲔᲚᲔᲜᲔ 35 ᲬᲚᲘᲡᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲣᲪᲔᲚᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲑᲣᲜᲔᲑᲓᲐ. ᲯᲐᲮᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲕᲐᲟᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐᲕᲘᲗᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲪᲘᲪ ᲩᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘᲗᲘ ᲒᲠᲘᲛᲐᲜᲘᲨᲘᲜ ᲪᲮᲝᲠᲜᲝᲑᲓᲐ, ᲛᲘᲡᲘ 16 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲟᲘ, ᲑᲔᲭᲘᲐ-ᲑᲐᲑᲝᲣᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲨᲠᲔᲑᲓᲐ.

...ᲡᲐᲜᲓᲠᲔᲛ 19 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ ᲛᲐᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲤᲐᲢᲩᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲡᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲜᲐᲠᲘ, 15 ᲬᲚᲘᲡ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲨᲣᲗᲣᲒᲐᲠᲓᲐ. ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲐ, ᲡᲘᲣᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲛᲝᲛᲙᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡᲝᲛ. ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲔᲒᲛᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲛᲐ ᲙᲘ ᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲘᲪᲜᲐᲜᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲜᲓᲔᲑᲓᲔᲜᲔ... ᲔᲚᲔᲜᲔᲛ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲚᲐ „ᲡᲐᲜᲓᲣᲛᲔᲚᲝ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲬᲐᲛᲝᲩᲠᲔᲓᲘᲚᲛᲐ ᲛᲣᲪᲔᲚᲐ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲨᲕᲝᲗᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲨᲯᲐᲠᲐᲯᲐ, ᲡᲘᲠᲪᲮᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲐᲪᲘᲪᲮᲚᲐᲓ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲚᲔᲜᲔᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓ ᲐᲠᲐᲪᲘᲪᲮᲚᲐᲓ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲝᲑᲓᲐ, ᲩᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘᲪᲘ ᲬᲐᲘᲧᲒᲐᲜᲐ. ᲔᲚᲔᲜᲔᲛ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ ᲓᲐᲛᲘᲠᲔᲛᲐ.

ᲛᲐᲚᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲘᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ.

ᲔᲚᲔᲜᲔ: — ᲡᲐᲜᲓᲠᲔᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲑᲓᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ ᲜᲐᲗᲕᲐᲛᲘᲐ. ᲘᲥ ᲪᲘᲓᲘᲡᲗᲐᲜ ᲪᲮᲝᲠᲜᲝᲑᲓᲐ, ᲗᲐᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ. ᲐᲘ, ᲡᲣᲚ ᲔᲒ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲐᲛᲑᲝ ᲤᲐᲢᲛᲘ. ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲐ, ᲓᲐᲠᲓᲐᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲠᲘᲗᲝᲓᲐ. ᲡᲐᲜᲓᲠᲔᲛᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲔᲒ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲐᲛᲑᲝ ᲤᲐᲢᲛᲘ. ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲐ, ᲓᲐᲠᲓᲐᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲠᲘᲗᲝᲓᲐ. ᲐᲘ, ᲡᲣᲚ ᲔᲒ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲐᲛᲑᲝ ᲤᲐᲢᲛᲘ. ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲐ, ᲓᲐᲠᲓᲐᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲠᲘᲗᲝᲓᲐ. ᲒᲝᲠᲒᲐᲜᲐ ᲓᲐᲠᲓᲐᲠ ᲙᲘᲜᲔᲝᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲮᲣᲐ...

ᲛᲐᲚᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲘᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ.

ᲠᲝᲪᲐ ᲔᲚᲔᲜᲔᲛ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲔᲚᲔᲚᲝᲒᲔᲑᲘᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲨᲔᲕᲘᲗᲐᲕᲐᲨᲕᲘᲗ, ᲒᲐᲕᲘᲐᲮᲐᲠᲝᲗ-ᲛᲔᲗᲔᲠᲘ. ᲣᲐᲠᲘ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, — ᲑᲐᲠᲗᲘ ᲡᲯᲝᲚ ᲓᲐᲒᲐᲛᲓᲐᲕᲐᲠᲗ, ᲝᲠᲘ ᲗᲕᲔ ᲓᲐᲛᲠᲩᲐᲠ. ᲛᲔᲠᲔ ᲛᲘᲡᲘᲜᲚᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲘᲒᲘᲣ ᲓᲐ ᲐᲗᲣ-ᲓᲐ ᲒᲐᲘ-ᲐᲩᲣᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗᲘ. ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲭᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲮᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲘᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲨᲕᲝᲗᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, — ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲔᲪ ᲐᲰᲐᲚᲒᲐᲬᲠᲘᲗᲐ ᲕᲘᲧᲐᲕᲐ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲚᲔᲜᲔᲡᲒᲐᲜ ᲰᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲚᲔᲜᲔᲡᲒᲐᲜ ᲰᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐ. ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲐᲛᲑᲝ ᲤᲐᲢᲛᲘ. ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲐ, ᲓᲐᲠᲓᲐᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲠᲘᲗᲝᲓᲐ. ᲡᲐᲜᲓᲠᲔᲛᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲔᲒ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲐᲛᲑᲝ ᲤᲐᲢᲛᲘ. ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲐ, ᲓᲐᲠᲓᲐᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲠᲘᲗᲝᲓᲐ. ᲒᲝᲠᲒᲐᲜᲐ ᲓᲐᲠᲓᲐᲠ ᲙᲘᲜᲔᲝᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲮᲣᲐ...

ᲕᲐᲬᲧᲝᲑᲓᲘ, ᲓᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲬᲘᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲪᲝᲠᲜᲐᲠᲘᲝᲑᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲬᲧᲝ, ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲠᲝᲗ-ᲛᲔᲗᲔᲠᲘ. ᲣᲐᲠᲘ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, — ᲑᲐᲠᲗᲘ ᲡᲯᲝᲚ ᲓᲐᲒᲐᲛᲓᲐᲕᲐᲠᲗ, ᲝᲠᲘ ᲗᲕᲔ ᲓᲐᲛᲠᲩᲐᲠ. ᲛᲔᲠᲔ ᲛᲘᲡᲘᲜᲚᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲘᲒᲘᲣ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲣᲗᲕᲘᲡᲔᲑᲚᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲨᲕᲝᲗᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲠᲩᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲭᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲮᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲘᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲨᲕᲝᲗᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, — ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲔᲪ ᲐᲰᲐᲚᲒᲐᲬᲠᲘᲗᲐ ᲕᲘᲧᲐᲕᲐ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲚᲔᲜᲔᲡᲒᲐᲜ ᲰᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲚᲔᲜᲔᲡᲒᲐᲜ ᲰᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲐ. ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲐᲛᲑᲝ ᲤᲐᲢᲛᲘ. ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲐ, ᲓᲐᲠᲓᲐᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲠᲘᲗᲝᲓᲐ. ᲡᲐᲜᲓᲠᲔᲛᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲔᲒ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲐᲛᲑᲝ ᲤᲐᲢᲛᲘ. ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲐ, ᲓᲐᲠᲓᲐᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲠᲘᲗᲝᲓᲐ. ᲒᲝᲠᲒᲐᲜᲐ ᲓᲐᲠᲓᲐᲠ ᲙᲘᲜᲔᲝᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲮᲣᲐ...

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲜᲨᲘ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲘᲗ.

ᲔᲚᲔᲜᲔᲡ ᲨᲗᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲪᲔᲑᲣᲚᲜᲔᲜ, ᲔᲠᲗᲘᲜ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜᲐᲗ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲜᲔᲑᲘ. ᲐᲮᲐᲠᲔ ᲩᲕᲔᲜᲘᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲣᲚᲔᲠᲗᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲧᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲓᲐᲒᲝᲜᲐᲑᲘᲗᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ ᲐᲠ ᲓᲠᲘᲒᲓᲐ. ᲒᲐᲜᲘᲪᲘᲐᲕᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲧᲝᲑᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲚᲔ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲨᲕᲝᲗᲐ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲜ ᲓᲐᲛᲠᲩᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲔᲥᲘᲗᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲨᲕᲓᲘᲗ ᲓᲐᲛᲨᲕᲓᲘᲗ ᲒᲐᲕᲘᲥᲜᲔᲓᲐ. ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲚᲘᲡᲮᲑᲘᲗᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲔᲪ ᲛᲘᲒᲠᲔᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘᲪ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲠᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲒᲠᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲐᲪ ᲝᲠᲘ ᲩᲔᲣᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲗᲮᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲪᲘᲪᲮᲚᲐᲚᲘ. ᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ, ᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲘᲬᲘᲗᲔᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲐᲚᲘᲛᲓᲔᲛ ᲕᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ — „ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲚᲔᲢᲠᲐᲨᲘ“ ᲐᲠᲐᲤᲝᲠᲗᲘᲡᲔᲚ ᲓᲐᲑᲘᲭᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲠᲐᲜᲓᲐ ᲔᲣᲒᲜᲝ ᲨᲔᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲘᲜᲓᲐ. ᲜᲔᲠᲒᲘᲠᲣᲚᲘᲡᲐᲒᲜᲘᲗ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲪᲘᲪᲮᲚᲐᲚᲘ. ᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ, ᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲘᲬᲘᲗᲔᲗ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲐᲚᲘᲛᲓᲔᲛ ᲕᲘᲠᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲝᲠᲗᲘᲡᲔᲚ ᲓᲐᲑᲘᲭᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲐᲤᲝᲠᲗᲘᲡᲔᲚ ᲓᲐᲑᲘᲭᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲘᲜᲓᲐ. ᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲯᲝᲠᲔᲚ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲝᲠᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲛᲝᲜᲔᲚᲘᲡᲐᲒᲘ ᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲪᲘᲪᲮᲚᲐᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲝᲠᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲪᲘᲪᲮᲚᲐᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲗᲛᲝᲜᲔᲚᲘᲡᲐᲒᲘ ᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲪᲘᲪᲮᲚᲐᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲗᲛᲝᲜᲔᲚᲘᲡᲐᲒᲘ ᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲪᲘᲪᲮᲚᲐᲚᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲘᲒᲝᲜᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲒᲝᲜᲐ. ᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲯᲝᲠᲔᲚ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲝᲠᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲤᲝᲠᲗᲘᲡᲔᲚ ᲓᲐᲑᲘᲭᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲘᲜᲓ

„ვაპირებდი ადრიანი ჩელენგარიოსთან შეხვედრას...“

– უნდა წაიკითხო გაზეთები, გაეცნო ინტერნეტს და იმუშაო ცოდნის გაღრმავებაზე

*ამ რამდენიმე ხნის წინ ზოგიერთი ღამის საინფორმაციო პროგრამის დაბურვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ისიც ითქვა, ხელისუფლება ებრძვის თავისუფალ სიტყვას, რადგან მას დამუკიდებელი მასმედიის არსებობა ხელს არ აძლევსო. კულუარებში ასეთი ინფორმაციაც გავრცელდა, ამ გადაცემებმა თავისი პოტენციალი ამოწურეს, რადგან ერთობ პოლიტიზებული ფორმატი ძილის წინ მაყურებელს აღიზიანებს, რის გამოც ქართული ტელეკომპანიის ხელმძღვანელებს თითქოსდა ევროპელი და ამერიკელი კოლეგებისგან მიღებიათ მეგობრული რჩევა, რამე ახალი მოიფიქრეთ, უფრო მსუბუქი და გასართობიო. ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჭორად დარჩა. ფაქტი კი ის არის, რომ აღდგა „ღამის კურიერი“ ახალი დიზაინითა და წმყვანებით. იგი ძველებურად პოლიტიზებულია და მსუბუქი და გასართობი გადაცემის შთაბეჭდილებას ნაკლებად ტოვებს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეთერში „გასაჭრელად“ ემზადებიან ტელეკომპანია „მზისა“ და პირველი არხის ღამის საინფორმაციო გადაცემებიც. 15 მარტიდან კი „იმედის“ ეთერში საღამოს ათ საათზე განახლებულ „ქრონიკას“ იხილავთ ახალი წმყვანით. გასართობი არც ის იქნება. როგორც ჩანს, პოლიტიკური მოტივი „ბედისწერად“ ექცათ ქართულ საინფორმაციო გადაცემებს და ასე გაგრძელდება, სანამ საქართველო არ „ამოისუნთქავს“ პოლიტიკურად. ამჟამად ვესაუბრებით „ღამის ქრონიკის“ ახალ წმყვანს **ბორის ახალდიანს**, რომელმაც სატელევიზიო პროგრამების წმყვანის პროფესია პირველ არხზე აითვისა „ღამის მოამბეში“, „ქვიშის საათში“, „ალიონში“, „ნაშუადღევში“ და ა.შ.*

— გიორგი, მოდი იმ სიახლეებზე ვისაუბროთ, რასაც „ღამის ქრონიკაში“ შემოგთავაზებთ?

— ამ გადაცემაში ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სრულიად ორიგინალური ფორმა, ე.წ. ავტონიტერვიუ. თავის დროზე „ვზგალიადს“ ჰქონდა დაახლოებით ასეთი პროექტი 90-იანი წლების დასაწყისში. დედაქალაქში იმოძრავებს ავტონიტერვიუს ჩამწერი მანქანა, უზარმაზარი მონიტორით. მონიტორზე მოცემულ შეკითხვაში ასახული იქნება აქტუალური თემა. მოქალაქეს, რომელსაც ექნება სურვილი, პასუხი გასცეს შეკითხვას, შესაძლებლობა ექნება, შევიდეს მანქანაზე მიმაგრებულ ბოქსში და კამერის წინ მარტოდმარტომ დააფიქსიროს თავისი მოსაზრება.

— საცდელი სუუეტების ჩაწერასას დააკვირდებოდით ხალხის რეაქციას. იოლად მიიღეს სიახლე?

— თავის დროზე ინტერაქტიული გამოკითხვები რომ დაიწყო, პესიმისტურად ვუყურებდი ამ ფაქტს, მეგონა, ქართველ კაცს გაუჭირდებოდა კამერასთან კონტაქტი. შევცდი მაშინაც და ახლაც. შედეგი ბევრად უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. მანქანას და მის მონიტორზე დასმულ შეკითხვას რომ ხედავენ, ხალხი ჯერ იწყებს ხმამაღლა მსჯელობას და ფიქრს, ბოლოს კი შედიან ბოქსში, რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე. ვფიქრობ, ეს არის საუკეთესო საშუალება, გაგო, რას ფიქრობს მაყურებელი ამა თუ იმ თემაზე. ყველაზე საინტერესო პასუხებს გავუშვებთ ეთერში. ავტონიტერვიუების დროს დავაფიქსირეთ, რომ თავის თავთან მარტო დარჩენილი ადამიანი გულწრფელი და უშუალოა, რაც მას ნაკლებად ახასიათებს ჟურნალისტთან პირისპირ საუბრისას ან რამდენიმე ათეულ მისნაირ რესპონდენტთან ერთად სადისკუსიო დარბაზში ყოფნისას. ჩვენს ეთერში საშუალება მოგეცემათ შეადაროთ ხალხი და პოლიტიკოსები ერთმანეთს. ნახავთ, რომ მათი შეხედულებები იშვიათად ემთხვევა. პოლიტიკოსები ფრთხილობენ შეფასებისას, მოსახლეობა კი პირდაპირ ამბობს სათქმელს.

— გიორგი, პირველი არხიდან წამოსვლის შემდეგ რეპორტიორად მოგვყვლინეთ გიორგი თარგამაძის საავტორო პროექტში „დროება“. რთი იყო მნიშვნელოვანი ეს გადაცემა თქვენთვის?

— პირველი, რითაც ჩემთვის და მთელი ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია „დროება“, ის არის, რომ მოვახერხეთ და საზოგადოებას მივაწოდეთ თითქმის აპოლიტიზებული გადაცემა. საერთოდ ქართულ ტელეეურნალისტიკაში არის სამწუხარო ტენდენცია, მიაწოდონ მაყურებელს მხოლოდ მიმდინარე მოვლენები. ჟურნალისტები თითქმის არ ცდილობენ, დასახონ ცხოვრების რეალური პერსპექტივები, წამოსწიონ ესა თუ ის თემები. ბოლო 7 წელია ქართულ მასმედიაში მხოლოდ აგრესია მკვიდრდება და არავინ ფიქრობს გემოვნების ჩამოყალიბებაზე. ამიტომაც შევთავაზეთ მაყურებელს თემატიკა, რომელიც არ არის სკანდალური, დაპირისპირებაზე აგებული, მაგრამ არის უაღრესად საინტერესო. ამის თქმის უფლებას მაძლევს მაყურებლის ინტერესი „დროების“ მიმართ. ხშირად გვკითხებიან — სად პოულობთ ამ თემებსო? უბრალოდ უნდა მიიხედ-მოიხედო ირგვლივ და უამრავ რამეს დაინახავ, უნდა წაიკითხო გაზეთები, გაეცნო ინტერნეტს, იმუშაო ცოდნის გაღრმავებაზე.

— ვფიქრობ, ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ ჩვენში კვლავაც მყარია სტერეოტიპი, რომ პოლიტიკური თემები არაკომერციულია.

— არაკომერციულია ყველაფერი, რაც არაპროფესიონალურად კეთდება. ეს გათვალისწინებული გვქონდა „დროების“ ეთერში გასვლამდე. ამიტომაც ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და გიორგი თარგამაძის ძალისხმევით შეიქმნა ძლიერი, პროფესიონალური შემოქმედებითი ჯგუფი, სადაც ფლობენ ტელეეურნალისტიკის ტექნოლოგიებს და რაც მთავარია, პატრიოტები არიან, უყვართ ყველაფერი ქართული.

— გიორგი, თქვენ ახლახან გადაუფურნეთ სოხუმს. სუუეტში კარგად არ ჩანდა ემოციები, თქვენი, ხალხის...

— ჩემი ემოცია დანარჩენების განცდებთან მოსაბანიც არ არის. სამწუხაროდ, არ გვქონდა საშუალება, კარგად გადაგვეღო ეს ყველაფერი, რადგან გადაცემას საგანგებო განათება სჭირდება, თვითმფრინავიდან კაშკაშა შუქის გასვლა კი უსაფრთხოების მიზნით აგვიკრძალეს. ხალხი ტიროდა, ბევრი მათგანი ლტოლვილი იყო, ბევრს ნათესავები დღესაც სოხუმში ჰყავს. მათ ათწლიანი პაუზის შემდეგ, მართალია ღამით, მაგრამ მაინც იხილეს სოხუმი. უხაროდათ, ეს იყო მწარე, ტრაგიკული სიხარული.

— კოდორელები ამბობენ, რომ აფხაზებს შერიგება სურთ. თუმცა, როცა ამ საკითხს პოლიტიკურ ჭრილში განიხილავენ, აფხაზებიდან მსგავსს ვერაფერს ვგრძნობ.

— რასაც კოდორელები აფხაზებზე ამბობენ, ფაქტობრივად, სიმართლეა. მათი ურთიერთობები აწყობილია ყოველგვარი პოლიტიკური ჩარევის გარეშე. საუკუნოვანი ტრადიციის მიხედვით მათთვის მთავარი კაცური სიტყვაა, რასაც გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ნებისმიერ დეკლარაციას და უმაღლეს დონეზე მიღწეულ შეთანხმებას. სოხუმის თავზე გადაფრენაც მხოლოდ და მხოლოდ პატიოსანი სიტყვით გადაწყდა. გვგვეროდა, არაფერი მოგვივიდოდა.

ადამიანურ ურთიერთობებში კოდორელებს და აფხაზებს თითქმის არავითარი პრობლემა არა აქვთ. მაგრამ როგორც კი საუბარი ეხება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს სახელმწიფოებრივ დონეზე, ორივე მხარე ცალ-ცალკე სათავისოდ ლაპარაკობს. როგორც კი პოლიტიკას ეხებიან, მაშინვე იწყებენ ბეწვის ხიდზე სიარულს, ამ დროს იგრძნობა არასასურველი, უსიამოვნო რამ. სხვა დროს მათ შორის მტრობას ვერ იგრძნობთ.

— გიორგი, როგორც მსახიობებს აქვთ საოცნებო როლი, ისე ჟურნალისტებსაც გვაქვს საოცნებო ინტერვიუ, რეპორტაჟი და ა.შ. რის გადაღებაზე, ჩაწერაზე ოცნებობთ?

— ძალიან მინდა საბერძნეთში 28 აგვისტოს გადავიღო მლოცველი გველები, რომლებიც ღვთისმშობლის ხატზე ადიან. მათ ჯვრებიც აქვთ თავზე გამოსახული. სიუჟეტიც უკვე წარმოდგენილი მაქვს. ვიცი, რა უნდა გავაკეთო, რომ ამან საზოგადოების სერიოზული რეაქცია გამოიწვიოს. შეიძლება ეს ოცნება ამისრულდეს ამ ზაფხულს. ასევე ძალიან მინდა მსოფლიოში ცნობილი ადამიანების შესახებ გავაკეთო სიუჟეტები. ვაპირებდი კიდევ ადრიანო ჩელენტანოსთან შესახვედრად იტალიაში გამგზავრებას. მოგეხსენებათ, თითქმის მთელი საქართველო მისი „ფანკლუბია“... მაგრამ მე უკვე ეთერში წამყვანად ვჯდები. თუმცა, იმედსაც არ ვკარგავ, რომ ზაფხულში ჩელენტანოსაც გადავიღებ.

ბავშვობაში მისი მიბაძვით საკუთარ სახლში კედლის მხატვრობას მივყავი ხელი. ახლა მოგონებები ღიმილს მგვრის, მაგრამ ის გრძნობა და დამოკიდებულება, რომელიც **რუსუდან ფეტვიაშვილის** მხატვრობის მიმართ მქონდა, შემდგომში კიდევ უფრო გამიძლიერდა და დღეს მეც მისი ხელოვნების თაყვანისმცემელთა უზარმაზარ არმიაში ვირიცხები. მასთან საუბრის შემდეგ კი, კიდევ ერთი აღმოჩენა გავაკეთე. ამ ადამიანს შეიძლება მიბაძო არა მარტო ხატვის მნერით, არამედ სათნოებითა და სიფაქიზითაც. რუსუდანის ხელოვნებით და პიროვნებით თავბრუდახვეული ვარ. ამჟამად პროფესიულ მოღვაწეობასთან ერთად იმ დიდ სატკივარზე ვისაუბრებთ, რომელიც ყველა ჩვენგანისათვის საერთოა და მტკივნეული.

— რუსუდან, უკვე დასრულებულ მუშაობა სახარებაზე, ამჟამად რითი ხართ დაკავებული?

— სახარებაზე მუშაობას ნახევარი წელია მოვრჩი. ახლა იკინძება წმინდა ოთხთავი და ალბათ მალე დაიდება სამების საკათედრო ტაძარში. დავასრულებ მუშაობას აღმოსავლური ზღაპრების ესკიზებზე, რაც ალბათ სექტემბერში გამოიცემა, ორი ილუსტრაციაღა დამრჩა. გარდა ამისა, გაზაფხულზე ან შემოდგომაზე ვაპირებ ახალი გამოფენის გახსნას.

თუ მრავალფეროვნება, განსხვავება არ იარსებებს, სილამაზე დაიკარგება და საბოლოოდ დაგკარგავთ სიყვარულის უნარსაც. რაღაცნირი გაფანტულები, დაბნეულები, უგულისყუროები ვართ და იმ უზარმაზარ პოტენციალს, რომელიც გვაქვს, თითქოს ვერც ვამჩნევთ.

— რომელი პროფესიის წარმომადგენელიც არ უნდა ვიყოთ, ყველა ჩვენგანმა ზეგავლენას ახდენს საცხოვრებელი გარემო, ქვეყანაში არსებული სიტუაცია. ალბათ, მხატვრებიც მტკივნეულად აღიქვამთ და განიცდით პოლიტიკურ და სოციალურ დისკომფორტს.

— ხელოვანი ინტუიციით, გრძნობებით აღიქვამს ყველაფერს და მისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია არამდგრადად გარემოში ცხოვრება. საქართველოში გავაბარე 1991-1992 წლებიც. ისეთი აუტანელი იყო ის სიტუაცია ჩემთვის, რომ მეგონა, ეგრასოდეს გამოვიდოდი დეპრესიიდან. ახლა სიტუაცია ასე თუ ისე გამოსწორდა, მაგრამ ის რთული პერიოდი მაინც გრძელდება ბევრი ადამიანისათვის. დღეს ყველაზე მეტად განვიცდი ქუჩაში გაყრილი ბავშვების ბედს. მე არ ვგულისხმობ მათში ბოშებს. მოუხედავად იმისა, რომ ისინიც წყალობას ითხოვენ, ჯიბეში ხურდა ფულს ვუგდებთ. ეს მათი ცხოვრების წესია ოდითგანვე, მაგრამ იმ ადამიანებისათვის, განსაკუთრებით ბავშვებისათვის, რომლებიც მოულოდნელად ღია ცის ქვეშ აღმოჩდნენ, ასე მგონია, ცხოვრება ნამდვილი ჯოჯოხეთია.

— ამ პრობლემებზე დღეს ბევრი წერს. თქვენ რაიმე ურთიერთობები ხომ არ გქონდათ მათთან?

— ჩემთან მოიყვანეს ასეთი ბავშვები, ვფიქრობდით, როგორ გვეშველა მათთვის, მაგრამ მიეხედით, რომ ცალ-ცალკე ზრუნვით ამ პრობლემას არ ეშველება. იგი მთავრობის დონეზე სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს. ქუჩაში რომ ათენებენ და აღამებენ ეს ბავშვები, ჭერი რომ არა აქვთ და საკვები, ეს პრობლემაა, მაგრამ ტრაგედიაა, რომ მათ არა აქვთ მომავალი, 13-14 წლის ბავშვებმა წერა-კითხვა არ იციან. მოყრილი აქვთ ყველანაირი არსებობის, წინსვლის გზა (თვალები ცრემლით აევსო. — ეკ.).

— დღეს საუბრობენ იმაზეც, რომ მაწანწალების ამ თაობამ შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნას მისსავე თანატოლებს მომავალში. რომ მათი სასით კრიმინალები იზრდებიან.

— თუ პრობლემებს შეგვიქმნიან, ჩვენზე ახი იქნება. ეს თუ არ გვინდა, საზოგადოებრივი აზრი უნდა ჩამოყალიბდეს, რომ ამ ადამიანებს სასწრაფოდ სჭირდებათ შველა. უნდა აღირიცხოს ყველა და მათთვის შეიქმნას საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ცენტრები, სადაც ადამიანებად იგრძნობენ თავს. თუ ეს არ გაკეთდა, ქვეყანაში არაფერზე ზრუნვას არა აქვს აზრი. ღვთის ანაბარად დარჩენილი ბავშვები სრულიად დაუცველები არიან როგორც გარემოს აგრესიისაგან, ისე ერომანეთისაგან. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ დღეს აღარც ლაპარაკობენ ამ პრობლემის მოგვარებაზე, თუმცა ყველამ კარგად იცის, რა საფრთხე გვემუქრება მომავალში. არადა, თუ გამუდმებით არ ვიმსჯელებთ და ვიმოქმედებთ, მერწმუნეთ, არაფერი გაკეთდება. საქმე წინ არ წავა. ეს სხვა პრობლემებსაც ეხება. მივიწყებული საქმე სადღაც მაინც იჩენს თავს და კარგს არაფერს მოუტანს საზოგადოებას.

ჩემთან მოიყვანეს მიუსაფარი ბავშვების ჯგუფი, რომელსაც „იუნისეფის“ პროგრამის ფარგლებში მფარველობენ, პატრონობენ, იცით, რა არაჩვეულებრივები იყვნენ? — მოსიყვარულეები, მოწესრიგებულები. იმ დროს გამახსენდა ზოგიერთის აზრი. ისეთი ჯიშის და მოდგმის არიან, მათგან ხერხიანი არავინ დადგებაო.

ქრისტიანობა იყო ჩვენი საფუძველი და ხერხემალი

— ზოგადად შემიძლია ვთქვა: საქართველოს და მის მომავალს მხოლოდ მოყვასის სიყვარული გადაარჩენს, რომელიც სამწუხაროდ ჩვენ არ გაგვაჩნია. მოყვასი მარტო შენი ნათესავი და მეგობარი კი არა, გვერდზე მდგომიცაა. ქართველს ქართველის სიყვარული და გულშემატკივრობა აკლია და თუ ჩვენში ამ თვისებებს გავაძლიერებთ, ბევრს შეეძლებთ. რწმენის, პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გვქონდეს უთუოდ და კიდევ, უფრო ინდივიდუალურები ვიყოთ. დღეს საზოგადოების უნიფიცირება ხდება, ანუ ყველა ემსგავსება ერთმანეთს, ხელოვნებაშიც ასე ხდება. ეს დამღუპველია. თუ მრავალფეროვნება, განსხვავება არ იარსებებს, სილამაზე დაიკარგება და საბოლოოდ დაკარგავთ სიყვარულის უნარსაც. რაღაცნირი გაფანტულები, დაბნეულები, უგულისყუროები ვართ და იმ უზარმაზარ პოტენციალს, რომელიც გვაქვს, თითქოს ვერც ვამჩნევთ. ჩვენი ქვეყნის ისტორია უნდა ვისწავლოთ, რომ ვიცოდეთ, საიდან მოვდიგართ. თუ ამას გავაცნობიერებთ, დაბნეულობაც მოგვეხსნება და მიეხვდებით რისთვის ვიბრძოდით, რამ მოგვიყვანა დღემდე, ანუ რწმენის ძალას ვიგრძნობთ. ქრისტიანობა იყო ჩვენი საფუძველი და ხერხემალი. ეს თუ არ დაავიწყდება ქართველ ხალხს, მერწმუნეთ, არანაირი პრობლემა აღარ იარსებებს ჩვენს ქვეყანაში.

მოამზადა ეკა ლომიძემ

ორშაბათი 15 მარტი

კვირის პაკეტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტფილმები „ზღაბრისეული ცხოველთა“ 11.50 ფილმი „ბავშვობის ამბავი“ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელეფილმი „ოლეგ ბანდერა“ 13.00 ნაშუადღევი 14.00 მოამბე ინფო ტაბუ 14.05 დოკუმენტური ფილმი „ბავშვობა 14.25 ოფლის მარილე 15.15 პარლამენტის არჩევნები 17.15 ფილმი „ბავშვობა“ 17.45 ფილმი „ბოდიშებს“ 18.00 ვესტბანი 18.20 ფილმი „ბუბენის სამყაროში“ 18.35 სერიალი „ნაბიჯები სანანადოში“ 19.25 „ინტერ რაგბი“ 21.05 ბასტიონი 21.20 სერიალი „ კონ. ეფაფერი“ 22.10 ამერიკული მხატვრული ფილმი „ (ბერეტ სპილენძი) 23.30 ბ. ფილმი „ ბუბა ذذذ

მედიცინა

შეკითხვა ექიმს

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გინევთ.

მარჯანი საკვერცხეზე მქონდა კისტა, რომელიც გამისკდა. ამომკვეთეს საკვერცხის სამი მეოთხედი. მანტერესებს, უნდა მივიღო თუ არა დამატებითი ჰორმონები და მეცოლება თუ არა შვილები?

თქვენი მკითხველი ა.მ.

ერთ-ერთი საკვერცხის თუნდაც მთლიანად ამოკვეთის შემთხვევაში მეორე კისრულობს ნორმალური ჰორმონული ფონის შენარჩუნებას. შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, რადგან დაორსულება სავსებით შესაძლებელია.

შესაძლებელია თუ არა ფიბროზულ-ცისტოზური მასტოპათია ორწლიანმა ლაქტაციამ განკურნოს?

ფ. წიკლაური

მასტოპათიის განვითარების მიზეზთა შორის ერთ-ერთი მთავარია ჰორმონული ფაქტორი. ლაქტაციის დროს ხდება ჰორმონული დისბალანსის კორექტირება. ამდენად, შესაძლებელია რომ მასტოპათიური კვანძები ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდეს და გაქრეს კიდეც.

დიდი ხანია მაწუხებს ეგზემა. ვერანაირმა წამალმა ვერ განკურნა. ორგანიზმისთვის საშიში ხომ არ იქნება მუდმივად მალამოს გამოყენება? რა იწვევს ამ დაავადებას?

ვალერი ლ.

დღეისთვის ეგზემის გამომწვევი კონკრეტული მიზეზი დადგენილი არ არის. ეს დაავადება ითვლება პოლიეტიოლოგიურად (მრავალი მიზეზით გამოწვეული), კერძოდ, გამომწვევ მიზეზებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ალერგიულ და სტრესულ ფაქტორებს. არსებობს მოსაზრება, რომ ეგზემა დაკავშირებულია აგრეთვე სხვა ორგანოთა და სისტემების დაავადებებთან. როგორც ჩანს, მკითხველი დაავადების სამკურნალოდ ჰორმონულ მალამოებს იყენებს. მათი უკონტროლო, ხანგრძლივი ხმარება მართლაც არაა სასურველი, რადგან შესაძლოა სხვა გართულებები გამოიწვიოს. ეგზემის მკურნალობა არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ადგილობრივი თერაპიით, საჭიროა ჩატარდეს ზოგადი, კომპლექსური მკურნალობის კურსი ნერვული სისტემის მოსაწესრიგებლად და ალერგიული ფაქტორის მოსახსნელად, აგრეთვე ორგანიზმის საერთო ჯანმრთელობის მდგომარეობის მოსანესრიგებლად.

ვარ 50 წლის მამაკაცი. დიდი ხანია მაწუხებს კისრის ოსტეოქონდროზი. დროდადრო ვგრძნობ დისკომფორტს კისრისა და გულმკერდის არეში. გთხოვთ, ამიხსნათ, იკურნება თუ არა ეს დაავადება და ვის შეიძლება მივმართო?

ერთგული მკითხველი

ოსტეოქონდროზი ხერხემლის მალებშუა სახსრების ანთებით-დისტროფიული პროცესია. ეს დაავადება დღეს ძალიან არის გავრცელებული. 30 წელს გადაცილებულ ადამიანთა 80%-ს აქვს ოსტეოქონდროზის პირველი სტადია. შემდგომ წლებში კი პათოლოგიური პროცესი მეტნაკლებად პროგრესირებს ცხოვრების წესის, კვების თავისებურებების შესაბამისად. დაავადების აბსოლუტური განკურნება არ ხდება, რადგან სასახსრე ქსოვილი ნივთიერებათა ცვლის დარღვევის გამო გადაგვარებას განიცდის, ლავდება მარილები. მაგრამ შესაძლებელია პროცესის გაღრმავების შეფერხება და იმ მრავალგვარი უსიამოვნო სიმპტომის თავიდან აცილება, რომლებითაც აღნიშნული პათოლოგია ვლინდება. პრეპარატებთან ერთად ოსტეოქონდროზის სამკურნალოდ ეფექტიანად გამოიყენება მანუალური მასაჟი, რეფლექსოთერაპია. ამიტომ გირჩევთ კომპლექსურად ჩიტაროთ მკურნალობა ნევროლოგთან და მანუალურ თერაპევტთან.

ქარაგმადინი

დიდი მადლობა ასეთი საინტერესო რეცეპტების გამოქვეყნებისთვის. თქვენი სამედიცინო რუბრიკა მრავალი ოჯახის დამხმარე და უანგარო თანამდგომი გაჭირვებაში. მეც მინდა გაგიზიარო ჩემი გამოცდილება გაზეთის მკითხველებს.

დიდი ხნის განმავლობაში მქონდა დარღვეული საქმლის მონელება, საკმარისი იყო ცოტა ცხიმიანი საკვები მიმეღო, რომ მაშინვე მეწყობოდა კუჭის აშლა, მიგროვდებოდა გაზები. ბოლო დროს კი დამეწყო საშინელი შეტეგითი ტკივილი. ეცხებოდა დამისვეს ქრონიკული პანკრეატიტის დიაგნოზი. დამინიშნეს ფერმენტული პრეპარატები, თუმცა ამან მხოლოდ უმნიშვნელოდ შეამსუბუქა მდგომარეობა. ტკივილი პერიოდულად ისევ მაწუხებდა. სალსური მედიცინის რომელიღაც წიგნში ამოვიკითხე პანკრეატიტის სამკურნალო მცენარეული რეცეპტი. დავამზადე ნაყენი და მივიღე. შედეგი მალევე ვიგრძენი. ახლა მხოლოდ დიეტის მკაცრად დარღვევის დროს ესვამ პანნინორმს და პერიოდულად ვამზადებ სოლმე ნაყენს. ტკივილი კარგა ხანია აღარ მქონია.

მცენარეთა ნარევის დამზადების წესი ასეთია: აიღეთ 3-3 ს/კ კამის თესლი და პატნა, 2-2 ს/კ კუნელი და უკვდავა და 1 ს/კ გვირილა. ბურეთი ერთმანეთში. შემდეგ მიღებული ნარევის 2 ს/კ ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 1,5 ქიქა მდუღარე წყალი, დახურეთ თაფლახური და დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 15 წთ-ის განმავლობაში. გადამოდგით, შეგრილეთ და გადაწურეთ. მიიღეთ 1/2 ქიქა 3-ჯერ დღეში ჭამიდან 1 საათის შემდეგ.

მე მიშველა და სცადეთ, იქნებ თქვენც წამლად გექცეთ.

პატივისცემით კლარა მგალობლიშვილი

ექიმის კომენტარი: ქრონიკული პანკრეატიტის მკურნალობისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიეტას — კვების რაციონი მდიდარი უნდა იყოს ცილით და მინიმალური რაოდენობით უნდა შეიცავდეს ცხიმებს, კატეგორიულად იკრძალება ალკოჰოლი, ინიშნება ჩანაცვლებითი თერაპია (კუჭქვეშა ჯირკვლის ფერმენტები). ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს სანაღვლე გზების ფუნქციონირების მოწესრიგებას ფიტოთერაპიული საშუალებებით. მკითხველის მიერ მონოდებულ რეცეპტში შემავალ მცენარეებს აქვს დამამშვიდებელი, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, ანტიმიკრობული, ნაღველმდენი მოქმედება. ეს კომბინირებული ეფექტი უდავოდ დადებით შედეგს მოგვცემს პარკრეატიტის მკურნალობისას.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

მკითხველი მკითხველს

ამ ზაფხულს მქონდა საჭდომი ნერვის ნევრალგია, ვიცავი ნევროპათოლოგთან. დამინიშნეს მკურნალობა, გავიკეთე ბლოკადა, უამრავი ნემსი. მივიღე ანტიბიოტიკები, მაგრამ ბოლომდე ვერ განვკურნე. ფეხი მიბუდდება, უკვე 8 თვეა, ყოველდღე ვსვამ გამაყუჩებელს. იქნებ არსებობს რაიმე სალსური საშუალება? გთხოვთ გამომეხმაუროთ.

დიანა

ერთი წელია, გაძეძღილი მაქვს ცხვირი. ანალიზში აღმომაჩნდა სტაფილოკოკი, ვიმკურნალე ანტიბიოტიკებით (ექიმის დანიშნულებით), ვიხმარე ათი ამპულა სტაფილოკოკური ფაგი, მაგრამ შედეგი არ ჩანს. თუ ვინმემ იცით უკეთესი რამ, გთხოვთ გამომეხმაუროთ.

რ. დავითაშვილი

ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.

ხველება სასარგებლოცაა

ხველება ორგანიზმის დამცავი რეაქციაა. სწორედ ამ გზით ცდილობს ის მოიშოროს მიკრობები და მიკრობების მაცოცხლებელი პროდუქტები, ამიტომ ხელი არ უნდა შეეუშალოთ.

არსებობს ორი სახის ხველება. მშრალი და სველი. უნდა შევეცადოთ, მშრალი ხველება გადავიყვანოთ სველში, რადგან ამ დროს გამოყოფილი ნახველი ორგანიზმს ასუფთავებს მიკრობებისგან. არსებობს ხველების საწინააღმდეგო ორი სახის პრეპარატი — ამოსახველებელი და ჩამხშობი.

ამოსახველებელი წამალი ავადმყოფს ეხშნება მშრალი ხველის სველად გადასაყვანად.

ხველის მომხსნელი წამლები ხშირად ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველია, ამიტომ მისი დანიშვნა მხოლოდ ექიმს შეუძლია. თვითნებური მიღებით შეიძლება ვავნოთ ორგანიზმს, რადგან ამოხველებისას, მიკრობების გამოყოფა არ ხდება.

ხველების მოსახსნელად ექიმები აღარ იყენებენ კოტაშებს, ეთერზეთებს — მათ შეიძლება გააძლიერონ ხველება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს უკანასკნელი გამოიყენეს ინჰალაციისთვის; ასევე არ არის სასურველი მდოგვის საფენები.

სობესედნიკი

რას იწვევს კალციუმის უკმარისობა

ცნობილია, რომ კალციუმი არის ძვლებისა და კბილების „საშენი“ მასალა, მონაწილეობს სისხლის შედედებისა და კუნთების შეკუმშვის პროცესში. ორგანიზმში ამ ელემენტის უკმარისობა იწვევს ძვლების სიმყიფეს, ვითარდება ძვლის დაავადება — ოსტეოპოროზი.

კალციუმის ის რაოდენობა, რომელსაც ვიღებთ პროდუქტების მეშვეობით (რძე, რძისა და ზღვის პროდუქტები) არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებით მივიღოთ ვიტამინების კომპლექსი, რომელიც შეიცავს კალციუმს, მაგნიუმს, სილიციუმს, C და D ვიტამინებს. ასაკის მომატებასთან ერთად ზიანდება კბილები (უმეტესად ქალებში), ხოლო კალციუმი, მაგნიუმი, სილიციუმი ხელს უშლის ძვლების გამოფიტვას და ამაგრებს ღრძილების ქსოვილს.

სხვათა შორის, ბავშვების სარძევე კბილების კარიესის 90% გამოწვეულია ფეხმძიმობის პერიოდში კალციუმის უკმარისობით.

კომსომოლსკაია პრავდა №41

ძვირფასი ლობიო

ლობიო უძველესი კულტურაა. კაცობრიობისთვის იგი ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე V ათასწლეულში იყო ცნობილი. დაჩეჩქვილი ლობიოს ნახარში გულის უკმარისობას რგებს. 1 ს/კ დაჩეჩქვილ ლობიოს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ადუღეთ დაბალ ცეცხლზე 10 წთ. გაწურეთ, მიიღეთ ნახევარ-ნახევარი ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

ეს ნაყენი სასარგებლოა თირკმლის და გულის დაავადებებით გამოწვეული შეშუპებებისას.

საშარდე ბუშტის ანთებას მოუხდება ნაყენი: 1ს/კ დაჩეჩქვილ ლობიოს დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ნახევარი საათით გააჩერეთ ორთქლზე, გაწურეთ და მიიღეთ 2 ს/კ 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ოტდოხნი №10

აბების ნაცვლად — ცხელი სასეელი...

გაცივებისას უფრო სასიამოვნოა მივიღოთ საუკუნეებით გამოცდილი ცხელი სასმელები — ვიდრე აბები. გთავაზობთ ზოგიერთი სასმლის რეცეპტს:

გროგი — ძალიან გავრცელებულია ინგლისში გაცივების სამკურნალოდ.

ჩაასხით 250გ რომი (კონიაკი), გახსენით მასში 50გ წიწიბრიას თაფლი, დაამატეთ 1/2 ჩ/ჭიქა ახალი ჩაი, 1/2 ჩ/კ ლიმონის ცედრა, შეურიეთ ერთმანეთს და მიირთვით.

პუნში — კიდევ ერთი რეცეპტი ნისლიანი ალბიონიდან, რომელიც შველის ხველებას, ყელის ტკივილს, ჟრჟოლასა და სასხვრების ტეხას. პუნშში შეიძლება სურვილისამებრ დაამატოთ ცოტა კონიაკი, შამპანური, ლიქიორი. ჩაასხით მომინანქრებულ ქვაბში 1ლ მშრალი თეთრი ღვინო, დაამატეთ 150გ შაქრის ფხვნილი, 1/2 ჩ/კ დაფქული დარიჩინი. 1 ჩ/კ ფორთოხლის გამხმარი ცედრა 5 წუთით გააჩერეთ ნელ ცეცხლზე, მიიყვანეთ ადუღებამდე, გაწურეთ, დაამატეთ 20გ ალუბლის (შტოების, ცირცელის) ლიქიორი. სვით პატარ-პატარა ყლუპებით.

ვისკი (ირლანდიური და შოტლანდიური) — ახასიათებს ანთებსაწინააღმდეგო და ანტისეპტიკური თვისება. ვისკის დაამატეთ ახალგამონურული შტოშის (ან მოცვის ან შავი მოცხარის) და ფორთოხლის წვენი ასეთი პროპორციით 1:2:2 და მიირთვით.

ზედოროვიე №3

ალერგია ვრცელდება

2015 წლისათვის ევროპის მოსახლეობის ნახევარი დაავადდება ალერგიის სხვადასხვა ფორმით, რაც გამოწვეული იქნება ცხოვრების თანამედროვე წესით. ამის შესახებ იტყობინება ბრიტანული მასმედია ევროპელი მეცნიერების მონაცემებზე დაყრდნობით. მეცნიერთა აზრით, ალერგიული დაავადებები გავრცელებულია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობაში. დღეისათვის ყველაზე მეტი ასთმით და ალერგიით დაავადებული ადამიანი, განსაკუთრებით ბავშვი, ავსტრალიაში ცხოვრობს, აგრეთვე ახალ ზელანდიასა და დიდ ბრიტანეთში.

დენგი №8

სარგებელი ძუძუთი კვებისაგან

დედების უმეტესობამ, ვინც ჩვილს ძუძუთი კვებავს, იცის, რომ ამით შვილს დიარეისგან, ყურის ინფექციებისა და ალერგიებისაგან იცავს. პედიატრთა დასკვნით, ძუძუთი კვებას კიდევ ერთი სასარგებლო თვისება აქვს: ასეთი კვება მნიშვნელოვნად ამცირებს რისკს, რომ ბავშვი მოგვიანებით არ გასუქდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ექიმის აზრით, ის ამოუცნობი ფენომენია, რომელიც დედას იმდენ რძეს გამოუმუშავებს, რამდენიც კონკრეტულ მომენტშია საჭირო ჩვილის დასანაყრებლად. ბოთლით კვებისას კი, იმ დროს, როცა მშობლები ხარობენ — ჩვენმა პატარამ ბოთლი დაცალაო, — სინამდვილეში ჩვილს ნორმაზე მეტ საკვებს აძლევენ და ამით მის მომავალ ღორმუცელობას აძლევენ გზას.

ამერიკელთა „მასობრივი დამძიმებით“ შეფიქრიანებულ ექიმებს ახარებთ ის, რომ ახლა დედების 70%-ზე მეტი შვილს ძუძუთი კვებავს, რითაც სიმსუქნისაგან იცავს.

ნიუზუიკი

ᲣᲔᲒᲐᲠᲘ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲖᲔᲗᲘ



ᲤᲝᲠᲛᲝᲜᲚᲘᲡ ზეთის სუნი ხსნის კუნთების სპაზმებს, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, ახალისებს გუნებას, ხელს უწყობს ორგანიზმის სწრაფად გათბობას.

ᲕᲘᲠᲑᲔᲜᲐᲡ (ცოცხანა) ზეთის სურნელი დამამშვიდებელია, ხსნის დაღლილობას, აპათიასა და დეპრესიას.

ᲜᲔᲛᲡᲘᲬᲕᲘᲠᲐᲡ ზეთის სუნი ამაღლებს გონებრივ და ფიზიკურ აქტიურობას, ხსნის დაღლილობას, აქვს ანტიდეპრესანტული თვისებები.

ᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡ (კოჭა, ჯანჯაფილი) ზეთი აქრობს დაღლილობას, მატებს ძალას, ხელს უწყობს სწრაფ გამოჯანმრთელებას.

ᲡᲐᲙᲔᲕᲖᲚᲘᲡ ზეთი შველის უძილობას, დაღლილობასა და ნერვულ დაძაბულობას.

ᲛᲐᲘᲝᲠᲐᲜᲘᲡ ზეთის სუნი ებრძვის შიშს.

ოტდორნი №10

ᲒᲡᲣᲠᲗ, ᲬᲝᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲙᲚᲝᲗ?



თუ გსურთ, შეუშინებლად და იოლად დაიკლოთ წონაში, გამოყენეთ კვირაში განტვირთვის ერთი დღე.

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ
ᲣᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ
ᲔᲥᲘᲡᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲐ
ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲣᲐᲚᲡᲚᲔᲡᲘ
ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲗ

მის: დიდუბის ᲥᲐ №4
☎ 34-26-69, 899-21-36-30
გია აფაქიძე

გთავაზობთ ვარიანტებს:

1. ᲭᲐᲛᲔᲗ იმდენი ვაშლი, რამდენიც გსურთ, მაგრამ აუცილებლად მიიღეთ ბევრი სითხე, უმჯობესია დამაშვიდებელი ბალახეულის ნაყენი.
2. დღის განმავლობაში ᲭᲐᲛᲔᲗ ან 1,5 კგ ახალშემოსული ან შემშვარი ვაშლი. სითხე არ მიიღოთ.
3. მათ კი, ვინც ახლახან დაანება თავი სიგარეტის მოწევას, კვირაში 3 დღე მხოლოდ ვაშლი უნდა ᲭᲐᲛᲝ და სვან ბევრი მწვანე ჩაი.

ლიზა გოროსკოპი №9

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲚᲘᲒᲐ"

ᲡᲔᲥᲡᲝᲞᲐᲗᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ
ᲢᲔᲚ.: 32 21 21

- ᲔᲠᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ;
- ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ;
- ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡ ᲨᲘᲨᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲐ;
- ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲪᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲨᲘ:

ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲘ, ᲛᲐᲥᲠᲘᲐᲜᲘ ᲓᲘᲐᲑᲔᲢᲘ, ᲢᲠᲐᲕᲛᲔᲑᲘ, ᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲝᲑᲐ, ᲒᲣᲚ-ᲡᲘᲡᲮᲚᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲜᲔᲕᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ.

ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

(ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲗ) ᲢᲔᲚ.: 32 44 78

- ᲤᲐᲠᲗᲝ ᲡᲠᲔᲥᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲣᲪᲣᲮᲝᲠᲘ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘᲗᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 0186, ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 83/11

ᲠᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲣ-ᲯᲝᲙᲘᲗᲔᲠᲐᲞᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲐᲒᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ?

თეო კაშია

ᲠᲔᲤᲚᲔᲥᲡᲝᲗᲔᲠᲐᲞᲘᲐ ᲐᲜᲣ ᲐᲙᲣᲞᲣᲜᲥᲩᲣᲠᲐ, ᲡᲣ-ᲯᲝᲙᲘᲗᲔᲠᲐᲞᲘᲐ



ᲠᲔᲤᲚᲔᲥᲡᲝᲗᲔᲠᲐᲞᲘᲐ. თურმე, ჩინეთის ერთ-ერთ იმპერატორს საშინლად აწუხებდა შაკიკი. ტკივილი რომ სხვა რამეზე გადაეტანა, გამწარებულმა, შემთხვევით ხელში მოხვედრილი ნემსი ფეხში შეერჭო. ტკივილი, არათუ დაუცხრა, ამ მტანჯველი სენისგან განიკურნა კიდეც. ასე იშვა რეფლექსოთერაპია.

ჩინეთში დღესაც ნაკლებად ეტანებიან ტკივილგამაყუჩებლებს და ტკივილს ნემსების საშუალებით ებრძვიან. ზოგიერთი ნარკოზის მიღებაზეც უარს ამბობს, თუნდ გულის ოპერაციის დროსაც კი — ხშირად ავადმყოფი გონებაზეა, საუბრობს, წყალს სვამს, იღიმება... და ერთადერთი გამაყუჩებელი „საშუალება" — მარცხენა მხარზე დარჭობილი ნემსებია! თუმცა, ამის გაკეთება ყველას არ ძალუძს. აკუპუნქტურაზე რეაგირებს ადამიანთა 25% და შედეგიც საოცარია.

ჩვენთან ავადმყოფი აკუპუნქტურას მაშინ მიმართავს, როდესაც ოფიციალური მედიცინა უძლურია, თუმცა, ჩინელების აზრით, პირიქით უნდა ხდებოდეს.

მკურნალობის ამ ხერხს რეფლექსოთერაპია იმიტომ ეწოდა, რომ წერტილოვანი მასაჟი და ნემსოთერაპია ორგანიზმზე რეფლექსის პრინციპით მოქმედებს.

რეფლექსოთერაპიითა და წერტილოვანი მასაჟით სამკურნალო ეფექტის გამონვევა მხოლოდ თეორიით არ შემოიფარგლება, უმნიშვნელოვანესია, როცა ადამიანს სჯერა ამ მკურნალობის მეთოდის ეფექტიანობისა.

ორგანიზმში არსებობს სასიცოცხლო ენერგია — ცი (ანუ ჩი), რომელიც ცირკულირებს მერიდიანების არხების მეშვეობით; მათზე ზემოქმედება შესაძლებელია ბიოაქტიური წერტილების მეშვეობით. მკვლევარები ნახევარი საუკუნის მანძილზე ცდილობდნენ, სხვადასხვა ხელსანყოს საშუალებით „დაეჭირათ" ეს მოუხელთებელი წერტილები. ბოლოს ეს მოხერხდა კიდეც: როგორც აღმოჩნდა, კანის ელექტროგამტარობა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარია, თანაც აქტიური წერტილების ზომა მუდმივად მოსაცვლელობს. სიმშვიდის მდგომარეობაში (ნარკოზის ან ძილის დროს) ზომაში მცირდება, ხოლო აქტიურ ფაზაში, სიფხიზლისას, იზრდება და ზოგჯერ რამდენიმე მილიმეტრსაც აღწევს. პათოლოგიის არსებობისას, შესაბამისი ორგანოს წერტილი იმდენად იზრდება, რომ შესაძლოა კვადრატულ სანტიმეტრს ან მეტს მიაღწიოს.

რეფლექსოთერაპიის პროცესი უმტკივნეულოა. ამ დროს იყენებენ საგანგებო ნემსებს, რომლებიც წამლების გარეშე კურნავენ სნეულს. ბოლო დროს განვითარდა ახალი მიმართულება — ფარმაკოპუნქტურა — წერტილებზე ზემოქმედებენ წამლიანი ნემსებით.

თუ ნემსი საჭირო წერტილში, საჭირო სიღრმით არის ჩასული, შესაძლოა გამოიწვიოს სითბოს, სიცივის ან სუსტი ელექტრონული იმპულსის შეგრძნებები, რომელიც განსაზღვრული მიმართულებით ვრცელდება.

ზოგ ადგილას ჩხვლეტა მტკივნეულია, მაგალითად, ასეთია ხელის ყველა წერტილი. გარდა ამისა, სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვანაირი შეგრძნება აქვს. ზოგიერთი პაციენტის მკურნალობისას, სამკურნალო ეფექტის მისაღწევად, ნემსით ზემოქმედება უნდა გადავიდეს ტკივილის შეგრძნებაში.

ადამიანის ორგანიზმში არ არსებობს ორგანო, რომელზე ზემოქმედებაც რეფლექსოთერაპიას არ შეეძლოს. თუმცა, აკუპუნქტურა ყველა დაავადებას ვერ კურნავს. ის, რასაც თანამედროვე მედიცინა დაავადებას უწოდებს, აღმოსავლური მედიცინის აზრით, ორგანიზმის ჯანმრთელობის დარღვევის ძალზე გვიანი სტადიაა. რეფლექსოთერაპია უფრო ეფექტიანია მაშინ, როდესაც ორგანიზმში მხოლოდ წონასწორობაა დარღვეული, ანუ დარღვეულია სხეულის ენერგიის ცირკულაცია.

მკურნალის ამოცანაა, „დაიჭიროს" მოსალოდნელი დაავადება და ენერგია ისე გადანაწილოს, რომ ის მიმართოს შედარებით დასუსტებული ორგანოსკენ.

ᲡᲣ-ᲯᲝᲙᲘᲗᲔᲠᲐᲞᲘᲐ. ჩინური მედიცინის პრინციპები დაედო საფუძვლად სუ-ჯოკთერაპიასაც. ამ მეთოდით მკურნალობის პრინციპი ადამიანის ხელის მტევნისა და ფეხის ტერფის სხეულთან მსგავსებაზეა დამყარებული. ამ ნაკვთებზე მთელი ორგანიზმია ასახული. ცერა თითი თავს შეესაბამება, დანარჩენი 4 თითი — 4 კიდურს, ხელისგულზე მთელი ტორსია მოთავსებული, სადაც ორგანოთა განლაგება ანატომიური სქემითაა დაცული.

სუ-ჯოკის პრინციპებს დიაგნოსტირების მიზნითაც იყენებენ, მაგრამ გამოკვლევის შედეგი სუბიექტურ შეგრძნებებზეა დაფუძნებული. რომელიმე წერტილზე ზეწოლისას გაძლიერებული ტკივილი შესაბამისი ორგანოს ფუნქციონირების დარღვევაზე მიუთითებს.

პროცედურის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია, საშუალოდ — 45 წუთი. მკურნალობის საერთო ხანგრძლივობა ავადმყოფობის სიმძიმესა და მკურნალობის მეთოდზეა დამოკიდებული. იშვითად, სასურველი შედეგი 5 დღეშიც მიიღწევა, თუმცა, საშუალოდ 12 სეანსის ჩატარება მაინც არის აუცილებელი.

სუ-ჯოკთერაპია გამოიყენება: ანთებითი პროცესების (ქოლეცისტიტი, კოლიტი, ართრიტი, ნევრიტი), ენდოკრინული დაავადებების, პანკრეასის პათოლოგიების დროს. ასევე, ის კარგად მოქმედებს გულსისხლძარღვთა, სასუნთქი, საჭმლის მომნელებელი, შარდგამომყოფი, ნერვული და სხვა სისტემათა დარღვევების დროს.

მაია მუხიგული

ᲓᲘᲐᲗᲔᲖᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ

სტატისტიკის თანახმად, დიათეზით 14 წლამდე ასაკის 40%-ზე მეტი ბავშვია დაავადებული. კანის ეს დაავადება, რომელიც ერთი შეხედვით თითქოსდა „არასერიოზულია", ბაწიან დიდ ტანჯვას აყენებს. კანი უწითლდება, ეწვის, ჩნდება წყლულები და ექერცლება, რაც თანდათან მთელ სხეულს მოედება ხოლმე. ბავშვი წუხს, ცუდად ძინავს, ტირის, განუწყვეტლივ იქექება, ეს საშიშია ინფექციისათვის.

მეცნიერულად დიათეზს ეწოდება ატოპიური დერმატიტი. უმრავლეს შემთხვევაში დაავადების გავრცელების მიზეზი 3 წლამდე ასაკის ბავშვებში არის საკვები ალერგენები.

კვების ალერგია ბავშვს შეიძლება გაუჩნდეს აბსოლუტურად ჩვეულ პროდუქტებზე, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ჩვენი მენიუ. ძლიერ საკვებ ალერგენებს მიეკუთვნება: ძროხის რძე, კვერცხი, თევზი, ზღვის პროდუქტები, თხილი და კაკალი, თაფლი, შოკოლადი, მარწყვი, ციტრუსები, ყურძენი, ბანანი, ბრონეული, ხურმა, პომიდორი, სტაფილო, ჭარხალი, სოკო, კივი, მანგო და ავოკადო.

ატოპიური დერმატიტის დროს ინიშნება სპეციალური „ელიმინაციური დიეტა" — რაციონიდან გამოირიცხება პროდუქტი, რომელიც ალერგიულია ბავშვისათვის. დიეტას შეიმუშავებს ექიმი, რომელიც ჩაატარებს სპეციალურ კანის სინჯებს ალერგენის გამოსამჟღავნებლად.

ატოპიური დერმატიტის ყველაზე მძიმე ფორმის დროსაც კი შეიძლება ბავშვის შველა. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს დაავადება ქრონიკულია და არ შეიძლება მისგან განკურნება ერთჯერადი მკურნალობით.

ნუ დავიმშვიდებთ თავს, ბავშვი გაიზრდება და სენი თავისთავად გაუვლისო. დიათეზი გაცილებით რთულ დაავადებაში შეიძლება გადაიზარდოს, მაგალითად, ბრონქიულ ასთმაში, ალერგიულ რინიტში. თანაც ასეთ ბავშვებს გაცილებით სუსტი იმუნიტეტი აქვთ: ხშირად ემართებათ ვირუსული ინფექციები, ანგინა, უმწვავდებათ ბრონქიტი, აწუხებთ ადენოიდები, ძნელად იკურნებიან სურდოსგან.

კომსომოლსკაია პრავდა №40

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ! ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐᲨᲘ!

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲐ ᲣᲚᲢᲠᲐᲗᲜᲐᲛᲔᲓᲔᲠᲝᲕᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲥᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ:

ᲰᲥᲕᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲨᲣᲜᲯᲚᲝᲑᲐ, ᲐᲥᲢᲘᲡ ᲜᲐᲐᲓᲠᲔᲕᲘ ᲓᲐᲠᲘᲡᲮᲕᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲒᲐᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲔᲑᲐ, ᲐᲛᲭᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲐᲮᲚᲘ ᲨᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲐᲮᲚᲘ ᲨᲘᲨᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ ᲙᲘᲠᲣᲒᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲨᲘ:

ᲖᲣᲡᲢᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲖᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲯᲐᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ!!!

კ. ჩაჩავას ხᲐ. ᲰᲐᲠᲜᲘᲪᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲐᲜᲗᲐ-ᲒᲘᲜᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ, ᲗᲐᲝᲠᲘᲡᲬᲚᲘᲐᲜᲘ-ᲗᲐᲓᲐᲜᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, Მ. კოსტავას 38, ᲡᲔᲥᲡᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲛᲮᲐᲮᲣᲠᲘ, I ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲙᲑ. 2. ᲢᲔᲚ: 99 64 99 ᲛᲘᲦᲘᲗ 10-17 ᲡᲗ-ᲛᲓᲔ, ᲨᲐᲑᲐᲗ-ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲐ

ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ!

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲗ

ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲘᲗ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ
- ᲡᲣᲑᲑᲝᲢᲜᲘᲚᲘ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲐ 15-20 წთ-ᲛᲘ;
- ᲞᲣᲜᲥᲩᲘᲐᲜᲘ ᲘᲐᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲗ;
- ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲓᲘᲪᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲐᲚᲘᲗ ᲗᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲗᲠᲝᲣ. ᲣᲨᲣᲚᲝᲕᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲗ „ᲘᲜᲢᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ", ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲔᲣᲨᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲪ. ᲞᲝᲚᲘᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ, ᲙᲑ. №7 (ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ, ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲐᲜᲘ). 10-14 ᲡᲗ.

რუსეთი

თუ მტერმა ხელმძღვანელობა ასნია, შიდა აპატიო

ჩეჩნეთში, უხუცესთა მოთხოვნით, იარაღი დაყარა ცნობილმა ბრიგადის გენერალმა მაჰმედ ჰამბიევმა. ის წლების განმავლობაში, „ბოევიკებთან“ ერთად, აკონტროლებდა ნოჟაი-იურტის რაიონს. გენერალი, 9 თანამებრძოლთან ერთად, ჩეჩნეთის უშიშროების სამსახურის სპეციფიკაციის შედეგად, თავის სახლში დაიკავეს. ოპერაციას პრეზიდენტ კადიროვის ვაჟი, რამზანი ხელმძღვანელობდა. მან შესთავაზა გენერალს — ისე გავაფორმოთ ყველაფერი, თითქოს საკუთარი სურვილით დაგვნებდითო. ეს ტაქტიკა პრეზიდენტის ვაჟმა მას მერე აირჩია, რაც დაჭერილი „ბოევიკების“ ფედერალებისათვის გადაცემის გამო ბევრი მტერი გაიჩინა. დაპატიმრებულთა ლეგალიზება კი მათ საკუთარ ოჯახებში დაბრუნების საშუალებას აძლევს, არც მრავალრიცხოვანი ნათესავები შეეცდებიან შურისძიებას, რადგან იარაღდაყრილ თავისიანებს მოღალატეებად მიიჩნევენ. გარდა ამისა, მთელ ჩეჩნეთს მოედება ხმა — „ბოევიკები“ შინ გაუშვესო, რაც კადიროვების წისქვილზე ასხამს წყალს — თუ ადრე „ბოევიკები“ იმიტომ იბრძოდნენ, რომ ტყვედ ჩავარდნის ეშინოდათ, ახლა ოჯახი ურჩევს — „კეთილ რამზანს“ ჩაპბარდიო. გენერალ ჰამბიევს თავისი თემის უხუცესებმაც ურჩიეს — დანებდიო. მასხადოვის ყოფილმა გენერალმა წინააღმდეგობის გარეშე დატოვა თავისი სახლი და განაცხადა, — ამდენმა ომმა დამღალაო. მაჰმიდ ჰამბიევი — ასლან მასხადოვის გარემოცვის გავლენიანი ფიგურაა, 1997 წელს თავდაცვის მინისტრი იყო. მეორე ომის

განმავლობაში ფედერალებისგან იცავდა უნიშვნელოვანეს სტრატეგიულ რაიონებს. ომის დასაწყისში დიდი უსიამოვნება მოუვიდა შამილ ბასაევთან, რომელიც ეპპაბიტებს უჭერდა მხარს და ჩეჩნეთში დაქირავებული „ბოევიკები“ ჩაიყვანა ხატაბის მეთაურობით. 2000 წელს სამხედრო საბჭოზე მან ბასაევი დაადანაშაულა დაღესტანზე უშედეგო შეტევაში. ბასაევმა, რომელიც აკადმყოფურად განიცდის, როცა სიტყვას სპეცსამსახურებთან შესაძლო კავშირზე გადაუკრავენ, დაამრო რევოლვერი და ესროლა ჰამბიევს, თუმცა თვითონაც ტყვია მიიღო (ორივე მსუბუქად დაიჭრა). მას მერე მათი გზები გაიყარა. პრეზიდენტ კადიროვის ადმინისტრაციაში ითქვა, რომ იჩქერიის თავდაცვის მინისტრის მიმართ შესაძლოა ამნისტია გამოცხადდეს, რადგან ის ეპპაბიტებს მხარს არ უჭერდა და არც ადამიანების მოტაცებაში მონაწილეობდა.

კომერსანტი №41

ევროპა

ევროკავშირის ქვეშევრების მოქალაქეებს ბინადრობის უფლება აღარ დასჭირდებათ

ევროპარლამენტის გადაწყვეტილებით, ორი წლის განმავლობაში, ევროკავშირის ყველა ქვეყანამ თავის შინაგანაწესში უნდა შეიტანოს კანონი ამ კავშირის ყველა ქვეყნის მოქალაქისათვის ბინადრობის უფლების გაუქმების შესახებ. ამიერიდან ევროპის ერთ-ერთ რომელიმე ქვეყანაში კანონიერად საცხოვრებლად სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საკმარისი იქნება ადგილობრივ პოლიციაში რეგისტრაცია. თუ მოქალაქე 3 თვეზე მეტხანს არ აპირებს სხვა ქვეყანაში ცხოვრებას, არც ეს რეგისტრაცია დასჭირდება. მას უნდა ჰქონდეს საზღვარგარეთის პასპორტი და პირადობის მოწმობა. თუმცა ყოველი ქვეყნის პოლიციის შეუძლია უცხოელის მიმართ საკუთარი წესი გამოიყენოს და ხანგრძლივად ცხოვრების ნება არ დართოს, კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეს არა აქვს შემოსავლის წყარო. ეს პუნქტი იმისთვისაა შემოღებული, რომ დასავლეთ ევროპაში აიცილონ იაფფასიანი მუშახელის მოზღვავება ევროკავშირის მომავალი წევრი ქვეყნებიდან. დიდი ბრიტანეთი ამკაცრებს საიმიგრაციო წესებს 10 ქვეყნისათვის, რომელიც ევროკავშირს უნდა შეუერთდეს. თუ ამ ქვეყნების მოქალაქეები დიდ ბრიტანეთში მოინდომებენ მუშაობას, მათ რეგისტრაციის გავლა მოუწევთ, რათა მთავრობამ ყოველთვის იცოდეს თავის ქვეყანაში მათი რაოდენობა. ევროკავშირში 15 სახელმწიფო შედის — ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, დანია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი, შვედეთი. 2004 წლის 1-ლი მაისიდან შეემატებათ: კვიპროსი, ჩეხოსლოვაკია, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკია, სლოვენია. სავარაუდოდ, იმ დროისათვის უნდა შევიდეს ძალაში ერთიანი ევროპის კონსტიტუცია.

ლენტა რუ

სამხრეთ კორეის პარლამენტმა პრეზიდენტს იმპიჩმენტი გამოუცხადა

სამხრეთ კორეის პარლამენტმა ქვეყნის ისტორიაში პირველად გამოუცხადა იმპიჩმენტი პრეზიდენტს. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა 193-მა დეპუტატმა, მხოლოდ ორი წაიდა წინააღმდეგი. სახელმწიფოს მეთაურის, ნო მუ ჰენის უფლებამოსილება შეჩერებულია, ნახევარი წლით მის მოვალეობას პრემიერ-მინისტრი გო კუნი შეასრულებს. მუ ჰენმა მომხდარის გადატრიალება უწოდა, მისმა მომხრეებმა კი, სამთავრობო პარტია „ური პარტიდან“ — დემოკრატიის სიკეთილი. ისინი შეეცადნენ, იმპიჩმენტი არ დაუშვათ. პარლამენტში არ უშვებდნენ სპიკერს, რომელსაც გზა უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა გაუკაფეს. მაგრამ როცა სპიკერმა თავისი საფარძელი დაიკავა, ყველაფერი რამდენიმე წუთში დამთავრდა. ნო მუ ჰენს ბევრი ბრალდება წაუყენეს, მათ შორის ის, რომ მისი თანაშემწეები არალეგალურად აგროვებდნენ სახსრებს პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიისთვის, თავად პრეზიდენტი კი უკანონო აგიტაციას ეწეოდა თავისი პარტიის სასარგებლოდ საპარლამენტო არჩევნების წინ. პოლიტიკური კრიზისი მაშინვე აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე — ეროვნული ვალუტის კურსი დაეცა.

ნიუს რუ

ყარამანლისის ძმისწულმა პაპანდრეუს ვაქს აჯობა

საბერძნეთის საპარლამენტო არჩევნებში პარტია „ახალმა დემოკრატიამ“ მოუგო სოციალისტებს. პრემიერ-მინისტრი გახდა კოსტას კარამანლისი.

არჩევნების წინ ბევრი ექსპერტი ირწმუნებოდა, სოციალისტები თუნდაც იმიტომ წააგებენ, რომ 11 წელია, ქვეყანას მართავენ და ამომრჩევლებს თავი მოაბეზრესო. მოქიშპე პარტიების ლოზუნგები (უმუშევრობასთან, კორუფციასთან ბრძოლა, ეკონომიკური აღმავლობა, წელს ზაფხულში ოლიმპიური თამაშების კარგად ჩატარება) ბევრით არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მაგრამ, ეტყობა, ბერძნებს მართლა მოუწდათ დეკორაციის გადახალისება და ეს იქცა არჩევნებზე გადამწყვეტ ფაქტორად.

სოციალისტურ პარტიას არც ხელმძღვანელობის შეცვლამ უშველა. ერთი თვის წინ პარტიის ახალი ლიდერი გახდა ქვეყნის საგარეო საქმეთა ყოფილი თავკაცი გეორგიოს პაპანდრეუ, რომელიც ხალხში ძალიან პოპულარული. ამის მიუხედავად, „ახალმა დემოკრატიამ“ მაინც გაიმარჯვა ხმათა 45,5%-ით და პარლამენტში 300-დან 165 ადგილი შეხვდა, სოციპარტიას — 117.

ახლანდელმა საპარლამენტო არჩევნებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ პოლიტიკა საბერძნეთში — რამდენიმე დიდი ოჯახური კლანის საქმეა. სოციალისტთა ლიდერიც და „ახალ დემოკრატთა“ ლიდერიც საბერძნეთის ორი ყველაზე გავლენიანი ოჯახებიდან არიან.

ახალი პრემიერის ბიძა (ისიც კოსტას კარამანლისი) ორჯერ მეთაურობდა მთავრობას. სხვათა შორის, მას მოუწია 70-იან წლებში, სამხედრო ხუნტის შემდეგ დემოკრატიის აღდგენა.

სოციალისტთა ლიდერის — გეორგიოს პაპანდრეუს მამა კი ათი წელი მართავდა საბერძნეთს.

იზვესტია №40

ჩაუშესკუ ცსს-მ დაამხო?

სლობოდან მილოშევიჩი, სადამ ჰუსეინი, ედუარდ შევარდნაძე — სამივე ამერიკის სპეცსამსახურებმა დაამხო... გერმანელი კინორეჟისორის, სიუზანა ბრანდშტატერის დოკუმენტურ ფილმში, „ჩაუშესკუს დახვრეტა“ (რომელიც რამდენიმე ქვეყნის ტელევიზიით იქნა დემონსტრირებული), ნათქვამია, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელი ურევია აღმოსავლეთ ევროპის ერთ-

ერთი ყველაზე ოდიოზური ლიდერის — ნიკოლაე ჩაუშესკუს დამხობაში.

15 წლის წინ, რუმინეთის კომპარტიის ყოფილი გენერალური მდივნის და მისი მეუღლის დასჯა ხალხის ნების გამოხატულებად იყო აღქმული. თუმცა ახლა იმ წლების მოვლენები შესაძლოა, სხვაგვარად შეფასდეს.

ნიკოლაე ჩაუშესკუ ძალიან მოსწონდა ვაშინგტონს, რადგან ის სოციბანაკის შეხედულებებს არ იზიარებდა, მხარს არ უჭერდა სსრკ-ის შეჭრას ავღანეთში. ჩაუშესკუ აცხადებდა, — ერთდროულად უნდა დაიშალოს ნატო და ვარშავის ხელშეკრულებაო.

მაგრამ 80-იანი წლების დამლევს მისი ავტორიტარული რეჟიმი რუსეთის „პერესტროიკის“ და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში „ხავერდოვანი რევოლუციის“ ფონზე ანაქრონიზმად გამოჩნდა. ამიტომ აშშ-მა გადაწყვიტა, ჩაუშესკუ მოეშორებინათ. ოპერაციის შესრულება ცსს-ს აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების ხელმძღვანელს — მილტონ ბორდენს დაავალეს. ფილმში, „ჩაუშესკუს დახვრეტა“, ის აღიარებს, რომ „კარპატების გენიის“ მოშორება აშშ-ში დაიგეგმა... ჯერ საზოგადოებრივი აზრი მოამზადეს, საინფორმაციო საშუალებებით ნეგატიური მასალები მოჰფინეს მსოფლიოს — ჩაუშესკუ თავის ხალხს სტანჯავს, ანიავებს სახელმწიფო ქონებას, აფერხებს ეკონომიკურ წინსვლასო. ჩაუშესკუ, ცხადია, ანგელოზი არ იყო და დასავლეთმა ერთხმად აიტაცა მისი დიქტატორობის ამბავი. პარალელურად, მისი შემცველი მზადდებოდა — იოან ილიესკუ. ეს კანდიდატურა მოსკოვსაც ხელს აძლევდა და ვაშინგტონსაც. რუმინეთის ოპოზიცია სოციალიზმიდან თავდახსნილი უნგრეთიდან მარაგდებოდა იარაღით.

იმავდროულად, მსოფლიოს რამდენიმე ტელეარხმა მაშინ აჩვენა რუმინეთის სპეცსამსახურების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა. ფილმში ცსს-ელები ახლა აღიარებენ, რომ ეს ბრწყინვალე მონტაჟი იყო.

ჩანს, ცსს-ს მსგავსი ბევრი სცენარი აქვს გადანახული, რომელიც შესაძლოა ამოქმედდეს, ვთქვათ, ბელორუსიაში ან უკრაინაში, გარკვეულ სიტუაციაში — რუსეთშიც...

კომერსანტი №41

ნაბეგული თუ მკვლელი?

26 წლის პალესტინელი ქალი, თაურია ჰამური ტერორქმის მცდელობისათვის ისრაელის ტერასპის ციხეში 6-წლიან სასჯელს იხდის. პალესტინელები მას გმირად და წმებულად ნათლავენ, ისრაელელები კი მკვლელს უწოდებენ. თვითონ თაურია თავს ალაპისათვის წმებულად აცხადებს და საკუთარ ტერორისტობას ამართლებს: „ბრავალი ფაქტის მოტანა შემიძლია, თუ როგორ ხოცავდნენ ისრაელელი ჯარისკაცები უდანაშაულო პალესტინელ ქალებსა და ბავშვებს. გადაწყვეტე, შური მეძია. ეს წმინდა ბრძოლაა და ყურანი მას ქალებს არ უკრძალავს. დღეს პატიმარი ვარ. ამით ამაყობს ჩემი ოჯახი და ჩემი ქალაქი. შურისძიების აქტისთვის ერთ საათში მომამზადეს. მასწავლეს, როგორ უნდა ამეფეთქებინა ხელეული მორგებული ქამარი. ადგილი ითვითონ შევარჩიე — სამხრეთ იერუსალიმში, ერთ-ერთი რესტორანი. საქმე რომ ბოლომდე მიმეყვანა, ბევრი დაიღუპებოდა. ოთხ წელინაწილი ციხიდან გამოვალ. ვიცი, მთელი პალესტინა ყვავილებით შემხვდება. ბრძოლას აუცილებლად გავაგრძელებ“.

ნიუზუიკი

მოკლედ

მადაგასკარზე 154 მცხოვრების სიცოცხლე შეიწირა დამანგრეველმა ციკლონმა. დაღუპულთა დიდი ნაწილი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან ჩაძირული ბორნის მგზავრია. 40-ზე მეტი შენობათა ნანგრევებში მოჰყვა. ათასობით ადამიანი საცხოვრებლის გარეშე დარჩა, დაჭრილია ათობით კაცი.

ლატვიის სეიმმა დაამტკიცა ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მწვანეთა და გლეხთა კავშირის წარმომადგენელი ინდულიის ემსისი. ახალი მთავრობის შემადგენლობაში შვიდი აგრეთვე ორი მემარჯვენე პარტია — სახალხო და ქრისტიანული. ოპოზიციაში აღმოჩნდა ქვეყნის ყოფილი პრემიერის, ეინარს რეპშეს ფრაქცია.

ბელგრადის პოლიციამ დაადასტურა, რომ გასულ კვირას მოკლეს სერბეთის პრემიერ-მინისტრის, ზორან ჯინჯიჩის მკვლელობის მოწმე კუიო კრიჟესტორაჩი. იგი პრემიერ-მინისტრის მკვლელობის დღეს — 2003 წლის 12 მარტს იმყოფებოდა იმ ქუჩაზე, სადაც მოხდა დანაშაული.

პრისტინაში უცნობებმა ყუმბარა ესროლეს ავტონომიური მხარის ხელმძღვანელის იბრაჰიმ რუგოვას რეზიდენციას. საბედნიეროდ, კოსოვოს მეთაური და მისი ოჯახის წევრები არ დაშავებულან. მუუბუქად დაიჭრა დაცვის სამსახურის თანამშრომელი.

პაკისტანმა წარმატებით გამოსცადა დედამიწა-დედამიწის კლასის ახალი ბალისტიკური რაკეტა „შაჰინ-2“. პაკისტანელი სამხედრო ექსპერტები არ მალავენ, რომ გამოცდის მიზანი ინდოეთზე შთაბეჭდილებების მოხდენაა.

ვირჯინიის შტატის სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა „ვაშინგტონელ სნაიპერს“ — ჯონ ალენ მუჰამედს. სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო ათი ადამიანის მკვლელობაში.

აშშ-ის სამხედრო უწყებამ გამოაცხადა, რომ ავღანეთში იწყებს ახალ ფართომასშტაბიან ოპერაციას, რომლის მიზანია უსამა ბინ ლადენისა და მისი თანაშემწის, აიმან ალ-ზავაჰირის ძოვნა. სავარაუდოდ, ისინი ავღანეთ-პაკისტანის საზღვრის ახლოს იმალებიან. ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებს ავღანეთში მდგარი საერთაშორისო კოალიციის მთელი კონტინგენტი — 13,3 ათასი ჯარისკაცი.

პატარში, იჩქერიის ყოფილი პრეზიდენტის, ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობასთან დაკავშირებით დაპატიმრებულმა რუსეთის სპეცსამსახურის ორმა თანამშრომელმა დანაშაული აღიარა. დიდი ბრიტანეთის გაზეთი „ტაიმსი“, ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით, წერს, რომ მოწყობილობა, რომელიც იანდარბიევის მანქანაში აფეთქდა, დიპლომატიური ფოსტით გაგზავნეს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ხოლო იქიდან — არალეგალურად კატარში გადაიტანეს. თუ დამტკიცდა, რომ „ტაიმსის“ ცნობა ნამდვილია, მსოფლიო საზოგადოებრიობა მოსკოვს დაადანაშაულებს — ტერორისტებს მათივე მეთოდებით ებრძვითო.

ევროპელი

შგო ჩამეხი აშშ-ს ასწლიანი ომით ემუქრება

ფრანგულმა გაზეთმა „ფიგარომ“ ინტერვიუ ჩამოართვა ვენესუელის პრეზიდენტს. გთავაზობთ ამონარიდს:

ვენესუელას საკმაოდ ბევრი მოკავშირე ჰყავს კონტინენტზე, რომ ასწლიანი ომი დაიწყოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ აშშ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერევა და მდგომარეობის დესტაბილიზაციას შეეცდება. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ჯორჯ ბუში იდგა 2002 წლის აპრილში ვენესუელაში მომხდარი გადატრიალების უკან. აშშ კვლავ გაგაგრძობს ჩვენი ოპოზიციის დაფინანსებას. აშშ-მა უნდა იცოდეს, რომ ახალი ბაზრის მოძებნა, ვთქვათ, ჩინეთში, ევროპაში ან ბრაზილიაში, არ გაგვიჭირდება, — აცხადებს პრეზიდენტი ჩავესი, — აშშ-ის ხელისუფლებამ მიზანში იმიტომ ამოგვიღო, რომ აღვიდგინეთ ოპეკი, რის შედეგადაც ბარელის ფასმა, რომელიც 5

წლის წინ 10 დოლარზე ზევით არ ადიოდა, ახლა ითთქმის 30 დოლარს მიაღწია. ვენესუელა, რომელიც ყოველწლიურად 3 მლნ-ზე მეტ ბარელ „შავ ოქროს“ მოიპოვებს, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ნავთობის ერთ-ერთი მსხვილი მიმწოდებელია.

ფიგარო

გვერდი მოამზადა
ნანა ანტონოვა-ილურიძემ

თანამედროვე პოლიტიკოსებისა და მინისტრების სამჭედლო

ბავშვის სულთან რომ მიხვიდე, ათი მცნებით უნდა იცხოვრო...

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს ყველა სკოლაში ყოველ ორშაბათს უნდა აღიმართოს სახელმწიფო დროშა და მოუსმინონ სახელმწიფო ჰიმნს. თბილისის 16 სკოლაში უკვე აღიმართა ხუთჯერადი დროშები. თექვსმეტივე სკოლაში დიდი სამზადისი და სადღესასწაულო განწყობა სუფევდა და რაც მთავარია, ყველგან სჯერდათ, რომ ესტუმრებოდათ ბატონი მიხეილ საყაშვილი... ჯერჯერობით დროშის აღმართვა ერთადერთი ცვლილებაა, რაც ჩვენს სკოლებს დაეტყო. არადა, შესაცვლელი რომ ბევრია, ეს უდავოა.

პრეზიდენტს ელოდნენ გრიგოლ ხანდოელის სახელობის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაშიც, სადაც მიხეილ საყაშვილი რვა კლასის ჩათვლით სწავლობდა. ეს სკოლა თანამედროვე პოლიტიკოსებისა და მინისტრების (მათი უმრავლესობის) სამჭედლოდ იქცა. სკოლის დირექტორს, ქალბატონ ციცო გოფხითელიანს სწორედ ამასთან დაკავშირებით კვეთხეთ:

— ხედავთ თუ არა თქვენ სკოლის როლსაც ყოფილი მოსწავლეების წარმატებაში?

— მიმაჩნია, რომ დამსახურება მისია, ვინც ამ სკოლას ჩაუყარა საფუძველი, შეარჩია მასწავლებელთა კონტინგენტი. ეს ექსპერიმენტი იყო. მაშინ ბატონმა ლევან ჩიქვანაიამ განაცხადა: მე ავარჩევ პედაგოგებს, წელიწად-ნახევარი არავინ შემოვიდეს სკოლაში და ეს სკოლა სახელს გაითქვამსო... ბატონი შალვა ამონაშვილისა და ლევან ჩიქვანაიას დამსახურებაა, რომ თავისუფლება აქ ათეული წლების წინ დამყარდა. მასწავლებლები გაკვეთილს ისე წარმართავდნენ, როგორც მიაჩნდათ საჭიროდ და შედეგსაც იღებდნენ. ახლა რომ მიმდინარეობს შედეგზე ორიენტირებული რეფორმები, ეს ჩვენს სკოლაში უკვე მაშინ იყო... ბავშვებიც თავისუფალი სულით ყალიბდებოდნენ. მიხეილ საყაშვილი, ზურაბ ყვანია, თამრიკო სულუხია, ზაქარია ქუცნაშვილი, ირაკლი ჩუბინიშვილი, ირინა სარიშვილი ჩვენი მოსწავლეები იყვნენ.

— „კოჭებზე თუ ეტყობოდათ“ მომავალი წარმატება?

— ზურა ყვანია ძალიან კარგად სწავლობდა, ქების სიგელით დამთავრა სკოლა, გამორჩეული იყო. ეტყობოდა, რომ ნამდვილი ბიოლოგი გახდებოდა. განსაკუთრებული მოსწავლე იყო მიშა საყაშვილიც... ფიზიკურად, როგორი აქტიურიც ახლაა, ადრეც ისეთი იყო. იმდენად განსხვავებული ბავშვი იყო, რომ არა ჩვენი სკოლა, სადაც შეიძლებოდა ყველას თავისი აზრი ჰქონოდა, გაუჭირდებოდა... მასთან ურთიერთობა ადვილი არ იყო, იმდენად წინ უსწრებდა თავის ასაკს. თამრიკო სულუხიას ოქროს მედალზე აქვს სკოლა დამთავრებული. ირინა სარიშვილიც კარგად სწავლობდა...

— ახლა თუ გკვეთ მომავალი სამინისტროკადრები?

— ვერ გეტყვით... ისე, როგორ არ გვეყოლება. ჩვენთან ხომ ბევრი კარგი ბავშვი სწავლობს.

— ფაქტია, კომპიუტერმა და ტელევიზიამ ბავშვები წიგნებს დააშორა, ეს კი სამომავლოდ ბევრ რამეს დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ...

— ეს ხომ მხოლოდ სკოლის ბრალი არ არის? თანაც მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. ბავშვები უკვე წიგნებს ინტერნეტში ეძებენ და კითხულობენ. ისინი აუცილებლად დაუბრუნდებიან წიგნს...

ცნობილი გამოთქმა — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ — ძალაში რჩება, მაგრამ მისი განხორციელება შეიძლება ყველარც შევძლოთ, თუ დროზე არ დავარისხეთ განგაშის ზარი. სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო სკოლის X-X კლასის მოსწავლეებს რამდენიმე კითხვა დავუსვი: რა დაწერა ლევ ტოლსტოიმ, როგორ მოკვდა მიხეილ ჯავახიშვილი, ვინ იყო შალვა დადიანი? და სხვა, რომლებზე პასუხიც, დამეთანხმებით, რთული არ არის... და მაინც... 24 ბავშვიდან მხოლოდ ორმა შეძლო ნაწილობრივ მაინც ეპასუხა შეკითხვებისთვის. ასეთ ფონზე პედაგოგებს უდიდესი პასუხისმგებლობა და მისია აკისრიათ. როგორ უნდა დაიძლიოს სირთულეები და როგორ აღვზარდოთ უკეთესი თაობა? — ამ შეკითხვით მივმართეთ ქალბატონ **ნორა ტარიელაშვილს,** *დაახლოებით 40 წლის სტაჟის მქონე პედაგოგს, რომლის პროფესიონალიზმი დღესაც სალაპარაკოა. ისიც პირველი ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგი (წლების მანძილზე — დირექტორი) გახლავთ.*

— ბავშვის სულის გადასარჩენად ყოველ მასწავლებელს დიდი, უთანასწორო ბრძოლა სჭირდება მაგრე გარემოსთან. ტელევიზორმა მოწყვიტა კაცობრიობა წიგნს. დღეს ინფორმაციას კი ღებულობენ, მაგრამ ეს ცოდნა არ არის. უძლურები ვართ ზოგიერთ ტელეგადაცემას ვებრძოლოთ. რაც წარსულში უზნეობად ითვლებოდა, დღეს მას მეტისმეტად მსუბუქად უყურებენ. ეს ყველაფერი უხამსი და უკონტროლო გადაცემების შედეგია.

— დღევანდელი საუკეთესო მოწაფე თუ ჯობნის ინტელექტით ოცი წლის წინანდელ საუკეთესო მოწაფეს?

— არა, ნამდვილად არ ჯობნის. ჩვენს სკოლაში ბევრი ბავშვი აღიზარდა, სულ გამორჩეულები. რომ ვიხსენებ მათ ბავშვობას და ვადარებ დღევანდელებს, ბევრი რამ მათ უკეთესი ჰქონდათ. დღეს მოდავა თუ რა დავარქვა, არ ვიცი. ინგლისურად ჭიკჭიკებენ ბავშვები, ქართულად გამართულად ვერ დაგელაპარაკებიან. ეს არ არის სწორი. მინდა ბავშვი ქართველად გავზარდო, მინდა მამული უყვარდეს...

— მიხეილ საყაშვილი, ზურა ყვანია როგორო ბავშვები იყვნენ, რამდენად ეროვნული ცნობიერება ჰქონდათ?

— უაღრესად ეროვნულები იყვნენ. როცა ისინი სწავლობდნენ ჩვენს სკოლაში, ყველაფერ ეროვნული ძალიან დიდი ყურადღება ექცეოდა. არავინ მავალებდა, მაგრამ ვცდილობდი, რასაც გეოგრაფიაში ვასწავლიდი, მეჩვენებინა კიდეც მათთვის, რათა შეეტკბოთ ეს ბუნება, ეს ისტორიული ძეგლები, ეს მინა. დავდიოდით ექსკურსიებზე, ლაშქრობებზე, ბანაკში. ვცხოვრობდით კარვებში ერთი თვის მანძილზე, ხან ხევსურეთში, ხან რაჭაში... ახლა რომც მინდოდეს, ამდენს ვეღარც გავუკეთებთ ბავშვებს. მაშინ ერთადერთი, რისიც გვეშინოდა, მეხი იყო, ისიც კი ვიცოდით, რომ ნადირი ჩვენს კარავს არ დაეცემოდა, შეიძლებოდა იქვე ფერმასთან გამოჩენილიყო მხოლოდ... დღეს ადამიანების გვეშინია, ერთი თვით კი არა, მთაში ორი დღით წასვლაც სარისკოა, ამის გამო ძალიან ბევრს ვკარგავთ.

— ყველაზე მეტად რომელი მოსწავლე დაგამახსოვრდათ იმათგან, ვისაც დღეს ჩვენც ვიცნობთ?

— მოწაფე ყველა საყვარელია და ყველა მახსოვს. განსაკუთრებით მხოლოდ ერთს გამოვყოფ. ის ყველაზე მეტად მიყვარს, ზურა ყვანიასაც მირჩევნია, მიშა საყაშვილსაც. იგი არის ბოდბის დედათა მონასტრის ილუმენი — ქეთი მახვილაძე — დედა თეოდორა. საკმაოდ კარგად არომეცვს თავს თავის საქმეს. წალკოტს ჰგავს იქაურობა. ირაკლი როსტომაშვილი კარგად ხატავდა, ეტყობოდა, რომ დიდი ნიჭი ჰქონდა, ბანკში რომ ვიყავით, ალბომი ირაკლიმ გაგვიფორმა თავის თანაკლასელთან ერთად. ახლა არქიტექტორია...

მიშა საყაშვილს გავუგზავნე თავისი ნაწერები. ერთი მათგანი დამამახსოვრდა. ასეთი თემა იყო: „გვერდით მეგობარი მიზნის.“ მიშა ძალიან კარგად სწავლობდა, გვერდით კი ცელქი ბიჭი ეჯდა. ეს თემა მას ლექსად დაუწერია. შესაავალს რვასტროფიანი ლექსი მოსდევდა. არიგებდა მეგობარს: დროს უქმად ნუ კარგავ, ქვეყანას ასეთი არ გამოადგები, სწავლის გარეშე ვერაფერს მიაღწევო. ზურაბ ყვანიას კლასი ძალიან მიყვარდა. დიდხანს ვიმუშავე მათთან. მისი ხელით ხეზე ამოტვიფრული ნავი დღემდე შენახული მაქვს. ეტყობა, მაშინაც მოგზაურობაზე ოცნებობდა...

ძალიან ცელქი და მოუსვენარი ბავშვი იყო დიმა ობოლაძე. ჩვენთან სწავლობდა მამუკა სალუქვაძე. მისი ლექსები მაშინაც პოპულარული იყო სკოლაში, ზეპირად იცოდნენ ბავშვებმა. ჩვენთან სწავლობდნენ ირაკლი და კახა შარტავები — ჟიული შარტავას შვილები, საოცრად კარგი ბავშვები. ყველას ვერც ჩამოვთვლი...

— რთულია სკოლაში მუშაობა, ბავშვებთან ურთიერთობა...

— რთული ბავშვები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან. მთავარია, გამოძებნო მათი დაინტერესების გზა, დაეხმარო, მიაგნონ თავის სფეროს, სადაც გამოაცლენენ ნიჭს და უნარს. რთული ბავშვების პრობლემა მოიხსნა, როცა რელიგიის სწავლება შემოვიღეთ — კოცონი დავანთეთ და აღარ მიეხედეთ... როგორც თაფლს ფუტკარი, ისე ეხვეოდნენ ამ საგანს უფროსკლასელები. რელიგია ახლაც ისწავლება დაბალ კლასებში, მაგრამ... მეტია, ალბათ, საჭირო. ყოველთვის მეგონა, რომ ქრისტიანულად ვცხოვრობდი, თუმცა ახლა მიეხედი, რა არის ქრისტიანული ცხოვრება, წარსულში ამდენი არ ვიცოდი... მაშინდელ შეცდომებს დღეს ვხედავ... აღზრდის შედეგები ხომ გვიან იჩენს თავს. მიმაჩნია, ყველაფერი კარგად იქნება, თუკი პედაგოგს, პროფესიონალიზმთან ერთად რწმენაც ექნება. ბავშვის სულთან რომ მიხვიდე, ათი მცნებით უნდა იცხოვრო.

გვერდი მოამზადა ლელა ჯიყაშვილმა

უმაღლესში მისაღები გამოცდები აღარ იქნება

მომავალში თორმეტწლიან სწავლებაზე უნდა გადავიდეთ

(დასაწყისი იხ. გვ. 12)

ეს იქნება თვითმმართველი ერთეული, რომელსაც სწავლების ხარისხს უმოწმებს განათლების სამინისტრო, ფულის ხარჯვას — საგადასახადო. დღეს საშინელი მდგომარეობაა. იშვიათი გამონაკლისის გარდა სკოლებში მინიშვერადნაძეები სხედან, განსაკუთრებით, პრესტიჟულ სკოლებში და კაციშვილმა არ იცის რა კეთდება, სად მიდის ფონდის ფული. ზოგი ამბობს, მშობელმა როგორ უნდა აირჩიოს დირექტორიო... რას ბრძანებთ, თუკი მშობლები პრეზიდენტს ირჩევენ, დირექტორს ვეღარ აირჩევენ?

— საკმაოდ უკონტროლოა დღეს კერძო სასწავლებლები, არავინ იცის, ვინ რაში იძლევა დიპლომს... ამას გადახედვა არ სჭირდება?

— აუცილებლად. იქნება აკრედიტაციები — ფაკულტეტის ან უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისობის დადგენა გამოცხადებულ ხარისხთან. ამაზე საუბარი 5 წლის წინ დაიწყო, მაგრამ არაფერი შეცვლილა... 33 უნივერსიტეტი გვაქვს, 12 აკადემია. 140-ზე მეტი სხვა უმაღლესი სასწავლებელი. ამას უცნოელებს რომ ვეუბნები, ზოგს ეცინება, ზოგი გაოცებულია. უნივერსიტეტი უმაღლესი განათლების უმაღლესი ფორმაა... ჩვენთან ყველაფერი გაუფასურებულია. აკრედიტაციის გარეშე გაიცემოდა ლიცენზიები. ეს იყო კორუფციული პრაქტიკა. ჩვენ გადგავალთ სტუდენტის და არა უმაღლესი სასწავლებლის დაფინანსების სისტემაზე. რაკი არ იქნება გამოცდები და იქნება თავისუფალი არჩევანი, აბიტურიენტი უკეთეს სასწავლებელში მივა. მოხდება ბუნებრივი გადარჩევა... ზოგ ფაკულტეტზე, მაგალითად, სამედიცინოზე, სწავლება ძვირია. აბიტურიენტს თანხა შეიძლება დაუმატოს ოჯახმა, მაგრამ ჩვენ ფინანსთა სამინისტროსთან ვმუშაობთ ამ თემაზე და ვაპირებთ შევთავაზოთ გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სტუდენტური კრედიტი. ჯერჯერობით, ასეთი საბანკო პროექტი არ არსებობს, მაგრამ იგი შეიქმნება ფინანსთა სამინისტროს და კერძო ბანკების შეთანხმებით. წარმოიდგინეთ, როგორ გაუფრთხილდება სტუდენტი თავის ადგილს, როცა ისწავლის იქ, სადაც უნდოდა და მის სწავლას დააფინანსებს სახელმწიფო, გადასახდელი ექნება მხოლოდ კრედიტი (თუ დასჭირდა). ეს უკვე შექმნის ჯანსაღ კონკურენციასაც.

— ჩვენი გაზეთის გამოსვლის დღეს რამდენიმე სკოლაში აღიმართება ეროვნული დროშა...

— ორშაბათიდან, ყოველი სასწავლო კვირის დასაწყისში, ყველა სკოლაში საზეიმოდ აღიმართება დროშა და მოუსმენენ ჰიმნს. პედკოლექტივი, ადმინისტრაცია და მოსწავლეები ერთად მოეწყობიან დროშის აღსამართად. კვირის ბოლოს დროშა დაეშვება, გამოვლინდებიან იმ კვირის საუკეთესო კლასიდან საუკეთესო მოწაფეები და ორშაბათს ისინი აღმართავენ დროშას. ეს იქნება მკაცრად დადგენილი წესი. მე ახალციხის ერთ-ერთ სკოლაში შევხვდები დროშის აღმართვას.

აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

ვის: აკვრის ქ. №0 (სარგის სასანლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

„ეროსტროლის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაუაგონი, ნითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
ვის: ფერეთლის 141 მ. „ლილუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტელეფაქსი: 966-779

ამერიკა-ინდოეთის ერთობლივი წარმოება
● უნივერსალური ●
სასამბრე ფირები
გარანტირებული ღაბა
- მგზის ბაბეე გამოსახვებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მოყინვისა და ნახურებისაგან
- ზარანგისა = 2 წ; 3 წ

ახალი

მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით საქართველოში

ვის ბულ, თბილისი, მარჯანიშვილის 5
ტელ: 267888; 969164; ტელ/ფაქსი: 969195;
● მობ: 8.99. 569195; 899 931110 ●

ინდოეთ ბაზრიდან ინდოეთ ბაზრიდან ინდოეთ ბაზრიდან ინდოეთ ბაზრიდან

ამერიკა-ინდოეთის ერთობლივი წარმოება

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 13 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

აშშ დოლარი	2,0700
ევრო	2,5376
ინგლ. გირვანქა სტერლინგი	3,7185
რუსული რუბლი	0,0726
თურქული ლირა (1.000.000)	1,5629

ცხოვრებისეული კურიოზები

1. თქვენ დარბიხართ?!



ეს ის დრო იყო, როცა თბილისში ხალხს ქუჩაში გამოსვლის ეშინოდა, ხოლო სამკაულს მხოლოდ ძალიან გაბედული თუ გაიკეთებდა. ჰოდა, ერთი ჩემი მეგობარი გოგონაც ამათ რიცხვს ეკუთვნოდა. მას საკმაოდ ლამაზი საყურე (ბიჟუტერია) ეკეთა და არ იცილებდა.

მეგობრები ვფრთხილებდით, — ნინო, ნუ იკეთებ მაგ საყურეს, თორემ ვიღაცას ძვირფასი ეგონებაო. მართალია, არ გვივერებდა, მაგრამ გულში შიში ეტყობა, მაინც ჩაუვარდა...

ერთ საღამოს ნინოს შინ წასვლა შეაგვიანდა, უკვე შებინდებული იყო, როცა ვერის აღმართს აუყვა. უცებ, ვიღაც ჩქარი ნაბიჯით ზუსტად მისკენ გამოემართა. ნინომ იფიქრა, ნამდვილად გასაქურდად მომდევსო და ნაბიჯს აუჩქარა. მაგრამ არც უცნობს „დაუგდია“ ტემპი და ცოტა ხანში მათი სიარული სირბილში გადაიზარდა. „თუ ამ მოსახვევშიც შემოუხვია, მაშინ ცუდად არის ჩემი საქმე!“ — ფიქრობდა შეშინებული ნინო.

აი, მოსახვევიც გამოჩნდა, მაგრამ უცნობი კვლავ ნინოსკენ მორბოდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ნინო „ძძიმეწონიანთა“ რიცხვს ეკუთვნის. ჰოდა, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ გასაქურდად მოსდევდნენ, ისეთი „ტემპი აიღო“, რომ თუ მის წინასაც გავითვალისწინებთ, მგონი მსოფლიო რეკორდი მოხსნა სირბილში.

მაგრამ წინამ მაინც თავისი ქნა და „მორბენალი“ ისე დაიღალა, აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა. იქვე, რომელიღაც შენობის კედელს მიეყუდა და გ„ლამოვარდნილი „განაჩენს“ დაელოდა. უცნობი მალე წამოწია, ნინოს რომ მიუახლოვდა, ოდნავ შეჩერდა, გაკვირვებულმა გადმოხედა სასომიხდილ ქალს და ჩაილაპარაკა: „თქვენც დარბიხართ?!“ შემდეგ კი ჩვეულებრივი ტემპით განაგრძო გზა.

ნანა ახალკაციშვილი, თბილისი

2. „ზოგი ქირი მარგებელია!..“



როგორც საქართველოს რაიონების უმეტესობას, ოზურგეთსაც ისეთი ხარისხის ელექტროენერგია მიეწოდება (ისიც იშვიათად), ზამთრობით რომ კარალიოკი დარჩება ხეზე, ნათურა ზუსტად იმფერია...

ჰოდა, ერთხელ ოზურგეთის ელექტროქსელების უფროსმა მამია კალანდაძემ ამ გასაცოდავებული დენის გადასახადის ასაკრებად მაინც რომ გაუშვა ინკასატორები, ერთ-ერთმა ციური ვასაძის კარებზეც დაიძახა: — ციურია, 3 წელია, დენის ფული არ გადაგიხდია და 5 ლარი მაინც მომეციო...

გამოიხედა თავსაფარწაკრულმა ციურიმ, აათვალიერ-ჩაათვალიერა დაუპატიჟებელი სტუმარი და მიაძახა:

— ვალოდია, მოი შენ ამ საღამოს ჩემთან, ავანთებ შუქს ზალაში და თუ მომაგნებ სა ვიქნები, მოი და რაცხა გინდა, იი ქენი!..

ასეა, ზოგი ჭირი მარგებელიაო და ციურიც კი გადარჩა „მარცხს“...

ნოდარ თალაკვაძე, ოზურგეთი

3. ყოლახ ვირი

გურჯაანში, ერთი მშრომელი, სიტყვაძვირი გლეხი ცხოვრობდა, — კოლა ერქვა. კოლას ყოჩაღი მამალი ვირი ჰყავდა. ეს ვირი იყო მისი სიმდიდრეცა და ავლადიდებაც. ყველგან ამ ვირზე შემჯდარი დადიოდა, თანაც ვირის სიარულს თავისი ფეხების ქნევასაც ისე მონოტონურად უნყობდა, როგორც კარგი „სტრაეკიორი“ მოსიარულე ოფიცრების კოლონა — საზეიმო მარშის დროს.

კოლას ვირი ყოჩაღი კი იყო, მაგრამ ერთი ზნე სჭირდა: როგორც კი პატრონი სახლში მიიყვანდა და ღობეზე მიაბამდა, ისეთ უსაშველო ყროყინს ატეხდა, რომ მეზობლის ქალები სახლებში შეცვივდებოდნენ და გარეთ აღარ გამოდიოდნენ, სანამ კოლას ვირი ყროყინს არ მორჩებოდა.

შეღონებულმა ქალებმა ბევრი იფიქრეს თუ როგორ მოეცილებინათ თავიდან კოლას ვირი და ბოლოს გადაწყვიტეს, — ვურჩიოთ, იქნებ ვირი როგორმე გავაყიდვინოთო. ამ მისიის შესრულება კი ყველაზე გაბედულ ქალს — ოლას დაავალეს. მართალაც, მეორე დილით, როგორც კი კოლა სანრო-ანსასავით ვირზე ამხედრებული გამოვიდა სახლიდან, ოლა წინ გადაუდგა და კაი ჭკუის დამრიგებელივით მიმართა: — კოლავ, აბა, დღეს შენს მეტი სოფელში ვირით ვინ დადის, რა დავრდომილი შენა ხარ, აიღე და ეგ ვირი გაყიდე!

ასეთი „ჩრევით“ გაკვირვებულმა კოლამ ერთი კი გადახედა მეზობლის ქალს და მოუღონდნელად გაცეცხლებულმა მიახალა:

— რას ამბობ, ქალო, ვირი რო გავყიდო, მერე რა ვქნა, შენ შაგაჯდე?!

ამის თქმა იყო და ღობის უკან ჩასაფრებულმა ქალებმა ისეთი სიცილ-ხარხარი ატეხეს, რომ სირცხვილისაგან სახეაწითლებული ოლა დამდაღრეულივით გაიქცა.

ამის შემდეგ კოლას ვირის გაყიდვაზე სიტყვას ვიღა გაუბედავდა.

გურამ ნიბლაძე, თბილისი

4. ქათმებიხ „მგველი“



ბატონ ალექსანდრეს ბევრი ქათამი ჰყავდა, სახლის უკან შემოღობილი ადგილი ჰქონდა და ასე გადიოდა ბედნიერი დღეები. ერთხელაც აღმოაჩინეს, რომ ყოველდღე აკლდებოდა თითო ქათამი. იფიქრეს, რომ ქურდი შემოეჭვიათ. ოჯახის უფროსი იმუქრებოდა, ერთი დამაჭერინა, მოვკლავო. ერთ საღამოს, როცა ბატონი ალექსანდრე შინ არ იყო, ორი ქათამი ეზოში გადმოფრინდა. მთელი ოჯახი ქათმებს გამოეკიდა. შეიქნა ერთი გნიასი. არადა, თურმე ბატონი ალექსანდრე მოსულა ნასვამი და საქათმესთან მდგარ ტუალეტში შესულა. ამ დროს გაიგონა ცოლის ყვირილი — დაიჭი, დაიჭიო. უფიქრია, ჩემმა ცოლ-შვილმა ქურდი დაიჭირაო. გამოვარდა „ჩახდილი“ და გაიქცა სახლის უკან გინებით. სახლის გვერდით ურიკა იდგა, ვერ შენიშნა სიბნელეში და ზედ გადაემხო... ახლა მას მივარდნენ (ქურდი ეგონათ)... როცა გაიგეს, რაც მოხდა, სიმწრით დაჭერილი ქათმები სიცილისგან ჩაბჟირებულებმა ისევ გაუშვეს... ბატონი ალექსანდრე ახლა თავის ცოლ-შვილს მისდგა ლანძღვა-გინებით და მუხლებგადაყვლეფილი ჩამობობდა ურიკიდან...

ინკოგნიტო, თბილისი

P.S. ჩემი გვარი რომ დავწერო, ბატონ ალექსანდრეს ვერ გადავურჩები.

5. ბივია და აკვარიუმი

მეგობარი მყავს ერთი, გივია, ცოტა დალევა უყვარს, თორემ კაცი ვერ აგიობებდა. ერთხელაც მე და გივია თბილისში ვიყავით სტუმრად საერთო ძმაკაცთან. ვიქეიფეთ მამაპაპურად. ახლა ხომ იცით, მაგარ მოდაშია თბილისში ოჯახებში აკვარიუმები. ამ ჩვენს ძმაკაცსაც დაუდგამს უზარმაზარი აკვარიუმი სასტუმრო ოთახში და დაცურავენ სულ ნაირ-ნაირი თევზები, თვალს ვერ მოწყვეტ, ისეთი ლამაზები არიან...

ვხედავ, დამდგარა გივია აკვარიუმთან და უყურებს თევზებს ინტერესით. მე ისევ სუფრასთან ვზივარ და ქუთაისელების და თბილისელების ძმაკაცობის სადღეგრძელოს ვამბობ მგონი მესამედ. გივიამ ერთი ალმაცერად გადმოხედა და დამიძახა — მოდი აგერ, ბიჯო, ნახე ცხოველთა სამყარო გადის ტელევიზორშიო. ისე იყო მთვრალი, აკვარიუმი ტელევიზორი ეგონა, მაგრამ თევზები რომელ ცხოველს მიამსგავსა, დღემდე ვარკვევ და ვერ გამირკვევია.

ჯანო ონიანი, ქუთაისი

6. ანეკდოტები ჯუპეში

ერთ-ერთი ჩვეულებრივი მგზავრობისას მატარებლით — ქუთაისი-თბილისი, კუპეში აღმოვჩნდით ერთი მეგრელი (ბატონი დავითი), ორი ქუთაისელი და ერთიც წყალტუბოელი, რომელსაც ეძინა. გაცნობა-გაშინაურებას მოჰყვა ანეკდოტები. ბატონი დავითი ისეთი უწმაწური სიტყვებით ჰყვებოდა ანეკდოტებს ქუთაისელებზე, რომ ვწითლდებოდით. ერთს რომ ვიტყოდით მეგრელზე, სამს გვეტყოდა იმერელზე. ამასობაში გამოეღვიძა ჩვენს წყალტუბოელ თანამგზავრს და „დახმარება“ ვთხოვეთ. შეეკითხა, ხომ არ გეწყინებათ ბატონო დავით, მეგრელზე რომ ვთქვა ანეკდოტი. არა, რას ამბობთ, ანეკდოტი რა საწყენია, მოყევითო და დაიწყო ჩვენმა „გადამრჩენელმა“:

„გურული ბაბუა და შვილიშვილი მიდიან სერზე. ბაბუამ დაინახა ქვემოთ კაცი ნიჩბით გამალებული მუშაობს. შვილიშვილი გაგზავნა, — ჰკითხე, რას აკეთებსო. ჩაირბინა ბავშვმა, მიესალმა და ჰკითხა:

— რას აკეთებ, ბიძიაო.

— ნაკელს და ტალახს ვზელო.

— მერე რა გამოვა მაგითო?

— გურულიო, — მიიღო პასუხი.

გამოიქცა ბავშვი ბაბუასთან და მოუყვა ყველაფერი. მოგეხსენებათ, გურულების სიფიცხე და ჩაუვარდა ბაბუა იმ კაცს:

— რას აკეთებ მანდო?

— ნაკელს და ტალახს ვზელო.

— მერე რა გამოვა მაგითო?

— მეგრელიო! — გაიმართა ბაბუა წელში და შეეკითხა „ოსტატს“:

— შეგეშინდა, ხომ?

— არა, ბატონო, კი არ შეშეშინდა, ნაკელი მომივიდა მეტიო!“

ამის თქმა და ჩვენი სიცილი მთელ ვაგონს ესმოდა. ბატონი დავითი კი ისე ჩავიდა თბილისამდე, არც ხმა ამოუღია და არც გამოგვშვიდობებია.

მ. ნ., ქუთაისი

ყურადღება!

ჯეჰიოზების ჯონჯესი

„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს.

თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ.

თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ____

კვირის პალიტრა №11

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 17 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 18 მარტის 13 საათამდე.

5 აპრილის ნომერში თქვენ შეიტყობთ მარტის თვის გამარჯვებულთა ვინაობას. წარმატებებს გისურვებთ!

მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



7. ახალთახალი „მერსედესი“ ასფალტის სატკეპნ მანქანას უკნიდან შეეჯახა. „მერსედესიდან“ გადმოდის „ახალი ქართველი“ და ბოლო მოდელის მობილურით ნაცნობ ავტოინსპექტორს ურეკავს. ცოტა ხანში ინსპექტორი მოვიდა, „კატოკის“ მძღოლი გვერდით გაიყვანა და ეუბნება:

— აბა, მომიყევი, როგორ გაუსწარი, როგორ ჩაუჭერი გზა და როგორ დაამუხრუჭე მოულოდნელად!..

კობა ხატისაშვილი, თბილისი

8. მთვრალი მიხა ეუბნება მთვრალ მიტოს:

— ჯოო, მიტო, მაგრა მწყინს, ჩვენთან საქართველოში, რო კაცს ერთი ცოლის მეტის ყოლის უფლება არა აქვს, თორემა აგე ჩემს მაროსა მარტოკაი უკვე უჭირს ჩემი მეორე სართულზე აყვანა...

— მააშ, მართალი ხარ, მიხავ.

ანიკო, თბილისი

9. სვანმა „კოკა-კოლა“ გახსნა და ქუდი მოიგო.

— რას არ მოიგონებენო და თავზე დაიხურა „კოკა-კოლას“ სახურავი.

ს. გონგლაძე, სურამი

მილოცვა

ბატონ ნუგზარ გამყრელიძეს!

ვილაცაი დასვლის ფლეს. დამრეცილი მოკალა, საყვარელ მოკალრეცხო ეან ოჯახთან ერთად. ხელ სიხარელი, წინდელ და წარმატებები ყოველგლის თქენი ხარბლიდ ცხოვრების თანმგზავრი.

ყველი ეფრეველებთან: მგელი, ნათია, მაკა, როსტომ, ეკა ბიწინაშვილი

მილოცვა

საქართველოს პარლამენტის დეპუტატი **მერაბ სამადაშვილი** დღე ხანა, ბევრ სასიკეთო საქმე ეფეს სოციას ნამდადეფის რაოდენ, უმეტესად მონაწილეობს ყველა ღონისძიებაში და ყველაზე მთელი, რაც ხალხს მოსწონს, ეს კონ სოციალად ფიეფელი ბეგონრეული ადამიანის მამრთ ეფილეი ეერადეა და მშრეფელია. მხილოდ მოგალაბის მოხლის გამო, ეერაფრ გაკეთებს ისინ, რასაც ფრან სამადაშვილი აკეთებს, რომ არა ის ფლი ფიეფარ ელი, რასაც თანამშრომ, ქართველი ერის, უმრალოდ მშობლური საქართველის ფიეფარეი ჰქონა. მერაბ სამადაშვილი ხალხს, თავისს ამომრეფელებს ფიეფ ეერ, მას ყველა ეჩლია, მისი ხელთან და ფეხი ყმენ, რომ მოგალაბეს კიდეკ უფრო მეტს გაკეთებს.

ჩემი ოჯახი მეტად მმიმე ეკონომიკურ გაჭირვეს ეანიდის. თვალ თვენეე ძალეს ეკეფეს თავი. ამის ერთი უმეკეფესეა ფიეფსა 27 ხეკტარის ჩემს შეალს ფეი მოიტეს, ფეფარმრეს ფლთ ფეე ეკორეფლოდ ფიეფეი სისტლის მორეკეა. მიუხედავად ამისა, რომ ყველა ეკეფლმ ეკეფეა, ანალიზეა, მეზობლები, ჩემ შეალს ფეფარეი, საკმარისი არ ალმოჩნდა – საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია, რომელიც ფიდ თანხის მოთხოვნას ფასამბრალად თხოეთ მიგმართეი ჩემი რაოდენ ფეკეტატეს, რომელთაც ეკეთებდნენ თეეეეს მისაშველად, ელი ფეეტრაშეილს ბატონს მერაბს ჩემი ფეფარეო ოჯახ ეკეალთ მოტანა და ფიეეეეკეკეე ეკეფლეა ოპერაციისთეს საჭირო თანხა.

ბეფლეი და ეკმარეკეკ ფეფას ამეეე ბეფლეკეეს ეკონა ეკმეეეტი ჩანთის ხასლობის ტრაფიკეკეფის საყვალეფის პროეეტორის ბატონ **ზურაბ ტყეშელაშვილსა** და ეკონა **ტყეშელაშვილს** მამრთ, აფრეფე 143-ე საშეალო სკოლის დირექტორის **ფიფთ ლიფეკეკეს**, სასწყალ ნაწილის ეკმეეს **მერი ალბორთაშვილის, მაია მელეკეძის, ელა ლეეფფასა** და სხვ ეეფფეფეფეს მამრთ.

ეეფრეეეა პატიეისეკეთ, ეელეკ ფეფფალეი

ქირაობა

კომფორტული ფართი საკმარი (სიფრო 20კვ.) აქვს სანდო, ხელ წერტილი ტელეფონი, დანადა, რეფის ეელეეეეეეა ტელ: 22-05-38; 29-25-18

20კვ ფართის ოთახი ფარფეფე, კომფორტული საკმარისმოთეა მის: სამრეფლოა და ეელიას ქუჩის კეთილში, III კორპუსის მიმეფარეფ ტ: 35-49-88; 34-54-58

გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე ეეფფეფეი ეეფეეეეეე

ლევან ბეგიაშვილის მონატრება

დღეს 15 მარტია, ჩემი ლამაზი და მონატრებული შვილო. გილოცავ, ჩემო სიცოცხლევ, 15 მარტს, 27-ე გაზაფხულს, შენს დაბადების დღეს, მაგრამ ვაი, რომ მეორე წელია, რაც შენი ლამაზი, ობლი სახის ნაკვლად შავ მიწას და ცივ ქვას ვეამბორები მოლოცვის ნიშნად. ვალიარე შვილო, ძალიან მშურს შენი ძმის, ჩემი მეორე შვილის – ვაა ბეგიაშვილის, რომელიც შენთან ერთად წევს და მე დამსწრეს დაბადების დღის მოლოცვას; ცივი ბაგით, ცივ სახეზე ვეამბორება. საკმის სულ ერთად იყავით და საიქიოშიც ერთად, ერთ სალამს წახვედით. დაბადების დღეს გილოცავს შენი წინამსწრის ვაჟი, რომელსაც წილად ხვდა მამის ხატის ამბორი, იმ მამის, რომელსაც წელიწადზე მეტია არ უნახავს თავისი პირმშო. დაბადების დღეს გილოცავს შენი უდროოდ დაქვრივებული, თვალცრემლიანი მეუღლე და ყველა, ვისაც კი ახსოვს ეს უკვე ავადსახსენებელი დღე – 2003 წლის 15 თებერვალი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული

გაძწარებული თქვენი ნატრული დედა

კახა გვიმრაძეს!

კახა, მონატრები! 16 მარტი შენი დაბადების დღეა. უშენოდ მესამედ მოვიდა... მოვიდა ცრემლით, ტკივილით, რომელსაც საშველი არა აქვს. გილოცავ ამ დღეს, დღეიო, გინთეს წმინდა სანთლებს და უფალს ვთხოვ: ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ნათელში იყოს შენი ლამაზი სული, ჩემო ქრისტმშობარო, რომელსაც არასოდეს არაფერი გეშლებოდა. მაკარა, რომ ღმერთსაც კარგები სჭირდება... ეკლესიაში, საფლავზე, შინ გინთეს სანთლები, რათა დედის ანთებული სანთელი გინთებდეს ჩემს მარადიულ სასუფეველში და ვთხოვ უფალს, მალე მოვიდე შენთან. უშენობა ძალიან მიჭირს.

კიდევ ვთხოვ უფალს, მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს თავისთან ერთად.

დედა ციალა

მერაბ ხუციურაიულის გახსენება



ყველასთვის მოულოდნელი იყო, მერაბ, შენი წასვლა ამ ქვეყნიდან. ნიავივით გაფრინდა მისი ლამაზი სული, მაგრამ გვიკარა, მის სახელს დავიწყება არ უწერია. უდროოდ დატოვა სიყვარულით შეკრული ოჯახი, უდროოდ გამოაკლო ქართული ფეხბურთის ქომაგთა არმიას.

ათი წლის ბიჭს 35-ე საფეხბურთო სკოლაში ჩამოუყალიბა სპორტისადმი დიდი ინტერესი და პასუხისმგებლობა. წლების მანძილზე მონაწილეობდა საქართველოს თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში („ორის „დილა", ქუთაისის „ტორპედო", ტყიბულის „მეშახტე"), რამდენიმე წლის განმავლობაში იყო მცხეთის „არმაზის" მოთამაშე-მწვრთნელი; 1997 წლიდან კი სიცოცხლის ბოლომდე – საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის" მწვრთნელი.

ნათელში იყოს შენი სული და მსუბუქი იყოს შენს საფაცარ გულზედ დაფრილი მიწა.

შენი ოჯახი და ახლობლები

მერაბ ხუციურაიულს!

რაოდენ ძვირფასი იყავი, მერაბ, შენი მეუღლე მარისთვის და შენი ეკასა და მიშიკოსათვის. შენი უდროოდ და მოულოდნელი წასვლიდან უკვე ორმაგი დღე მესრულდა. დიდი გულისტკივილი დაუტოვე საქართველოს, ფეხბურთის ყველრაკიდან დაწყებული, არმაზელი მეგობრებით დამთავრებული. შენი ვიტალი გზრიშვილის ცრემლიანი თვალების დანახვა კიდევ შეუძლებელი. ნათელში იყოს შენი დიდი ბუნების სული.

შენი ომარი ბიძია დიღმიდან

გივი ბარტყელაშვილის მონატრება

19 მარტს 2 წელი გახდება, რაც მოულოდნელად შეწყდა შენი გულისცემა. ვინ იცის, რას ფიქრობდ ამ უკანასკნელ წუთებში, უმეფრფასესო მამავ, ერთგულო მეუღლეო და მოსიყვარულე ბაბუავ. გივი, როგორ მოგვენატრე, როგორ დაალეთ ოჯახს. ვერაფერი შეკვლის იმ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია. წახვედი და დაგვიტოვე სახელი, რომლითაც ავახსენებენ და პატივს სცემენ შენს ოჯახს. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის იმქვეყნური ცხოვრება.

ოჯახი

კახა სანაიას ხსოვნას!

უშენოდ დადგება 20 მარტი, შენი დაბადების დღე, შვილო, 35 წლის გახდებოდა...

შენ კი სადა ხარ? ვინ მომიკლა შენი თავი, ვინ გამიტაა შენისთანა ვაჟკაცი, ტკბილი რომ გამოასალმა წუთისოფელს?! როგორ ვიარქაფო უშენოდ, მენატრები, გელოდები, შვილო.

ენატრები შენს დას, დისშვილებს. ისინი ამყოფენ შენით, იმიტომ, რომ შენ 33 წელი რაინდულად იცხოვრე, დატოვე კეთილი სახელი, სახელი კაცურკაცობისა. ეს ვეფხვეს ძალას, რომ მე და მამაშენს ვიცოცხლოთ შენი სულის პატივსაცემად.

ერთის თქმას მინც ვბედავ ხმამაღლა
რომლის თქმასაც გული შეშფოთდება
სადაც შენ წახდი, ტირფასო შვილო,
წამოსულიხარ ალარ შეშფოთდება.

ქედს ვიხრით შენი ამაყი სულის წინაშე. დაბადების დღეს გილოცავთ, კახა, შვილო.

შენი ტანჯული მშობლები, და, დისშვილები

კახა სანაიას მონატრება

20 მარტი მოვიდა, ჩემო კახა, შენი დაბადების დღე. უნაყოფოდ და ტკივილიანი. თაებარდამცემი იყო შენი ჩვენგან წასვლა. მოუშუშებელი ტკივილი დაუტოვე შენს უნდერ შობლებს, მეგობრებს, ბევრს. ბევრს ბევრ ადამიანს, რა სიტკბოებით უნდა ვახსენებდნენ ისინი.

ღმერთის ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

შენი ნათლია მურმან ლომელიძე

ჟორა ბუალავას მონატრება

თერთმეტი წელი გავიდა უშენოდ, ჟორა ბიძია. შენ ამშვენებენ უსაზს, სოფელს, სახლობლოს, სამეგობროს, შენი უტკბესელი ხმითა და საოცარი კაცთმოყვარეობით. მუდამ მოღიმარმა და მხიარულმა, რამდენი გაგიჭირვება და დარდი გამოიარე – ეკერ ახალგაზრდა მეუღლის სიკვდილი, მერე შვილების დაღუპვა, ობლად დარჩენილ ერთადერთ შვილზე მზრუნველობა... ბოლოს ჯანმრთელობამაც გიმტკიცა. წყნარად წახვედი ამ ქვეყნიდან.

ძალიან გვიჭირს შენი ნაღვლიანი თვალების ნახვა, გვეკარგება შენი სიცილი, შენი სიმღერა, ომახიანი შეძახილი. შენს სახელს უცრემლოდ ვერ წარმოვიქვამთ.

უფალს ვევედრებთ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

დისშვილები: ჯულიეტა, ზამირი და ვახო კობერიძეები

სოსო ლალიაშვილის გახსენება

გავიდა ერთი გრძელი, ეკოოზეთური წელიწადი. ტკივილითა და გოდებით მოგვიახლოვდა 17 მარტი – შენი ამ წუთისოფელდან წასვლის დღე. დედა მოგიკვდეს, ჩემო სოსო, გზა სიცოცხლიდან სიკვდილამდე ისე გამიკვლე, რომ ალარაფრის მეშინია, შენ მეგულები იქ, მარადიულ სასუფეველში. ყოველი წუთი შენითაა გაჯერებული. სასაფლაოდან მოსული მინც შენს მოსასვლელ გზას გავკვლევ. ყველას ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. შენს საფლავს წმინდა სანთლები, ყვავილები და ჩვენი ცრემლები დაგიფენენ.

ჩვენს დამფიცულს სანთლებს, შენს სახელზე აღვლენილს წირვა-ლოცვას გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

შენი ოჯახი

ირაკლი ჩიტორელიძის გახსენება

19 მარტს 26 წელის გახდებოდი, ჩვენო ლამაზო და სიყვარულით გულმოკლულო შვილო ირაკლი; მიიღეა უშენობით დაკარგულელო, სიხარულწართმეული ორი წელი და სამი თვე. ჩვენი ფიქრი შორით ისევ შენკენ მოდის, უკუაღ ჩამქრალი და ჩაფერფლილი, ამაო და ახალგაზრდა ვაჟკაცის ანრდილისკენ. უკვად გაკრა შენი სიცოცხლე, როგორც ანთებული სანთელი, როგორც ცოდან მოწყვეტილი ვარსკვლავი. ვეფხეთ და მხილოდ სიხმარში ბოოულობთ. ვეფხეეფმეს, მაგრამ მინც უზიოდ ვეეეჭირს, უშენობამ სეეფდ ვეაკეია, ნაღვლის თავს ვეღარ ეართმეეთ, სულ თან დაგეეეეს შენი ლამაზი თვალები, ეეესმის შენი ლაპარაკი და სიცილი, ალაათ მზოლოდ შენ ეეესმის ჩვენი ტკივილი და ტანეეა, ჩვენო სანაკრეალო შვილო. ეეეეეეარხარ და ძალიან ეეეენატრები, ეეეეკვარს, როგორ ეეეეეეეთი უშენოდ ამდენი ხანი.

შენს დაბადების დღეს ყვავილებით შეეამკობთ შენს საფლავს და ვილოცავთ შენზე.

იმინე ტკბილად, ჩვენო შვილო! უფალმა ნათელში დამკვიდროს შენი ბობოკარი სული.

დედა, მამა და ძმა

მამუკა ბარძიმიშვილის მონატრება

ორმოცი დღე გავიდა, რაც შენი გულის ძგერა შეწყდა. რა ცეცხლი ვაკონე შენს შობლებს, შენს ძმებს... ფრთამტეხილი დატოვე შენი ირმა, შენი შვილები – სანათა, სოფო, ნიკუშა. მას ჯერ ხომ ეკვნი წელიც არ შესრულებია. ვაგლახ, რომ უძლურნი აღმოჩნდნი სიკვდილის წინაშე, ვერ გადაკეთებენ შენს ბედისწერას. დღეს შენს საფლავზე მისვლით ვცდილობთ შევიცოთ უშენობით გამოწვეული დანაკლისი.

ღმერთს ვთხოვთ, მარადიულ სასუფეველში გვიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

აბაშელი მეზობლები

გოჩა ავთანდილაშვილის გახსენება

გოჩა, 17 მარტი შენი დაბადების დღეა. ამ დღის უშენოდ აღნიშნა კიდევ ერთი დიდი ტრაგედია ჩემი უღაბისათვის. დედის ატირება განა ადვილია, შვილთან განშორება დედისთვის მხიე სასეელია, მაგრამ შენი სულის სამეფოდ და მოსახსენებლად ყველაფრის გაკეთებას შენი უძველი დედა. გოჩა, უკვე თორმეტი წელი ხდება იმ ავადსახსენებელი დღიდან, როცა მობილიზაციით გაგიწვიეს აფხაზეთში საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად, 1992 წლის 28 აგვისტოს და ერთ თვეში – 24 სექტემბრის დილაუე, გადამთიელის ალყაში მოქცეული. 12 წელია, შენს გზას მიეტირი და ცრემლებით ნოეგეშს ვპოულობ. უფალს ვთხოვ, რომ შენკენ წამოსასვლელი გზა შემიმზადოს და შენთან შემაერთოს. მე კი ისაა დამრჩენია, შვილო, 17 მარტს ჩვეულებრივად ამოვიდე შენს საფლავზე, დავიწყო გაზაფხულის ყვავილები, შენს დაუსწრებლად მოგილოცო დაბადების დღე და დაგინთო 39 წმინდა სანთელი.

ღმერთმა სასუფეველში ამყოფოს შენი წმინდა სული. ალალი იყოს შენთვის საქართველოს მიწა.

დედა ანა მოსიაშვილი

ავთანდილ გაფრინდაშვილის ხსოვნას!



ჩვენ, ადამიანებს, ამქვეყნიური სიამით გამარჯულებულს, ზნირად გვაკიწყდება ხილმე გარდუვალი რეალობის, სიკვდილის არსებობა. სწორედ ამ საზარელმა სიკვდილმა დაუნდობლად შეგვახსენა თავი ავთანდილ გაფრინდაშვილის მოულოდნელი და თავზარდამცემი. გარდაცვალებით და კიდევ ერთხელ ცხადად გვაგრძნობინა სიცოცხლის უსუფრობა.

ტკივილითა და მონატრებით სავსე ორმოცი დღე გავიდა მის გარეშე, ორმოცი სევდანი დღე. მუუხდაოდ ჩვენი სანმაკელ ნაცნობობისა, უდაოდ შეეეელი დამენახა მისი დიდი ღირსებები. იგი თავის უზადო სილამაზესთან ერთად, უაღრესად დახვეწილი შინაგანი კულტურით, დიდი ერუდიციით, შეეფარებელი სიტყვაკაბმულობით გამოიჩეოდა. მისი ლამაზი, ცისფერი თვალები მხლოდ სიკეთეა და სიყვარულზე საუბრობდნენ. მისი ხმა საოცარ თბილი, უსაზღვრო სიყვარულით იყო სავსე... სწორედ ამ დიდი სიყვარულითაა გაჯერებული მისი პოეტური შემოქმედება, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი ლამაზი ლექსი შეემატებოდა...

ძნელია დაჯერება იმისა, რომ ის ჩვენ შორის აღარ არის. დიდია და მტკივნეული მონატრება, რომელსაც მხოლოდ მისი რეფლექსიები ნაკარი ლექსები და ლამაზი მოგონებები დაეფეს მალამოდ – მოგონებები, რომლებიც წარსულს განუმეორებელ დღეებთან ერთად წაიღო, როგორც ერთი ლამაზი სიზმარი. უსაზღვროა მისი გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება. თუმცა ერთია, ასეთი ადამიანები არ კვდებიან. ის დიდხანს, ძალიან დიდხანს დარჩება ყველა ჩვენგანის ხსოვნაში, როგორც ერთი მოურჩენელი ტკივილი. გეფერა, მისი სპეტაკი სული ცათა სასუფეველს დაიმკვიდრებს.

ნანა გოგოჭური

მურმან (პავლე) გოქაძის ხსოვნას!

40 დღე გისრულდება 17 მარტს, რაც გამგეთხოვე, კაცთმოყვარე და კეთილო ადამიანო. უშენობა ძალიან გვიჭირს შენი ოჯახის წევრებს: მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, რძლებს, სიძეებს, ბიძაშვილებს, გოქაძეებს.

მოგნატრები, მოგიგონებს შენი ულამაზესი კუთხის – ლეჩხუმის ძარძველი სოფლის ლალიაშის სამშობლო. უსამობელმა სენმა წავგართვა ყველს შენი თავი.

ნათელი და მსუბუქი იყოს შენთვის სამარადისო სასუფეველი.

შენი ოჯახი

კახა გიორგაშვილს!

ჩვენი კახა! 8 მარტს ასე უშენოდ და უწყალოდ უკვე მესამედ აღენიშნავთ შენს დაბადების დღეს. ცრემლითა და ყვავილებით ვამკობთ შენს საფლავს და ცოცხლდება ჩვენს გულებში შენეული მომხიბლავი ღიმილის ნათელი ხატება – კაცი, სიკეთის დამტკიცი და უშუალოდ გამცემი, მოფასის, მეგობრობის, ძმობისა და სიყვარულის ქომაგი, – ნაღდი თბილისელი.

შენი კაცობები, სინდისითა და ერთგულებით 33 წლისამ კმეკვეფილი შენი საკეთილი ისეთი სიკეთით შეეკერეული, რომ ზოგთა მრავალი წლის სისავეკ ვერ დიიტეკეა. ჩვენი საყვარელო კახა, მეტეორის ვიეკვეკის ჰგავდა შენი ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი სიცოცხლე. ყველას გულში დიიკვიდრე უსაზღვრო სიყვარული და ნათელი ხსოვნა.

ლოცვითა შეეთხოვეთ: „უფალო, აცხოვნე კახა უკენინი უკენინასმეე, ამინ"

ნაირა, თენგიზი, ზვიადი, ნათესავები, მეგობრები

ლევან თვალიაშვილის გახსენება

29 თებერვალს მეხვეთი დატყდა მცხეთას ლევან თვალიაშვილის გარდაცვალების ამბავი... ამ საზარელი მოულოდნელობით შეძრწუნებულებს ვერაფრით დაგვიკავშირებია ერთმანეთთან ლევანი და სიკვდილი. მთელი თავისი ცხოვრების წესით ლევანი სიკვდილის უარყოფა იყო: ენერგიული, ხალისიანი, მოსიყვარულე, ენამზიანი, ვაჟკაცური, არაჩვეულებრივი მამა და მეუღლე, ულრეგულესი მეგობარი და სამგალითო, ნაღდი ქართველი, კაცური კაცი, რომელიც მარადა დაკალდა ქალაქს, კოიაურაკის სოსტვის, მაგრამ თურმე სიკვდილსაც სწორედ ასეთები მიჰყავს.

ლევანი საოცრად თბილი, ყურადღებიანი და მზრუნველი ადამიანი იყო (როგორ გვიჭირს მასზე წარსულ დროში წერა). დიდთან დიდსა და პატარასთან პატარას ლაღი თეძრის უსაალო ნიჭი ჰქონდა. ერთი მუზღვეთი მხიარულს, ირეკვილ მყოფთა გიჭირვება და ტკივილი საკუთარივთ მიჰქონდა ბოლოამდე. ამიტომაც უმტკენა ამ კეთილმა, დიდმა და თბილმა გულმა, რომელიც ყველას სიყვარულს იტკვდა. ლევან, ჩვენი მოუშუშებელი ტკივილი! ორი კვირა, რაც შენ ჩვენ გვეჩდეთ ალარ ხარ, ორ საუკუნედ იქცა. სამნმელ სიცარიელეს, უზენობა რომ ჰქვია, ვეღარაფერი ავსებს. ალბათ ვერასოდეს შეეგუებით შენს გარდაცვალებას და თვალიც ვერ გადაეჭვეა შენს ლოდინს...

ტკივილამდე გვენატრები და შეეთხოვთ უფალს, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

მცხეთის რაიკავშირის თანამშრომლები

დათო ჯიმშუხაძეს!

ისევ მოვიდა 17 მარტი, ისევ უშენოდ. დათო, შენ ისევ 23 წლის ხარ. წახვედი და ბევრს გვასწავლე მონატრება, უშენოდ დარჩენილს უკვე ალარ გვეშინია სიკვდილის, რადგან შენ ეკვეულები იქ, მარადიულ სასუფეველში და მომიხარია შენთან. დათო, ჩვენი მარადიული ტკივილო – გაჭირა შენი ოჯახის სიხარული, ბედნერი დღეები. ყველაფერს ფასი შენთან ერთად ჰქონდა, ეს ყველაფერი შენ წაიღე.

ჩვენ კი დაგვრჩა გაუსაძღისი ცხოვრება და შენი ლამაზი სურათები, რომელთა შეხედვაც მიჭირს. სიცოცხლე სასეელია ჩემთვის, ჩემი ცისფერთვალება, კეთილი და ამაყი შვილო. ოთხი წამების წელი გავდა. სანთლებს, ყვავილებს და ცრემლებს გარდა ვერაფრით მოგალერიკეთ დასაფენის დღეს. შენი საყვარელი დისშვილები – ანანო და ბაჩანა მოგიტანენ პირველ ყვავილებს და ბაკის სულისათვის ილოცებენ. მხოლოდ შენი დისა და დისშვილებისთვის ვარსებობ, დათო. ყოველ ახალ წელსაც ხომ შენთან, სასაფლაოზე ვხვდებით შენი ოჯახის წევრები. შენს დიკოს ალარაფერი უსარი. შვილმკვლარი დედისთვის ყველაზე დიდი სასეელი სიცოცხლე ყოფილა და ეს სასეელი მეც მარგუნა ღმერთმა. დედის ტკივილი და მონატრება უსაზღვრო ყოფილა. ყოველი დღე შენს მონატრებაში თენდება და ღამდება. რა ძნელი და მტანეველია უშენობა, ჩემო მოურჩენელი ტკივილო. აი, მოდის, შვილო, შენი დაბადების დღე, მაგრამ არა ლამაზი და ბედნერი, არამედ ცრემლიანი და ტკივილიანი. თვალცრემლიანი ვემოხვევი შენს ხატად ქცეულ საფლავს.

შენი ოჯახი

ჰამლეტ (ორგულა) ტაველურს!

სამეგობროში ორგულას სახელით გიცნობდნენ. ამაყი ბუნების, თავმდაბალ ვაჟკაცს ერთგულება და დიდი სიყვარული შეეეეხა. შრომისმოყვარეობასა და პატიოსანი ცხოვრების წესს გვასწავლიდი. ვერ დაგაბარეს ავადმყოფობამ. მეზობლებთან, ჭიქით ხელში ლამაზად წახვედი ამ ქვეყნიდან. უშენობით გამოწვეულ ტკივილ ფიდის მოფერებით ვემუსუკუნები და ვეედებით ამ გაუსაძლის წუთისოფელში შენი სულის უკვდავებისათვის ვიეხოვრთ. მსუბუქი იყოს შენთვის შენი საყვარელი სოფლის მიწა და იმქვეყნიური საქართველოდან ილოცე ჩვენთვის და მთელი ერისთვის.

შვილები – გორა და თამუნა

ტერენტი პატარაიას გახსენება

ერთი წელი გავდა მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის ალარა ხარ, მეგობარო ოჯახის მამავ, კარგო ბაბუავ და კეთილსინდისიერო მეუღლეკ, თბილად მოსაგონარო მასწავლებელო. ძნელია და მტკივნეული შენი მონატრება შვილებსა და შვილიშვილებისათვის.

გეკერდეს, შენი შვილების გულებში მუდამ იცოცხლებ. შენი შვილიშვილები ყურადღებას არ აკლებენ შენს მოდგმე ადგილსამყოფელს. ცოცხალი ყვავილები, ცრემლები განამკ.

იმინე მშვიდად, ოჯახის დიდო ბურჯო და დაუფიწყარო ძმაო.

ოჯახი

მერაბ ჯოჯუას მონატრება

ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენ შორის ალარ ხარ. უფლის ნებით მარადიულ ცხოვრებაში გადახვედი 38 წლის ულამაზესი ვაჟკაცი. გაუნელებელია უშენოდ გამოწვეული ტკივილი, საზღვარი არა აქვს გაუთელრებული დედაშენის დარდსა და ცრემლებს. დიდი იმედი იყავი შენი ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის. შენს ინტელექტს, სითბოსა და სიყვარულს ყველა გრძნობდა. გეკალიხარ. ძნელია უშენობა.

უფალს ვევედრებთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

დედა ლეილა დარიმელია; შვილები: იკა და რუსუდან ჯოჯუები

მერაბ ჯოჯუას მონატრება

ტკივილი, ტანჯვა და ცრემლებია შენ შემდეგ... მიჭირს უშენობა. არადა, როგორ ალამაზებდი ჩემს ცხოვრებას. მხლოდ ერთად გატარებული ნათელი დღეების მოგონებაა მასულდგმულებს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, მე კი მუდამ ვილოცავ შენი სულისათვის.

მეუღლე ნინო



ლეილა ჩხეიძე-მელაშვილის გახსენება

ლეილა, ძვირფასო, შენი მოულოდნელი წასვლით დიდი ტკივილი და სევდა დაგვიტოვე. შენი ამაგი მაღალ დონეზე დაგიფასეს ზაზამ, დამამ, ხათუნამ თავიანთი ოჯახებით. გილოცავდა ირმოცი, ძვირფასო და შენს ნათელ ხსოვნას ვიხსენებთ.

შეეთხოვთ უფალს, ნათელში იყოს შენი სული შენს მეუღლე ალექსანდრესთან ერთად. ვიხსენებთ:

შენი შვილის ნათლია და შენს სულზე მლოცველი ლიანა და ომარ დარჩიაშვილები



ზაზა შალვაშვილის მონატრება

უკვე გავიდა ტკივილიანი სავსე წელი. მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, 18 მარტს. გვენატრები და გვაკლიხარ.

ჩვენს დანიშნულს სანთლებ გავინთოს ნათლის სამუდამო სასუფეველი. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური პატარეულის მიწა, შვილო ზაზა.

დედა ნანა შიშნიაშვილი, ბიძა კალოდია, დეიდაშვილები: ლიანა და მაკონა ფურცელაძეები



ილო გეგეშიძის მონატრება

ილო, დადგა ჩვენი საყვარელი გაზაფხული, მაგრამ მე ის ალარ მიხარია. 19 მარტი შენი დაბადების დღეა, რომელსაც მეოთხედ ვხვდებით უშენოდ. გილოცავ და ვცოდავ, რომ ძალიან მიჭირს და შენ გარეშე სიცოცხლეს სიკვდილი ჯობდეოდ მირჩევნია.

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს და ნათელში გამყოფოს.

შენი მეუღლე

ჩემო საყვარელო შვილო თამუნა!

12 მარტს შენი დაბადების დღეა, შვილო, შენი საყვარელი დღე... ახლა 28 წლის გახდებოდი. როგორ ეეზდებოდი ამ დღისათვის ყოველთვის. იმ ტრაგიკული დღის შემდეგ 17 წელი სრულდება... რა ტკივილი გავიარეთ ეს წლები უშენოდ. ვმარხულობ, ეკლესიაში დავდივარ, ჩემი მობეზარი მამა ბასილი მიადგილებს გაუსაძლის დღეებს. ზმანად მოგისხენებს ხოლმე ლოცვანში. ყველანი გვეფერებით, თავვამს ვაკეთ და ვეეხვევარეკებით. იმ შენი ხანმოკლე სიცოცხლით ბევრი სიკეთე დავგიტოვე ყველას, არა მარტო ჩვენს ოჯახს, დედა, არამედ ვინც შენ ვიცნობდა. უფუარდებდ არ გტოვებენ შენი სკოლის მეგობრები... მადლობა ყველას.

ნათელში იყოს შენი სპეტაკი და ლამაზი სული, ჩემო დაუვიწყარო, სანატერელო შვილო.

დედა ნელი, მამა კოტე, ძმა ჯაბა ჩიქოვანები



დიმიტრი ცაგურიას მონატრება

15 მარტს შენი დაბადების დღეა. მხოლოდ 24 გაზაფხულს მოესწარი. აფხაზეთის ომმა შეიწირა შენი სიცოცხლე. დაგრჩა განუხორციელებელი ოცნებები. სიცოცხლე ძალიან გიყვარდა. იყავი ძალიან კეთილი ყველას მიმართ. მე კი უზომოდ მენატრები. უიმედოდ დარჩენილ დედას ძალიან მაკერა ახალგაზრდა პრეზიდენტის მიხეილ საკაშვილის, რომელიც ყველაფერს ღონეს, დაუპრუნოს ოს დედას უფლება, მივიდნენ თავიანთი შვილების საფლავთან. მე კი ისაა დამრჩენია, ვილოცო შენზე, რომ ნათელში მიგაფოს შენი უმწიკლო სული.

გატანჯული დედა ფოთოლა ცაგურია

ენგური იობაძის ოჯახი იხიარების მწუხარებას *რეზო გუნას* მეუღლის

სულიკო ვარლამის ასული თიდუას

გარდაცვალების გამო.

შვილები: გოგლა და კახა ცაბაძეები; შვილიშვილები: თათა, გიორგი, ლევანი, ნიკუშა; რძლები: ნინო ფერაძე და ლალი ბარკია ოუწყვინან, რომ გარდაიცვალა

თამარ იონას ასული მაჭავარიანი-ცაბაძე.

პანაშვიდი: 15 მარტს, 16 საათზე;
გამოსვენება: 16 მარტს, 15 საათზე.
მისამართი: აღ. ყაზბეგის გაშრი №51, II სადარბაზო, III სართული.

მეგობრები თანაუგრძნობენ *ავორა ფანწულიძეს*, დედის

ლუბა თიდუა-ფანწულიძის

გარდაცვალების. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს და აცხონოს განსვენებულის სული.

ჩვენ გვიყვარან შერიგება სიკვდილის წინ



ახალგაზრდობისას მე და ჩემმა ძმამ სერიოზულად ვიჩხუბეთ, სირცხვილიც კი არის, რომ გითხრათ, რაზე — მშობლების მემკვიდრეობის გაყოფაზე. ამ ამბავს ვერასგზით ვერ გიამბობდით, მაგრამ ვფიქრობ, მხოლოდ ასე შემიძლია ძმის წინაშე ჩადენილი ცოდვის მონანიება. ჩემმა ძმამ კი ეს ცოდვა უკვე გამოისყიდა.

...ახალგაზრდები ვიყავით და აბა, რას წარმოვიდგენდით, რამხელა ცოდვაში ვდგამდით ფეხს. ისე დავშორდით ერთმანეთს, მე ჩემი სიმართლისა მჯეროდა, მას — თავისი... რაკი ერთი შეეტოპეთ, მერე იხტიბარი აღარ გავიტეხეთ არც ერთმა. მე ვამბობდი — მოვიდეს, ბოდიში მოიხადოს იმისათვის, რაც მაკადრამეთქი, ისიც ამასვე მითვლიდა.

ჩვენი შვილები, კიდევ კარგი, რომ წამოიზარდნენ, ერთმანეთთან დადიოდნენ. როცა ჩემი გოგონა ბიძაშვილებთან წავიდოდა, მე ვითომ არ ვიცოდი. დაბრუნებულს გაფაციცებული ვუგდებდი ყურს, რას მოუყვებოდა ჩემს ცოლს ჩემი ძმის ოჯახზე. პირადად ვინ გამიბედავდა ძმაზე დალაპარაკებას! როცა ნათესავებში მივდიოდით, ჭირში ან ლხინში, ერთმანეთს კეთროვანივით ვერიდებოდით. როგორ არ ეცადნენ ჩვენს შერიგებას, ვერ შეგვარიგეს. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მიჭირდა, მაგრამ ვერ ვამხელდი. თანაც ვბრაზობდი. ალბათ ჩემს ძმას არ ვენაღვლები, თორემ უმცროსი ის არის და აქამდე როგორ არ მოვიდოდა-მეთქი.

ერთხელ, დილაუთენია, კარზე კაკუნი გაისმა. შინ მარტო ვიყავი. გავაღე კარი და გაოცებისაგან ენა ჩამივარდა — ზღურბლზე ჩემი ძმა იდგა. თავწაქინდრული და მობუზული დასჩერებოდა იატაკს. სიმართლე გითხრათ, გამიხარდა, რომ ბოლოს და ბოლოს, შეგრიგდებოდით. შემოდი-მეთქი, ვუთხარი და კარი ფართოდ გავაღე. შემოვიდა. გადახვევა მინდოდა, მაგრამ ვერ გავუბედე. მანაც თავი შეიკავა და უხერხულად ჩამოჯდა. რაკი მასპინძელი ვიყავი, დუშილიც მე დავარღვიე და — როგორ ხარ-მეთქი, — კვითხე თბილად. მხრები აიჩეჩა, მერე ხელი ჩაიქნია, — აღარ მინდა, გულში ბოღმა გქონდეს, მოვედი, რომ არ იდარდოო... გამიკვირდა, ასე პირდაპირ რომ მითხრა სათქმელი. ახლოს მივუჯექი და მეც გულახდილად ვუთხარი: — ამ დღეზე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერ ვბედავდი, პირველი ნაბიჯი გადმომედგა, გულზე ლოდი მომეხსნა, რომ დაგინახე.

— ვიცი... სულელები ვიყავითო... ქვეყნად არც ერთი ქონება არ ღირს ამ ტანჯვაჯ...

— არა უშავს, მთავარია, შევრიგდით, — ვთქვი გულაჩუყებულმა და გულში ჩავიკარი.

მთელი დღე ვლაპარაკობდით. სუფრაც გავშალე... ახლა მახსენდება: საყმლისთვის პირი არ დაუკარებია, მხოლოდ ღვინო მოსვა სამჯერ. ახალგაზრდა აღარც ერთი ვიყავითი, ამიტომ არც დამიძალებია დალევა. ბავშვობა გავიხსენეთ, ყრმობა.. მერე რა მოხდა, ცოტა ბუნდოვნად მახსოვს. მგონი სამზარეულოში გავედი. მობრუნებულს ოთახში აღარ დამხვდა... კარი დაკეტილი იყო. ჯერ ტუალეტში მეგონა, მერე საძინებელში შევიხედე. ამ დროს ტელეფონის ზარიც გაისმა. ჩემი ძმისშვილი რეკავდა: — რეზო ბიძია, მამა გარდაიცვალაო...

კინაღამ გული გამისკდა. რას ამბობ, რა მოუვიდა-მეთქი, თან თავში გამიელვა, ალბათ თვითმკვლელობას აპირებდა და იმიტომ მნახა-მეთქი...

— გამთენიისას მძიმე ინსულტი ჰქონდა, გონზე არ მოსულა, თხუთმეტი წუთის წინ დალია სულიო.

რომ ვიხსენებ, მთელი სხეული მტკივა. სიცოცხლე გავიმწარეთ ორივემ. თურმე ისიც ჩემსავით უბედური იყო... მერე რა მოხდა, ვერ გეტყვით. უკვე მომაკვდავი, შინ უგონოდ მწოლიარე, როგორ მოვიდა ჩემთან? თუ ეს სული იყო, სხეული როგორ ვიგრძენი? დარცხვენილი და განადგურებული ვარ. მაინც მან მაჯობა, შემირიგდა. მე კი დანაშაულო რომ გამოვისყიდო, მინდა მთელმა საქართველომ გაიგოს ჩემი სირცხვილი, და გამკიცხოს.

რევაზ ბაბუაძე, თბილისი

ფერი, ფერი და ხასიათი

ფსიქოლოგების აზრით, იმის მიხედვით, თუ რომელი ფერი უყვარს ადამიანს, შეიძლება განსაზღვროს მისი ხასიათის ზოგიერთი თავისებურება.

ყვითელი – ფანტაზიორთა ფერია

ყვითელი ფერის მოყვარულს პირობითად შეიძლება ეუნოდოთ **მიმოზა**. ის ცხოვრობს მომავლის იმედით. მუდამ უამრავი იდეა და ფანტაზია მოსდის, ყოველთვის აინტერესებს სიახლე. მიმოზას ეშინია მარტოობის, მოწყენილობისა და ერთფეროვნების, დამოუკიდებლობას არ გაცვლის არაფერზე, რაც ზოგჯერ მათ მატერიალურ მდგომარეობაზეც მოქმედებს. ძალიან თავმომწონეა, გულგრილად ვერ ჩაუვლის სარკეს, ყოველთვის თვალი უნდა შეავლოს საკუთარ თავს. იგი დიდხანს ელოდება ისეთ პრინცს, რომელიც გაუგებს.

მწვანე – მინდა, ყველა მემორჩილებოდეს!..

ამ ფერის მოყვარული ანუ **კაბტუსი** კატეგორიული და ჯიუტია, ცდილობს ყველას მანიპულირებას. ნებისმიერი პარტნიორული ურთიერთობის დროს, ყველაფერს აკეთებს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. გაუთავებელ შარს, კაპრიზს და საყვედურს ადამიანებზე ზრუნვისა და სიყვარულის გამოვლინებად მიიჩნევს. სახლს, მანქანას, კომპიუტერსა და ცხოვრების მეგზურსაც კი, პრესტიჟულობის მიხედვით ირჩევს, უჭირს „არას“ თქმა, ამიტომ ხშირად ცრუობს.

ლურჯი – უბრუნველთა ფერი

ამ ფერის მოყვარულს, ანუ **ლიდლოს,** მოსწონს უზრუნველი და კარგი ცხოვრება. ტანსაცმელსაც კი ისეთს ირჩევს, რომელიც ხელს არ შეუშლის მოძრაობაში. არა აქვს მნიშვნელობა, სად — ყველგან დაისვენებს, ოღონდ წამოწოლის საშუალება ჰქონდეს. ავადმყოფურად განიცდის შენიშვნებს. ადამიანებისგან თავი შორს უჭირავს და ყოველთვის პირველი აყენებს დარტყმას, თუ ეს საჭირო გახდა. აქვს მისტიკისადმი მიდრეკილება. უყვარს მაგია, ასტროლოგია და ქირომანტია.

დამპყრობელი წითელი მანტია

წითელი ფერის მოყვარული ანუ **ვარდი,** ისწრაფვის, რაც შეიძლება მდიდრულად და უზრუნველად იცხოვროს. ხიბლავს გაწურჩეველად ყველას. ვარდი ასე იმიტომ კი არ ცხოვრობს, რომ სულით მდიდარია, არამედ სულის სიცარიელის გამო, რათა დაძლიოს უსიამოვნო შეგრძნებები, მისდევს სპორტის ექსტრემალურ სახეობებს. სამსახურში ძალიან აქტიური და ფხიანია. საჭიროებისას სწრაფად, ეფექტიანად ახერხებს გადაწყვეტილების მიღებას, მუდამ ფაციფუცშია. ძალიან ემოციურია. ტანსაცმლის შერჩევისას — უპირატესობას ანიჭებს ეგზოტიკურ ფერებს, უყვარს მკვეთრი, კაშკაშა ფერები, რის გამოც ხშირად აღიზიანებს გარშემომყოფთ. მიელტვის დამოუკიდებლობას, რაც ხელს უშლის პარტნიორებთან ნორმალურ დამოკიდებულებაში. წყენისას მათ სიშმაგეს ზღვარი არა აქვს.

ლიზა №7

სტვენია მაცნე



ზამთრის ცივი ღამე იყო. შვილიშვილს ოთახში ელექტროლუმელი ჩართული ჰქონდა და ხშირად ვაკითხავდი (შვილი და რძალი ამერიკაში მუშაობენ და ბავშვს მე ვუვლი). უცებ დავინახე, რომ ფანჯარაში უცნაური შუქი შემოდიოდა. გავიხედე, დაახლოებით 2-3 მ რადიუსის მქონე კაშკაშა ბურთი შუა ეზოში იდო. მერე ცაში აიჭრა. ბურთიდან რაღაც ასხლტა, ფანჯარა ჩაამტვრია, დამეტაკა და წამაქცია. გონი დავკარგე, როცა მოვბრუნდი, ფანჯრის მინები მთელი იყო. დაფეთებულმა ბავშვს დავხედე — მშვიდად ეძინა. ღუმელი არ ენთო, თუმცა კვლავინდებურად ქსელში იყო ჩართული. ღილაკს მივაჭირე ხელი — არ აინთო. ალბათ დენი წავიდა-მეთქი. არადა, ირგვლივ სახლები გაჩახჩახებული იყო.

მეორე დღეს გაირკვა, რომ ჩემს სახლში ელექტრობა დაზიანებულიყო. შეეკეთებინე ხელოსანს და იმ დღიდან დაიწყო ჩემი წამება. მესმიდა სტვენა და, რაც ყველაზე უცნაურია, ამ სტვენის შინაარსს ვიგებდი, ოღონდ დღემდე არ ვიცი, როგორ. თანაც ჩემ გარდა არავის არაფერი ესმოდა. მოკლედ, ეს სტვენია უხილავი ობიექტი იმდენ საიდუმლოს მატყობინებდა, რომ თავიდან მომეწონა კიდეც მისი გამოჩენა. სანამ ჩემი რძალი დამირეკავდა და მეტყოდა რამეს, თავისიანე ამბები მანამდე ვუთხარი. დაფრთხა თურმე — ჩანს, დედა ავად არის და ბავშვი კი მის ანაბარა გვყავს მიტოვებული, არადა თვითონაც მისახედიაო. როგორც ჩანს, მეზობლებსაც წინასწარ ვეუბნებოდი მოსალოდნელ ამბებს. რიგი მედგა შინ. მოდიოდნენ სრულიად უცნობი ადამიანები და მეკითხებოდნენ, — თქვენთან უსტვენენო? მეც თავს დავუქნევდი თუ არა, ოჯახში მივარდებოდნენ და მთხოვდნენ რჩევას და დახმარებას. ძალიან დავიღალე და თანაც არა მარტო მე, არამედ ის იდუმალი არსებაც. აწუხებდა ის ამბავი, რომ ადამიანებს მხოლოდ ფული, მატერიალური კეთილდღეობა და სხვა ამდაგვარი აინტერესებდათ. მეუბნებოდა, — ასე კაცობრიობა დაიღუპება, ცუდი გზით მიდიხართო. მერე, როგორც ჩანს, გაწყრა ხალზე და სულ ცუდ ამბებს წინასწარმეტყველებდა, რისი გამორებაც ძალიან მიჭირდა. ამასობაში ჩემი შვილი და რძალი დაბრუნდნენ ამერიკიდან. აქ რომ ასეთი ამბავი დახვდათ, შეშფოთებულან. ჯერ ხალხის დანახვაზე ჰგონებიათ, რომ რაღაც უბედურება დაგვემართა. გულგახეთქილები შემოვარდნილან ეზოში, მაგრამ სახლში არ უმვებდნენ სრულიად უცნობი ადამიანები. ჩემი ვაჟისთვის დუუყვირიათ, — სად მიდიხარ, რიგში ჩადექიო. ამაზე სულ გადარეულან. თავზარდაცემულები შემოცვივდნენ შინ და რომ გაიგეს, რაც მჭირდა, შეწუხდნენ. მთხოვეს, წამოდი ამერიკაში, ან სხვაგან გიყიდით ბინას და იქ გადასახლდი, თუ მარტო აქ გესმის სტვენაო. გადავაცვლევინე სახლი, მაგრამ რად გინდა, სამ დღეში მომაკითხა სტვენამ.

ეტყობა, მცირედ მორწმუნეობის გამო ვისჯები-მეთქი და — მივაშურე ეკლესიას, ცხოვრების წესი შევიცვალე...

ერთი კვირის თავზე იდუმალმა არსებამ სტვენით მითხრა, — ყორაღ, ლაურა, ასე უნდა მოქცეულიყავი, შენ ახლა ნამდვილად დგახარ ჭეშმარიტების გზაზე, შენი აღზრდის პროცესი დავასრულე, ანი სხვებს მივხედავ. შენ კი ღმერთი გეტყვის, როგორც უნდა მოიქცეო. ესა თქვა და გაქრა. მას მერე სტვენაც აღარ მესმის და თავსაც მშვიდად ვგრძნობ. ვფიქრობ, უფალმა მიჩვენა სწორი გზა.

სულ მინდა ეკლესიაში ვიარო და იქაურობა დავალაგო. ასეც ვიქცევი.

ლაურა ბ., თბილისი

„სიტყვიერი-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. აბა, გამოიცანი:

1) — ა); 2) — გ); 3) — დ); 4) — დ); 5) — გ); 6) — ა); 7) — ბ); 8) — გ).

II. მე-2 და მე-7 ფეხსაცმელები.

III. აქლემი

სრულფასოვანი „ექიმი გული“

ბეჭდვის ბაზრობა

ტრეფარეტი ბეჭდვა

მეზოთელიანი

ფერადი ბეჭდვა

ბონტიელი ფანტელი

ეკიდება

ელექტროფოტო ბეჭდვა

მეზოთელიანი
ბაზა ფოტოფირებისაკენ

- ფილტრების მეურნალობა;
- აკნეს და ქაფის არსებული სხვა გამონაყარის მეურნალობა;
- სხრეების ქირურგია;
- ქაფის ფერის, ბონესისა და ფერადობის გაუმჯობესება;
- ნაოჭების გასწორება და სახის ოვალის აღდგენა;
- პიგმენტური ლაქების მოცილება.

ერეკლეს 63, ტელ: 212-312, 364-464

DEGAPRINT

დეგაპრინტი

HP INDIGO

HP INDIGO

ლატვიაში უგულისყური ეპიზოლებს დასჯიან

ლატვიის მთავრობამ გადაწყვიტა, შესწორებები შეიტანოს კანონში ბავშვთა დაცვის შესახებ — მკაცრად უნდა დაისაჯონ მშობლები, რომლებიც შვილებს უყურადღებოდ ტოვებენ.

ამგვარი ღონისძიების გატარება კანონმდებლებმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც მატარებელმა ორი წლის ბავშვს ხელი წააცალა — ბიჭუნა ლიანდაგებზე თამაშობდა. 6-საათიანი ოპერაციის შემდეგ ექიმებმა შეძლეს ბავშვისთვის ხელის მიკერება. დაზარალდა მემანქანეც — მას გულის შეტევა მოუვიდა. ეს შემთხვევა ლატვიაში პირველი არ არის. მშობელთა უყურადღებობის გამო შარშან 4 ბავშვი საკუთარ სახლში ამოიწვა. ისინი მშობლებმა ბინაში ჩაკეტეს და თვითონ საქმეებზე წავიდნენ. ასე დაილუპა ქ. კულდიგაში 3 ბავშვი. ბოლო ორი წლის მანძილზე, უყურადღებობის გამო რიგაში 7 ბავშვი გადმოვარდა ფანჯრებიდან.

ოგონიოკი №6

ქუნნს ბედნიერება ქუნნად ეძლევა

ინდოელი ქალისთვის კარგი საქმროს პოვნა ისევე ძნელია, როგორც შუაზიელი ჯიგიტისთვის ყალიმის უქონლად დაქორწინება. ინდოეთში მზითევი და ნეფისთვის საჩუქრები საცოლის ოჯახმა უნდა მოამზადოს. ის იხდის ქორწილისა და საქორწილო მოგზაურობის ხარჯებს. თუ ოჯახში რამდენიმე ქალიშვილი ჰყავთ, ვალებიდან ალბათ ვერასოდეს ამოვლენ. უმზითვო ქალიშვილს ინდოეთში ალმაცერად უყურებენ.

ერთი ინდოელი ქალიშვილის, ინდირას საქმრო გარდა იმისა, რომ მსუქანი იყო, გვარიანი ნუწურაქი აღმოჩნდა. ნიშნობის მერე რა აღარ მოსთხოვა სიმამრს — ფული, ჯამ-ჭურჭელი, ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა. საცოლის მოთმინების ფიალა მაშინ აივსო, როცა ქორწილზე ნეფემ განაცხადა, მოტოციკლის გარეშე ქორწინება უაზრობად მეჩვენებაო და კატეგორიულად მოითხოვა — ახლავე დარბაზში „ჰონდა“ შემომგორეთო.

„ყველაფერს აქვს საზღვარი, — განუცხადა პატარძალმა სტუმრებს, — ვის სურს ცოლად გავყვე?“ სტუმრებს შორის აღმოჩნდა ერთი მამაკაცი (სხვათა შორის, სიძის ნათესავი), რომელსაც უმოტოციკლოდ უნდოდა ინდირას ცოლად მოყვანა. მსუქან და წუწურაქ საქმროს კი არც ცოლი ჰყავს და არც „ჰონდა“.

აზია ი ავერკა

პონი — ადამიანის სამსახურში

ტონტო და მისი პატრონი, ჯენეტ ბერლისონი, დიდი ხანია მიეჩვევნენ ხალხის გაოცებულ მზერას. ბევრს არასოდეს უნახავს საბელიანი პონი, თანაც თეთრ ჩექმებში (იატაკზე ფეხი რომ არ მოუცურდეს) გამოწყობილი და წარწერით: „ხელი არ ახლოთ, პონი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს“.

ტონტო ბრმების მატარებელი იქნება. მის გარდა ჯენეტს და მის მეუღლეს კიდევ 7 პონი ჰყავთ. ყველანი რანჩოში, ჩრდილოეთ კაროლინაში ცხოვრობენ. ბერლისონები დარწმუნებულნი არიან, რომ მინიპონი ძაღლს სჯობს. ალერგიას ნაკლებად იწვევს, მშვიდია, კარგი მხედველობა აქვს და, რაც მთავარია, კატების მიმართ გულგრილია. ძაღლები 8-10 წელიწადში ბერდებიან, პონი კი 35-40 წელს ცოცხლობს.

მინიპონი დაახლოებით 2.000 დოლარი ღირს, მაგრამ ბერლისონების ფონდი უსასყიდლოდ ურიგებს ბრმებს პონი-მატარებლებს.

ნაშ დრუგ №2

ტაქსი ძაღლებისთვის

ავტობუსი, რომელიც კოლუმბიის დედაქალაქის ქუჩებში დადის, გამვლელთა აღტაცებასა და ღიმილს იწვევს. როგორ არ გაგეღიმება, როცა სარკმლებიდან ერთიმეორეზე სიმპათიური დრუნჩი შემოყოფრებს — ლაბრადორები და ბოქსიორები, ჩაუ-ჩაუ და პუდელები მედიდურად სხედან თავ-თავიანთ ადგილებზე.

ძაღლების ავტობუსის იდეა ორ ბოგოტელ ახალგაზრდას ეკუთვნის. თავდაპირველად მათ ძაღლების სასწავლო ცენტრი გახსნეს. „განათლების მიღების“ მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ ტრანსპორტი საჭირო შეიქნა — ახალგაზრდების ძველი „რენო“ სამისოდ აღარ გამოდგებოდა. მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი სასწავლო რეისის დროს კინაღამ ავარიაც მოხდა — ცნობისმოყვარე ბოქსიორმა მამმის საჭესთან დაჯდომა მოინდომა. ასე შეიქმნა ძაღლების „ტაქსი“ — თავისი საბარგულით, სათადარიგო გასასვლელითა და ურრბისთვის „კარცერითაც“ კი.

„მგზავრებმა“ რომ არ მოიწყინონ, მუსიკას ასმენინებენ — ჩიტების ყიურტტულს, ზღვის ხმაურს, ცხოველების ხმებს. კურიოზებიც ხდება — ერთმა მოუსვენარმა ქალბატონმა, რომელმაც ძაღლების აღმზრდელი უთავბოლო კითხვებით შეაწუხა, მობილურით მორიგი დარეკვისას, ტელეფონთან თავის ლაბრადორს უხმო — თუმცა ძაღლი რატომღაც არ მივიდა ყურმილთან.

ნიუზუიკი

საფრანგეთში აიკრძალა ბენდენა

საფრანგეთის განათლების მინისტრი გამოვიდა ინიციატივით, აიკრძალოს სკოლებში სამოსის ზოგიერთი ატრიბუტი. შავ სიაში მოხვდა ჭრელი თავსაბურავი, ე.წ. ბენდენა, რომელიც ტრადიციული მუსლიმური ჰიჯაბის თავისებურ ალტერნატივად იქცა. „ბენდენა უნდა აიკრძალოს, თუკი გოგონები მას რელიგიური სიმბოლოს მნიშვნელობით ატარებენ“, — განაცხადა მინისტრმა. აკრძალვა ვრცელდება იუდეველთა თავსაბურავებზე.

დენგი №8

„ვაიდი თითს... ქვირად“

„რა იზამ 100.000 ზლოტად“ (დაახლოებით 25.000 დოლარი)? ეკითხებოდნენ პოლონური პოპულარული რადიოსადგურის, „ვაგას“ კონკურსის წამყვანები ახალგაზრდებს. მათ არც ეგონათ, ამდენი აბსურდული აზრის მოსმენა თუ მოუხდებოდათ.

კონკურსის ორგანიზატორების ჩანაფიქრით, თანხა უნდა რგებოდა მას, ვინც ყველაზე ექსცენტრიკულ საქციელს ჩაიდენდა. საგანგებო კომისიამ ხუთი გამარჯვებული გამოავლინა: აგნუშკა, რომელიც მზად არის პოლონეთის სეიმის სხდომაზე კანკანი იცეკვოს; ბოგდანი, რომელიც 30 დღეში 30 კგ-ით გახდომას აპირებს; პეტრე, რომელიც სასაფლაოზე, კუბოში გაატარებს ერთ კვირას; იანეკი, რომელიც მსურველებს 50.000 ზლოტად ღირებულ თავის ქონებას დაურიგებს; ყველას გადაადარება მარჩინმა — იგი მზად არის მარჯვენა ხელზე ნეკი მოიჭრას.

ასოთდამშავებლობამდე, საბედნიეროდ, საქმე არ მისულა. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საკითხებში ეროვნულმა საბჭომ კონკურსი ბოლო ეტაპზე დახურა. საქმე ის არის, რომ პოლონეთში მოქმედებს კანონი, რომელიც კრძალავს იმ ქმედებების პროპაგანდას, რომლებიც ვნებს ჯანმრთელობას ან ლახავს საზოგადოებრივ მორალს.

ეოკრუდ სვეტა №8

ჭრიჭინებით გამდიდრებული

რას აღარ იგონებს ხალხი, როგორმე თავი რომ დააღნიოს გაჭირვებას! არგენტინაში, მაგალითად, ერთი ახალგაზრდა ჭრიჭინებს ამრავლებს. სხვათა შორის, მეტად მომგებიანი ბიზნესი გამოდგა. საქმე ის არის, რომ ამ მწერებს სიამოვნებით ახრამუნებენ რეპტილიები, მორიელები და ტარანტულები — ამ ბოლო დროს მოდაშია ეგზოტიკური არსებების ყოლა. სწორედ მათი პატრონები არიან ჭრიჭინების მომშენებლის კლიენტები.

80 000 ჭრიჭინა წელიწადში 80 კგ-ს მხოლოდ მწვანილს შეეცევა, სხვა საკვებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგრამ თვეში ჭრიჭინების ბიზნესმენი დაახლოებით 700 დოლარს აკეთებს.

გაცილებით „დახვეწილი“ ბიზნესი აქვს მეორე არგენტინელს — მან ცხოველების სამოდელო საგენტო გახსნა. აქაურ „ლამაზმანებს“ ხშირად იწვევენ სარეკლამო რგოლების გადასაღებად. სამოდელო საგენტოს მოდელი პითონი დღეში 140-210 დოლარი ღირს. სპილოს გადაღება გსურთ რეკლამაში? — გადახიდეთ 1.700 დოლარი დღეში და წარმატება გარანტირებულია.

მირორი

სიმღერა და... სქესობრივი დისკრიმინაცია

მადრიდის ქუჩებში სიმღერა შეიძლება, მაგრამ იგი უზადოდ უნდა იყოს შესრულებული. თუმცა იმის თქმა არ შეიძლება, რომ სამართალდამცველებს უნაკლო მუსიკალური სმენა აქვთ და ამ მხრივ კანონს დაიცავენ. საქმე ის არის, რომ ესპანეთის დედაქალაქში დღემდე მოქმედებს 1948 წელს მიღებული კანონები. მას შემდეგ კი ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, აკრძალულია ღვინის წყლით გაზავება, მაგრამ თანამედროვე მადრიდელები მინერალური წყლით განზავებულ ღვინოს ამჯობინებენ. ქალებურად იკრძალება „ტრამვაის ლიანდაგის სხვადასხვა საგნით ბლოკირება“, თუმცა დედაქალაქში კარგა ხანია აღარ არსებობს ტრამვაის ხაზები.

დღემდე მწვავედ დგას ბარებისა და კაფეტერიების დაბინძურების საკითხი, მაგრამ ამ მხრივ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები მაინც არ არის დაცული. ჯარიმა ელის მას, ვინც „ლანძღვა-გინებით იხსენიებს სამშობლოს, რელიგიას, მორალსა და კულტურას“ და კიდევ — კანონით მენახშირეებს ეკრძალებათ შინ საშუშაო ტანსაცმლით დაბრუნება. ეს კანონი სხვათა შორის არც ისე მოძველებულია — დღემდე შემორჩა სახლები, სადაც გასათბობად ნახშირს ხმარობენ.

ყველა ამ და სხვა აკრძალვებს ფორმალური ძალა აქვს, რადგან ისინი არავის შეუცვლია. ერთი ბრძანებულება კი მაინც შეცვალეს — ადრე კანონის მიხედვით სადარაჯო ძაღლი მხოლოდ და მხოლოდ ხვადი უნდა ყოფილიყო და ამასთან, 6 თვეზე მეტი ასაკისა. მადრიდელები ხუმრობდნენ, ძაღლების სქესობრივი დისკრიმინაცია მძინვარებს ქვეყანაშიო.

ეხო პლანეტი №8

თურმე ბრაქბორკაც ეიძლება იფრინოს!

ერთმა ვიეტნამელმა ფერმერმა ძველი საბჭოთა ტრაქტორი შეეულმფრენად გადააკეთა. საამისოდ მას 7 წელი და 30 ათასი დოლარი დასჭირდა. მისი შექმნილი შვეულმფრენი დაფრინავს წინ, უკან, მარჯვნივ და მარცხნივ. მართალია, ჯერჯერობით მიწიდან მხოლოდ ნახევარ მეტრზე ახერხებს აფრენას, მაგრამ ფერმერს იმედი აქვს, მომავალში ზეცაში აიჭრება. თუმცა ფერმერ-კონსტრუქტორს ამაზე უფრო ძნელი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი — მის მიერ შექმნილ აპარატს სამკვდრო სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა მშობლიური ქვეყნის ბიუროკრატიული აპარატი — ფერმერ-პილოტს ლიცენზია არა აქვს და ამიტომ თავდაცვის სამინისტროს ჩინოვნიკებმა მის მიერ შექმნილ შვეულმფრენს კონფისკაცია გაუკეთეს. კონსტრუქტორი მზად არის, რკინის ქალამნები ჩაიცვას და პრემიერ-მინისტრამდეც კი მივიდეს და თუკი ეყოფა, თავისი 25 აკრი მიწაც და სახლიც გაიმეტოს მფრინავის ლიცენზიის აღებისა და თავისი გამოგონების დაკანონებისათვის.

მირ ნოვოსტეი №9

ეპოზილიზებული ეეტლე



ისევე, როგორც ბევრ ქვეყანაში, ავსტრალიაშიც აკრძალულია საჭესთან მობილური ტელეფონის მოხმარება. კანონის დამრღვევს დიდი ჯარიმა ელოდება. მიუხედავად ამისა, ახლახან ანალოგიური დარღვევისათვის დაჰპატიმრეს მეეტლე, რომელიც დედაქალაქში ცხენშებმული ეტლით დასეირნობდა. ამასთან, მობილურ ტელეფონზეც ქაქანებდა. რაკი ცხენშებმული ეტლიც სატრანსპორტო საშუალებებს ეკუთვნის, ქალაქ მელბურნის მაგისტრატურის სასამართლომ მეეტლეს 135 ავსტრალიური დოლარის გადახდა დააკისრა.

კომსომოლსკაია პრავდა

ჟურნალ „ქარუელის“ საზრიმი კროსვორდი „ქვირის პალიტრისთვის“

შენიშვნის წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ფიპოლოზ გიგოლის სიტყვებს ამოიკითხავთ.

ჩ	ვ	ე	ნ	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	დ	ა	რ	ა	ს	ო	დ	ე	ს	მ	ო	ი	წ	ყ	ე	ნ	თ
ნ	ნ	ო	ი	ი		ა	ე	ი	ა	ლ	თ	ა		ნ	ა			ქ	ო	ლ	ი	ნ	ი	ი	რ	ი	ე

ჩ. მწყემსი; **ვ.** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება; **ე.** დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **ნ.** დედალი ღორი; **თ.** მცენარე, რომლის მერქნისაგან ამზადებენ ჩიჩილაკს; **ა.** გერმანული საავტომობილო ფირმა; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე.** ალბერტ აინშტაინის ეროვნება; **რ.** გზა, რომელსაც გადის ტრანსპორტი საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე; **თ.** წვრილი ღვედი; **ა.** მსოფლიოს ყველაზე გრძელი ჩანჩქერი; **დ.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელმაც შურდულით მოკლა გოლიათი; **ა.** ტროპიკული ხილი; **რ.** თბილისის ერთ-ერთი უბანი; **ა.** ბავშვის საარწეველა საწოლი; **ს.** ჩეხი კომპოზიტორი; **ო.** ნორვეგიის დედაქალაქი; **დ.** ძაღლის ჯიში; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **ს.** პელეს მშობლიური საფეხბურთო კლუბი; **ვ.** რეგიონი ინდოეთში; **ო.** ჟაკლინ კენედის მეორე ქმრის გვარი; **ი.** მგალობელი ფრინველი; **წ.** ადამიანის ყველაზე კარგი მეგობარი (ყველა ხელოვანის მტკიცებით); **ყ.** რა მდინარე ჩამოედინება ზესტაფონში; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ნ.** ქართული ხალხური ანტიბიოტიკი; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში.

ფინა ნოემბერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჩ. ჩამიჩი; **ვ.** ვეძისი; **ე.** ელარჯი; **ნ.** ნაგანი; **ი.** იოსები; **ბ.** გაყოფა; **ა.** ამონი; **ზ.** ზევსი; **ე.** ეფენდი; **თ.** თელავი; **ი.** იაგანი; **პ.** პავლე; **რ.** რვალი; **ე.** ეგრისი; **ს.** სტიმული; **ი.** იორდანე; **ს.** სმეტანა; **ლ.** ლავაში; **ი.** იგოეთი; **დ.** დოლაბი; **ე.** ერუდიტი; **რ.** რაციონი; **ი.** ილიადა; **ა.** არარატი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: მძაგს ყოველგვარი რევოლუცია.

კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა“ დაბადებულ მკითხველებს დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს და კვლავ გთავაზობთ სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარს“:

15 მარტი:
თედო სახოკია, ეთნოგრაფი, მთარგმნელი; **ემილ ფონ ბერინგი,** ბაქტერიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **ენდრიუ ჯექსონი**, ამერიკის ერთ-ერთი პრეზიდენტი.

16 მარტი:
ალექსანდრე ბელიაევი, მწერალი-ფანტასტი; **ბერნარდო ბერტოლუჩი**, რეჟისორი; **ჯერი ლუსი**, მსახიობი, რეჟისორი; **ალექსანდრე პოპოვი**, ფიზიკოსი, რადიოს გამომგონებელი; **იულიუს ასვალგი**, გერმანელი ქართველოლოგი.

17 მარტი:
მისიელ ჟრუბელი, მხატვარი; **გოტლიბ დაიმლერი**, მეწარმე, გამომგონებელი; **კურტ რასლელი**, მსახიობი.

18 მარტი:
ლადო გუდიაშვილი, მხატვარი; **შოთა ნიშნიანიძე**, პოეტი; **ლუკ ბესონი**, რეჟისორი; **რუდოლფ დიზელი**, ინჟინერ-გამომგონებელი; **ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვი**, კომპოზიტორი.

19 მარტი:
ნინო ანანიაშვილი, ბალერინა; **კოტე დაუშვილი**, კინომსახიობი; **შოთა მანაგაძე**, კინორეჟისორი; **ფრედერიკ ჟოლიო-კიური**, ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **ვალერი ლეონტიევი**, მომღერალი; **დევიდ ლივინგსტონი**, აფრიკის მკვლევარი, მისიონერი; **ბრიუს უილისი**, მსახიობი;

20 მარტი:
ოთარ ჭილაძე, მწერალი; **სვიატოსლავ რიხტერი**, მუსიკოსი (პიანისტი); **ჰოლი ჰანტერი**, მსახიობი.

21 მარტი:
მერაბ კოკოჩაშვილი, კინორეჟისორი; **იოჰან სებასტიან ბახი**, კომპოზიტორი; **მეთიუ ბროდერიკი**, მსახიობი; **ტიმოთი დალტონი**, მსახიობი; **ჰარი ოლდმანი**, მსახიობი; **ლეონიდ უტოსოვი**, მსახიობი, მომღერალი.

სიტყვათა კონა

თივთიკი — 1. თხის, ცხვრის, სიასამურის, კვერნის და ზოგი სხვა ცხოველის წერილი და ნაზი ბალანი. 2. ამ ბეწვისგან დამზადებული ქსოვილი.

თითლიბაზი (ძვ. საუბ.) პირფერი, ქლესა, ფარისველი, ცბიერი.

თიკვი (კუთხ.) — იგივეა, რაც ჩვარი.

თილიმა (თურქ.) — მოხარშული, დაჭრილი თევზი, ძმარში ჩადებული.

თირი — 1. ნაცრისფერი, რბილი ქვა; ითლება; ცეცხლზე არ სკდება, მისგან აკეთებენ კერას, — მჭადაქვა. 2. მიწა ერთგვარი; მისგან აკეთებენ ქოთნებს, ქვევრებს.

თლაშო (საუბ.) — არყის სასმელი პატარა ჭიქა.

თოლიგე! — საალერსო სიტყვა — ჩემო თვალისჩინო! (ასე მიმართავდა ცოლი ქმარს ან ქმარი ცოლს — სამეგრელოში).

თომი — მთის ბალახი; მარცვლოვანთა ოჯახისა.

თორრი (ძვ.) — სხეულის დასაფარავი ჯაკეშანი.

თოფი — მთლიანი ქსოვილი, ბრტყლად დახვეული; ქსოვილის ზომის მსხვილი ერთეული.

თოფა — კენჭაობის ერთ-ერთი ილეთი.

თოფრა — პატარა ტომარა.

თოფხანა (თურქ. სპ.) (ძვ.) — იგივეა, რაც არსენალი.

თოქალთო (სპ.) — ცხენის ზურგზე უნაგირის ქვეშ (საოფლეზე) დასაფენი ქეჩა.

თოქმა (თურქ.) (საუბ.) — მკვრივი, მსხვილი, ტლანქი.

თოქმაჩი (თურქ.) (ძვ.) — ეროს მცემელი სამჭედლოში.

თოქშა! — შეძახილი ვირის შესაჩერებლად.

თოხანი — სათამაშო კოჭის ერთ-ერთი, შედარებით სწორი მხარე, ალჩუს მოპირდაპირე.

თოხარიკი — 1. მოხდენილად გოგმანით სიარული (ცხენისა). 2. ამგვარად მოსიარულე (ცხენი), — იორღა.

კარიკატურისტობა საქართველოში არაპრესტიჟულია....

— გთხოვთ გვიპასუხოთ, სად იმართება ყველაზე ცნობილ კარიკატურისტთა კონკურსები (ფესტივალები) და რა აუცილებელი პირობები უნდა დაიცვან კონკურსში მონაწილე მხატვრებმა. იმართება თუ არა კონკურსი საქართველოში?

ვ. ლომანი

კითხვაზე უპასუხებს ზაალ სულაკაური, მხატვარი-კარიკატურისტი.

— თავდაპირველად გიპასუხებთ მეორე შეკითხვაზე. სამწუხაროდ, საქართველოში კარიკატურისტთა კონკურსები და მით უფრო ფესტივალი — არ ტარდება. კარიკატურისტთა რაოდენობა იმდენად მცირეა ქვეყანაში და იმდენად არაპოპულარულია ხელოვნების ეს დარგი, რომ ამ საკითხით არც ერთი სპონსორი არ ინტერესდება. მხატვარ-კარიკატურისტებს გვინდოდა რაიმე კლუბი ჩამოგვეყალიბებინა, მაგრამ ესეც თანხებთანაა დაკავშირებული. ერთადერთი, სადაც წლის საუკეთესო კარიკატურის ნომინაცია შეიტანეს, 2000 წლის „ბეჭდვითი პრესის“ კონკურსი გახლდათ. ეს არის და ეს. რაც შეეხება მსოფლიოს, თითქმის ყველა ქვეყანაში (იაპონია, თურქეთი, საფრანგეთი, რუსეთი და სხვა) ყოველწლიურად იმართება კარიკატურისტთა კონკურსები თუ ფესტივალები. თუმცა, კარიკატურისტთა ფესტივალები და კონკურსები ისეთი ბრწყინვალებით არ გამოირჩევა, როგორც კინოფესტივალები.

ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲡᲔᲚᲨᲔᲣᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ...□□□□

— ისტორიულად ასე იყო — ავაზაკსაც კი, რომელიც ეკლესიას თავს შეაფარებდა, ხელს ვერ ახლებდნენ, რადგან ითვლებოდა, რომ იგი უფლის მფარველობის ქვეშ იყო. მომხდარა თუ არა საქართველოს ისტორიაში ისეთი ფაქტი, როდესაც ტაძარში შეუპყრიათ დამნაშავე? არადა, ამ დღეებში ხომ ეკლესიაში დაუპატიმრეს ბასილ მკალავიშვილი...

ნიკოლოზ გვარამია

კითხვაზე უპასუხებს გივი გუგუშვილი, ნიკორწმინდის ეპარქიის პრესსამსახურის ხელმძღვანელი.

— ისტორიას ეკლესიაში ადამიანთა დაპატიმრების (იმის მიუხედავად, დამნაშავე იყო თუ არა იგი) ფაქტები არ ახსოვს, თუ არ ჩავთვლით ორიოდე გამონაკლისს. დავით ნარინის მიერ გაძევებული რაჭის ერისთავის, კახაბერ კახაბერისძის ვაჟუბიდან ერთ-ერთი გიორგი, საქართველოში დაბრუნდა მე-14 საუკუნის ბოლოს და თავს დაესხა რაჭის იმჟამინდელ ერისთავს მირიან ჭარელისძეს, შემდეგ კი ნიკორწმინდის ტაძარს შეაფარა თავი, საიდანაც გამოიყვანეს და დასაჯეს. იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყვანეს ტაძრიდან გიორგი კახაბერისძე, მემატიანე არაფერს გვამცნობს.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნახსენებია აშოტ დიდი კურაპალატის (787-826 წ.წ.) მკვლელობა. იგი არაბებმა ტაძარში საკურთხეველს დააკლეს... ქართველი მემატიანეები ამ ფაქტს მტრისთვისაც კი მიუტევებლად მოიხსენიებენ.

...ტაძარს თავშეფარებული ადამიანი საერო მართლმსაჯულებას გაურბოდა მანამ, სანამ ეკლესიაში იმყოფებოდა. ეს დაუწერელი კანონი იყო და ყველას ეშინოდა უფლის რისხვისა. რაც შეეხება ბასილ მკალავიშვილს, არ შეიძლება ბოროტებას ბოროტებით ებრძოლო (ამ შემთხვევაში სახელმწიფო ბასილ მკალავიშვილს ისევე მოექცა, როგორც თავის დროზე იგი იელოველებს).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲐᲠᲐᲖᲘᲢᲣᲚᲘ ᲒᲣᲒᲣᲚᲘ ᲒᲕᲮᲕᲓᲔᲑᲐ...

— ყველასთვის ცნობილია, რომ გუგული მუდამ სხვა ფრინველის ბუდეში დებს კვერცხს. რით არის განპირობებული ეს და როგორ ახსნას აძლევს ამ ფაქტს მეცნიერება?

თაკო სამადაშვილი

— გუგულის გამრავლების უცნაური ფაქტი საყოველთაოდ ცნობილია: ბუდეს არასოდეს იშენებს და ბარტყებსაც არ ჩეკს. კვერცხს შეუმჩნევლად სხვა ფრინველს ჩაუდებს და ნაშიერსაც მას აზრდევინებს. ეს მოვლენა ბუდის პარაზიტიზმითაა ცნობილი.

გუგული ბუდეში კვერცხს უდებს მეტწილად პატარა ზომის ბეღურასნაირ ფრინველებს. გამოკვლეულია, რომ მას შეუძლია კვერცხი ჩაუდოს 147 სახეობის ფრინველს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ერთი და იგივე დედალი გუგული ჩვეულებრივად ბუდეში კვერცხს უდებს ერთი რომელიმე სახეობის ფრინველს, ალბათ იმას, რომლის ბუდეშიც თვითონ გამოიჩეკა. გუგული კვერცხის დადების მომენტში ძლიერ აღგზნებულია და ირჩევს მომენტს, როცა „მასპინძელი“ ფრინველი დროებით უმეთვალყურეოდ ტოვებს თავის ბუდეს. შემჩნეულია, რომ ხშირად მამალი გუგული მიიპყრობს მასპინძელი ფრინველის ყურადღებას — გაიტყუებს მას ბუდიდან. ამ დროს კი დედალი „აბინავებს“ კვერცხს. როგორც წესი, ერთ ბუდეში მხოლოდ ერთ კვერცხს ათავსებს (სეზონის მანძილზე იგი 12-დან 20-მდე კვერცხს დებს). ყოველივე ზემოთ აღნიშნული ჩვეულებრივი (ანუ პარაზიტული) გუგულის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა და საქართველოშიც მხოლოდ გუგულის ეს სახეობა გვხვდება.

მართალია, გუგული თავის ბარტყებს სხვებს აზრდევინებს, მაგრამ სასარგებლო ფრინველიცაა. დიდი რაოდენობით ანადგურებს მავნე მწერებს და მათ შორის ისეთებსაც, რომელთაც სხვა მწერიჭამია ფრინველები არ ეკარებიან...

ᲚᲔᲥᲡ-ᲡᲔᲜᲘ ᲗᲣ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ «ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ»

— მაინტერესებს ლექს-სენის ნამდვილი სახელი და გვარი და მისი ასაკი. რატომ აირჩია ასეთი ფსევდონიმი და რას ნიშნავს იგი?

გვანცა თბილისელი

კითხვაზე უპასუხებს ლექსო ძავთარაძე (ლექს-სენი).

— 22 წლის ვარ, ხოლო ჩემი სასცენო ფსევდონიმი ძალიან მარტივად იშიფრება — ლექსოს სენი. ლექსო ხომ ჩემი სახელია, სენი კი სიმღერის სიყვარული. თანაც, ჩემი სიმღერისთვის ლექსს ყოველთვის მე ვწერ. შესაბამისად, ლექსის სენს ეს დატვირთვაც შეიძლება ჰქონდეს... ანუ მოკლედ, ჩემი ფსევდონიმი შემოქმედებით „ავადმყოფობას“ ნიშნავს — ლექსოს ლექსების სენი.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲣᲛᲓᲘᲓᲠᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ

— „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ ნომერში წავიკითხე უმდიდრესი ადამიანების შესახებ. მასალაში აღნიშნული იყო მხოლოდ პირველ და მეორე ადგილებზე გასული ბილ გეიტსი და უორენ ბაფეტი. იქნებ გვიპასუხოთ, როგორ გამოიყურება მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების ათეული და რა შეიცვალა შარშანდელ და წლევანდელ მონაცემებს შორის?

მეგი გახოკიძე



უორენ ბაფეტი

ბილ გეიტსი

— მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა ათეული შარშანდელისგან დიდად არ განსხვავდება. უბრალოდ, 2003 წლის რეიტინგში მე-6 ადგილზე მყოფი მილიარდერი ლარენს ელისონი ამ ათეულიდან საეროოდ „ამოვარდა“. შესაბამისად, ათეულს ახალი მილიარდერი — მსოფლიოს უმდიდრესი საცალო ვაჭრობის ქსელის „უოლ-მარტის“ დამფუძნებელის სემ უოლტონის კიდევ ერთი მემკვიდრე სერ რობერტ უოლტონი შეემატა. ხოლო ადგილებიც შესაბამისად გადანაწილდა (თანხები მითითებულია მილიარდ დოლარში)

1.	უილიამ(ბილ) გეიტსი	46.6
2.	უორენ ბაფეტი	42.9
3.	კარლ (თეო) ალბრეჰტი	23
4.	პრინცი ალუალიდ ბილ ტალალ ალსაიდი	21.5
5.	პოლ ალენი	21
6.	ელის უოლტონი	20
7.	ჰელენ უოლტონი	20
8.	ჯიმ უოლტონი	20
9.	ჯონ უოლტონი	20
10.	სერ რობერტ უოლტონი	20

CMYK

ქირესი ჩვენია... იოპან ბოსკამპიც?

როგორც იქნა გვეღირსა — ჩვენს ეროვნულ ნაკრებს უკვე ჰყავს მთავარი მწვრთნელი — 80-იანი წლების საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი წმყვანი ფეხბურთელი ალან ჟირესი, რომელსაც ქართულ მხარესთან ისეთი აღიარებული სპეციალისტები უწევდნენ რეკომენდაციას, როგორიცაა არიან ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი მიშელ პლატინი და საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ემე ჯაკე.

ალან ჟირესი

ალან ჟირესი უკვე შეუდგა საქართველოს ნაკრებში მუშაობას. ის 17 მარტს თბილისში ჩამოვა და საქართველოს ჩემპიონატისა და თასის მატჩებს დაესწრება.

კონტრაქტის ფინანსური მხარე ოფიციალურად არ ცხადდება. თუმცა თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერან ჟორდანიას ნათქვამს, რომ ჟირესის, მიშელისა და ბიშოვეცის სავარაუდო კონტრაქტები ფინანსური თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და თუ გავიხსენებთ, რომ ანრი მიშელისთვის შეთავაზებული თანხა წლიურად 700 ათასი დოლარი გახლდათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფრანგი სპეციალისტის გასამრჯელოც დაახლოებით ამ ფარგლებში მოიაზრება.

ჟირესი საქართველოს ნაკრებში ერთი შესარჩევი ციკლის მანძილზე იმუშავებს, თუმცა, კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმადაც წარმატებული მუშაობის შემთხვევაში, იგი კიდევ ერთი შესარჩევ ტურნირში უხელმძღვანელებს ქართველებს.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის დანიშნის საკითხი ერთ-ერთი თემა გახლდათ, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან სტუმრობისას შეეხო. ორმოცწუთიანი შეხვედრისას საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების ერთ-ერთ რეალურ დასტურად სწორედ ჟირესის საქართველოს ნაკრებში დანიშვნის ფაქტი დასახელდა.

როგორც ჩანს, აღნიშნულმა რეალობამ დააჩქარა ჟირესის გადაწყვეტილება. არც ის იყო უმნიშვნელო ნიუანსი, რომ საქართველოს პრეზიდენტის პარიზში გამგზავრებისას ჟირესი თვითმფრინავში მიხეილ სააკაშვილს შეხვდა, მოკლე საუბარი საქმიანი იყო და ბუნებრივია, მწვრთნელს ჩამოუყალიბდა პოზიცია, რომ საქართველოში ფეხბურთი სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთ-ერთი გამოკვეთილი სფეროა.

ერთი სიტყვით, კონტრაქტის ინგლისური ვარიანტი თბილისიდან გაბრუნებულ ალან ჟირესს პარიზში მისმა ადვოკატებმა ფრანგულად უთარგმნეს. საქართველოს ნაკრების მომავალი თავკაცი კიდევ ერთხელ გაეცნო გულდასმით ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ უფლებებსა და ვალდებულებებს და თავისი ხელმოწერით დაადასტურა საქართველოს ნაკრებში მუშაობის სურვილი.

მანამდე კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა ნაკრების ფრანგი თავკაცისთვის. პარიზში ვიზიტისას, მიუხედავად დაძაბული რეჟიმისა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამონახა დრო და შეხვდა საფრანგეთში ერთ-ერთ გავლენიან პიროვნებას მიშელ პლატინის.

მიშელ პლატინი: „მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრით კმაყოფილი დავრჩი. ის თავისი აღნაგობით მორაგბეს მაგონებს. პრეზიდენტს კარგად აქვს გაცნობიერებული ფეხბურთის როლი და ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი. მიხარია, რომ საქართველოს ხელისუფლებაში გამოჩნდა პირველი პირი, ვისაც ფეხბურთის განვითარება აინტერესებს."

ფეხბურთთისადმი საქართველოს ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულების გამო გადაწყდა, რომ ფრანგულმა მხარემ ჩვენი სახელმწიფოსადმი თანადგომა გამოხატოს. ამ მიზნით თბილისს უახლოეს ხანში ემე ჯაკე და მიშელ პლატინი ესტუმრებიან. ამ ფაქტს თავად ჟირესიც ადასტურებს:

„მწვრთნელის რანგში პირველი მატჩი რომ გავმართე, მას ჩემი მეგობარი პლატინი დაესწრო. მიშელს კარგი ფეხი აქვს. ის თამაში მოვიგეთ, ასე დამკვიდრდა ჩვენს ურთიერთობაში ტრადიციად, რომ პლატინი ყოველთვის ესწრება პირველ მატჩს ჩემს ახალ გუნდში. რაც შეეხება ემე ჯაკეს, ის უახლოეს ხანში ჩამოვა და ქართველ მწვრთნელებთან სემინარებს ჩაატარებს".

სანაკრებო პოლიტიკასა და მომავალ პერსპექტივებზე ჩვენი ნაკრების თავკაცს მეტად საინტერესო ხედვა აქვს:

ალან ჟირესი: „სანაკრებო პოლიტიკა ერთიან კონცეფციას უნდა დაეკვემდებაროს. ბუნებრივია, ყველა ნაკრების მწვრთნელთან მეკონება კავშირი. ისიც მინდა ვთქვა, რომ ჩემი მუშაობა მომავალში მკვიდრი საფუძველი უნდა გახდეს ნაკრების აღმშენებლობის პროცესისა. ამ ეტაპზე ბევრი, თუნდაც უმნიშვნელო დეტალის არასწორად გააზრებამ შეიძლება მომავალში რთულ სიტუაციაში ჩაგვაგდოს.

გადაწყვეტილია, რომ მე გია გურული დამეხმარება. რაც შეეხება ფიზმომზადებისა და მეკარეების მწვრთნელებს, ამ მიმართებით პროფესიონალის დიპლომი მაქვს. ასე რომ, მჭირდება ის ხალხი, რომელიც ჩემს დავალებებსა და მითითებებს შესარულებს.

ყველა ქართველი ლეგიონერის შესახებ მაქვს გარკვეული ინფორმაცია, ზოგიერთის თამაშიც ვნახე. ის რომ ქართველი ფეხბურთელები მრავლად თამაშობენ ევროპაში, მიანიშნებს ქართული ფეხბურთის დიდ პოტენციალზე. იმასაც აღვნიშნავ, რომ ნაკრებში მხოლოდ ლეგიონერებზე არ მეყნება აღებული აქცენტი. საქართველოს ნაკრებში გამოძახებულნი იქნებიან ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებიც. საჭიროა გავითვალისწინოთ მათი შესაძლებლობებიც, რათა ოპტიმალური შემადგენლობა გამოვიდეს ოფიციალური მატჩებისას.

მე ერთ ტაქტიკას ვირჩევ — ტაქტიკას, რომელსაც მოგება მოაქვს. რაც შეეხება კონკრეტულ სქემას, უპირატესობას ვანიჭებ 4-4-2 სისტემით თამაშს, მაგრამ ბუნებრივია, საბოლოო ტაქტიკის განსაზღვრისთვის საჭიროა, იცოდე მოთამაშეთა პოტენციალი და ამის მიხედვით განსაზღვრო ოპტიმალური ვარიანტი. მაგალითისთვის ფაბიო კაპელოც გამოდგება, რომელიც „მილანს" 4-4-2 სქემით ათამაშებდა, „რომაში" კი 3-5-2-ს ანიჭებს უპირატესობას. ბუნებრივია, ჩემი სისტემის ტყვეობაში არ დავრჩები.

გაცნობიერებული მაქვს ის სიძნელეები, რაც რეალურად გველის. მე გავაკეთებ ყველაფერს, რათა ჩვენი შედეგები დადებითი იყოს. ის ამოცანა, რასაც ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ჩემ წინაშე აყენებს, მიღწევადია.

მთავარია, რომ მოთამაშეს საკუთარი ქვეყნის ჰიმნზე რეგაგირება შეეძლოს, ჟრუანტელმა უნდა დაუაროს და ამ დროს კვეი კი არ უნდა ლეჭოს, სერიოზულად უნდა განეწყოს თამაშისთვის. გუნდში მჭირდება ის, ვინც თავს დადებს მოედანზე. საკუთარი ქვეყნის ჰიმნი და საკუთარი ნაკრების მაისური ახალგაზრდა კაცს დიდი პასუხისმგებლობისათვის უნდა განაწყობდეს. მე ვხედავი, საქართველოში როგორ უყვართ ფეხბური და თუკი ჩემი გარჯა და ნაკრების გამარჯვებები საერთო სახალხო სიხარულის საფუძველი გახდება, უბედნიერეს კაცად ჩავთვლი თავს."

რაც შეეხება საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, გადაწყვეტილია, რომ ამ გუნდსაც უცხოელი გაწვრთნის. ჟორდანიამ ეს პოსტი უკვე შესთავაზა ქართველი გულშემატკივრებისთვის კარგად ნაცნობ იოპან ბოსკამპს, რომელმაც გულის ოპერაცია გაიკეთა და ამიტომაც ითხოვა ორკვირიანი ვადა მოსაფიქრებლად.

იოპან ბოსკამპი

საქართველოს ნაკრებში, 30 მარტს მანჰაიმში გერმანიის ოლიმპიურ ნაკრებთან შეხვედრისთვის, შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახეს:

მეკარეები: გიორგი ლომაია („სპარტაკი", მოსკოვი), ზურაბ მამალაძე („ლოკომოტივი", თბილისი), მირზა მერლანი („ვიტ ჯორჯია").

მცველები: ზურაბ ხიზანიშვილი („რეინჯერსი", შოტლანდია), კახა კალაძე („მილანი", იტალია), ოთარ ხიზანეიშვილი („დინამო", რუსეთი), რევაზ ქემოკლიძე („თბილისი").

ნახევარმცველები: გიორგი ნემსაძე, დავით კვირკველია, ლადო ახალაია (სამივე „დინამო", თბილისი), ლევან კობიაშვილი („შალკე", გერმანია), ლევან ცქიტიშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), მალხაზ ასათიანი („ლოკომოტივი", რუსეთი), დავით სირაძე („უნიონი", გერმანია), ვიტალი დარასელია („ალანია", რუსეთი), გიორგი ქინქლაძე (უკლუბოდ), გოჩა ჯამარაული („მეტალურგი", უკრაინა).

თავდამსხმელები: შოთა არველაძე („რეინჯერსი", შოტლანდია), მიხეილ აშვეთია („ლოკომოტივი", რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), გიორგი დემეტრაძე („მეტალურგი", უკრაინა), რატი ალექსიძე („როსტოვი", რუსეთი), სანდრო იაშვილი („დინამო", თბილისი).

ჩემპიონთა ლიგა მეოთხედფინალი საპასუხო შეხვედრები

მანჩესტერი	— პორტუ	1:1 (1:2)
ლიონი	— სოსიედადი	1:0 (1:0)
არსენალი	— სელტა	2:0 (3:2)
მონაკო	— ლოკომოტივი	1:0 (1:2)
იუვენტუსი	— დეპორტივო	0:1 (0:1)
ჩელსი	— შტუტგარტი	0:0 (1:0)
მილანი	— სპარტა	4:1 (0:0)
რეალი	— პაიერნი	1:0 (1:1)

ბექჰემი „კოგჩის" გადაასტა, „რეალი" — „ბაიერნს".

მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

პორტუ	—	ლიონი
რეალი	—	მონაკო
ჩელსი	—	არსენალი
მილანი	—	დეპორტივო

რეალი-მონაკოს წყვილის გამარჯვებული შეხვდება ჩელსი-არსენალის წყვილის გამარჯვებულს. პორტუსა და ლიონის შორის გამარჯვებული შეხვდება მილანი-დეპორტივოს წყვილის გამარჯვებულს.

მეოთხედფინალის პირველი მატჩები გაიმართება 23-24 მარტს, განმეორებითი მატჩები — 6-7 აპრილს.

ნახევარფინალის პირველი მატჩები შედგება 21-22 აპრილს, განმეორებითი — 4-5 მაისს.

უეფას თასი მეოთხედფინალი

სელტიკი	— ბარსელონა	1:0
გენჩლერბირლიგი	— ვალენსია	1:0
გორდო	— გრიუზე	3:1
ნიუკასლი	— ვალიორკა	4:1

განმეორებითი მატჩები გაიმართება 25 მარტს.

პირველი შეხვედრები

ოსერი	— ეინდჰოვენი	1:1
ბენფიკა	— ინტერი	0:0
ლივერპული	— მარსელი	1:1
ვილიარიალი	— რომა	2:0

ბექჰემს „სეეფო კლუბის" დაზოვება სურს

სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა ინგლისურმა პრესამ. საქმე ის გახლავთ, რომ დევიდ ბექჰემი მადრიდის „რეალის" დატოვებას აპირებს. მისი მიმდინარე კონტრაქტი „სამეფო კლუბთან" ამ წლის ივნისში ინურება, მის გაგრძელებას კი ფეხბურთელი აღარ აპირებს. ალბათ მიხვდით, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანი მადრიდში განხორციელებულმა საშინელმა ტერაქტმა შეაშინა. ბექჰემის მეუღლემ და შვილებმა უკვე დატოვეს ესპანეთის დედაქალაქი. ვიქტორია ადამსი კატეგორიულად წინააღმდეგია მადრიდში დაბრუნებისა.

გაიგეს თუ არა, რომ ბექჰემი სულ მალე შეიძლება უგუნდოდ დარჩეს, ევროპის ბობოლა კლუბებმა უკვე დაინყეს „ნადირობა" მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელზე. ბექჰემთან მიმართებაში სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენებენ რომან აბრამოვიჩის სახელს. შეგახსენებთ, რომ ბექჰემის კონტრაქტში გათვალისწინებულია პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ ფეხბურთელმა „რეალთან" კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა, მისი შეძენის მსურველ კლუბს 140 მილიონი ფუნტის(!) გადახდა მოუწევს...

რეკორდ „ბარსელონაში"?

მილანის „ინტერის" ურუგვაელი ფორვარდი ალვარო რეკობა, შესაძლოა, მომავალი სეზონიდან „ბარსელონაში" გადავიდეს. თავად რეკობამ განაცხადა, რომ იტალიური ფეხბურთი მოსაწყენია და დიდი სიამოვნებით ითამაშებდა ესპანეთის პრიმერა დივიზიონში.

— ვთვლი, რომ მსოფლიოს საუკეთესო კლუბი მადრიდის „რეალია", — ამბობს რეკობა. — თუმცა, მე „ბარსელონაში" თამაშს ვარჩევდი. „ბარსას" სათამაშო სტილი ჩემთვის უფრო მისაღებია, თანაც იქაური სტადიონიც უფრო მომწონს, ვიდრე მადრიდის „რეალისა".

რეკობა „რეალში" არავის დაუპატიჟია, „ბარსელონაში" კი შეიძლება მართლაც გადავიდეს, ვინაიდან „ბარსას" ჰოლანდიელი ფორვარდი პატრიკ კლუივერტი მომავალი სეზონიდან კლუბს ტოვებს და ინგლისში გადასვლას აპირებს, „ბარსელონას" ალბათ დასჭირდება ერთი მაღალი კლასის ფორვარდის დამატება, ეს ფორვარდი კი შესაძლოა ალვარო რეკობა გახდეს.

„ინტერის" ახალი მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი ურუგვაელს მანიცდამაინც არ ნყალობს და ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაშიც აღარ ითამაშებს.

ფერნანდო ტორესი მანჩესტერს სურს

„მანჩესტერ იუნაიტედს" თავდასხმაში აშკარად უჭირს. რუუდ ვან ნისტელროი ერთადერთია, რომელიც მუდმივად თამაშობს ძირითად შემადგენლობაში. სერ ალექს ფერგიუსონმა შეტევის გაძლიერება გადაწყვიტა და მადრიდის „ატლეტიკოს" მთავარ მეგოლეს, ფერნანდო ტორესს დაადგა თვალი. ტორესს მადრიდულ კლუბთან 2008 წლამდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი. მისმა მსურველმა კლუბმა ესპანელებს 90 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

ინგლისელებს ეს თანხა ეძვირებათ და „ატლეტიკოს" დიეგო ფორლანსა და 36 მილიონ ევროს სთავაზობენ. ურუგვაელი ფორლანი ამ ბოლო დროს სათადარიგოთა სკამზე ზის და ძველებურად ვეღარ თამაშობს. საეჭვოა ესპანელები ფერგიუსონის წინადადებას დათანხმდნენ. თავად ტორესს ინგლისის ყველაზე ტიტულოვან კლუბში გადასვლის სურვილი ჯერ არ გამოუთქვამს.

მაკგრეიტის 62 ქულა

ზაზა ფარულიას თანაგუნდელმა, „ორლანდო მეჯიქის" კალათბურთელმა ტრეისი მაკგრიტმა NBA-ს უკანასკნელი ათწლეულის რეკორდი დამყარა — „ვიზარდსთან" მატჩში მან 62 ქულის მოგროვება შეძლო, რაც NBA-ს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ მაკგრეიტის შედეგი უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო — მან 37 სროლიდან 20 შესარულა ზუსტად, 26 საჯარიმოდან კი მხოლოდ 17 გამოიყენა. მაკგრეიტის წლევანდელ მონაგართა შორის აღსანიშნავია „ჩიკაგოსთან" და „დენვერთან" მოპოვებული 52 და 51 ქულა.

„ასეთი შედეგის შემდეგ ბუნებრივია, გახარებული უნდა იყო, — განაცხადა მაკგრეიტმა, — არ ვმალავ, რომ დიდი სიხარული და სიამაყე მომგვარა ამ შედეგმა, მაგრამ გული მტკივა იმის გამო, რომ ჩემი გუნდი კარგად ვერ თამაშობს და ამიტომაც ფლეი ოფში გასვლა უტოპიაა. მიმძიმს იმაზე ფიქრი, რომ სეზონი ჩვენთვის მალე დასრულდება..."

ყველა დროის რეკორდი დევიდ რობინსონს ეკუთვნის, რომელმაც 1995 წელს „სანანტონიოში" ასპარეზობისას 71 ქულა დააგროვა. მანამდე კი რეკორები მაიკლ ჯორდანს ეკუთვნოდა. 1993 წლის 16 იანვარს „ჩიკაგოსა" და „დენვერის" მატჩში „მფრინავმა მაიკლმა" 69 ქულა მიითვალა.

გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა

№10 (388) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

რეიტინგს 625 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 252-მა ქალმა და 368 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„თქვენი აზრით, ვის მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი „ვარდების რევოლუციაში?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, ვარდების რევოლუციის ერთპიროვნული გმირი მიხეილ სააკაშვილია. რესპონდენტთა 75%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. **7,53** საშუალო ქულით მიხეილ სააკაშვილი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ქართველთათვის სიმდიდრით ცნობილი ამერიკელი ფინანსისტი ჯორჯ სოროსია, საშუალო ქულაა 5,86. რესპონდენტთა 19%-მა მიაკუთვნა მას მაქსიმალური ქულა.

ნინო ბურჯანაძის წვლილი ვარდების რევოლუციაში საკმაოდ დიდია — საშუალო ქულით 5,47, იგი მესამე ადგილზეა. საგულისხმოა, რომ სხვა რევოლუციონერთაგან განსხვავებით, მინიმალური ქულით ის არც ერთ რესპონდენტს არ შეუფასებია. მაქსიმალური — 8 ქულა კი მხოლოდ ერთმა მკითხველმა დაუწერა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ზურაბ ჟვანიასა და გიორგი ბარამიძის ღვაწლი მაქსიმალური ქულით არც ერთმა მკითხველმა არ შეაფასა.

ჩვენი მკითხველების აზრით, ედუარდ შევარდნაძეს უფრო მეტი წვლილი მიუძღვის ამ რევოლუციაში, ვიდრე ელდარ შენგელაიას — 1,87 საშუალო ქულით ნოემბრის მოვლენების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე რეიტინგში ბოლო ადგილზეა.



საპრიზოს ზუსტად ცხრა ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან — 28 წლის **ნატალია ფანცულაია** (სოხუმი-თბილისი), 56 წლის ქუთაისელი **გიორგი ლოლობაძე**, თბილისელები — 63 წლის **ნათელა კეშელავა**, 23 წლის **ხათუნა ასტამაძე, ნაზი არჩვაძე**, 65 წლის **ლუარსაბ დეკანოსიძე**, 55 წლის **თეიმურაზ მახარაძე**, 42 წლის **ხვიჩა ჭულუხაძე** და 73 წლის **ვახტანგ პაიკიძე**.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 17 მარტს, 17 საათზე.

№11 (389) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

„ᲙᲘᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

100 ᲚᲐᲠᲘ

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „ᲙᲘᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

*** ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐᲗ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲚᲝᲗ** *ᲙᲘᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲡ* **«ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲨᲘ».**

№11 (389) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოთავსეთ ოთხშაბათის, 17 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 18 მარტის 13 საათამდე.

© თბილისი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მოთითებულ ვადებში გამოგვგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ! „ᲙᲘᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ!

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ



ᲗᲔᲛᲐ №11(389) — ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲘ ᲠᲘᲢᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲘ

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲘᲢᲝᲕᲜᲘᲙᲘ (ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗᲐᲒᲐᲜ)? დაუნერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე

№11(389) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

№		ᲥᲣᲚᲐ
1	**ᲒᲝᲩᲐ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** — ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ	
2	**ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ** — ᲗᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ	
3	**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲟᲕᲐᲜᲘᲐ** — ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ	
4	**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲬᲘᲠᲬᲣᲛᲘᲐ** — ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲙᲝᲠᲠᲘᲡᲘ	
5	**ᲒᲘᲒᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ** — ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ	
6	**ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐ** — ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ	
7	**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲜᲝᲓᲘᲐᲓᲔᲚᲘ** — ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ	
8	**ᲒᲔᲚᲐ ᲑᲔᲥᲔᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** — ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ	
9	**ᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — ᲣᲪᲮᲝᲠᲗᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲔᲠᲘᲢᲘᲐᲜᲘ	

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ოპოზიციური პარტიებიდან (ბლოკებიდან) რომლის მიმართ ხართ კეთილგანწყობილი ყველაზე მეტად?

✓ _____

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ _____

_____ თქვენი სახელი, გვარი

_____ ქალაქი (რაიონი)

_____ ასაკი _____ ტელეფონი

თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „დამატებით კითხვასა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

ᲤᲝᲢᲝᲙᲐᲚᲘᲢᲠᲐ © ·ᲤᲝᲢᲝᲙᲐᲚᲘᲢᲠᲐ·

ᲐᲑᲐ, ᲕᲘᲜ ᲕᲐᲠ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲔ?

_____

- ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲛᲣᲨᲚᲐᲠᲗᲚᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ...

Ზ. ᲟᲕᲐᲜᲘᲐ — გამარჯვებული ადამიანების ლიდერი.

ი. ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ-ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ — დამარცხებული ადამიანების ლიდერი.

გ. ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ — ადამიანის მეგობრების ლიდერი.

დ. ᲮᲕᲔᲓᲔᲚᲘᲫᲔ

Გ.Ბ. Ზ.Უ.-ს — „მე ვიყეფებ, შენ იყივლე და სოფელიც აშენდება“

Ი.ს.-Ძ. (თავისთვის) — „მე ხომ ჩემი დამემართა, მაგრამ ერთი თქვენი აშენებული სოფელი მანახა“.

თ. ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

Ზ.Უ. — გია, ეგ ქალი გვერდზე რომ გიზის, ვინ არის?

Გ.Ბ. — გაუგია, პრეზიდენტი მინისტრებად ქალებს ნიშნავსო და პორტფელმომარჯვებული დგვადგა თავზე.

ᲜᲐᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

Გ.Ბ. — ირინა უნდა დავიჭირო ამაღამ!

Ზ.Უ. — რას ერჩი, პატიოსნად, მარჩიელობით ირჩენს თავს.

გია ᲯᲝᲮᲐᲫᲔ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

Გ.Ბ. — ზურაბ, დაგვაგვიანდა, ტელეღიპუცები 5 წუთის დაწყებულია!

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲬᲣᲠᲬᲣᲛᲘᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

Ზ.Უ. — გია, რას შვრები, ირინას არ იჭერ?

Გ.Ბ. — როგორ არა, იარაღი ჩავუდე ჩუმად ჩანთაში და წუთი წუთზე მოვლენ ჩემი ბიჭები.

ᲓᲐᲗᲝ ᲮᲠᲘᲙᲐᲫᲔ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲟᲕᲐᲜᲘᲐ, �გᲘᲝᲠᲗᲘ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ, ᲘᲠᲘᲜᲐ ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ-ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ

Ზ.Უ. — რას ითხოვს?

Გ.Ბ. — მ.კ.კ.მ.-ს უფროსად დამნიშნეთო.

Ზ.Უ. — ეგ რაღას ნიშნავს?

Გ.Ბ. — მინისტრთა კაბინეტის კარის მკითხავს.

ᲔᲓᲘᲙ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲣᲠᲐᲛᲘ

Გ.Ბ. — ისე, ირინას პალესტინაში მაგარი გასავალი ექნებოდა.

Ზ.Უ. — რატომ?

Გ.Ბ. — კამიკაძის შესანიშნავი ნიმუშია, პოლიტიკურად თავიც მოიკლა და თავისი პარტიაც ზედ მიაყოლა.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲜᲐᲮᲚᲐᲘᲫᲔ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ

ფოტო განყოფილებისთვის

— შემომსხედეთ, შემომსხედეთ, გავიარე...

გურული ღამის მორიგეობიდან დაღლილი ბრუნდება შინ. გახარებული შვილები კართან ხვდებიან:

— მამიკო, მამიკო, მოდი ვითამაშოთ!..

— მოდით, „მავზოლეუმი“ ვითამაშოთ: მე ლენინი ვიქნები, თქვენ კი საპატიო ყარაული...

14/III

უკანასკნელი მეოთხედი

მაგნიტური დღეებია:
17/III 07-დან 09 საათამდე
20/III 00-დან 02 საათამდე

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. კენგურუ; 4. მინკუსი; 6. იუნგა; 7. იტერა; 8. „მუმია“; 9. ინდრა; 10. „არტეკი“; 13. ადეპტი; 16. ბრასი; 18. ვარჯიში; 19. ზამბეზი; 20. ოპიზა; 22. ბროლია; 23. ტოროლა; 25. კობრა; 27. მგელი; 28. სკალა; 29. რაინი; 30. იალბუზი; 31. ანთეკა.

შვეულად: 1. კავალერია; 2. უილიამსი; 3. ინტერმედია; 4. მარაკანა; 5. ინტრიგანი; 11. ტურბო; 12. კრივი; 14. დამბო; 15. პრეკო; 16. ბიო; 17. „იზა“; 21. იმპრესარიო; 22. ბალანჩინი; 24. ასიმეტრია; 25. კომისარი; 26. აგიტაცია.



ვუპი გოლდბერგი ბავშვს ელოდება?

თავისი უცროსი კოლეგის, ანჯელინა ჯოლის მსგავსად, 48 წლის ვუპი გოლდბერგმაც გადაწყვიტა იშვილოს ბავშვი. მსახიობი უკვე ორჯერ ეწვია კამბოჯას, სადაც არჩევანი შეაჩერა ერთი წლის ბიჭუნაზე, რომლის სახელი და გვარი მომავალმა დედამ ჯერჯერობით არავის განდო. აპრილის დასაწყისში ვუპის ლოს-ანჯელესში ჩაუყვანენ პატარა კამბოჯელ ბიჭუნას. ასე რომ, ვუპის 30 წლის ქალიშვილს უმცროსი ძმა, ხოლო შვილიშვილებს — 14 წლის ამარ სკის და 8 წლის ჯერსის ერთი წლის ბიძა ეყოლება.

ვალს გადასდა უნდა!

პოპულარული ტელევარსკვლავი ოპრა უინფრი, რომელიც ატლანტის მორენჰაუზ-კოლეჯმა „ჰუმანიტარული მოღვაწეობისთვის“ დაჯილდოვა, ვალში არ დარჩა. თუ რამდენიმე წლის წინ მან 5 მილიონი დოლარი აჩუქა კოლეჯს სტუდენტთა სტიპენდიებისთვის, ამ ჯილდოს მიღებისას გულაჩუყებულმა ოპრამ განაცხადა, რომ კიდევ 12 მილიონს შესწირავს იმავე კოლეჯს. ამ თანხით ფრიადოსან სტუდენტებს სტიპენდიებს გაუზრდიან. როგორც ამბობენ, ხელგაშლილი მულტიმილიონერი ტელეწამყვანის დაჯილდოებას თავიანთი მედლებითა და სიგელებით სხვა სასწავლებლებიც აპირებენ. იმედი აქვთ, რომ ვარსკვლავი მათთვისაც გაიმეტებს შესაწირს...

ყურადღება:	„ქვირის	პალიტრის“	(გაზეთის)	საფოსტო	(საკო-
რესპონდენტო)	ყუთიგზე	საავტორო	უფლება	დაცულია	კანონით.©

11 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)
გპურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№11 თბილისში ქვითარი „ქვირის პალიტრის“ ყუთებში ჩაგდებულ 18 მარტის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„ქვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთაში, კასპში, გორში, ქარელში, ხაშურში, სურამში, ზესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიაში, აბაშაში, სენაკში, ხობში, ზუგდიდში, ფოთში, ქობულეთში, გათუმში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, ვანში, წყალტუბოში, გალდათში, ხონში, ბანაკა, თერჯოლა, ტყიბულში, ამბროლაურში, ონში, ბორჯომში, ახალციხე, რუსთავში, საგარეჯოში, გურჯაანში, წნორში, სიღნაღში, ყვარელში, ლაგოდეხში, თელავში, ახმეტა, დედოფლისწყაროში.

„ქვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, ქვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„ქვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდება
გამომცემლობა „ეკოლორში“.